

ცირა კაპანაძე

აისილან დაისაგდე



ნინასიტყვაობა

მიშელ უელბეკი თუ დროს უსწრებდა და
მომავალში იყო უკვე, ამერიკელი მწერა-
ლი ბრედ ისტონ ელისი, თითქმის ფოტოგ-
რაფიულად ასახავს თანამედროვეობას.

გ. ბ.

მე, რა თქმა უნდა, ამ ავტორებისგან ძალიან შორს ვარ. თან
ვერც დროს ვუსწრებ და ვერც ფოტოგრაფიულად ავსახავ თა-
ნამედროვეობას. მხოლოდ ლიტერატურის და პოეზიის მოყ-
ვარული და ერთგული მკითხველი ვარ, ეს კი თითქოს ჩემ
თავთან საუბარია, ჩემი თვალით ნანახი თუ განცდილი და
შეძლებისდაგვარად გარითმული.

ხომ შეიძლება მკითხველის იმ ნაწილისთვის იყოს მისაღებ-
მისადაგებული რომლებსაც ჩემსავით უხაროდათ, უყვარდათ,
ფიქრობდნენ, აკვირდებოდნენ, განიცდიდნენ...

შეიძლება ადამიანი მაღალ პოეზიასა თუ ლიტერატურას იყოს
ნაზიარები, მაგრამ წერას, ალბათ, სხვა ნიჭი და უნარი სჭირ-
დება, ამიტომ ძალიან მკაცრად ნუ განმსჯით.

პოეტებად იბადებიან. იყო პოეტური, ესეც ლვთის წყალობაა.
არანაკლებ ბედნიერებაა იყო პოეზიის მოყვარული. პირველი
და მეორე თუ არ მებოძა ლვთისგან, პოეზიის სიყვარული არა-
ვის დაუშლია, – ჰოდა არც მე ვიშლი და ზოგჯერ ვცოდავ
კიდეც, როცა კაეშანი მომეძალება ან რაღაც მიხარია და თვი-
თონაც არ ვიცი რა.

„შემოდგომიდან დაზამთრებამდე“, ასე მინდოდა დასათაურე-
ბა რადგან, განსაკუთრებით ჩემი ცხოვრების შემოდგომას მო-

მეძალა ფიქრები ყველაფერზე: განვლილსა და გარდასულზე და სევდიანი ხილვები მომავალზე, თუმც არც ჩემი ცხოვრების გაზაფხული დამვიწყებია, რომელიც ცოტა ღრუბლიან-წვიმიანი იყო, მაგრამ მაინც გაზაფხულებდა. იქნებ ამიტომაც გამოვყავი ამ ლექსებში ცალკე თავად „ქალი“.

მართალია, ცოტა სენტიმენტების მოძალებაცაა ამ ნაწერებში, რაზეც დღეს ნაკლებად წერენ, ბატონ აკა მორჩილაძის არ იყოს, ძველ პროზაზე აქვს ნათქვამი: „ძველი კლასიკის კითხვა, ზოგჯერ რაღაცნაირ ძველ და მოდიდან გამოსულ აღარარსებულ განცდათა აუტანელ სითბოში ჩაყურყუმელავებას ნიშნავს ხოლმეო“.

აბა, ბატონ აკას როგორ შემიძლია არ დავეთანხმო, მაგრამ, ძველ მოდურებსაც ხომ არა ნაკლებად გვაინტერესებს სიახლეები და ვაფასებთ კიდეც დასაფასებელს, არც ძველს მივტირით, ზოგჯერ ძველებური ეში გვენატრება ხოლმე, სულიერება, გულისხმიერება, ურთიერთობები და ვერც განცდათა მოძალებას ვართმევთ ხოლმე თავს.

ისე, ქალის ბუნებას ცოტა სენტიმენტებიც უხდება, ოღონდ მცირე დღით, ან იქნებ ახალგაზრდობის გახსენების ნოსტალგიაა, წარსულის, ჩავლილის და მოუბრუნებლის.

„მოგონებები გარდასულ დღეთა“, ამ ნასესხები დასათაურებით თავი მოვუყარე, ორმოცდაათიანი წლებიდან დღემდე, თბილისელთა ცხოვრების ამსახველ, პატარ-პატარა, ნოველებივით ჩანაწერებს.

ამ გადასახედიდან, ბევრად განსხვავებული მეჩვენა, ძველი და ახალი ყოფა, მაშინდელი და ეხლანდელი შესაძლებლობები, შესედულებები, ინტერესები თვალთახედვები და ფასეულობები. მიუხედავად ომის შემდგომი სიდუხჭირისა, როგორ ვინარ-

ჩუნებდით ხალისს, მომავალს შევხაროდით, ვფანტაზიორობდით კიდეც და უკეთესი მომავლის სურვილითა და იმედით ვსუნთქავდით. დღეგანდელი ახალგაზრდებისთვის შეიძლება ძნელად აღსაქმელად და სასაცილოდაც გამოიყურებოდეს მაშინდელი ბავშვების, მოზარდების, თუ შემდგომი პერიოდის ახალგაზრდების ყოფა, ცხოვრება და თავგადასავლები, მაგრამ როგორც ერთგან ვთქვი, დროს მოაქვს და დროს მიაქვს ყველაფერი. იმ დროისა და იმ ყოფის ანარეკლი ვიყავით ის ბავშვები, მოზრდილები და ზრდასრულებიც, თქვენი არც თუ ისე შორი წინაპრები, რადგან ჯერ კიდევ ვბოგინობთ, და თქვენი ბედნიერი მომავლისთვის ვლოცულობთ, თქვენი ბებია-ბაბუები, ჩვენი თბილისის ძველი ბინადარნი, – ძველი თბილისელები და არა თბილისელები.

ამ მოგონებებში თითქოს ჩემზე ვსაუბრობ, მაგრამ მე ხომ ამით იმ დროზე, იმ ვითარებაზე, იმ ურთიერთობებზე, პირობებზე, ტრადიციებსა თუ დროის იმ დროინდელ ქარგაზე ვსაუბრობ, სადაც და როგორც მაშინდელი თბილისელების დიდი ნაწილის ცხოვრება აისახებოდა და რაც დროისა და ცხოვრების პირობებიდანაც გამომდინარეობდა.

მე ხომ ის თაობა ვარ, ვისაც საბჭოთა კავშირში მოუნია ცხოვრებამ, ვისაც ომის შემდგომი უმძიმესი პერიოდის გადატანა მოუხდა, ვინც სანუკარ ოცნებას, -დამოუკიდებლობას არა მარტო ოცნებით, ძალისხმევითაც მიაღწია, თუმც მას შემდეგაც ბევრი რამის გადატანამ მოგვიწია, ყველაფერი ვიწვნიეთ, ავიც და კარგიც, – დიახ, კარგიც.

„უკანასკნელი მოჰიკანებივით“ რომ შემოვრჩით ეს ძველი თაობა, ღმერთს ვთხოვ ისე არ გადავეგოთ ამ ქვეყნიდან რომ, თქვენი, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების უკეთესი მომავლის შემსწრენიც არ გავხდეთ.

უკიდეგანო სივრცეში

სივრცე

სივრცეს დანახული,
სივრცეს დახატული,
აღმოჩენილი და
შემდეგ დაკარგული,
ხილვებით მოსული
ხილვებით გამქრალი,
სულის მელოდია
და მელანქოლია
რა რომანტიკული
აბლაბუდებია,
თუ
მაქმანებია,
სივრცეს ჩახატული
თეთრი ლანდებია,
სულში ჩასახული და
წარმოსახული
მოჩვენებებია
ცხადში ასახული.

ბოჰემა

ბახუსის ძალში,
თამბაქოს კვამლში,
ხილვათა სამყარო
ბოჰემურ რკალში,
გრძნობათა სიმრავლის
ზენიტი ცაში,
და აღმოჩენების
გიუური მარში,
ვნებათა თუხთუხი
სულ ყველა რანგში.
ფერები მუები,
განცდები მძაფრი,
გონების ტაატი
ბახუსის ნავში,
მუზების თარეშის
ნაზი კოქტეილი,
სურვილთა აღლუმი
თამბაქოს კვამლში.

* * *

რა მესაქმება პოეზიასთან
მეწერება და ვწერ,
ჩემი ფიქრები,
ჩემი განწყობა,
ალარ მაყენებს
წერას ავყავარ და ვწერ.
ჩავლილ ჩასავლელ
ფერ-უფერული აღმოჩენები
მაიძულებენ და ვწერ,
სხვას არ ვაჩერებ
არც არვის ვაქებ
არც ვის ვაძაგებ
ჩემთვის ვრაკრაკებ
ჩემ თავს ვართობ
სხვას არ ვაძალებ
მეწერება და ვწერ,
ხან თუ მაქნინებს
ხან თუ მარცხვენს
როგორც გინდათ თქვით
ხანაც მამშვიდებს,
დროს ვკლავ და დრო მკლავს
და მეც დრო გამყავს
რომ არ ვიფიქრო
და დრომ არ დამნთქას.

მე სიცოცხლე ვარ

მე სიცოცხლე ვარ
დასალევი,
და გზა ვარ დიდი,
გზა, გასალევი,
მიწის სუნთქვა ვარ
მზით გამთბარი,
– ისიც დასალევი.

მე, სიცოცხლე ვარ
ვეება ცის ცისფერ ტილოზე,
ცისფერი ფთილით ასახული
ღრუბელთ ქაოსი.
და ვარ ღრუბელი მტკივანი სულის
გრიგალ გადავლილ კენწეროებს
გადაფხრეწილი.
სული ვარ, სული, ღვინის დოქში
თავბრუხვეული და მთვარეული
– სული, დასალევი

მე ვარ სიცოცხლე
მიწის სუნთქვა
მზით გამთბარი
მფეთქავი ძარღვი,
მოთუხთუხე ვნებათლელვები,

უსასრულო განცდათა და
იმედთ ტევრები.

მე სიცოცხლე ვარ დალევამდე
სიცოცხლის ფთილა,
მეწამული მზით გაუღენთილი და
გათანგული,
მოიისფრო და მოღველფისფრო
სურვილთა მძივი,
და მზით გამთბარი ოცნებების
უწყვეტი სხივი.

მე, სიცოცხლე ვარ....

მე არ მიყვარს კორიდა

მართალია, ჰემინგუეიმ ხატოვნად დახატა და ახსნა კორიდის
მნიშვნელობა და მისადაგება სამხრეთულ ვნებების სიბობოქრე-
სა და სიმამაცესთან და ის, თუ რატომ უყვართ კორიდა, რასთან
და როგორ ასოცირდება და აღიქმება მათთვის. მაგრამ, მე მაინც
არ მიყვარს კორიდა.

ვეტრფი ესპანეთს
უმშვენიერესს,
ულამაზესს,
მზის საბრძანებელს,
მის ტრადიციებს
ლამაზ წარსულს,
დაუცხრომელ
სამხრეთულ ვნებებს,
სისხლის მაგივრად
სისხლძარღვებში
მზე მიმოუდით
და კანის ფერად
გზნების ცეცხლი შემორუჯვიათ,
მაგრამ არ მიყვარს კორიდა და
ვერც შევიყვარებ
კვდომის დახვეწილ სანახაობას,
სიკვდილის ხერხებს ვერ ვუმართავ
მე ოვაციებს
და ამის ირგვლივ არანაირ

აზრს ვიზიარებ!
ჩირად არ მიღირს სიმამაცე
ტორეადორის,
მე მხოლოდ ვხედავ
გასართობად
წამებით სიკვდილს,
ყაყაჩოსფერი შადრევნების
ფრქვევას და ნთხევას,
ქანცგანყვეტილი ტრიბუნების
გრგვინვა ყიუინას,
გრგვინვას რისხვისას და სისასტიკის,
და ამის იქით აღარ მინდა
პარალელები,
არც სიმბოლია, არც რამესთან
გაიგივება,
ვერ გავუმართავ ოვაციებს
საჯარო სიკვდილს,
და ვერასოდეს შევიყვარებ
მის „ხელოვნებას“.

სფინქსი და პირამიდა

სფინქსის წინ, ღამით, პირამიდების ფონზე ღია ცის ქვეშ ტარდება წარმოდგენა „ხმა და სინათლე“, კითხულობს ლოურენს ოლივიე. გრანდიოზული, მომნუსხველი ეფექტებით, შუქჩრდილებითა და თითქოს მიწის წიაღიდან ამოსული ხმებით

ხმა და სინათლე სფინქსთან
და გარინდება წუთიერი
თვალით დანახული ნამყო,
ურუოლა და განცდა მიწიერი,
პირამიდებთან დარგული ძრწოლა,
ამხედრებული სული ძლიერი,
აყვავებული ნაყოფი შრომის
შიშის და ძრწოლის ამქვეყნიურის,
უდაბნოს მირაჟები,
ლანდების ფერხული,
შორეული ხმები დრტვინვის,
სივრცეში დაკარგული თვალსაწიერი,
მზე ჩადუღებული სფინქსის,
პირამიდებთან ჩაქცეული სისხლი
რამდენი შეუსრუტია ქვიშას,
პირამიდებთან დამსხვრეული ჯანი
რამდენი შეუქცევია მიწას,
ცოდვამ არ დაადნო სფინქსი და ლოდები,
ცოდვამ ვერ უწია მიკვირს,
მზე დაგავს, მზე ებრძვის,
ვერაფერს ვერ აწყობს,
ვერც ქარი პოულობს მის პირს.

ექსპოზიცია

სითეთრესა და მდუმარებაში
ჩაყუდებულ-ჩავანებული
ვნებები,
განწყობები და ფერები,
შეგრძნებები,
აღმაფრენები, განსაცდელები,
აღმოჩენები,
გაყინულ წამებში გარინდებული
ლიმილი და სუნთქვა,
ტკივილი და სევდა,
სულის ფორიაქი,
მთელი ცხოვრების მოზაიკის
ერთი ნასხლეტი
სულჩაუდგმელი თუმც მთრთოლარე
ვითარც სულდგმული

და კიდევ ისრები,
ისრები იმპულსებისა
გმუხტავს ვით ელდენი
სხვადასხვა ძაბვით,
თანხვედრები კი თვალსაწიერის
თერმომეტრივით
ადის და ჩადის.

გოგენი

რამ აიძულა ბატონი გოგენი,
რამ გაანაპირა საზოგადოებას,
რამ დაათმობინა ცოლი და შვილები
რამ გაუყენა ტაიტის შორ გზას,
რამ დაავიწყა ცხოვრების ხიბლი,
და რამ მოაბეზრა კაცური ყოფა,
რა იყო ასეთი დიდი და ძლიერი,
რომ აუკრძალა მოკვდავად ყოფნა.
ფერებად დაშვრა, ფერებად დადნა და
უცხო მხარეში შიშველი მუზა
ფერებს დაეძებდა,
შემდეგ კი დიდხანს, მათ სიკაშკაშეში,
ფერთა ჰარმონიას აღმოაჩენდა,
მის არსში პასტელის ფერები სჭარბობდა,
მის თვალში სიჭრელე მეფობდა კვლავ,
რა იყო მის სულში ასეთი ძლიერი,
რაც აფერმერთალებდა ყველაფერ სხვას.

ვან გოგი

ნეტავ, გამაგებინა რა დუღდა ვან გოგში,
და დამანახვა მისი თვალით მთელი სამყარო
ნეტავ, მაგრძნობინა მისი სულის ჭრელი პალიტრა,
გამათავისებინა მისი დარდი, ფიქრთა სამთავრო.

ზოგჯერ მგონია, ყველაფერი ფუნჯით ასახა,
გადმოგვაფრქვია თავის სულის შეუცნობელ
ლაბირინთიდან,
ყველა ტილომ კი დაიტია? მისი სათქმელი,
ან ყველა ფერმა ამოწურა თვალსაწიერი?

რამ მიიყვანა ყურის მოჭრამდე,
ფერების ჰიმნმა თუ სულის აგონიამ,
თუ ვერ დახატულმა და ვერ დატეულმა,
სულისა და ფერთა დიდმა სიმფონიამ.

შემოდგომა

შემოდგომაა,
ქარბუქია,
კორიანტელი,
ფოთოლთ ფრიალი,
შორს სივრცეში
ქართა თარეში,
მავთულსადენთა
მწერივებს შუა
ძლიერ სისინით,
ვით ვიოლინოს
ხემი, სიმებს,
ებრძვის და წივის,
სულის წამლებად
აულერებს და ეთხოვება
რაღაცას ძვირფასს,
დაკარგულსა თუ
დამთავრებულს
ეს ღმერთმა იცის.

* * *

სიზმრების ქსოვა,
ხილვების თოვა,
ვნებების ბორგვა,
ბახუსის ბოდვა,
მთვრალი მუზების
ნისლებში ქროლვა,
და ამ ნისლების
ფართალივით
ხელმხარზე ზომვა.
სიფხიზლისა და
სიმთვრალის ზღვარზე
უკიდეგანოდ ქროლვა
და, ქროლვა.

* * *

ადამიანო ყოვლისშემძლევ,
შემოქმედო ავის და კარგის,
სიკეთისა და ერთგულების,
შენების, ნგრევის,
შურის და ბოლმის,
ხარ ხელის მკვრელი
უფსკრულის თუ
დიდებისკენ სავალი გზების,
ხან სიკეთის ხარ შემოქმედი,
ხან საჭანის მრევლი,
თუ შენში სახლობს ორივე ერთად
ავიც და კარგიც;
ადამიანო! ყოვლის შემძლევ,
ღვთისშვილი თუ ხარ,
ამოიძირკვე სიავის თესლი.

* * *

სუმბულთა კრებული
სუმბულთა ჯარი,
ფერთა სიმფონია
სურნელთა ჯაზი,
ლურჯ ფერთა გამების
ნაზი ჰარმონია,
სურნელთა სიმძაფრის
ნაზი აგონია,
ადრე გაზაფხულის
მთენთავი ბანგი,
აფეთქებული ვნებათა
ნაღმი,
წადილთა ბორგვა და
ცოდვების წამი,
გამოფხიზლების მაცდური
ძალი.

* * *

მე ნამცეცი ვარ,
ნამცეცთაგანი,
ქარებისაგან გამონაქარი.
ნამცეცი ვარ და
ვნამცეცობ კიდეც
რადგან ვერ ვნახე
სხვა გასაქანი,
ვერ ვცვლი ცხოვრებას,
ვერც სამყაროს,
ვერცა დროებას,
ვერ გამიგია რაა მისია
ჩემ მოვლინების,
— აზრი რა არის? თუ
ბედ-უბედობა რა შუაშია,
თუ ნამცეცად ვარ გამონაგზავნი.

* * *

ამ უკიდეგანო სივრცეში,
ამ უკიდეგანო ცის ქვეშეთში,
ერთი მრავალთაგანი ხარ და
ზოგჯერ არც არავინ ხარ,
სივრცეში იკარგები და
სივრცე არ გყოფნის,
ისე ვიწროა ვერ ეტევი
და ისე ფართოა
უგზო-უკვლოდ იკარგები.

* * *

სიყვარულს თუ ნატრობ
ისეთი ინატრე რომ
სახადივით არ შეგეყაროს და
მოსახლელივით არ მოიხადო.
არ მოსახლელი,
უვადოდ გრძელი,
ურუოლის მომგვრელი,
ცეცხლივით მწველი,
ფეთიანივით შემოგეფეთოს
წაგეკიდოს და არ კი დაგწვას,
ურუანტელივით დაგიაროს და
სიბერემდე არ გაგიაროს.

* * *

2017 წელს წმინდა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მობრძანება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ქეთევან წმინდა წამებულო
გვეწვიე სტუმრად,
შემოიარე საქართველო
უტყვად და უბრად,
მადლი მოჰყონე
შენ სამშობლოს
შეჭირვების ჟამს,
იქნება ღმერთმა გვაპატიოს
შევცოდეთ თუ რამ,
გვეყოფა დალმა ხეტიალი
გაგვიძეს ალმა,
რომ გაიღვიძოს
ნათელმა აზრმა,
მადლი მოგვფინე
გვიშველე რამე
და გაგვინათე
უკუნი ლამე,
ზნეობის ზეობა
ნორმად დაგვისახე,
ქვეყნის სიყვარული
ლოცვად გაგვიხადე.

* * *

სენტიმენტები,
სენტიმენტები,
თუ მოგეძალათ,
დარჩით კენტები,
პოეზიაა
თქვენი საუფლო,
თავშესაფარი
სენტიმენტების,
რომანტიკა და
მელანქოლია,
შარლი ბოდლერი
და პოლ ვერლენი,
რძისფერი ფთილა
ზეცის ნაგლეჯი,
და საოცარი შუქი
ფერების.

* * *

მე მირაჟი ვარ უდაბნოში
ფერთა ლიცლიცი,
და წარმოსახვის დიდი დოზით
დიდი ფანტასტი,
თუმც ვერ ვაქციე ოაზისად
ჩემი ცხოვრება და
დავრჩი მარად მოცარული
დიდი ფანტასტი.

* * *

ყავა, შამპო, შოკოლადი,
ფლუიდების მასკარადი,
ვნებათა ასორტის
ველური პარადი,
სურვილთა თარეშის
გიუური აზარტი,
– მომართვით!
– მომართვით!
– მომართვით არაყი!
კაცური განწყობის
კაცური ვარაყი.

მოთარეშე ქარაშოტები

სულში თარეშობს ქარაშოტები,
ხმიერითა თუ უხმო კივილით,
მოძალადე და სულის შემძვრელი,
ვიწროობს სიცრცეს ჩემი სულისას,
და გამონგრევას ლამობს გიუივით,
გონის და აზრის არ მცნობი და აულაგმავი
და უმართავი, როგორც ღვარცოფი,
ეს სურვილების მოთარეშე ქარაშოტია,
აღვირახსნილი, ბობოქარი, ვნებააშლილი...

* * *

ცხოვრების ამინდზე,
ბუნების კაპრიზზე,
განგების სურვილზე,
ფორტუნას დუმილზე,
უგვანო სურვილზე,
გვემას და თმენას,
ბნედას და ლხენას,
და აღმაფრენას,
მძიმე და დიდი
ცხოვრება ჰქვია.

სოსნისფერი ღრუბლები

სოსნები მიუყვება გზას
გზა სადღაც უერთდება ცას,
გზისა და ცის სამანს
ღრუბელთ ქარავნები
ერთურთში იღრევიან და,
იმღვრევა, ირევა, ფერებად იღემება,
სოსნად თუ ნარცისად
ფერებში ინთქმება,
გადარეულები და არეულები
სად მიუყვებიან გზას?
– თუმცა რამ არია
ან რამ გადარია
– ან რამ გადარია, რამ?
პანაწა ღრუბლები
ხან იკარგებიან
ხან ისევ ჩნდებიან,
რომ იკარგებიან
რად იკარგებიან,
– სად იკარგებიან, სად?

სურათი ძველებურ ინტერიერში

ბუხართან ირწევა
სკამი საქანელა,
ვენურია და ძველი,
ზედ პლედი აგდია
მასზედ კი წიგნია
ორივე ძალიან ძველი,
სადღაც კუთხეში კი
ძველი როიალი
ფიქრებში რომანსებს
მღერის,
სურათი რომელიც
შეიქმნა სიტყვებით,
ესეც ხომ ძველია,
ძველი.
განწყობაც ძველია
და მელანქოლია
ძველებურ ხიბლს
აძლევს მერმისს,
ის რაც ლამაზია,
თუნდაც გარდასული
ამ სიცარიელეს
შვენის.

იმედი

მე რომ მციოდა
შენ მათბობდი,
მე რომ მტკიოდა მიამებდი,
შიმშილს მავიწყებდი,
სასოწარკვეთას მიქარწყლებდი,
წაქცეულს მაყენებდი,
დაბნეულს მაფხიზლებდი,
ძალას მაძლევდი.
დღეს თუ მყარად ვდგავარ,
დღეს თუ აღარ მცივა,
და დღეს აღარც მშია,
ტკივილიც გაქრა,
სასოწარკვეთაც,
– შენი მადლია!
– ჭიდილიც მასწავლე
ჭაპანის წევაც
და გამკლავებაც.
შენით მოვედი აქამომდე
ამის იქითაც არ მომიშალო
იმედო ჩემო,
ეს ყველაფერი.

* * *

ცხოვრების სალაროში
ტკბილ-მწარე ხსოვნათა
გვიანდელ შეგრძნებებს,
ცხოვრების შემოდგომა
ჰქვია,
ემოციის და შეგრძნებებისგან
დაფერთხილ ხსოვნებს კი
ხანდაზმულობა და ჩუმი სიბერე
ჰქვია.
რა ბედნიერია
ვისი ცხოვრების შემოდგომაც
ხვავრიელია და მოგონებების
ჭრელი ფთილები ჰყურია,
ვაი მას, ვის სალაროშიც
შემოდგომის უამს
წრუნუნები და თაგუნიები
ხტიან.

ჭადრაკი, თეატრი თუ ცირკი

ხშირად გსმენიათ,
– თეატრიაო ეს ცხოვრება,
– ხან ჭადრაკი, და,
– ხანაც ცირკი,
ყველა ერთად თუ
სათითაოდ
ვისთვის რა,... ვისთვის.
თუ თეატრია, მართალია
ნიღბების რიცხვით,
ტრაგედიებით, კომედიებით,
ცხოვრების რიტმით.
– ხოლო ჭადრაკში ფიგურები
ხალხია თითქმის,
სხვადასხვა გზებით,
სხვადასხვა სვლებით,
სხვა შედეგებით.
-და ბოლოს ცირკი,
სასწაულებით,
ტრიუკებით,
სიცოცხლის რისკით.
ყველას ერთად კი
ცხოვრება ჰქვია
ჭადრაკია თუ
თეატრი, ცირკი.

ჩემი სახლი

ჩემი სახლი, ჩემი ცხოვრების მუზეუმია,
ნივთები კი ჩემი ცხოვრების ექსპონატები.
ნივთგანლაგება, ხასიათი და განწყობაა ჩემი,
ინტერიერით კი შეიძლება გამოიცნოთ
თვით სულის ფერიც.
ყოველი ნივთი ჩემი ცხოვრების ისტორიაა,
თუნდაც უბრალო,
გადასაგდებად დანანებულიც,
ჩემი სახლი, გარე სამყაროში გაჭრილი
ფანჯარაა,
ჩემი ოცნებების ჭურჭელია,
ბუდეა ჩემი,
ჩემი სახლი, ჩემი ნავსაყუდელია,
ჩემი სულის საუფლო და სავანეა,
თავშესაფარი და ციხესიმაგრეა ჩემი,
სადაც ვინელებ ბევრ დარდს და ნაღველს,
ბევრ ჭირს და ვარამს,
ვიოკებ სევდას, ვიქარვებ განცდას,
პანაწინა სიხარულები კი ათბობენ და
ჭერს სწევენ მაღლა.
ჩემი სახლი ჩემი ოჯახია,
დიდპატარა მოვლენებით
და პატარ-პატარა დღესასწაულებით.
სიყვარულით დამუხტული და მოვარაყებული.

ნიაგარი

დაუოკებელი სურვილი მაქვს
ნიაგარის ჩანჩქერის ხილვის,
ნარმოდგენაც კი თავბრუს მახვევს
ურუანტელსა მგვრის,
ზათქის, ლრიალის,
ცის ქუხილის, ძლიერი გრგვინვის,
შხეფთა აურა, გამთიშავი
ყველა გრძნობის და ყველა ფიქრის,
და მაინც მიკვირს ამ აურაში
რა გრძნობა სახლობს,
რა განცდა იბრძვის,
ფეიერვერკი მშვენიერების,
ზეანეულის, ამაღლებულის,
თუ წყლის ძლიერების,
სიმაღლის განცდა,
დაშვებისა და ვარდნის ფრენა, თუ
დამსხვრეული წყლის
სხეულის ტკენა,
შხეფების ნისლი ან
ო, ნიაგარო,
უზარმაზარი სურვილი მაქვს
მე შენი ხილვის.

მამაკაცი

მამაკაცი,
ჯენტლმენი კაცი,
რაინდი კაცი,
ვაჟკაცი კაცი,
კაცური კაცი,
– ფუფუნებაა!
მე მინდა კაცი
ჩვეულებრივი,
გამორჩეული
საკუთარ სახით,
სწორედ ისეთი
რომ გგონია
მის გარეშე
უკაცოა
მთელი სამყარო,
ცოტა ჯენტლმენი,
ცოტა რაინდი,
ცოტა ვაჟკაცი,
და ბევრი კაცი
ცოტა ბუზლუნა,
ცოტა ბუტია,
ცოტა შტერი და
ძალზედ ჭკვიანი,
ხან პრინციპული,

შეუპოვარი,
სან კი ბავშვივით
მიზეზიანი,
სან დამყოლი და
მიმტევებელი,
სულ ცოტა მაინც
გულეჭვიანიც.
ცოტას და ბევრის
წონასწორობით
სახეზე არის
მე რომ ვეძებდი
სწორედ ის კაცი,
ჩვეულებრივი,
და მაინც ჩემთვის
გამორჩეული ადამიანი.

სულის ნაწილები

ციდან ჩამოვარდი დავიმსხვერი
ნაწილაკებად
და გავიფანტე ქარში მძივებად,
მიმფანტ-მომფანტა, ცისქვეშეთში
მახეტიალა,
სხეულისა და სულის ნაფოტები
ქარმა წამოკრიფა და წააფრიალა.
ახლა მგონია მაყვლის ფოთოლზე
რომ ცვარნამია,
იმაში ვზივარ, ან მწყემსის სტვირში,
იქნებ გრიგალშიც, მის ფრთებში ვარ
შეყუუშებული,
ან დავქრი სიოდ, მინდორ-ველებს
ველამუნები,
ნაკადულშიც ვარ, მის რაკრაკში
გარინდებული,
ნაპირებს ვკოცნი და დიდ ლოდებს
თავზე ვევლები,
შროშანაშიც ვარ ჩასახლებული
მის სურნელებით თავბრუხვეული
და მთვარეული.
გადამიარა ცხენების რემამ ფლოქვთა
თქარუნით,
გადამთქორა და კვლავ დავიმსხვერი,
ირმის ყვირილში წამოვიწიე, ცისკენ გავწიე
ირემს ვენიე,

ხმაში ჩავენან და ჩავეხლართე
ამურს ვუხმობდი ხარირემი,
ფურს დავეძებდი,
ჭინკების სულშიც ჩავიხედე
იქაც ჩავსახლდი,
ხევ-ხევ დავიწყე ხეტიალი
მაცდურობის ხილიც ვიგემე,
ზამთრის ყინვაში ჩამობუზულ
ბეღურასაც შემოვუძახე
ძალა მივეცი მერცხლის მოსვლამდე.
გადავუარე მწიფე ყანებს, მწყრებს დავენიე
ფრთებში შევუდექ თბილ ქვეყნებში გადავიყვანე,
უკან მოვპრუნდი ჭრიჭინების გუნდში გავნივთდი
ხმები შევუწყვე და, თიბათვის ოდა დავძახე,
მზეს გავურიგდი, გავუმზევდი, სულში ჩავექენ
და მისი მადლის დიდი კალთა გადმოვიფარე.
კიდევ ვინ იცის, სად არა ვარ ნასისხლხორცალი
რამდენი მტკივა,
რამდენი მცივა,
რამდენს ვაბოდებ.
რამდენი ელდა,
რამდენი სევდა ან სხვის ნაღველი
შემომწოლია,
გულს გამკანვრია თუ გამყოლია,
ესენი ყველა,
ჩემი სულის ნაწილებია.

* * *

გაზაფხულმა დამიარა
ძვალრბილში,
ძარღვებს აჰყვა
სისხლმა აფრა გაშალა,
სიამის და სურვილების
თარეშმა
ღვარცოფივით ჯებირები
აშალა,
ანწლის სუნმა არემარე
გათანგა,
კალიებმა გააჩალეს
ფერხული,
შხაპუნების ჩარბუზანა
განახლდა,
ნიაღვრებმა აიწყვიტეს
საბელი.

სულის ფრენა ან მუსიკა ქარში

კლდეს ავეხეტე, კლდის კბოდეს დავდექ,
იქ ჩავუსაფრდი მანანწალა ქარს,
ქარის რა გითხრათ, ნიავს გავენთე,
გადავეკარი მის განიერ მხარს,
მასთან დავეშვი გადმოვექანე
და თვალუწვდენელ ველებს მოვედე,
ნიავს კალთები ამოვუკეცე
გავყევი სივრცეს, მესმა მუსიკა,
მუსიკის ხმაზე თმები აცეკვდნენ,
ნიავი ჩადგა, სულ დამავიწყდა,
მუსიკის ჰანგზე გადავინაცვლე
ახლა მას მივყე, მის ხმას გავეკარ,
მასთან დავეცი ქართლის ველ- მინდვრებს,
მის ველურ ხმებზე ველები სდუმან
მე კი ავუწყე ფეხი და სული
და გავყვე ნავარდს გადაჩვეული,
ეს გარინდება ქროლა ველური
ერთად მოედო მთელს ჩემს არსებას,
თან ამიტაცა იმერ ამიერ
ფრენამ და სრბოლამ
თუ საამო ჰანგების ჟღერამ,
ქარმა მომტაცა თმის ხვეულები
და კვლავ აცეკვდნენ ისინიც ჰანგზე,

ჰარმონია ფეხშიშველ სრბოლის
თეთრ მანდილივით უსხეულო სხეულს მოედო,
ეს იყო ფრენა, ეული სულის და
აღმაფრენა ჯადოსნური,
ნიავისა და მუსიკის ჰანგს შენივთებული.

* * *

თანამედროვე ხელოვნებაში არსებობს ტენდენცია, რომ ათასნაორი მაქინაციებით და რაც შეიძლება ადვილად შექმნან ვითომ რაღაც შემოქმედება, ამისათვის აკეთებენ პერფორმანსებს, დებავენ ცოცხით უზარმაზარ ტილოებს, რაც უფრო საშინელი იქნება, მით უკეთესი და რატომდაც „თანამედროვე ხელოვნებას“ არქმევენ. გასაკვირია რომ ასეთი „ორსაათიანი შედევრებით გაჯერებულია „სოტბისა და „კრისტის“ აუქციონები, ზოგიერთი ას მილიონზე მეტად იყიდება.

გურამ დოლენჯაშვილი

ძველმოდური ვარ
ძველს მივტირი
ძველი მაღელვებს,
ფასეულობაც ძველი
ფასობს ფასეულისა
სულიერება, რომანტიკა,
მსუბუქი დრამა თუ,
მელოდრამა,
დღევანდელ დღეს ყავლგასულია
და დრომოჭმული,
უაზრობაში აზრის ძებნა
ნორმად რომ იქცა
უსახურობა, ძიებები არ არსებულის,

ესთეტიკისგან განძარცვული
გამოფიტული,
მათში რაღაცის ძიება და
ვითომ მიგნება,
მილიონებად ღირებული ნამუშევრები,
სადაც ტილოზე ორი-სამი ხაზია მხოლოდ
ან სულაც ლაქა თუ წერტილები.
ასეთები კი იმდენგვარად შეიძლება
იკითხებოდეს
რამდენიც უმზერს და,
თითოეული მისებურად ხსნის
ხსნის და მკითხაობს
უემოციოდ აზრს და იდეას,
და ეს არ ხდება
მხოლოდ ხელოვნებაში
ყველა სფეროში უსახური
აკრა-ბაკრა გამეფებულა
წარმოიდგინეთ თვით ყოფაშიც კი.

გალაკტიონი

გალაკტიონი,
გალაქტიკაა უზარმაზარი,
დიდი და ვრცელი,
მრავლისმომცველი.
კიდობანია, პირთამდე სავსე,
ემოციებით, შეგრძებებით,
მშვენიერებით,
ტკიფილისა და სიხარულის
ლამაზად აღქმით,
სევდის რიალით.
აფეთქებაა სურვილების
და წადილების,
დამცხრალ – დაუმცხრალ
ვნებათლელვების,
ჩუმი თუხთუხი და ქარიშხალი,
სულის წიაღში ამოვარდნილი,
არდატეული, აწყვეტილი,
და ბობოქარი როგორც ზღვის ტალღა,
დიდი შტორმისას,
ზოგჯერ კი მშვიდი, მონანავე,
და შორეული.

გალაკტიონო, მშვენიერების მეფევ და მუზავ

შენ სულში ბობოქარი ზღვა იყო,
შენ სულში მუსიკის ღვთაებრივი ხმა იდო,
შენ სულში სილამაზის უძირო ტბა იყო, და
შენ სულში, სიყვარულის აზიდული მთა იყო.
დიდო ბატონო, პოეზიის და მშვენიერების
მეფევ და მუზავ,
თვითონ მუსიკავ, შორეთიდან ქარმოტანილო,
და სილამაზევ სიყვარულით გამოძერნილო,
პოეზია ხარ პოეტური სურნელებით
თავბრუდამხვევი,
და, თქვენ, შენობით საუბარი ვით გეკადრებათ,
მაგრამ იმდენად ახლობელი შორეული ხართ,
თქვენობით მომართვისას რაღაცა მაკლდება.

ვენეცია

ო, ვენეცია,
როგორ მტკივა
შენი ტკივილი,
მოურჩენელი,
ულმობელი,
დამაქცეველი,
მაგ სილამაზეს
ბრწყინვალებას
როცა ვუცქერი,
მომნუსხველია
სიდიადით
გოჯი ყოველი,
მშვენიერების
გრძნობა და განცდა,
აღფრთოვანება,
თითქოს სველია
ყველა შეგრძნება,
ყოველი განცდა
ცრემლივით სველი.
შენი სიტურფით
აღტაცებას
ტკივილიც ახლავს
და მძიმე განცდაც
სევდის მომგვრელი.

* * *

მყუდრო ქუჩებში საღამო ხანს,
სეირნობისას,
ვერ მოვიშალე სხვის ფანჯრებში
თვალთხეტიალი,
ცუდი ტონია სხვას ვერ ვურჩევ
თვითონ კი ხშირად,
კვლავ გამპარვია ცალი თვალი
თუმცა დავბერდი,
ფანჯრების მიღმა სხვის ცხოვრებას
ქურდულად ვუმზერ,
თითქოს წამია სხვის ცხოვრების
დაუწერელი,
ეს ცხოვრებაც ხომ თეატრსა ჰგავს
ზოგჯერ ბალაგანს,
ჰოდა ეს აქტიც ერთ ერთია, თან დაუდგმელი.
ზოგან ჭირია, ზოგან ლხინი, სასოწარკვეთაც,
ერთ გაელვებით, ერთი კადრით
ხედავ და ხვდები,
ზოგჯერ ინტიმი, მყუდროება,
ხან კი მუსიკა,
ნელი, საამო, მშვიდია და მელოდიური,
ვიღაც ვიღაცის განწყობებზე
მინიშნებული,
მთელი ცხოვრების სულ ერთი წუთი
ერთჯერადად გაელვებული.

* * *

ბედს გავექეც თუ
ბედი გამექცა,
მე გავექეცი თუ
ის გამექცა,
ან რა აზრი აქვს
რომელი რომელს აუჯანყდა
ან რად გაექცა,
სიმარტოვეში არ მინდოდა
თავი გამეცა,
მაგრამ ცხოვრების განაჩენი
ტკივილად მექცა,
ან ტყუილ-მართალს როდის არჩევს
ბედი მსახვრალი,
ვისთვის მსახვრალი ვისთვის ძლვენი
ღვთის ნაბოძარი,
ბედი ბედია, ან გაქვს ან არ გაქვს
ის არ მოდის დამსახურებით,
არც მსახურებით, მონდომებით
იგი არ მოდის
ან გაქვს ან არ გაქვს
ეს ცხოვრების განაჩენია,
უნდა ვეგუო, აბა სხვა გზა
რა დამრჩენია.

* * *

სოსნები კაბად მოვირგე,
ავისოსნისფრე გუნება,
ფეხთ გვირილები გავიკარ
გავიფაჩუჩე გვირილა,
მზის დიადემა დავიდვი
სული სიამით ავივსე,
ოცნება ავიცისარტყლე,
ფიქრები ავისიმლერე,
სურვილს ხუნდები ავახსენ,
ჟინის ქარცეცხლი დავანთე,
სურვილთა ქარაშოტები
ქარში ნართებად დავართე.

* * *

ფიქრის ბილიკები კვლავ თუ
აგრევია,
ღამეს თუ მსაჯულად უხმობ,
დღე კი დღის ფიქრებიც უხვად
დაგრევია
ღამის სარჩევია თითქოს.

მზესუმზირები

მზეს გაჰყურებენ მზესუმზირები,
მისი სიყვითლით ფერმოსილები,
ყვითელ გვირგვინში მზე ჩაღვრილები,
მზიდან ელჩებად მოვლენილები,
მზეს უმზერიან თუ
მზე უმზერს ვერ გამიგია,
ან მოწინებით თავს რად უხრის
რად წვავს ალები,
რაა მისია მოვლინებისა
თუ მისკენ რჩებათ ისევ თვალები

ლეგენდა მომღერალ ჩიტზე

კოლინ მაკეალოუს რომანის მიხედვით.

კვრინჩხის ხეს რომ ეტანება
ნეტავ ის რა ჩიტია?
სიმღერას რომ სისხლს აწურავს
რანაირი ჩიტია,
რა ძალა აქვს ამ პანაწას,
ეს როგორი ჩიტია,
გულს ეკალი რომ ესობა
მაინც გალობს ნიბლია,
მეტი განცდით, მეტი ძალით,
— საოცარი ჩიტია.
ეკალს თვითონ რომ ესობა
სისხლი წვეთად ედინება,
წამების და განცდის ძალა
სიმღერაში ენივთება,
ამტანობა და გაძლება
მისთვის მღერის ეშეშია,
და რაც უფრო მეტად ისობს
ეკალს გულში სისხლიანს,
უფრო თავგანწირვით მღერის
პანაწინა ნიბლია.

* * *

ფარნავაზ დიდო, მწიგნობარო, ერის სათავევ,
შენ გაუკვალე უკვდავების შენ ერს სათავე,
შენ შეჰქმენ ენა სახელმწიფოდ, აზრის სათავედ,
და მწიგნობრობას შენ დაუდე დიდი სათავე,

შენ შემდგომ ფარსმან ააყვავა სამეფო ქართლის,
შემოუერთა ქართველური სხვა მოდგმის ხალხი,
შენ გზით იარა, შენი იყო სული და გენი,
გააძლიერა ქვეყანა და ჩამოქანა ერი.

მოღწეულია მარმარილოს ფილა ჩვენამდის,
სად ფრაგმენტია ლათინურად ძველი წარწერის,
ძველ რომს ეწვია ცოლშვილითურთ, დიდი ამალით
სტუმრად, ვით სწორთან, იმპერატორ პაუსა, ფარსმანი.

იმ წლის ამბავი მნიშვნელობით უპირველესი,
ნუსხაში პირველ ადგილზეა მოხსენებული
ამის დასტურად, იმპერატორ ანტონიუსმა
მარსის მოედანს აღავლინა ძეგლი ფარსმანის,

დონ კასიუსის გადმოცემით არს ფარსმან ქველი,
ძველ რომს ქანდაკად მოვლენილი დიდი ქართველი,
ერის დიდების ფესვები და მქრალი აჩრდილი,
უპირველესად თავის ქვეყნის ხატი ნამდვილი.

და მის შემდგომად მომავალნი დიდნი მეფენი,
ერის და ქვეყნის მკვერელნი და მადიდებელნი,
იმ დიდ ფესვებზე ამოსულნი დიდების ძეგლნი,
ერის და ქვეყნის შემკვრელნი და სულის შთამბერნი.

ფიქრში და ომში გაცვეთილნი, გახარჯულები,
დიდჭირნახულნი, ზნეკეთილნი, ომებში ბრძენნი,
ჯიშის და გენის გადამრჩენნი, სიკეთით ქველნი,
ქვეყნის მსახურნი, გონიერნი და მჭევრმეტყველნი.

ძველი დიდების სხივმოსილი შარავანდედნი:
ვახტანგ, დავითი, თამარ მეფე და სხვანნიც ბევრნი,
დღეს რომ გვაკლია ერთგულებით, ჭკუით და სიბრძნით,
ყველაზე მეტად ხალხზე ფიქრით და თავგანწირვით.

* * *

ჩამაპირქვავეთ,
ძალიან გთხოვთ,
ჩამაპირქვავეთ,
ყვავილების უკიდეგანო
ტრიალ მინდორზე,
ღილილოების მღელვარე ზღვაში,
ცეცხლწაკიდებულ ყაყაჩოებში
გამთანგეთ და ამაელვარეთ,
ან გვირილებით გადაპენტილ
სივრცით შემმოსეთ, ვით
საქორწილო, თეთრი კაბა,
თეთრი მარმაში,
ფატა დამადგით დიადემად
შროშანებისა
ვით ზეციური წრიული თაღი,
ნაწვიმარ მიწით, მინდვრის სუნით
გაუდენთილია და დაბანგული
ჩემი სული და თვით ჩემი არსი,
მშვენიერებას სურნელიც ახლავს,
თავბრუ მახვიეთ ამ სურნელებით,
ყოფიერებას მომწყვიტეთ წამით,
ჩამაპირქვავეთ, მშვენიერების
უსასრულეთში, ჩამაპირქვავეთ,
სულ ერთი წუთით ან, ერთი წამით!

გზები

გზები მიდიან,
გზები მოდიან,
შენგან და ჩემგან,
შენთან და ჩემთან,
მიდი – მოდიან,
მიდი – მოდიან,
ცისკენ და ზღვისკენ,
ჯოჯოხეთისკენ,
თუ სამოთხისკენ
სიკეთისა თუ
ბოროტებისკენ,
ხალხი ამ გზებით
მიდი – მოდიან.
ცვეთდნენ და ცვეთენ
ფეხისგულებს, ფლოქვებს
და ბორბლებს,
დრო და უამს ცვეთენ,
თაობებს ცვეთენ,
გაზაფხულებს და შემოდგომებს
ზაფხულს და ზამთარს,
ფარდაგებივით ცვეთდნენ
და ცვეთენ.

თუმც ბევრს ხვდებიან,
ეთხოვებიან,
ხალხი ამ გზებით
მიღი – მოდიან
ხან ერთდებიან
ხან იყოფიან,
გზები მიღიან,
გზები კი ისევ
გზებად რჩებიან.

რომეო და ჯულიეტა

ეზოში, სადაც ცხოვრობდა ჯულიეტა, აღმართულია ბრინჯაოს ქანდაკება რომელსაც დაბურულ ფონზე, ცალი ხელი და ძუძუ მზისფრად უელავს, რადგან ტრადიციისამებრ, ყველა მნახველი ეამბორება სხეულის ამ ნაწილებს და ხელითაც ეხება.

იტალიაში, ქალაქ ვერონას,
მრავალი ძეგლი ამკობს, ამშვენებს,
მე გამოვყოფდი ერთ – ერთ მათგანს,
რომელიც გრძნობას ცამდე აღმერთებს.

ეს ძეგლი არის მარადიულ სიყვარულისა,
ჩამქრალ ვულკანად შემონახული,
და გაფრთხილება კაცთა მოდგმისა,
სისასტიკის და სიყვარულის გამოძახილი.

სახლის ეზოში, სადაც ოდესლაც,
ტრფობის თონეში გიზგიზებდა
ბავშვური გრძნობა, აღმართულია
ბრინჯაოსგან ნაძერწი ძეგლი,
ვით გაფრთხილება!
რომ, სიყვარული ყველასთან მოვა,
რომ განსაცდელიც გექნებათ ბევრი,
და რომ სიყვარულს ვერ ერევა ვერა ინტრიგა,
და ვერცა შუღლი, თვით სიკვდილიც კი.

ჯულიეტას ხელს ცალი ძუძუ და ცალი ხელი,
მზისფრად უელავს, უპრიალებს, თითქოს ანთია,
ყველა მიმსვლელი, ხელსა და მკერდს ეხება ხელით,
ბევრი მათგანი კოცნის თითქოს წმინდა ხატია,
რომ ეზიარონ დიდ სიყვარულს, ჭეშმარიტ გრძნობას,
ყველა მათგანს ხომ ეს უნდა, ესა სწადია.

ძველი თბილისის სურათები

გოგო-ბიჭებო,
ჩემო კბილანო,
ხანდაზმულებო,
გაუხუნარნო,
ძველი თბილისის
ძველ ნატამალნო,
თქვენი ქალაქის
სურათს გთავაზობთ:

.....

თბილისის პარკებს
ყოველ კვირა დღეს
ცეკვის ჰანგები
ახმიანებდა,
აწ უკვე ბებრებს,
მაშინ ჯეელებს,
აცეკვებდა და
აბზრიალებდა,
ტანგო, ვალსბოსტონი,
ლიფსი და ჩარლსტონი,
ხის კენწეროებზე
ცა კონწიალობდა,
დილას კი სისხამზე
თბილისის ქუჩებში,
თბილისის ქურთები

პრიალა კაბებით
სულ ჭრელა-ჭრულებით,
დიდტარა ცოცხებით
და ბზრიალ-ბზრიალით
წინა დღეს ხვეტავენ
თითქოს და ცეკვავენ,
შემდეგ სარწყავებით
დილას პირსა ბანდნენ.
ამ დროს ხრინწიანი,
ხის თამასიანი,
შუშაბანდიანი,
კონკების მემკვიდრე
წითელი ტრამვაი,
ქუჩებში დაჰქროდა
ხან დარახრახობდა,
ჟანგიან, ზარის ხმით
გამვლელებს აფრთხობდა,
ავტომანქანების გაბმული
პიპინი,
სისხამს ფხრენს კივილით
დილას შობს სიგრილით, და
ყოველი დღის შემობრძანებას
თბილისელები ვხვდებით
ლიმილით.

მზე და დრო

მზე, შემოდგომისა სუსტი და უღონო,
ძალა გამოცლილი, ვნება დაშრეტილი,
დრო, შენელებულ ასწრაფებული,
ხან ხანდაზმული
ხან კი ისარს გაკიდებული,
მზე, სწრაფი და მწველი,
ხან უფერული, ხანაც ელვარე,
მშანთავ მდაგავი, ხან უილაჯო,
თავს რომ ვერ ითბობს
აბა სხვას კი როგორ გაათბობს.
მე კი მიყვარს მზე
მოელვარე, თუნდაც დამშანთოს,
ცხოვრებისეულ სურვილებით
ამანთოს და დამწვას დამდაგოს.

* * *

ჩემი ცხოვრების მატიანის
თეთრი ფურცლები,
დიდი ქარების გადავლისას,
ვით ფაფარაშლილ ველურ ცხენთა
მოვარდნილ რემამ
გადაუარა, გადათელა, ქარში გაფანტა,
უსაბამო და უსასრულო სივრცეებში
გაქრა, განქარდა,
ერთი ცხოვრება გარდასული, მივიწყებული,
თითქოს იყო და, იყო მაგრამ,
არა იყო რა.

* * *

სუნამოს სურნელი
ოდესლაც ნაპკური
ძველ მოგონებებს მიშლის,
მარტო მოვლენებს
კი არ მახსენებს,
იმ ძველ განწყობებს
მიქმნის.

* * *

შემოდგომის ქარი ქრის,
ქარს მიჰყვება დარღი ხის,
ხეს ის ადარდიანებს
ფოთოლცვენის იარებს
ტანში რად აურიალებს,
ეშინიათ? სიცივის
სიცივის თუ სიშიშვლის?
იქნებ სულაც სირცხვილის...
ქარი ღმუის, ქარი ქრის,
ქარს მიჰყვება დარღი ხის.

* * *

იებს დაემგზავრე ალბათ,
თუ ქარებს გადმოჰყევ მარტში,
შროშანებს წაართვი ეშხი
გრიგალს აუჯანყდი გზაში,
– აბა უგრიგალო ცხოვრება
რომელ ქალს სჭირდება ან რაში.

ჩემი ცხოვრების შემოდგომა

ჩემი შემოდგომის გაზაფხულიდან
დაზამთრებამდე
სულ ერთი ამოსუნთქვაა.
მთელი ცხოვრება თუ წუთია სოფლის,
შემოდგომა ხომ მართლაც სუნთქვაა,
მძაფრი ვნებების ცხრომის შემდგომი
და განწმენდილი.
ბახუსთან ზავის,
ყველაფრის ფასის,
სიგრძის და განის,
მშვენიერების შეგრძნების უამი,
სულ სხვა საზომი და სასწორი
ამ საწუთროს
ცოდვის და მადლის,
ზოგჯერ რაიმის უკმარისობა
ჩვენს წუთისოფელს
უფრო ლამაზს ხდის,
უკმარისობა ოცნებების მაქმანებს
ბლანდავს,
სულში ირთვება მონატრების
აბლაბუდები,
და ამიტომაც სითბო მინდა
სიბერის უამს ცოტაოდენი,
დაზამთრებამდე ხომ ამოსუნთქვაა დარჩენილი.

* * *

ნებისყოფა იჭედება გრძემლზე,
სული იწრთობა ცეცხლზე,
ვნებათა სიმძაფრე წლებზე.
გუნება განწყობას
ამინდი განსაზღვრავს,
სულის ამინდი,
ცხოვრების ამინდი,
ქონების ამინდი,
ყოფიერების.
სურვილები კი,
სურვილები უწყალოდ
გვმართავს,
ცხოვრებასაც კი გეგმავს და
საზღვრავს:
ფრენისაა თუ ღოღვის,
ღრენისაა თუ ღოცვის,
ზეცაში ციალის,
მიწაზე ყიალის,
აზრების ფრიალი,
ცოდვების ტრიალი,
უძიროდ, უგანოდ
სურვილთა ღრიალი,
ფულებით, ფულებით,
ფულებით, ტიალით.

* * *

შენში ქალი ასაკშიაც
ყვავილობს,
შენში ქალი დეკემბერშიც
აპრილობს,
შენი ქალი ზამბახების ფერია
შენი სევდა ალბათ
იისფერია,
და ცხოვრების შემოდგომის სურნელი
შენში ალბათ, მზეში წვიმის ფერია.

* * *

ცას გაქცეულან ძველი გრანდები
ქარს გაჰყოლიან ფოლიანტები,
მტვრის სქელ ფენებში დანაკარგები
ძველი დიდების მქრალი ლანდები.

* * *

ეს იმ გახსენებას გაუმარჯოს
სულს რომ შეანჯღლრევს,
შეაჭანჭყარებს,
იმ შემოხედვას გაუმარჯოს,
სახეზე ცეცხლის ალს რომ
დაანთებს,
წამით გაგთიშავს, დაგავიწყებს,
აზრს რომ წაგართმევს,
ნეტარების ჭიანჭველებს რომ
შემოგისევს, ააფუთფუთებს,
სისხლს რომ აამღვრევს,
გახსენებების ნელთბილ ტალღას
გულს გადაავლებს
სულს მოგიწურავს,
და იმ წამის განცდას
ვერას დაარქემევ.

* * *

2018 წელს, თებერვალში მიქელანჯელოს გრაფიკა ჩამოიტანეს
და ცისფერ გალერეაში გამოფინეს.

ბოლო დროს ხომ მართლაც
გვანებივრებენ,
ჯერ ბოტიჩელიო, კარავაჯოო,
ახლა თვით მიქელანჯელოს
ესკიზებიც შემოგვთავაზეს.
— დიდებულია!
პური არსობისამ და,
მართლაც ხომ პურია არსობის
მავანთა და მავანთათვის,
და არა მარტო მაძღართათვის.
თუ მაღალი ხელოვნება
პურია სულის საკვებად,
გასაგებია,
აი ვისთვისაც პური საკვებია
გადასარჩენად,
მათი აღფრთოვანება
საკვებია სულის და არსობის.

ბათუმი

სილურჯეთიდან მოვარდნილი
თეთრ, ცისფერ, ლია ვარდისფერი,
ჰორტენზიები,
ცისფერ მტევანა, კედლის ხვიარა
გლიცინიები,
მუქ ვარდისფერი ოლეანდრები,
მაგნოლიები, მაგნოლიები,
ჯარისკაცებად ჩაწყობილები
თეთრ ფანტელებით გაწყობილები,
ბათუმს სიმღერად აწყობილები.
და თოლიები, ზღვის დარაჯები,
ზღვის ბინადარნი, ზღვის ალქაჯები,
ბათუმის მკვიდრნი, ბათუმის ხიბლნი,
ბათუმის ეშნის მეხოტბე დიდნი.
ზღვის აფოფრილი ტალღა ხმიერი,
ზღვის სურნელება ძალზედ ძლიერი,
ზღვის მონატრება და ზღვის სურვილი
წყალზე ძლიერი როგორც წყურვილი.
და შხაპუნები მზე პირნაბანნი,
კოკისპირულნი, საცრით ნაცარნი,
მზის აგონიის ჩამწყნარებელნი,
მწვანე ფაუნის გამხარებელნი,
ჰორტენზიები, გლიცინიები, ოლიანდრები,
მაგნოლიები, მაგნოლიები...

მომეცით ფული

მომეცით ფული!
ფული მინდა
ძალიან ბევრი,
ჰო, ფული მინდა
დიახ მინდა,
და თანაც ბევრი.
მინდა ხალისი
სიამოვნება,
ბედნიერება,
— არა ვარ ლირსი?
მერე და
რა შუაშია ფული?
მერე ის რომ
არა მაქვს ნიჭი
უფულოდ რომ მოვიპოვო
ლირსეულად ყველა სიამე,
მაშ რაღა დამრჩა
— ოცნება?...
ჰო, ოცნება ხომ
ფული არა ლირს,
მარა ოცნება აღარ მინდა,
ყველამდე ვარ ოცნებებით
მე ფული მინდა,
ყველაფერი ფულიდან მოდის.
ასე არ არის?
— მაშ როგორ არის,
— აა, ოცნებაც ნიჭია?

ბედნიერება ფული არა ღირს?
– თუ ხელის ჭუჭყია?
ეგ ზღაპრები
კარგა ხანია რაც დამვიწყია,
ჭუჭყი-ჭუჭყია,
ფული-ფულია,
ყოვლის თუ არა
ბევრის შემძლები,
და თუ ჭუჭყია
– მომეცით ჭუჭყი,
ეგ ჭუჭყი მინდა
ავისრულო ყველა ოცნება.
მომეცით შანსი,
შანსი მაინც მომაშავეთ,
მომეცით შანსი,
მოკვდავი ვარ
არ ვარ წმინდანი,
ერთი ქალი ვარ
შრომითა და თვლით
გადაღლილი გადაქანცული,
იმედ-მოლოდინ
შემოფლეთილ – შემოძარცვული,
ჰოდა რად გიკვირთ
ფული რომ მინდა
ბევრი თუ არა, სამყოფი ან
სულ ცოტა მაინც.

* * *

ყველას აქვს ოცნება
ცხოვრების აწყობის,
შეფერადების, ლამაზი
განცდების,
სიყმაწვილიდან დაქალებამდე
და მას შემდგომაც არ ხუნდება
ეს სურვილები,
მოლოდინები, ძალის ხმევები.
მაგრამ ბედმა ან ღმერთმა
გზა თუ აგიარა,
ვერც ერთ ოცნებას ვერ გაზიარა
და, ყველაფერი ოცნებად დარჩა,
მერე და მერე ოცნებაც გაქრა,
წლებმა წალეკა მოლოდინები
იმედიც გაცვდა,
მადლობა უფალს თუ დაგიტოვა
სხვის ოცნებების ახდენით თბობა,
და ამ ყველაფრის შენზე მორგება.

უკიდეგანო

უკიდეგანო ზღვა,
უკიდეგანო გზა,
უკიდეგანო სიყვარული,
უკიდეგანო სიძულვილი,
დარღი, გატაცება,
ოცნება, სევდა,
მათ გამკლავებას, მონელებას,
უკიდეგანოდ დიდი უნდა
ძალა და ნება,
შეუპოვრობა,
ნებისყოფა და,
ძალისხმევა,
რაც მთავარია გული უნდა
უკიდეგანოდ დიდი და თბილი.
ზღვა რომ გადასერო,
გზა გადაიარო,
სიყვარულითაც გაითანგო,
სიძულვილი აილაგმო,
რამდენიც გინდა იოცნებე,
ოცნებით ხომ კაცი არ კვდება.
გატაცებები დაალვინე,
დარღი და სევდა გამოზოგე,
პატარ-პატარა ულუფები
კიდეც უხდება შფოთიან ყოფას
ზოგჯერ კიდეც ამშვენიერებს,

სევდიანი თვალების მიღმა
ხშირად იმაღება რაღაც
ჩაძირული,
ვერ მონელებული,
ღირებული, და
ბოლომდე არ დავიწყებული,
ან დასავიწყებლად
არ გამეტებული.

ბავშვობა

ხეზე ჩიტი თუ დამალობანა,
ვისი სული გსურს თუ ხიდობანა,
მოშლილი ტელეფონია თუ
სახლობანაა,
ნაირ ნაირებია, ჭიქა საინებია,
ეს ჩემი ბავშვობის თამაშნაირებია,
გამოვლილი ცხოვრების
თვალმარგალიტებია,
ახდენილ აუხდენელ
ცხოვრების ზღაპრებია,
ალიონია,
სიყმაწვილის ფერებია,
ნაფერებია,
ჩამლერებული ნამლერებია,
მოლოდინებია,
ეს ბავშვობაა,
რომელსაც ვნატრობთ
და ვერ ვიბრუნებთ.
ისე როგორც
ბავშვი დიდობას,
დიდის უფლებებს,
რომელიც დიდებს
უამრავი გვაქვს
და თან არა გვაქვს.

ლამე ყინცურა ხევში

ყინცურა მოანგრევს ხმაურით მიდამოს,
ჭინკები ნავარდობენ ხევში,
ციცინათელები არღვევენ უკუნეთს,
ჭინკებს უძვრებიან თმებში.
უსურვაზების ჰამაკში ნებივრობს
მაისის ლამე და მთვარე,
მიკიოტს შეუძრავს კივილით მიდამო
სიზმრებში ეყვინთა ლამეს.
სიპ კლდეებს გაურბის ყინცურა სრიალით
ჩახრიალებზე ეშვება ზათქით,
სად გარბის ასეთი თავგამოდებული
თავის დაღწევას რად ცდილობს ლამით.

* * *

გრიმებისა და ანდერსენის თბილმა ზღაპრებმა
ზღაპრულ ქვეყნებში მახეტიალა,
მშვენიერების გზა გამიკვლია
ოცნებები კი დამიფრთიანა,
და ბავშვობიდან სიჭარმაგემდე
სულ ყვავილების ეტლით მატარა.

* * *

ღაწვს და ბიბილოს
ეფინება
ფერი ძახველის,
ისევ ვწითლდები
ამ ასაკშიც
ბევრის მნახველი.

* * *

ცხოვრება ამძიმებს მხრებს თუ,
წლები აწვება ტვირთად,
რა აძაბუნებს მუხლს
ან რა ღლის კაცის გულს,
გაცვეთილ ხალისს,
მოქანცულ სულს,

.....
ტკივილი ამძიმებს,
ლოდინი ღლის,
ცხოვრება ცვეთს,
განცდები ტეხს,
დრო კი დღეებს
ითვლის,
და გვიცვლის ფერს.

ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი

მზე ჩაუგორდაო
თითქოს კალთაში
მწვანით შემოსილ მთებს,
ცისკენ მიმავალ მუქ სიმწვანეში
თეთრი გუმბათი თვლემს,
ყინწვისის ტაძრის წმინდა ნიკოლოზს
დიდი ნათელი სდევს,
მის გარეშემო კედელ-კუთხეებს
ჩუმი ამბორი ცვეთს.
საკურთხეველთან დადგმულ შანდლებში
წმინდა სანთელი ღვენთს,
ძველი ფრესკები დიდი თამარის
კვლავ ინარჩუნებს ფერს,
თავისი ქვეყნის წაბორძიკებას
ისევ ავედრებს ღმერთს.

* * *

განაცრისფრებულ სევდიან სულში
ბაირალების აფრიალება,
თავდავიწყების აღლუმები და
სიხარულების აღრიალება.

* * *

სხეული ჭურჭელია სულის,
სული, საწვავია კაცის,
კაცს სული თუ აქვს იწვის,
რომ დაელევა იცის,
მაგრამ ის მაინც იღვნის,
სული კი, იწვის, იწვის.

მეორედ მოვალ

მეორედ მოვალ,
პირველ ქუხილზე,
გიუმაჟ წვიმებში,
ყანის ლივლივში,
ქართა თარეშში,
ლვართქაფებში,
მეორედ მოვალ.
ისევ მოვალ და
მინდორ ველად
ავგვირილდები,
ავზამბახდები,
ყაყაჩოსფრად
ავღაულაუდები,
ან ვულკანივით
ამოვიფრქვევი,
ახალ ცხოვრებას
მწყურვალივით
დავეწაფები,
სიხარულის და
ალმაფრენის
დასაოკებლად
აწყვეტილ ქარებს
გამოვუდგები.
ან ჩუმად მოვალ

იასავით გავირინდები,
თოვლის საფრიდან თავს
გამოვყოფ
გავგულადდები,
გავხალისდები,
გავთამამდები,
ახალ ვნებებთან შესაჭიდად
შევემზადები.

თბილისელობა

ყველას თავისი თბილისი ახსოვს
ყველას თავისი თბილისი უყვარს,
ყველას ბავშვობაც თბილისურია
თუ „ბავშვობიდან მოვდივართ ყველა“,
ყველას ოცნების სათავეები
იქ იბადება, იქ გვეგულება,
სიყმაწვილიდან – სიჭარმაგემდე
თბილისის ეშნი გვეთანახლება.
თბილისურ ხედვას, თბილისურ სუნთქვას,
გალალებას თუ გვემას ან თმენას,
თბილის-ქალაქში თბილისურად
აღმაფრენას, თუ დაღმაფრენას,
თუნდაც გაფრენას
– თბილისელობა ჰქვია.

წელიწადის დროები

გაზაფხული წვიმის სუნის ფერია,
გაზაფხული მინდვრის სუნის ფერია,
ლაჟვარდისფერ ოცნების,
თეთრად გაშლილ აკაციის
სურნელების ფერია.
შემდეგ მოჰყვება ზაფხულის ხვატი,
ივნისი მზის ფერი,
ივლისი წვისფერი,
აგვისტო მწიფე თავთუხისფერი,
და ოქროსფერი შემოდგომის
მაძღარი და მსუყე ფერები,
წვიმისფერები, სველი.
სექტემბერი ჩალის ფერი,
ოქტომბერი ღვინის ფერი,
ნოემბერი გუზგუზელა ბუხრის ფერი.
შემდეგ ზამთარი ავი და მკაცრი
თოვლის საბურვლით, ყინულის სარკით
სიცივისა და სიშიშვლისფერი,
აელვარებულ ნაკვერჩლისფერი.

მერცხლები ხომ ბრუნდებიან თავის ბუდეში

მიტოვებული ზამთრის სოფელი,
თეთრი სუდარით დამშვენებული,
თოვლის კუბოში ჩასვენებული,
მკვდრულ სიჩუმეში გარინდებული,
საკვამურები უკვამლობით
გაუქმებული,
ეზო ყურე კი უძალლობით
დაღუმებული,
არც გადაძახილ – გადმოძახილი,
არც სატირალი და არც ქორწილი,
დავიწყებული მამლის ყივილი.
ბევრის მნახველი ოდა სახლები
აქა იქ უკვე ნასახლარები,
ჭირის და ლხინის გადამტანები
მოლოდინებით განაწამები,
ზამთრობით ბოქლომ – ჩარაზულები
ეჭვით ელიან განაბულები,
ნეტავ თუ მოვლენ უმადურები
ჩვენ უბეებში გამოზრდილები.

– მერცხლები ხომ ყოველთვის ბრუნდებიან.

ძველი თბილისი

ჩემი თბილისი,
ძველი თბილისი,
თავისი ეშნით
თავის თილისმით,
მართლა ჩემი და
თანაც ძველი,
ძალიან ძველი
მამაპაპური,
რადგანაც პაპის
დედა და მამაც
კუკიაზეა დავანებული.
პატარა იყო ჩემი
ქალაქი
ძალზედ პატარა, და
ძალზედ თბილი,
სულ ერთი მუჭა
ერთი სუნთქვა
ერთი ღიმილი,
და ერთი ლოცვა,
ეროვნებაც კი ერთი
ჰქონდა
– თბილისელობა!
სადაც არ უნდა მოხვედრილიყო
აქაური, რა ქვეყანაშიც,
თბილისელიო, პასუხობდა
წარმომავლობას.

* * *

ქართულმა ზღაპრებმა
ბავშვობა დამიპურა
და სიყმაწვილის ოცნებები
მომიფარდაგა,
სიკეთისა და ბოროტების სამანების
ცნობა მასწავლა,
შორს მიმავალი ბილიკები
მომიგვირილა,
ხის კენწეროზე შემომსხდარი ჩიტუნების
ენა მასწავლა,
და, მოტეხილი ფშატის ტოტი
გამიტკივილა,
პატარა ცუგას ნაღვლიან და
წყლიან თვალებში,
სევდის მიზეზთა ამოკითხვა
გამიადვილა.

* * *

ჩემი ქალაქის
მყუდრო ქუჩებში
დავხეტიალობ და
თბილისს ვეძებ,
დავეძებ მაგრამ
ვერ მიპოვია,
ზოგჯერ მგონია
სული დავკარგე
თბილისის სული,
მხოლოდ მისი და
მისებური,
ნათესაური, მოკეთური,
ძველქალაქური.
ნიადაგ ვეძებ
ლია ფანჯრებში,
ხეივნებში,
ბებერ ჭადრებში,
ეზოებსა და შუშაბანდებში,
და ვერ ვპოულობ,
რაღაცა უცხო შეჰპარვია
შეცვლილია, ფერნაცვალია,
სულგამოცლილი.
მე ასეთ თბილისს
ვეღარა ვცნობ ვერც ვეგუები,
სუნთქვა მიჭირს და,
„თბილისში დავეძებ თბილისს“.

წუთისოფელი

წუთისოფლის სტუმრები ვართო
ბრძენკაცს უთქვამს,
მართლაც ასეა.
ბრძნული გამოთქმაა
პოეზიისა და ჭეშმარიტების
ლამაზი ჩუქურთმაა,
ცხოვრებისა და ყოფის დიდი
დატვირთვა აქვს,
მაგრამ ერთი რამ ძლიერ მაკვირვებს,
ცხოვრებაში ხომ, სტუმრად მოსულს
ყველა პატივს სცემს,
წუთისოფელს რად სჩვევია
თავის სტუმრის გამორჩევა,
ზოგს დედინაცვლად უდგება
ზოგს კი დედად თავს ევლება,
ზოგს სიყვარულის ქუდბედს
აყოლებს,
ზოგს სიცოცხლეში სიკვდილს
ანდომებს.

* * *

მინდვრის გვირილები
და ლურჯი ღილილო,
– ო, როგორ მინდა
შენ მკერდზე მიხილო,
სიმორცხვისაგან მეწვოდეს
ლაწვები,
კოცნისგან მტკიოდეს
მთრთოლარე ბაგენი,
მინდა რომ გაგრძელდეს
სიმორცხვის წამები,
წუთები, დღეები,
სიამის ღამენი,
სიბერის კარამდე
ლოყებს მიყვაოდეს
ძახველის ფერი და
დახრილი თვალები,
შენ მზერას დაენთოს
ჩემ თვალში კოცონი
ნელი და მწველი,
და დამდაგველი,
შეხების ურუოლამ თუ,
ბოლომდე გასტანა
მზად ვარ მომიწიოს
ყველაფრის ატანამ.

* * *

მე ვინ ვარ ვიცი,
თუმც ბოლომდე
ჩემი თავი
ვერ შემიცვნია,
ბევრი თუ ვიცი
ბევრი რამე ვერ
გამიგია,
რა ცეცხლი დამწვავს,
რა დელგი დამნთქავს,
ან რას ავყვები
თუ დავყვები,
ვერ გამითვლია,
თუ ის წუთი და ის წამები
არ განმიცდია.

* * *

შემოშხაპუნდა გაზაფხული
შლეგი წვიმებით,
ზეცა დაფლითა ჭექა-ქუხილმა,
შემოვიტმასნე სიხარულის
ქალალაია,
ბუნების ძალამ ჩემ წიაღშიც
შემოაღწია.

* * *

მე ნაფოტი ვარ მდინარეში
გადაგდებული,
არა მაქვს გეზი, მიმართულება,
მდინარეზე ვარ მინდობილი
საით წავა, ან სად მივა, როდის,
და რისთვის,
გამოცდილება წლებს მოაქვსო
ასე ფიქრობენ, და იყენებენ რომ
განსაზღვრონ
ამ ცხოვრების არსი და გეზი.
მაგრამ ცხოვრებამ თუ დაგლალა
და დაგაბნია,
არას დაეძებ გამოვლილ გზას,
გამოცდილებას,
ჩუმად მიჰყვები მდინარებას
დროის და უამის,
ყველაფერს იღებ, ისე თითქოს
დაკვეთილია და
ლვთისგანა გაქვს ნაბოძები
ანდა მისჯილი.

* * *

გატაცება მაჭარია,
თავს ვერ ართმევს
დუღილს, ამბოხს,
სიყვარული ღვინოა
და ათრობს,
მაჭარი მშვიდდება,
სიყვარული ღვინდება,
ღვინომ თრობა იცის,
თრობამ კი გავლა,
კვლავაც გინდება
კვლავაც დათვრები
კვლავაც გაგივლის.
ასევეა სიყვარულიც
კვლავაც გინდება
კვლავაც ეძებ,
ეძებ თუ გეძებს,
პოულობ თუ გპოულობს
კვლავ მეორდება,
თრობაც და გავლაც,
თრობის გავლისას თუ
გიჩნდება კვლავ სურვილი
ისევ დათრობის,
სიყვარულისას სხვაგვარად
ხდება,
მის გავლას ხშირად
ნგრევა მოსდევს და,
რაღაც ხდება შესანირავი.

დასასრულის დასაწყისი

სამოგზაუროდ ვემზადები სხვა სამყაროში
მიწვეული ვარ დროს დაუთქმელად,
მაგრამ მაინც ვგრძნობ
დროის დასასრულს და
გამგზავრების მოახლოვებას.
გამგზავრება და მოგზაურობა
უსიამოვნო არ არსებობს,
ის ჩემი ჰობი იყო ყოველთვის
რადგანაც უკან ვპრუნდებოდი და,
დაბრუნება, გამგზავრებას
ახლდა ყოველთვის,
მაგრამ იმ გზაზე, სადაც მიწვევენ
დაბრუნებული არ მინახავს
ჯერაც არავინ,
მხოლოდ ერთ იმედს ვიტოვებ
მხოლოდ,
თუ ამ ცხოვრების დასასრული
არის საგზური იმ ქვეყანაში,
ყველა დასასრულს დასაწყისი
მოჰყვება ხოლმე და
იქნებ იქაც რაღაცაა დასაწყისი
ალბათ რაღაცის,
აქ დასასრულის შემდგომია
იქ გაგრძელება,
ან თუნდაც სულაც დასაწყისი
ახლის რაღაცის.

ჩაძირულ გემში

ჩაძირულ გემში
რამდენი ურვა და
ოხვრაა ჩაძირული,
სასოწარკვეთაც,
და კიდევ ბევრი
ისეთი რამ
ჩემ წარმოდგენას
რომ ვერ ძალუდს
მათი აღწერა.
რამდენი გეგმა,
რამდენი ნატვრა,
ოცნებებიც სხვადასხვაგვარი,
წადილები და მოლოდინები
აუხდენლად დანაკრძალები.
ეს ყველაფერი ჩვენშიც ხდება
ჩვენი გულიც ხომ
ზღვის ფსკერსა ჰგავს.
რამდენს ინახავს,
რამდენს იტევს,
რამდენს ერევა,
რამდენს უძლებს და
რამდენს უძლვება,
ინელებს კიდეც,
თუ მოინელა.

შემოდგომების სიყვარულები

ვის უმღერია ვით გალაკტიონს
საგალობელი ნაგვიანევ სიყვარულისა,
შემოდგომების დამცხრალ ვწებების,
მშვენიერების ყვითელ ფერების,
მაჭრობის შემდეგ დაღვინებულის,
დაძველებულის, დავარგებულის,
— არა გიუურის, არა ველურის,
ატაცებულის, აცეტებულის,
არამედ მშვიდის, დადუღებულის,
გედის სიმღერის უკანასკნელის.
სიყვარულები ჟამგადასული
გულს ოდნავ სევდა შეპარულები,
მშვენიერების სასწაულები
შემოდგომების გადაყვითლებულ
გადაცრეცილი სიყვარულები.
ვწება დაცლილი, ეშნით აღვსილი,
სიმშვიდის მფენნი, და მშვენიერნი,
სიბერის მძლევნი, სიამის მგვრელნი,
და მწუხრის ფერნი,
მოკრძალებულნი, ელეგიურნი,
იდუმალებით უფრო ღვთიურნი,
მშვენიერების სამყაროს მკვიდრნი,
და რჩეულთათვის ღვთით მოვლენილნი,
სასწაულები, სასწაულები,
შემოდგომების სასწაულები.

* * *

არა გრიგალი, არც ქარიშხალი,
არამედ სიო, მშვიდი ნიავი,
და მშვენიერი მწიფე ფერები,
შემოდგომების აღმაფრენები,
და ამ ფერებთა ნააღლუმევი
ნაგვიანები სიყვარულები,
უქარიშხლონი, უგრიგალონი,
ჩაწყნარებულნი, თანაც უფრთონი,
დამცხრალ ვნებების, ნაზი ფერების,
მშვიდი ჰანგები, მშვენიერების,
შემოდგომების ეტიუდები,
მზეგვიანები, დღეგვიანები,
ლამაზები და სევდიანები.

როგორ გამოგდის?

ხელგეწიფება შენ სურვილზე
კაბის მორგება და,
– კიდეც გამოგდის,
მაგრამ ცხოვრებას როგორ ირგებ
შენ სხეულზე,
– როგორ გამოგდის?
ეს ცხოვრება ხომ ზოგისათვის
მატერიაა,
ქსოვილს ვგულისხმობ
გამოსაჭრელად გაშლილ გაფენილს,
სურვილისამებრ რომ გამოჭრი და
მოიზომავ
ისეთს როგორიც შენ გაწყობს და,
– ესეც გამოგდის,
თვითონ ძალგიძს თუ
ღმერთი უდგას შენ სურვილებს
აღმასრულებლად
და ყველაფერი მიტომ გამოგდის?

ნისლი

ბურუსი სივრცეს ფიქრებივით
დაუფლებია,
ფერებიც სულ მთლად
გაუცრეცია,
თვალთა წვდომა და
თვალსაწიერი,
წაუშლია და წაურთმევია,
ცისა და მიწის ზღვარი, სამანი,
თეთრ საბურველში გაუხვევია,

ბურუსით მოსილ სივრცეს
რაღაც ხიბლიც აქვს,
სიცარიელის თუ სისავსის,
ან მდუმარების,
შეუცნობელის აღქმისა და
იდუმალების.

კედელი

ხშირად კედელი იმედი და
საყრდენი არის,
მყარი საფუძვლით, სიძლიერით,
ყოვლის დამცავი,
გარემოსაგან გამყოფი და
ზღვარი სამანი,
კედლად შემართული,
კედლად აღმართული,
ხშირად კედელივით გადაულახავი,
ბარიერია, სიმტკიცის მიჯნა,
მისაყრდენიც და თავშესაფარიც.

გარუხებული აპრილები

გარუხებულმა აპრილებმა და
ნაცრისფერად შეფერილმა მრუმე დღეებმა,
ვწებადაცლილმა ერთფეროვნებამ
მონოტონური დღეების რიგმა,
ჩემში ჩავლილმა გაზაფხულის ნაკადულებმა
თან ჩაიტანეს უამრავი გაზაფხულებიც,
მაგრამ ზაფხული სად დავკარგე ვერ მიპოვია,
იქნებ არც იყო, ან თუ იყო ვერ შემიგრძვნია,
ისე მივადექ შემოდგომას რომ
ზაფხული არ გამივლია
თუ გამივლია ვერ გამიგია.

რაღაცა ძალა

ჩემ წიაღში ღრმად,
რაღაც უცხოდ, და
ორგანულად,
ჩავანებულა რაღაცა ძალა,
საკმაოდ მკვიდრად
თანაც მალულად,
თავს მესხმის ხშირად,
მაკონტროლებს,
ჩემ უნებურად
ჩემ აზრებს მართავს,
მამოქმედებს დაუკითხავად,
აზრზე მოსვლასაც ვეღარ ვასწრებ
ისე მიწყვეტს, გასცემს ბრძანებებს,
ხან ხილულად და ხანაც ფარულად.

სულის მიღმეთის აბდაუბდა ლაბირინთებში

სულის მიღმეთის აბდაუბდა ლაბირინთებში
პატარ-პატარა იმედების ლამაზ ფარნებს
ჩამოვკიდებდი,
და ჩემი ხსოვნის დიდ პატარა დღესასწაულებს
ჩემ ხსოვნაშივე მოგონებათა ძეგლს ავუგებდი,
გარდასულ დღეთა ლამაზ განცდებს
ვით დიდ ტილოებს ვერნისაუზე გამოვკიდებდი.
ლაბირინთებში ჩემი ხსოვნის ნათელ წერტილებს,
ვით ციცინათლებს,
მუჭქში მოკრეფილს, თვალდახუჭული
ცაში ავყრიდი.

სულის მიღმეთის აბდაუბდა ლაბირინთებში
სიბერის პირას, ერთხელ კიდევ დავიკარგები,
ჩემი ცხოვრების მივიწყებულ მოგონებებში,
უკანასკნელად ვით წვიმის თქეშში,
ფეხებშიშველი ვიწანწალებდი.

* * *

ვარ გზადაბნეული
მოგზაური
შენი სულის უდაბურეთში,
ვარ განწირული დასაკარგავად
შენი სულისვე ბნელ ხვეულეთში,
ფეტვის მარცვლის ხელ გრძნობას
ვეძებდი
მაგ შენი სულის უდაბნოეთში,
თუმც აღარ მინდა, აღარ
მჭირდება,
ვეღარ შევიგრძნობ, ვეღარც
აღვიქვამ,
უსასრულეთის ბნელ ტალანებში
სეტიალით გადაქანცული,
სინათლე მინდა, სინათლის ჭავლი,
ერთი სხივი,
ბნელ სივრციდან გამოსაგნებად,
სადაც ფეტვისხელ გრძნობას ვეძებდი
გასათბობად და გადასარჩენად.

ოცნებების კორიანტელი

ჩემი ცხოვრების დასაბამიდან
სულ ძღვნად ველოდი ზენაარსისგან
არა სიუხვეს, არც სიმდიდრეს, არცა ქონებას,
არამედ ყოფას უმშვენიერესს,
ცხოვრებას ლამაზს, თუნდაც
განსაცდელს,
მე მოველოდი ლურჯს კი არა
მწვანე აპრილებს,
ატმისფერებად შეფერილ დღეებს,
გულში ნაჭდევად შემორჩენილ
ლამაზ ტკივილებს,
მოლოდინის და განშორების
შორეულ სევდას,
ყველაფერ ქალურს, სათუთსა და
თან ამაღლებულს,
თუნდაც სისუსტეს ან პირიქით შეუვალობას.
დღეს აღარ ვფიქრობ სევდასა და
ტკივილ-განცდაზე,
თუნდაც ლამაზზე და მშვენიერზე,
რადგან დამღალა აუხდენელ მოლოდინებმა
და ოცნებების კორიანტელმა.

ანანური

შინვალის წყალსაცავის მშენებლობისას, ანანურის ტაძარს, ადგილის მოცვლის სხვადასხვაგვარი საშიშროებები ემუქრებოდა.

და ანანური, ანანური
თავის ტკივილით,
თავის ფიქრით,
ძველის დიდებით
და ახლის შიშით,
დღემდე მოსული
შრომით და გარჯით,
ლოცვით და აბჯრით,
ბრძოლით და ლოცვით
ბრძოლით და ხანძრით,
თავდადებით და თავგანწირვით,
ჭირთა თმენით და არ დათმობით,
ქრისტეს ჯვრითა და ამტანობით,
მედგარის რისხვით,
გამომზირალი მთიულეთის
დედოფალივით,
გულდაკოდილი და განწირული
შეშინებული და აწურული
კაცის და წყლის შიშით
დროის და მტრის შიშით,

ადგილის დედის
ადგილის შეცვლის
და მეხთატეხის თავისდატეხვის,
წყალში დახრჩობის
და ფუძის მოშლის შიშით და ფიქრით.
ძველის დიდების გახსენებების
დიდი ტკივილით,
და იმ დიდების
სულის ყივილით.

ავყიას სიზმარი

ცაში ავფურინდი იქ შევრჩი,
მიწა ფეხებზე მვიდია,
ღრუბლები კაბად ჩავიცვი
ფიანდაზადაც მიგია,
მთვარის შლეიფი მამშვენებს
ცა ქუდად არ შემიცვნია,
ან ქალამნებად ეს მიწა
ნეტავ რა ჩემი ღირსია,
ჩემ სახლად და ჩემ სასახლედ
ცის გუმბათ კარი მიცვნია,
დაბლა რა მინდა მიწაზე
მზის საქანელა მიბია,
სან მზე მიკოცნის პირსახეს
სან მთვარე სანთლად მინთია,
მიწის ჭუჭყი და სიცივე
სწორედაც გადამვიწყია,
მზის ვარცლი საჭყუმპალაოდ,
ნისლი საშრობად მიგია,
თეთრი ქათქათა ცის ტახტი
სწორედაც ჩემი ღირსია,
ცამ უსურვაზად ჩაწნული
ღრუბლის ფთილები მირწია,
სწორედაც რომ მეკადრება
ისეთმა ყოფამ მიწია,

არც არვინ მინდა ჩემს გვერდით
აქ ყოფნის არვინ ლირსია,
იქ ზილონ მტვერი ტალახი
ერთურთს ჩაუდგნენ ჯიბრშია,
ალარ მჭირდება არავინ
არც არვინ ჩემი ჯიშია...
აქ შეწყდა უცებ სიზმარი
გრიგალმა შესძრა ცის თაღი,
ისე დაბერტყა ლრუბლები
არ შეარჩინა ქულები,
ცის კალთას გამოკიდებულს
ამიცახცახა მუხლები,
ისეთი მკაცრად დაჰქროლა
მიფლით მოფლითა ლრუბლები
კაბებიც შემომახია
ციდან მომწყვიტა სრულებით,
ბზრიალ ბზრიალით წამოველ
ტბორში გავიღე ზღართანი
სანახიროსპირ დატბორილ
შმორში აღმოვჩნდი წათვალი.

፩፻፲፦

ქალი ქალია

ქალი წვიმაა
ქალი ქარია,
ზოგჯერ სეტყვაა
ზოგჯერ დარია,
ხან ზღაპარია,
ხან აფთარია,
ხან მოვარდნილი
ნიალვარია,
და ანთებული
ცეცხლის ალია,
სიცოცხლის ეშნით
როცა მთვრალია.
ქალი ქალია,
ქალი ქალია,
ქალი ღვთიური
ნაპერწკალია,
ხან გრიგალია,
ხან ცის ნამია,
ხან დარია და
ხან ავდარია,
ხან მიუდგომი
ცის მყინვარია,
ქალი უკაცოდ
უტყვი ქნარია,
ხარირემივით
მთას მყვირალია,
ხან კლდის ქანია

ხან კი ნაზია,
სულს დასაგები
ფიანდაზია,
ხან სევდაა და
ხანაც დარდია,
ხან მიუვალი
ეკალბარდია,
ხან მახვილია,
ხანაც ფარია,
ხან სიმღერაა,
ხანაც ზარია,
ხან თუ სათნოა
ხან მედგარია,
ხან სატანასთან
წილნაყარია,
კერის და ქვეყნის
სადაცე ზოგჯერ,
სინამდვილეში
მას აბარია,
ქალი ქალია
ქალი ქალია,
ხან ამგვარია,
ხან იმგვარია,
ზოგჯერ დარია
და ავდარია
ქალი ღმერთებთან
თანაბარია.

ჩვეულებრივი ქალი

ჩვეულებრივი ქალი ვარ,
ხან ავი ვარ, ხან კი ტკბილი ქნარი ვარ,
ღადარი ვარ, ცეცხლის ნაპერწკალი ვარ,
ხან კი ცივი გაყინული რვალი ვარ.

ოცნებების სურნელებას შევიგრძნობ,
ნატვრისფერსაც შეუცნობლად აღვიქვამ,
სევდის ღრუბლებს საბნად შემოვიკეცავ,
იმედების ტყვედ ვიქცევი ხანდახან,

ხან ზღაპრებად გადავაქცევ ცხოვრებას,
ხან უდაბნოდ, ხან კი ოაზისებად,
ხან ცრემლების ნიაღვარში ვიხრჩობი,
ხან სიცილის ისტერია მიტყდება.

ხან ფიქრების დიდი კიდობანი ვარ,
ხან ლექსი ვარ, ხან კი ტკბილი ჰანგი ვარ,
ყვავილი ვარ, ზოგჯერ ქარიშხალიც ვარ,
ხან კი ზანტად მოწანწალე ქარი ვარ,

გოლგოთაზე ასატანი ჯვარი ვარ,
ხან კი ცეცხლის დასანთები კვარი ვარ.
იარების მალამო ვარ, ნაზი ვარ,
ხან კი შლეგი აწყვეტილი ქარი ვარ,
ხანაც ღვთისთვის შესაწირი კრავი ვარ,
ჩუმად მწვარი სანთლის ერთი ღვარი ვარ.
და უბრალოდ, მე რიგითი ქალი ვარ.

ამგვარ-იმგვარი

ქალი მაცდური, ქალი გრძნეული.
ქალი მებრძოლი, გადარეულიც.
სათნო, ეული, სიფრიფანა,
მსუბუქი, მძიმე,
ქარაფშუტა და ფუქსავატი,
მოამაგე, მოჭირნახულე,
გიუმაჟი, ცეტი,
განწყობების საამოდ მფენი,
სიცოცხლის ძალა
ენერგია განუსაზღვრელი,
აულაგმავი სურვილებში
ვნებათა ცეცხლში,
ან მოკრძალებით
სისპეტაკით გამორჩეული,
ორგულ-ერთგულიც,
უზნეოც და თავდადებულიც,
თავისუფალი, შებორკილი,
ბედის მორჩილი, სუსტიც, ძლიერიც,
უნიათო თუ ყაჩალანა, ან თვით სატანა,
ნილბოსანი, შეუნილბავიც,
– ეს კრებულია საქალეთის
ამგვარ – იმგვარის,
არჩევანი თუ ბედისწერა,
„საკითხავი აი, ეს არის“.

მე ვარ ქალი

მე თუ დედა ვარ,
მე თუ შვილი ვარ,
და ვარ მეუღლეც
დიასახლისიც,
მოსამსახურე სამსახურში
ოჯახში კი
ყველას მსახური,
უპირველესად
– მე ვარ ქალი.
ჯერ ქალი ვარ და
მერე შვილი
მერე კი დედა,
მეუღლეც და
ან სულაც ცალი,
არ დაგავიწყდეთ რომ,
მე ვარ ქალი,
სამსახურში თუ ოჯახში
უღლით, უუღლოთ,
უპირველესად
რომ მე ვარ ქალი.

დროები ქალის ცხოვრებაში

ოცნებების ცისფერი ქაოსი თუ,
მეწამული, მთრთოლარე ლავა,
ზღვის დასალიერს, ჰორიზონტს მიღმა
ცეცხლივით რომ აალებულა,
ნაკიდებია და არ კი იწვის.
თუ ეს ქაოსი ცისფერია
ლაუვარდოვანი
ეს გოგონა კი, მეოცნებეა
ნარმოსახვის დიდი ოსტატი,
მის კარებზე კი
გაზაფხული
აქლემივით ჩაჩოქებულა,
ჩაჩოქებულა და ფეხს აღარ იცვლის.
ის კი ისწრაფვის ზაფხულისთვის,
სიმხურვალისთვის,
ლაუვარდისფრიდან მეწამულამდე
გადაფრენისთვის
მის წელინადში ორი დროა
ოთხის მაგიერ,
გაზაფხულია გაჭიმული, ცხელი
ზაფხულით
ვის წელინადშიც ოთხი დროა
ორი წარსულის, ორი მომავლის
მისთვის ოცნება მეწამულია
ცეცხლივით მწველი,
თუმც რომ არ იწვის

და შემოდგომაც თითქოს აყოვნებს
კარგა ხანს იცდის,
ზამთრის მოლოდინს კი გაურბის
ურა ცხენივით,
სად გაექცევა დაუინებას
უბელო კვიცის,
ის შეუმდგარი ქალბატონია
ცეცხლი რომ წვავს და,
მაინც არ იწვის,
ხოლო ქალებში მიმწუხრისას
ორი დრო მეფობს,
დრო მწიფობის და გადამწიფების
შემოდგომისა და ზამთრის პირის
ეს ის დრო არის როცა ფასიც
და საზღაურიც ყველაფრის იცის,
ნარსულით ცხოვრობს, მომავლისკენ
არ იხედება,
როცა ჰეგონიათ რომ სიცოცხლეს
ჩალის ფასი აქვს
ნამდვილი ფასი, მხოლოდ მაშინ და,
მხოლოდ მან იცის,
ქალმა, რომელმაც მიაღწია
სიბერის სამანს,
ქალად დარჩა და სიკვდილამდე
ქალადვე იწვის.

* * *

ამ ბოლო დროს
ასაკი მაშინებს
ნლები თვეებივით მაცვივა,
დაგეშილ მწევრებივით მომდევენ,
— მომდევენ... და,
გავრბივარ.
ნლებს გავურბივარ,
ვერ შევაყოვნე,
ვერც შევანელე,
თვეები დღეებივით გარბიან,
— შე დალოცვილო ჩემო სიბერევ
რა გეჩქარება,
ბავშვობაში თუ იზლაზნებოდი
რა დოლის ცხენივით გარბიხარ.

აღმოვაჩინე

აღმოვაჩინე,
სულ ახლახან
აღმოვაჩინე,
სულ პანაწინა,
სულ პატარა
დიდი ტკივილი,
საკუთარ სახეს
მოვლენია
პირველი ბზარი,
სიბერის ლანდის
პირველი კვალი,
პირველი ელდა,
პირველი სევდა,
ჩემი სიბერის
პირველი ელჩი
– ციდა ნაოჭი,
სასწაულების
მოლოდინთა
დასამარება,
ჩუმი და უხმო
დიდი ტკივილი.

ოქტომბერი – ქალის შემოდგომამდე

როგორ მხიბლავს ოქტომბერი
ბახუსით მთვრალი,
ფრო, დროთა თვალი,
ნარმავალი, მალი,
ნაშემოდგომევს ვით ქალში, ქალი,
ისიც წარმავალი,
დამცხრალი მზით,
ფერების ზღვით,
ფოთოლთ ფარფატით,
და წვიმიანში ბუხრის პირად
ღვინის ხელადით,
ხავერდოვანი სიმღერებით
ძველი ჰანგებით,
ძველი გიტარის
ძველი ბაფთები,
და შემოდგომის ბანოვანები.....
ქერა ქალები, შავგვრემანები,
უასაკონი, სევდიანები,
იღუმალები, ეშიანები.

ოქტომბერი – ქალის შემოდგომისას

აღარ მხიბლავს ოქტომბერი
აღარც მისი ეშნი,
არც ფხიზელი და არც მთვრალი
არანაირ ფერში,
ქალს თუ ხიბლავს ოქტომბერი
შემოდგომის ფერი,
ან ფიქრები ეძალება
გარდასულის, ძველის,
ან უკანასკნელ სიყვარულის
ბოლო აკორდს ელის.

* * *

სიმორცხვე დღეს ხომ
ეომპლექსიაო
სრულფასოვნების უკმარისობის,
დრომოჭმული და ძველმოდურიო
დასამალიო და შესანიღბი,
ნეტავ მანახა აყვავებული
ასულთ ლოყებზე ბროწეულები,
კრძალვა და კდემა, ჭიაკოკონა,
ღაწვებზე ცეცხლად შემონთებული.

სიმორცხვე

ნეტავ მანახა
თუ კიდევ ყვავის
ასულთ ლოყებზე
ფერი ძახველის,
სიმორცხვისაგან
წაკიდებული
ვარვარა ღველფის
ცხელი ალმური.
დახრილ თვალებში
საგულდაგულოდ
გადამალული
ლტოლვა ფარული,

სასურველი და თანაც
ნატრული.

* * *

მე ქალი ვარ და
სისუსტეებიც ბევრი
მახლავს,
– რასაც განვიცდი,
ბევრი თუ მბორკავს
ბევრიც მხიბლავს,
განსაკუთრებით
ხაზს თუ უსვამს
ჩემ ქალურობას,
და განმასხვავებს
თუნდაც სისუსტით.

* * *

ქარი თუ გიხარია,
წვიმა თუ გიხარია,
ნისლი გიშლის ოცნებებს,
გიფერადებს მოვლენებს,
დარდი უცხო ხილია
ფიქრისთვის არ გცალია
სურვილების გალია
ათიათას გვარია,
კარი ღია თუ დაგრჩა
ვაი შენი ბრალია.

* * *

ყოველ გაზაფხულზე
სახადად მეყრება
რვა მარტის ტკივილი,
მოხდას ველარ ვასწრებ
ისე მიახლდება,
ისე მიფრინდება
მრავალი მარტები
და მრჩება ტკივილი
და სულის კივილი
არ შემდგარ ქალისა
რომლის სახელზედაც
არ შეუძენიათ რვა მარტის
ყვავილი.

* * *

მხურვალე თონეს
ჩამაკარით
დედას პურივით,
რომ გათოშილი სული
გავითბო,
ან დავიწვე
ფარვანასავით.

იასამნების მეორედ მოსვლა

შემოდგომაა,
რუსთაველზე მოვდივარ
ჩემთვის,
და იასამანს მაჩეჩებს ვიღაც,
ნოემბერია,
– ნოემბერში იასამნები?
– სასწაულია,
იასამნის მეორედ მოსვლა?
უნდოდ შევხედე
დავყნოსე კიდეც,
იგივე სუნი, იგივე ფერი,
თუმც სხვა დრო და ჯერი.
გამიჩნდა კითხვა,
ბუნების ძალავ შენ
გეკითხები,
რატომ არ ხდება ქალისთვისაც
სასწაულები,
მისი ცხოვრების მიმწუხრისას,
შემოდგომის პირს,
თუნდაც მცირე ხნით, ერთ
გაელვებით,
მეორედ მოსვლა აყვავილების.

* * *

ქალი სიყვარულს
სულ მუდამ ეძებს,
მთელი ცხოვრება
ეძებს და ელის,
ელის მაშინაც
როს აღარ ეძებს,
და ელის მანამ
სანამ ქალია,
სიყმაწვილიდან
შემოდგომამდე,
და იქნებ სულაც
დაზამთრებამდე,
მხრებში მოხრამდე
ელის და უცდის.

* * *

ღმერთო არ ჩაახშო
ჩემში ვნებები
არანაირი,
მე ყველა მინდა,
ყველანაირი,
ღვთის შვილი თუ ვარ
დავიტევ და ავილაგმავ
ყოველგვარ ვნებას,
ოღონდ მომეცი
მე ყველა მინდა
ყველანაირი.
თუ ვარ ცოცხალი
სუნთქვა არ მინდა
მის გარეშე
არ მინდა ყოფნა
არანაირი,
დრო ვერ განსაზღვრავს
ჩემ ცხოვრებას,
და ვერცა წლები
ვერანაირი.

* * *

ძუძუებივით ეტიკნებათ
სეებს კვირტები,
გაზაფხულს ველი,
— გაზაფხულო, არას
მპირდები?
გამიაპრილდა მოლოდინი,
და ვირინდები,
როგორ გელოდი გაზაფხულო,
როგორ გელოდი,
ჩემო სიბერის გაზაფხულო
— კვლავ გეკითხები,
რა დაგიშავე, არას მპირდები?

ნუ შეუშინდები წლებს

მე ისევ მათბობს სხივი,
თვალთაგან მონასხივი,
სულს ამოვლილი,
გულგამოვლილი,
სულ ერთი ბეწვა
მზერით ნაელვი სხივი.
ისევ მინდება ხეტიალი

ქუჩაბანდებში,
და ისევ მათრობს
გზად შემოყრილი ფშატის
სურნელი,
აპრილში ნუშიც მაფორიაქებს
და ათასნაირ სურვილებს
მიშლის,
და მე ისევ მშურს ქალბატონების
მათთვის განკუთვნილ თაიგულებს
როცა ვუმზერ მამაკაცთ ხელში.

* * *

აგერ უკვე
ორმოცდაათს გადავაბიჯე და
თავი ზოგჯერ
თექვსმეტი წლის მგონია,
ზოგჯერ ისე ვიქუფრები
ამას იქით სულ უკუნი მგონია,
წელთ სიმრავლე
მე სიმდიდრე
სულაც არა მგონია,
ტკივილთა და სიხარულთა
დიდი ნუსხა,
მე ცხოვრების სურათები მგონია.
ჰოდა ხან თუ ვიქუფრები,
ხან პეპლებთან ერთად ფრენა მდომია.
მაშინ როცა, მიმწუხრის უამს,
ღრუბლიანი განწყობები მქონია,
უცებ ისე უდარია
გაზაფხულის მობრძანება მგონია,
ფეხშიშველს და გულგალელილს
ნიავივით სულ ნავარდი მდომია,
ჩემი წლებით დამძიმებულ
ჭრელ ხურჯინის
კლდიდან ხევში გადასროლა მდომია.

* * *

ქალო დარდიანო, ქალო ნაღვლიანო
დართვილულ კვრინჩივით
ტკბილ-მწარ-შაბიანო,
ხანმინურულო, ხანგავლილო,
გზა ნავსიანო,
ხელ-ბედ ჩაქნეულო, ჩუმ წადილიანო,
დარჩენილ ცხოვრებას რაღას ემართლები
შენ წილს ქარს რათ ატან, რათ არის გვიანო,
ნაბიჯი გადადგი და ნავსი გატეხე
დართვილულ კვრინჩივით შარბათ შაბიანო.

* * *

ნისლის ტევრში დაკარგვას
თუ ლამობ,
ცისარტყელას ყელსაბამად
ნატრობ,
უმზეო დღეს შენი ცეცხლით
ათბობ,
თეთრ შროშანებს შენი სუნთქვით
ათრობ,
ფეხშიშველი თქეშში რბენით
იღლები,
და ყვავილეთს დედოფლობას
პირდები,
ცაში თუ დაფრინავ,
ღრუბლებში დაჰქრიხარ,
მიწაზე დადიხარ
ფეხებს არ აკარებ,
ცისფერ რაშს ამხედრებ
სივრცეს ენივთები,
ცხოვრების კანონებს
სულ არ ენიღბები,
მაგრამ თუ ცხოვრებამ
მიწას დაგანარცხა,
როგორი გახდები
ნეტავ არ მანახა.

შემოდგომა

ვით შემოდგომის
ფოთოლცვენისას
ისე დამცვივდა წლები,
ვით ცივ ზამთარში
დიდთოვლობისას
სულ გამითეთრდა თმები,
დაცხრა ვნებები,
დაცხრა გზნებები,
ძალი დაკარგა განცდაშ
შემოეძარცვათ ხეებს ფოთლები
ფერი დაკარგა განცდაშ,
სულ გაიცრიცა ჩემი წილი ცა
ხნულს დაეკარგა სუნი,
ისე გამოვცდი აყვავებულ ნუშს
არ შემიჩქროლდა გული.

ზამთრის ბელურა

მე ვარ თხმელის ტოტიდან აფრენილი,
სიცივითა და მარტოობით მობუზული
ბელურა ზამთრის,
ცოტა მხატვარი, ცოტა პოეტი,
ცოტა ქარი და ცოტა ზმანება,
ცოტა ალქაჯი და ბევრი ქალი,
ქალი რომელსაც დაეწერა არ დაქალება.
მე სიზმარი ვარ აუხდენელი
თრთოლვა და განცდა განუცდელი,
ვნება გაყინული, ვნებით გათანგული,
სული ოცნებებით მოპირული,
მე სიმღერა ვარ აუმღერებელი,
და პოემა ვარ დაუწერელი,
მე ცივი წყარო ვარ დამშრალ-დაშრეტილი,
მსუყე თავთავები გამოფშვნეტილი.

* * *

ცოტა პოეტი ვარ,
ცოტა მხატვარი ვარ,
ბობოქარ ზვირთებში
უნიჩბო ნავი ვარ,
თავგზადაბნეული
უკაცო ქალი ვარ,
თუ ვკაცობ კაცი ვარ,
თუ ვქალობ ქალი ვარ,
იქნებ არც კაცი ვარ
და აღარც ქალი ვარ,
ოცნებით დაღლილი
დამცხრალი დარღი ვარ,
მყარად მივაბიჯებ
ცხოვრების დიდ გზაზე,
დიდივით ვიქცევი
და მაინც ბავშვი ვარ.
მე არც პოეტი ვარ,
და არც მხატვარი ვარ,
ოცნებით დაღლილი
დამცხრალი დარღი ვარ.

ବୀରବୀରାଜା

* * *

შენ თვალთა მზერას
ძველ შანდლებში
სანთლად დავანთებ,
და ამ შანდლებში
ნაღვენთის ნაცვლად
ციურ მანანებს ჩამოვანათებ,
ცეცხლს მივცემ სევდას
გრძნობას დავანთებ,
დარდს
ქარს გავატან
ფიქრებს დავამლერ,
ძველ სიხარულებს
ყველას აღვადგენ
ავაფერხულებ და
მტვერს ავადენ,
უთქმელ სიყვარულს
ახლა გავამხელ,
ავასიმლერებ
ლექსად დავაფრენ,
ყველა გალიის
კარებს გავაღებ,
ოცნების ჩიტებს
ცაში ავაფრენ.

სიყვარულის დღე (ვალენტინობა)

გილოცავთ ყველას
ვისაც აგცდათ
და არ გეწვიათ,
ვინც სულ ელოდით
ლოდინმა კი წლები
გალია.
და თუ ელოდით
სიყვარული შეგძლებიათ
ესეც მადლია,
მერე რა ვუყოთ
თუ დაიბნა
და სხვას ეწვია,
მოლოდინებიც ამოწურე
წლებმა გინია,
რახან ელოდი
დიდ სიყვარულს,
ესეც ნიჭია,
ბოლოს და ბოლოს
მოლოდინსაც
თავის ხიბლი აქვს.

აისიდან დაისამდე

აისიდან დაისამდე
გავლილი თუ გასავლელი,
ჩემი წილი ცხოვრებაა
ჩავლილი და ჩასავლელი.
ზოგჯერ ზლაზვნით,
ზოგჯერ ფრენით,
თუ მოზომილ ნაბიჯებით,
აისიდან დაისამდე
დიდი გზაა გასავლელი.
ვისთვის გზაა, ვისთვის შარა,
ეკლიანი, ვარდიანი,
ზოგისათვის უდაბნოა
ვარვარა და ქვიშიანი,
ტაატით თუ ქროლვითაა
ყველასათვის გზა, გზა არი,
დაისისთვის ეს სოფელი
გაფრენილი წუთი არი.

მზე და ზღვა

ქვიშას წვავს მზე,
მზე თანგავს ზღვას,
ფერებს რომ ახუნებს
და რუჯავს კანს,
ცეცხლია რომელსაც
მზე აძლევს ძალს.
გზნებაა, თვლემაა,
ვნება თუ გვრემაა,
მზეა ყველაფერში
ცეცხლი და ზღვა.
ზღვის ცხელება აქვთ
შეყრილი ხალხს,
სიშიშვლის პარადი
ჩაუდის პლაზს.

სიყვარული

სიყვარული მშვიდიცაა და შმაგიც,
შფოთიანიც და შლეგიც,
მშვიდი გვამშვიდებს,
შმაგი გვაშმაგებს,
გახელებულიც არსებობს
ის კი ახელებს.
და საერთოდ,
რით იზომება სიყვარული
ძალით, სახით, დოზით თუ ფორმით,
სისუსტით თუ სიძლიერით.
იქნებ სულაც ზემოქმედებაა
დაუკითხავად თავსმოხვეული,
დაუძახებლად თავს დატეხილი
ან დიდი ხნის ნალოდინარი,
ხან გვასულელებს, ხანაც გვამაღლებს,
თავის ჭკუაზე გადავყავართ,
ხან გვათამაშებს,
ხან ტკბილმწარეა, – დამანგრეველიც,
უფრო ხშირად კი ამშენებელი.

შემოქმედება

წვდომის, პოვნის და მიგნების
საამო განცდა,
ან სულაც ახლის აღმოჩენის
სიამოვნება,
რაღაც ნაშრომში, დახატულში
თუ დაწერილში
ღირებულების აღმოჩენა
შენად მიჩნევა,
მთავარია რომ შენ იპოვე
რამაც შენ შეგძრა, დაგაფიქრა,
გასიამოვნა,
აღმოაჩინე სხვათათვისაც
დღემდე უცნობი, განუცდელი
რაღაც ახალი:
შტრიხი, მოვლენა, მიმართულება,
ეს იმას ნიშნავს ავტორი შედგა
გამოუჩინდება დამფასებელიც.

ურთიერთობები

გავთითოკაცდით, დავცალკევდით,
ერთმანეთისთვის სულ ვეღარ ვიცლით,
საქმეს და ოჯახს თუ აუვედით
დანარჩენ დროს კი ტექნიკა ნთქავს
თავისთვის ითვლის,
ტელევიზია, მობილური, კომპიუტერი,
ვამპირებივით გვეწაფება
თავს ვეღარ ვაღწევთ და მას ვწირავთ
ურთიერთობებს
ცოცხალსა და საღს, უშუალოს,
ვეღარ ვიცლით ერთმანეთისთვის,
ერთურთის ჭირით, ასევე ლხინით,
ერთად ყოფნით თუ პირადი ხილვით
სავსე იყო ჩვენი ყოფა, ჩვენი ცხოვრება,
და ამას ერქვა ჭეშმარიტად ურთიერთობა

* * *

თოვლი მოდის
თოვს და ბარდნის,
ფანტელები ცეკვავს ცაში,
საამოა მათი ხილვა
სითბო თუა ფანჯრის მიღმა.

* * *

გაყინულა მთვარე ცაში
ციდან ჩავარდნილა ჭაში,
ბარდნის ათოვს არე მარეს
სუსხი იჭვრიტება ბზარში,
ბურძგლავს დღეს და
სცივა ლამეს,
აცახცახებს ზამთრის ბალებს,
გელოდები გაზაფხულო
საიმედოს მეტყვი რამეს?

* * *

გარედ ცივა სახლში თბილა
სარწეველა სკამში ვზივარ,
გემრიელი წიგნით ხელში
ვმოგზაურობ მზიანეთში.
გარედ სცრის და, ხან ქარიც ქრის
განწყობას კი წიგნი მიქმნის.

* * *

გარეთ ბარდნის და ძალიან ცივა
ფანტელები კი ცვივა და ცვივა,
ბუხრის ხახიდან ცეცხლი გუგუნებს
ხან ტკაცუნობს და ხანაც ბუბუნებს,
ძველ ზღაპრებსა და არაკებს ჰყვება,
გარეთ კი ბარდნის ფთილების ხელას
ფანჯრის მინებზე სანთელად დნება
მერე ორთქლდება, წლებივით ქრება.

ნაირნაირები

ნაირ ნაირები,
ფერად ნაირები,
სიტყვები, აზრები,
სხვადასხვა ამბები,
ჭორი და მართალი
სხარტულად ნათქვამი,
გულს რომ ეამება
ან ლახვრად ესობა,
მოგეფონება და
ან სულაც გაგბურძგლავს,
საცრით თუ გაცერი
ცხოვრებას შეგიცვლის,
ყველას თუ აჰყევი
მარილზე გაგიყვანს.

მე შენ გისურვებ

მე შენ გისურვებ ჩემი ცხოვრების
არ შემდგარ ბედნიერებებს
რომლებიც მე მეკუთვნოდნენ და
სადღაც ამცდნენ, არ შემხვედრიან.

მე შენ გისურვებ ჩემი ცხოვრების
დიდ სიყვარულებს
რომლებსაც სულ ველოდი და
გზაზე ამცდნენ, არ შემხვედრიან.

ჩემი ცხოვრების აუხდენელ
ფერად ოცნებებს,
რომლებიც შენ უთუოდ აგიხდებიან,
ლამაზად განცდილ მღელვარე წუთებს
რომლებიც ალბათ არც განმიცდია.

სიბერეში რომ საგზლად გეყოფა,
ეს იმხელაა, ეს იმდენია.

* * *

ჩემს არსებაში
ვნებების თუხთუხს
ლექსად დავქნიდი,
დარდისა და სევდის
უფერო და უფორმო ფთილებს,
სულ ასო ასო ხანჯლით ავქნიდი,
განაირებულ სიხარულებს
ჩამოგაწვდიდი,
ლილილოების ლამაზ გვირგვინს
თმას ჩაგაწნიდი,
თონეში ჩაკრულ ლავაშივით
დაბრანულ ვნებებს გადმოგაყრიდი.
ფერფლად ქცეული დამწვარ ნივთის
შენარჩუნებულ პირველქმნილ ფორმას
შენ შეგადრიდი,
სულის შებერვის თუ ხელის ხლებით
უცრად ქრობას დამწვარ ნივთისა
სულ განვიცდიდი,
რადგან გადრიდი ზემინიერს
განსაცვიფრებაელს,
დაკარგვისა და გაქრობის შიშით.

* * *

ძიებები, ძიებები,
მარადიული ძიებები
ხელოვნებაში, ლიტერატურაში,
პოეზიასა, სულსა თუ ყოფაში.
აღმოჩენები, მიმდინარეობები,
ახალი გზები, ახალი ხედვები
ახლებურ ყოფასა თუ
შემოქმედებაში,
ეს ხომ კარგია მაგრამ, საზღვრები?
ის ხომ ყველგან არსებობს,
თუ რაც უფრო აბსურდულია
გაურკვევლობის ბურუსში გახვევს,
ადამიანურ განცდებს არ იწვევს
და უჩვეულო შეგრძნებებით
თუ არ გაღელვებს,
შემეცნების თუ შეუცნობლის,
მიგნებულის თუ მიუგნებლის
აღმოჩენებით
ყველა სფეროს არ გაზიარებს,
ასეთ სიახლეს ვერც ერთ სფეროში
ვერ ვიგებ და ვერც ვიზიარებ.

უშენოდ

უშენოდ დაძრნის ჩემი სული დაეხეტება
და ეძებს იმ სულს, ნათესავად რომ წაადგება,
მონათესავე სულებიო ხომ გაგიგიათ
ჰოდა ასეთ სულს ხეტიალში გადაეყრება?

უკიდეგანო სივრცეებში სული ეული,
გზა არეული, უკომპასო, გადარეული,
უშენოდ დაძრნის, ქარამოტებს აედევნება,
ვით ვიოლინოს სიმებს ხემი, ხან აუყვება,
და ჩაუყვება,
უბიდან ფრთხილად ამოილებს
შენზე წერილებს,
ქარბუქს გაატანს ვით ბოშების საველე ფოსტას,
ქარებს გაკრული, გადევნებულ გაკიდებული,
იმედს არ კარგავს სადმე მაინც გადააწყდება.

გამოიდარა

უჟმერად უინულავს
მთელი დღეა აღარ იდარა
და განწყობებმაც ფერი იცვალა,
ჩამოიქუთხა, სულშიც რაღაც
ჩამოინისლა,
და უამისფერი განწყობაზე
ჩამოიფინა.
თუმცა თუ დარმა გამოიდარა
მზე საიდანმე შემოიპარა
ჩემი განწყობა ფერნაცვალი
ფარდებს გადასწევს და
შემოსძახებს,
გუნებავ – ჭიტაა!!!
გამოიდარა.

შანსი

ლმერთმა თუ გვიბოძა
სიმდიდრე
სულის ან ფულის,
ორივე ერთად ან ერთ-ერთი,
გვეძლევა შანსი არა განცხრომის
და ფუფუნების,
არამედ ნება, შესაძლებლობა,
საკუთარ თავში ამაღლების
კაცად გახდომის,
გაჭირვებულის გვერდით დგომის,
ხელის გაწვდენის,
მობრუნების და სულის შთაბერვის,
იმედად ქცევა, ყავარჯინობა,
წაქცეულის წამოყენება,
ამაზე მეტად კაცს რა გაზრდის
საკუთარ თავში.

* * *

ცხელა, მზე მთენთავს,
მთენთავს და მაშრობს,
სულშიაც აღწევს
სურვილებს აქრობს,
ვნებებს ხან თანგავს,
ხანაც ანავლებს,
ფერად განცდათა
საუფლოში დამაწანწალებს,
ხან კი პირიქით
პატრუქივით ააპარპალებს,
ვით თონის თავზე
სიცხის ლივლივი,
იზლაზნება და იზილება
აზრიც გონებაც,
სიცხეს ნებდები, ირინდები,
და, ითიშები...

პეპელა

ჭრელო პეპელა
მზე ჭრელავ,
ფრთაფარფატავ
და ფრთამალო,
ასე მოკლე
წუთისოფელს
სადმე უნდა დაემალო,
ჩემო ფრთა ჭრელა პეპელავ
პეპლუცა პეპლუნიაო,
ფრთა მოხატულო ლამაზო
მინდვრის ყვავილთა ნიავო,
დღემოკლე მზეანთებულო,
პეპლუცა პეპლუნიაო.

ობლის და კვერის არაკები

მე ის ქალი ვარ ვისაც:
სხვისი დარდი გაუთავისებია,
სხვისი ტკივილი გაუტკივილებია,
სხვისი სიხარულით გაუხარია და
სხვისი გაჭირვება გაუზიარია.
სხვის პრობლემებზეც ბევრი უფიქრია,
თავის ტკივილები თვითვე უნელებია
უტყვად და უბრად გადაუხარშია და
სხვის დასანახად არ უტირია,
გაჭირვებაში არასოდეს ჩაუმუხლია,
ბევრიც შეშლია მიზეზები არავისში
არ უძებნია,
რადგან სულ ყველა თავის თარგით აუზომია.
სხვის ლხინში თავის ტკივილები დაუთრგუნია
სხვის ჭირში თავის სიხარული აულაგმია და
თავისი საბნის სიგრძე განი არასოდეს დავიწყებია.
ნაადრევად მოწყვეტილი ფოთოლიც კი
დანანებია,
სულ პაწაწინა სიხარული საგზლად ჰქცევია,
საკმაოდ ძნელად სავალი გზა უხმოდ უვლია,
ცხოვრების აღმართს რომ შესდგომია
ობლის და კვერის არაკები გახსენებია,
გაჰლიმებია,
შემდეგ კი ხელი ჩაუქნევია,
კვლავაც თავის გზას გაჰყენებია.

* * *

ფიქრებს, ვით ფუმფულა
ფთილებს,
საჩეჩელზე გამონაფთილებს,
თითისტარს დართულს ფაფუკ
ნართებად,
დაძახულს ერთად ფერად ძაფებად,
ნარმოსახვებად, ხილვად, ზმანებად,
შლეიფად ვირგებ და ვიმოსები,
სულის და ყოფის საზრდო სამშვენად.

* * *

ფოთოლცვენაა
ფოთოლთ ფრიალი,
ფერთა ალუმი
ფერთა ციალი,
ქარების მარში,
ქართა ქრიალი,
ქარმოძახილში
სევდის ღრიალი,
სულის წრიალი
და ხეტიალი.

მე სტუმარი ვარ

მე სტუმარი ვარ
სტუმრად მოველ
ამ ქვეყანაზე,
უჩემსურვილოთ,
ლვთის განგებით,
ლვთისავე წებით,
არც წასვლას მკითხავს
არც დარჩენას
და არც არჩევანს,
ბედს ჩამაბარა
ის მისაზღვრავს
ცხოვრების ამინდს,
ჩვენ კი ვიბრალებთ
რომ წარვმართავთ
ჩვენ ცხოვრებას
ჩვენივე წებით.

ეს გაზაფხულიც...

ეს გაზაფხულიც ძველებურად
შემომეპარა
და მოსახდელი სახადივით
შემომეყარა,
თავს შემომეხვა სურვილებით
შეპირებებით,
გამაბრუა და მაბარბაცა
სულ გადამრია,
გონზე მოსვლაც კი ვერ მოვასწარ
ისე უეცრად შემომადნა
შემომელია,
ეს გაზაფხულიც მოვიხადე
ბატონებივით,
და კვლავაც დავრჩი მოლოდინის
მუდმივ რეჟიმით.

* * *

თუ შენ ვერ უსმენ
ცვარნამის და იის მუსაიფს
შვლის ნუკრის ტკივილს ვერასოდეს
გაიტკივილებ.
ახალ ხნულის თუ გაზაფხულის
სურნელებას
ვერ შეიგრძნობ მთელი სიმძაფრით
ვერც მთვარის შუქზე იდედოფლებ
მთვარის შლეიფით,
ჯვარს ვერ დაიწერ გრიგალზე ან
ცისკრის ლაუვარდზე
და ვერ შეამჩნევ მინდორ-ველად
მუსიკის ნავარდს
განსხეულებულს ზეასულში
თმებგაწენილში,
ხან ნაზ სიოზე, ხან გრიგალზე
მუსიკის სრბოლას
მინდორ-მინდორ და სერი-სერად
ფეხუკარებლად დედამიწისა
სრბოლას და ნავარდს,
ნავარდს და სრბოლას.

* * *

ისევ ჩამოსცხათ კიპარისებს
გაგრის ქუჩებში,
გამოკვართულებს თეთრად
ქურქებში,
ტანთ შემოასკდათ ან
შემოიხიეს, ქურქებია თუ
ახალუხები,
იქნება ისევ გველოდებიან
და სამასპინძლოდ ინკიპებიან
თუმც მოლოდინში უთეთრდებათ
ალბათ თვალები.

ზღვასაც მოვაკლდით,
მთასაც მოვაკლდით,
მოგვნატრებია მათი სურნელი,
კიპარისები თუ დალალა
ამდენ ლოდინმა
– რა გემართებათ აფხაზებო,
თქვენ რალა მოგდით.

* * *

მზეს მიაფიცხეთ,
მზეს მიაფიცხეთ
ნესტიანი სულის შიგთავსი
და უფერული სველი დარდები,
მზეს მიაფიცხეთ მელანქოლია
და ნაცრისფერი სევდის ფარჩები,
გაათბეთ სული
გააფიცხეთ დედას პურივით
გადმოაფინეთ სულის ნესტი
ვით ფარდაგები,
გაამზეურეთ, გაამზეურეთ,
სევდით დამბალი
ჩვრად ქცეული ბაირაღები,
მზეს მიაფიცხეთ
ვით ტყრუშულ ღობეს,
ნაღვლიანი და ნაღვლისფერი
ძველი დარდები,
ააცეცხლისფრეთ,
აამზისგულეთ, ტკივილიანი
ძველი ტრავმები.
აასიმღერეთ, გაასიმღერეთ,
სულს ნაწვიმარი ნატირალები,
მზეს მიაფიცხეთ,
მზეს მიაფიცხეთ,
სევდად ქცეული ძველი დარდები.

* * *

ხომ შეიძლება ცხოვრობდე
მარტო,
მარტოდ არ გრძნობდე თავს,
და ტრიალებდე უამრავ
ხალხში,
გვერდითაც გყავდეს სხვა,
სიმარტოვე კი გულს გინურავდეს
და მუდამ გდევდეს თან.

* * *

სულს თუ წაეკიდა
უეცრად ხანძარი
იარად შერჩება
წარსულს,
ვერ დაიფერფლება
ვერც ქარი გაფანტავს,
ნაწიბურებს კი დასტოვს.

მტკივა, განვიცდი, შევიგრძნობ, ვხედავ

მტკივა, განვიცდი,
შევიგრძნობ, ვხედავ,
ხის კენწეროებს
დაცემული გრიგალების
სამეჯლისო კაბების ხევას,
ასფალტს დაცემულ
წვიმის წვეთების
უსხეულო სხეულის მსხვრევას,
ფაფარაშლილი ცხენების რემის
უკიდეგანო სივრცეთა კვეთას,
სიყმაწვილეში აგებული
ოცნებათა ფერად კოშკების,
შეუბრალებლად, უწყალოდ ნგრევას,
გულს გაკანრული, ღრმა
ტკივილების
და დიდი წყენის
დაუსრულებლად თმენას.
სულში ჩაძირულ
ბალლამის წვეთთა
უკანვე ამონთხევას,
გონის დამბინდველ,
გონს დაუფლებულ
ეშმაკეულთა,
სულიდან გამოდევნას.

ცხოვრებისა და ყოფის
არ მცნობი
ველურ სივრცეთა
უსასრულეთში
ქროლას და ფრენას,
რიგით მოკვდავთა
შეცოდებების
სხვის არამვნებთა და
უნებურთა
დათმობას, შეწყალებას,
ცხოვრებისეულ შეცდომების
ხანდაზმულობას,
დაგვიანებულს, გაუსწორებელს,
მოუნელებელს,
ტკივილით მონელებას.
სიყვარულის ძალს
დაუფლებულს
არაკეთილღირსს,
მიხვედრისა და დანახვის უნარს
თავს დაჭიდებას,
შერკინებას, და წინ აღდგომას,
მორევის უნარს
კაცად დარჩენას.

კვრინჩხისფერი ბინდი

დათრთვილულ კვრინჩხივით დაიბურა
ჩემი განწყობა და
სევდის ქარავანმა ჩამოიარა,
მოგონებათა კიდობანს თავი აეხადა და
კვლავ თალზმა ღრუბელმა გადაიარა.
ერთმანეთს ცვლიდა ზმანებებივით
ჭრელი ხილვები და მელანქოლია,
მელანქოლია ქალის, რომელსაც არ
გაუმართლა,
ბევრი ზღაპრები ეგულებოდა და ერთიც
ვერ გაუცხადდა
ოცნებებმა კი ისე დაიყვავილეს რომ
ფერებიც შემოაცვდათ.
იყო სიყვარულიც, იყო განშორებაც
და იმედებიც,
სიყვარული კი თონეს ჩაკეთებულ
ჩინჩხვარივით
უცებ აბრიალდა, აბრიალდა და
ჩაიფერფლა,
კვლავ იმედები, მოლოდინი, ჭრელი
ზღაპრები,
არ შემდგარი სიყვარულის პანაშვიდები,
მონაცვლეობა თეთრის და შავის,
შავი შავობდა, მაგრამ თეთრი არ იყო
თეთრი
რადგან არ ჰქონდა ნათელი ფერი.

ლამე

ლამევ, შენ დიდი
მესაიდუმლე და
დიდი ძვრების
სათავე ხარ,
ავის და კარგის,
განუკითხავის და,
გასაკითხის,
მოწმე ხარ ბევრის
ცოდვის და მადლის,
საქებარის და გასაკიცხის.
შენ წიაღი ხარ
სიცოცხლის შექმნის,
და უფრო ხშირად
სიცოცხლის წყვეტის
გარდაცვალების,
მოწამეცა ხარ
უნაზესი უნეტარესი
განცდებით ტკბობის.
სარეცელი ხარ სიყვარულის,
ოდინდელი, სამარადუამო,
თვით კაცთა მოდგმის,
თუმც ტკივილების
აკვანიც შენ ხარ,
შენ დროს იშლება

ყველა იარა და
სატკივარი,
გაუსაძლისი ფიქრების და
ტკივილების
საუფლოცა ხარ,
როს გეცრიცება განთიადზე
დაღლილი ფერი,
ფიქრად დაღვენთილ
ლამეებში უძილობისას
ხშირად თეთრი ხარ
უმთვაროდ თეთრი,
უცილობელი მოწამე
და განმხილველი
ჩვენი ცხოვრების
ავკარგის თუ
სხვა რამის ბევრის.

* * *

და იწვა ბინდი, ბინდი
სულში დავანებული
მიმწუხრის ბინდი,
თუმცა დრო და დრო
ეხეთქებოდა
მტკივან კედლებს
ამხედრებული,
ბობოქრობდა და იმსხვრეოდა
ვით მინის სხეული,
ილტვოდა სხივად,
ანარეკლად,
სინათლედ ქცევას,
და ამოღწევას,
ისიც დრო და დრო
როს ჯანყდებოდა,
ისე კი იყო საუკუნოდ
დავანებული
მიმწუხრის ბინდი.

სოფლურ სოფელში

სოფელში მინდა ტყის პირეთში
ან ტყესთან ახლოს
ხის ძველი სახლით
წამოსკუპულს ქვითკირის სადგომს,
ლამაზ აივნით, რიკულებით,
სამერცხულებით,
რიკულებს ზემოთ არშიებით,
ხის მაქმანებით,
სადმე ახლოს რომ ნაკადული
მორაკრაკებდეს,
ან გვიან ღამით მდინარის ხმა
მოხმიანობდეს,
ზაფხულის ხვატში მონაბერი
სიო მინდვრიდან
ყვავილთა სურნელს ანიავებდეს,
იმავ მინდვრიდან ყოველ ღამეს
ჭრიჭინების ხმა, არემარეს ახმიანებდეს,
ორლობებებში გაბნეული ფშატის ხეები
სასიამოვნო სურნელს აფრქვევდეს,
აივანზე ძილს ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ,
აბა მითხარით რა უნდა ჯობდეს,
დილის სისხამზე ნახირის ხმა,
მენახირის შეძახილები,
სოფლური დილის გათენებას
ასე გვამცნობდეს.

ჩემი ბავშვობის სოფლის სურათები

ო, როგორ მიყვარს გახსენება ჩემი ბავშვობის,
გაზაფხულიდან შემოდგომამდე არდადეგები
სოფელში ქართლის,
ნაკვერჩხალებზე შემწვარი სოკო ფოთლოვან ტყეში
და შებრანული ოდოშების ნაზი სურნელი,
ფეხებშიშველი სიარული ორლობეებში,
ყანაში ჩუმად შეპარული ცერცველასათვის,
უბეები კი გავსებული დაკროლილ თხილით,
მეველის შიში მოპარული სიმინდის და ყანის თელვისთვის.
კაკლის კუჭვისას წენგოსფერად შეღებული ტუჩების ფერი,
მწყრების ქვითქვითი,
რიკულებიან აივანზე ზაფხულში ძილი,
ყანებიდან და მინდვრებიდან მონაბერი ნიავი გრილი,
და მოტანილი მუსიკის ხმა,
ორკესტრები ჭრიჭინობლების,
რომელსაც ერთვის აივნის პირად ჩამავალი მდინარის ხმა
თუ ბანი ხევის,
დირიჟორია – ზაფხულის ლამე, მაესტრო დიდი
თიბათვის ლამის,
მოგონებებმა ისე გამართეს, წლებში წამართვან
ნაგროვნი ლამის,
მდინარეებზე ანწლის ლერებით დაგუბებული გუბელები
ჩახრიალები,

სურათებია ჩემი დროის ბავშვობისა და სოფლის
ქართლის.

სიმინდისათვის დაწნული ჯინი

და მარგილებზე ჩამოცმული ქოთნების რიგი,

შემოდგომაზე მარნის ჭერზე დაკიდული ჯაგნები და
აკიდოები, ტოტები კომშის,

ხახვისა და ნივრის გალები თუ კიდობანში დამწიფებულ
გროვები ზღმარტლის.

გიხტუნავიათ?

საბძლის ძელიდან თივას და ბზეში,

დაგილევიათ ტყეში პირქვე მწოლს მდინარის თუ ნაკადუ-
ლის ანკარა წყალი,

გამოგიხდიათ დიდ სიპ ქვაზე ნაძვის კოკობა,

ან გიჭამიათ თივის ლერზე აცმული მარწყვი.

გითამაშიათ, ან გიყურებიათ დანაობისთვის?

გიკენჭავიათ მდინარის პირას ან ხეთა ჩრდილში,

წვიმის მოსვლისას ფეხსაცმელი თუ გაგიხდიათ,

მწვანე ბილიკზე ან გზა შარაზე ფეხებშიშვლებს

თუ გაგივლიათ,

ასკილის ტოტის სალამური თუ გაგითლიათ,

ან მაყვლოვანში ხელპირი თუ გაგიმურიათ,

თუ გაგიფცქვნიათ, გიგემიათ სახრით ნაცელი ნარეკალები,
გიკეთებიათ ყაყაჩოსგან დედოფალები.

შეგიკვრიათ კი სათონე ფიჩხი თხილის წენელებით,
ან გიძებნიათ ჭანჭურებზე თეთრი ბოყვები,
არ გშინებიათ ქუხილისა ტრიალ მინდორში,
ან წვიმებისას, ადიდებულ მდინარეთა ზათქის, ღრიალის.
ასდევნებისართ ციცინათელებს ლამის წყვდიადში,
არ მოგყოლიათ პირში გემო ასკილის ფურცლის?
ან შემოდგომის პურის ცხობის დამთავრებისას
თონეებში რომ ჩაუდგამთ ღოღნოშოების,
ტყემლებისა და ჭანჭურების
დიდი ქილები,
თეთრ – ნაცრისფერი თათრული გოგრა,
თუ შავ – ყვითელა ჭრელი კვახები,
მეორე დღეს კი მიგირთმევიათ თიხის ჯამებით ქლიავის
წუა, და ბაქმაზები.
მომდევნო დღეს კი ეზო-მიდამო გავსებულია
ტყლაპის ფიცრებით,
გათუთქულ კერკის წნული ლასტებით.
ბავშვებისათვის სადგისით ხვრეტენ დაკროლილ კაკლებს,
რათა აუბან კრიალოსნად,
ძაფზე აბმული მძივ – ხრიალები.

ბავშვთა ბავშვობა და კომპიუტერი

ჩემი თაობის ბავშვობა ხომ
ეზოებში იწყებოდა,
იწყებოდა და მთავრდებოდა
ბავშვობიდან – მოზარდობამდე,
შემდეგ კი... შემდეგ
ჩვენ ბავშვობას
დაეუფლა კომპიუტერი,
ხუნდი დაადო,
დააპატიმრა ბავშვთა ბავშვობა,
დაეუფლა და გაქრა ბავშვობაც,
პერიოდი ნაირ – ნაირ თამაშებისა
ეზოს და ქუჩის კუთხე -კუნჭულში
ძრომიალი და ლალად სირბილი,
ხეზე ჩიტი თუ დამალობანა,
ვისი სული გსურს თუ ხიდობანა,
ფანტიობიდან – ფლირტობანამდე
გრძელდებოდა მათი ბავშვობა,
სადაც სწავლობდნენ
ტოლსწორებთან ურთიერთობას,
მეგობრობას, ამხანაგობას,
იხარჯებოდნენ, ივსებოდნენ,
ვითარდებოდნენ,
ბავშვურ ცხოვრებას ილალებდნენ
და იზრდებოდნენ,
ბავშვი ბავშვებთან ბავშვებურად
ყალიბდებოდნენ.

* * *

გაფრენილი სივრცე,
გაფრენილი წლები,
სიოს მონაბერი
გარდასული ხმები,
წლები, წლები, წლები,
ხანჩავლილი წყლები,
აღარ მობრუნების
სევდიანი ხმები.

* * *

ფშატი აყვავდა
ფშატის სუნი
ნიავს გაენთო,
მქრქალი სიყვითლე
მოვერცხლისფრო,
სანთლად დაენთო.

* * *

ფშატის ყვავილობამ დაიყვავილა
მისი სურნელი ქარივით გაქრა,
თავბრუდამხვევი სურვილებიც
იმ ქარებს გაჰყვა,
ცდუნებები კი სამუდამოდ
ხსოვნაში დარჩა.

* * *

ფშატის ყვავილობას
ფშატის სუნი
ქარივით დაძრწის,
ჩემშიც იჭრება,
თავგზას მიბნევს,
სიამოვნების სიმებზე
დაჰქრის.

* * *

დღე, დღე არი.
ლამე, ლამე.
შენზე ვფიქრობ
დღე და ლამე,
თუ კაცი ხარ დამაყენე
ან დღე შემეშვ
და ან ლამე.

* * *

მარტი, ბუნების გალვიძება და
იმედ დაკარგულთა მოლოდინებია,
ზამთრისგან თავდახსნილ განწყობათა
ალლუმები და
ამწვანებული სულის კორდებია,
და კიდევ ერთხელ, ცხოვრების განახლების
იმედებია.
შარახვეტია ქარბუქების თავშესაფარია,
მუსიკისა და ფერთა გამების თავშესაყარია,
და ქარგატანილ ოცნებათა ნავსაყუდარია.

რევერანსი

მწერალ და ისტორიკოს ალექსეევის მიხედვით. წიგნის ავტორია აირაპეტოვი. მხატვრული მთარგმნელი, აკაკი გელოვანი.

ჩემებურად ჩაკითხული.

ეშაფოტზე მიდიოდა დიდი პეტრეს სიყვარული

– მარია ჰამილტონი,

მიდიოდა სიყვარულისთვის

მაგრამ არა პეტრესი, არამედ სხვისი,

– ივან ორლოვის.

და პეტრე სჯიდა სიყვარულისთვის

სიყვარულისთვის არა თავისი, არამედ სხვისი.

ქალს უარი არ უთქვამს ორლოვის სიყვარულზე,

არც ეშაფოტამდე, და არც ეშაფოტზე.

შიშმა ვერ სძლია დიდ სიყვარულს

ვერ გატეხა ძლიერი სული,

მეფემ კი გასწირა სხვისკენ მიმავალი

თავის სიყვარული.

მეფემ არ შეუნდო, დასჯა გადაწყვიტა და

ჯალათს მიანდო

თვითონ კი მრისხანე და გახელებული

მაყურებელივით ამ პროცესს დაესწრო.

ამაღლებული ჰამილტონი კი

ისე ავიდა ეშაფოტზე

მასზე ასვლისას მის ხელს დაეყრდნო,

დიდის ღირსებით რევერანსი გაუკეთა და,
თხემის ადგილას, ფიცარნაგზე,
მზერა მიაპყრო.

თეთრი ემოსა, ეს ის კაბა იყო
პირველ ხილვისას რომ ემოსა ასამბლეაზე
საცეკვაოდ რომ გაიწვია დიდმა მეფემ,
რევერანსით შეხვდა მაშინაც,
მეფეს წარმოუდგა წარსულის სურათი,
წამით შეცბუნდა და, ქალი მიიზიდა
სიყვარულმა სძლია თუ შეცოდება იყო,
ალბათ შეწყალება უცებ გაიფიქრა,
მაგრამ...
ძლიერიყოფილა თავადის ასული და
ამაღლებული თვით მისი გრძნობაც,
მან არ მიიღო მეფის სიყვარული,
არც შეწყალება
და მით უმეტეს არამც და არამც
არც შეცოდება,
შეაკრთო მეფე მის თვალთა სხივმა,
ფოლადივით ცივმა
და იგრძნო თავის უძლურება,
იგრძნო და მიხვდა
რომ თვით სიკვდილზე ძლიერი იყო
ამ ქალის ნება და სიყვარული,

ბრძანებით ვერ შეაყვარებდა თავს,
უსიყვარულოდ ვერ დაეუფლებოდა მას.
თამამად გაემართა ეშაფოტისკენ
ამაყი და ნაზი, ტანკენარი ქალი
მარია ჰამილტონი,
კუნძთან მივიდა, მოხდენილად დახარა თავი.
უსიყვარულოდ კოცნასაც ვერ მიიღებდა მისგან მეფე,
დასჯის შემდეგ კი კუნძიდან აიტაცა
მისი ამაყი, ლამაზი თავი,
ხალხის წინაშე დაეწაფა მის ლამაზ ტუჩებს,
ტუჩებს რომლებიც აგრერიგად უყვარდა მაშინ,

რევერანსით შეხვდა იმპერატორს
პირველ შეხვედრაზე, პირველ ცეკვისას,
ასამბლეაზე,
რევერანსითვე განეშორა უკანასკნელად
სიკვდილმისჯილი ეშაფოტზე,
ასეთი ყოფილა მშვენიერი და ამაყი,
შოტლანდიელი ქალბატონი – მარია ჰამილტონი.

თამარ ქალო, დედოფალო

თამარ ქალო, დედოფალო,
მზის სადარო, მზე ნათელო,
ქართვლის ყველა სალოცავში
სულო ლოცვად განფენილო,
საქართველოს ბედ იღბალში
უსურვაზად ჩაგრეხილო,
მასზე ზრუნვით გაცვეთილო,
ღამეებო გატეხილო,
ნაოჭებო გაჩენილო,
სულ ბოლომდე
გახარჯულო, ორლესული
დანის პირო,
დარდით მდნარო,
ადრე მკვდარო,
ფიქრისა და სიბრძნის წყარო,
ძლიერო და შეუვალო,
ზნედიდო და ზნემაღალო,
გულზიადო, გულალალო,
ქალად ქალო ნიავქარო,
სიტურფის და ეშნის კვარო
ვარსკვლავების შესაძარო,
გულმოწყალე ქველმოქმედო
ბრძენი დიდი პაპის მგვანო,
შენი შრომით და ხელსაქმით

ქვრივ ობოლთა გამკითხავო,
გულნათელო, შუბლნათელო,
მზე დიდო და მზე მაღალო,
როგორ გვინდა შენი სიბრძნე,
შენი რჩევა დავისმაროთ,
ლირსებები დავიბრუნოთ
მუხლიც გვინდა მოვიმაგროთ.
სულს გვიბორკავს გულგრილობა
ერის ერთგულებას ვნატრობთ,
შენი თავგანწირვაც გვინდა
მაგალითად გავიხადოთ.
ფეხშიშველი წარგვიძები
იქნებ მტრები შემოგვფანტო,
შენი ლოცვით და კურთხევით
ქვეყნის ბჭენი გავიმაგროთ,
თუ დაგვჭირდა საომრადაც
ქუდზე კაცი გავიყვანოთ,
დაფ – ნაღარა ვაგუგუნოთ
და მხედრული შემოვძახოთ,
ხელაწვდილი ლოცვით ხატით,
აღჭურვილი ჭკუით ძალით,
დაგვლოცე და წარგვიძები
სხივმოსილო დედოფალო.

ბარად ჩამოსულ მთიელ ქალ-ვაჟს

ჯერ კიდევ მანამ, სანამ მასიურად
დაიწყებდა დაცლას ჩვენი სოფლები.

მთიდან ბარად ჩამოლვართქაფებულო ქალო,
მთიდან ქალაქს ჩამოზვიადებულო ვაჟო,
ველ მინდვრების სურნელება გამოგყოლიათ
მზით ნაფიცხებ თივის სუნი გაგჯერებიათ,
ზღაპრებით და ლეგენდებით ჩამოქნილებო,
იისა და ფრინველთ ენით მოსაუბრენო,
პოეზიის სამყოფელის მობინადრენო
კაფიით და შაირებით მოშაირენო.

მკერდსავსევ და ფეხშიშველავ
ქერა ქალო, ნატვრის თვალო,
იანვარშიც ალუბალი ლოყას გიმწიფს
ამორძალო,
თმები ოქროსფრად გიბრწყინავს
და ოქროს ცეცხლი გინთია,
ქალაქად ჩამოხეტება ნეტავ ვინ
გულქვამ გირჩია.
ან შენ ვინ დაგაავადა
ამ სენით ვაჟო მთიელო
კაცო კაცურად გაზრდილო
ლომგულო დუშმანტიელო,

ასფალტს არ ხტიან ჯიხვები
კლდეებს ვერ ელევიანო,
ქალაქად რისთვის ჩამოხველ
ვაჟუაცო, თვალებ მზიანო

მზით გაფიცხებულ თივის სუნს
ვით ედრება ასფალტის სუნი
ან ცად აზიდულ მაღალ მთებს თუ,
კრიალა ლაჟვარდს, ქალაქის მუნი.
ვერა დარბაზი, ვერც კონცერტი
ვერ შეედრება
ვრცელი ველების სიმფონიას
მთის და ტყის ზღაპრებს.
და გაზაფხულზე გადმოფრენილ
ფრინველთა ორკესტრს,
მათ შესრულებულ ოდას სიცოცხლის
და გაზაფხულის,
ან ვერნისაჟზე შეხვდებით სადმე
ისეთ პალიტრას და ისეთ ფერებს
მთაში რომ იცის ზაფხულის და
შემოდგომის პირს,
ან საშობაოდ თოვლის საბნებით
თვალუწვდენელ და, ცადაზიდულ
მოიისფრო თოვლიან ველებს,

ვერც გაზაფხულზე მოგიტანენ
ჭრელი ხურჯინით
ველურ ყვავილთა სურნელებას და,
მზისფერ ფერებს
ძვირფასს დაკარგავთ, იაფს შეიძენთ
ფერს დაუკარგავთ მრავალშამიერს
გააღარიბებთ ქვეყნისა და
კუთხეების ეშხს.

* * *

გინახავთ გაზაფხულზე
ტყემლების თოვა?
თოვს და ფარფატებს ფიფქები,
სულს ავსებს საამო ფრიალით
სულ ერთი ბეწვა, ციცქენები.
ნუშს ფანტელები მოუსხამს,
ტყემალს აწვალებს ფიქრები,
ასე ზღაპრულად ლამაზი
ნეტავ როდემდე ვიქნები.

* * *

თუ დამიძახებ მე მოვალ შენთან,
ადრე ზაფხულზე ან გაზაფხულზე
დამიძახე და უთუოდ მოვალ,
და ტანთ მეცმევა გაზაფხულები
ვით სამეჯლისო ფარჩის კაბები,
ფეხთ გვირილები დამიმშვენებენ
თავზე შროშანის ბალჩა-ბალები.

სიზმარი

სიზმრებში გეძებ და ვეღარ გაგნებ
გზა ამერია ლაპირინთებში,
იქნებ გპოულობ და ვეღარა გცნობ
გადავიღალე ამდენ ხილვებში,
მოლოდინებმაც ჩაიარეს გაუჩინარდნენ,
და ჩუმმა სევდამ გაიყვავილა,
სულის მხნეობამ გზა უტია
ნალვლიან ფიქრებს,
იმედებმა კი სამუდამოდ დაიყვავილა,
მაგრამ ერთ დილას ნასიზმრალი
ურუოლამ შემაკრთო
სითბოს ნაკადმა მთელ სხეულში გადამიარა,
და მე ვიგრძენი ნაცნობი სითბო,
სუნი და გემო, თმის და ბაგენის,
ყველა დარდმა და ყველა ფიქრმა გადამიარა.

* * *

ცარიელი ვარ, დაცლილი ვარ,
დაშრეტილი ვარ,
აზრებით, გრძნობებით, განცდებით,
გაცვეთილი და გადაღლილი ვარ
წლებით კი არა,
უსასოო და უსიხარულო განცდებით,
მოლოდინებით, გაცრუებული იმედებით,
აუხდენელი ნატვრებით.
თუ მომაბრუნებს შემოდგომის პირს
სიხარულების თავსხმა და თქეში,
სულს ყვავილები ააფერადებს
ფერთაცვალების თვეში,
თუნდაც ცოტა ხნით, ერთ გაელვებით
მზე ჩამეხლართოს ბედში
სული აივსოს ბედნიერებით
სიამეების რთველში.

* * *

შენი სულისკენ
მომავალ გზებს
ბილიკად დავქნი,
ჩამოვარიგებ
ბილიკის პირად
ველურ გვირილებს,
სათნოების სათუთაა და
უნაზეს ყლორტებს
წყლით დავარწყულებ,
ყანასავით ავაპიპინებ,
შენი ცხოვრების
უფერულ სივრცის
დღეებს დავითვლი და
ყველას ერთად აგიმღერებ,
აგილიმილებ.
შენზედ ვილოცებ
ვით ტაძრის ხატზე
ოღონდ დალმართზე
შემომეშველე,
თუ გამიჭირდა,
გზას გამინვიმდა,
სულს დამიმიმდა,
გამიჩუმდი და შემომეყენე,
სულის ყავარჯინად შემომიდექი და
სასიცოცხლო სული შთამბერე.

ვნებათა ბრუნვა

გალლვა ვნება და,
გაუღინთა ჰაერი
მიწაში დაიწყო უონვა,
სარეცლად ირჩია
მსუყე ნიადაგი
მიწას ჩაეთანგა ვნება,
მიწამ დაარწყულა
ვნებათა ცელებით
ნახლართი ფესვები
სეთა,
ვაზები დარწყულდნენ
ვნებათა ხელებით,
სხეულს ჩაეღვარათ ბნედა.
მზემ სული შთაბერა
და კვლავ გააცოცხლა
ლერწს გადატანილი
სევდა,
სევდა სიყვარულის
ლხენა სიხარულის,
ნაყოფში გასული გზნება,
მზით გაელვებული
მზით გამზევებული
ღვინოში დაინთო ვნება.

ოთხმოცდაათიანი წლები.

შემოდგომაა, გარეთ ცივა,
სახლში ვარ მარტო,
ეს სიმარტოვე მომეჩვია
როგორც ფინია,
ვერ გავექეცი, ვერსად წაველ,
ვერ დავემალე,
და რა ძნელია როცა ცივა
და გვიანია,
მარტოდ მარტო ხარ, სიბნელეა
და სიწყნარეა,
სახლში თუმც თბილა,
სულში ცივა და წყვდიადია,
ვერ მოვუყარე თავი ფიქრებს
ვერც დავალწიე,
ოცნებები კი რა ხანია გამომელია
გაუსაძლისდა სიმარტოვე
ალბათ ბედია,
კარგა ხანია არც კარისკენ გამიხედია
არავის ველი, არც არვინ მოვა
წუთებმა საათს დრო მიალია,
გარედ კი უინულავს და გვიანია
„დრო დროში გარბის“და გაილია
წლები უჩემოდ სად დაილია.

და წლების მერე...

და, წლების მერე...
გადავიარე ძველი უბნის
ძველი ტყე პარკი და
გულს სევდა შემომაწვა,
შემოდგომაზე ძირს დაგებულმა
ხმელმა ფოთლებმა
ჩურჩული იწყეს თითქოს
და წლები ხელში
ერთბაშად შემომაცვდა,
მოგონებებმა გადამახედეს
იმ ძველ წარსულში,
საჭაც სევდისგან გადაცრეცილი
ახალგაზრდობა დამრჩა.
იმ ბილიკებზე გაიარა ჩემმა ბავშვობამ,
ყმაწვილქალობაც იმ ბილიკებზე დარჩა.
სამსახურიდან, ბავშვთა ბალიდან,
მოგვიანებით შემდეგ სკოლიდან
შემოკლებული ჩვენი სახლის გზა
გადმოდიოდა იმ ძველ პარკიდან,
ხელჩაკიდებულ ორი ქალიდან
ორივე იყო მიტოვებული,
ორი სხვადასხვა ასაკის ქალი
ერთი ზრდასრული, მეორე ბავშვი,
მიუყვებოდით ყოველ ცისმარე

ტყე პარკის ბილიკს, ატრაქციონებს,
წვიმით სველ მერხებს, მწვანე გაზონებს.
შემოდგომით კი გზად მოგყვებოდა
ფოთლებისფერი შემოდგომის მზე,
მქრქალი სიყვითლე და სიმარტოვე,
ამ სიყვითლეში მზისფერ განწყობას
ვინარჩუნებდით გაზაფხულამდე,
და გაზაფხულის მოლოდინში
ფერიცვალობდა სულის განწყობა,
გადადიოდა ვარდისფერში
და კვლავ დარობდა.
ბავშვის თვალებში ჩუმი სევდა
სადღაც ქრებოდა, სადღაც გარბოდა.

* * *

მზე ჩემი ცხოვრების გადაიხარა,
გაიცრიცა, გადაიღალა,
ჩემი წილი მზის სიკაშვაშე
და სიმხურვალე
დრომ გაახუნა, გაანელა, და
მიაწყნარა.

სითბო, — სითბო ხომ დარჩა
ნარჩენი სითბო სიმხურვალისა,
ნაზი ინტიმის მკრთალი შუქი
სიკაშვაშისა,
მე ხომ მეყოფა დაზამთრებამდე
გასათბობად, გასალალებლად,
ჯერ ადრეული შემოდგომაა და
სიბერემდე კაი გზა დარჩა,
მე ის მეყოფა სალამოდან
გვიან ლამემდე,
სითბო, სინათლე, მილეული
მშვენიერება,
მშვენიერება მზის ჩასვლისა
მზის დაისისა,
და მიმწერისას ელეგიურ
მშვენიერების,
სიმშვიდისა და სილამაზის
ბოლო შეგრძნების,
მოკრძალებული საამო განცდა.

* * *

პატიმრობა ხომ საშინელებაა
მაგრამ, შენს გვერდით ხომ არიან
შენ ბედ ქვეშ მყოფნი
და ეს როგორლაც ნუგეშიცაა
თითქოს,
რაც მთავარია არის იმედი
რომელიც ყოფას გინათებს და
კიდევაც გითბობს,
გიახლოვდება თავისუფლება
თუმც ძალზედ წელა,
ეს გასულდგმულებს და
ძალას გმატებს თითქოს.

მაგრამ:

თუ თავისუფალი ხარ და არ იცი რა აკეთო,
თუ თავისუფალი ხარ და არავის ჭირდები,
თუ თავისუფალი ხარ და ოთხ კედელში ხარ მარტო
და არც წინაა რაიმე იმედი,
წინ სიბერეა და სიმარტოვე,
და რაც ბერდები მით მარტო რჩები,
ეს ტკივილია ტკივილზე დიდი,
საშინელება არ არსებობს ამაზე მეტი.

* * *

ყველას თავისი საზრუნავი აქვს
ვინ რაზე ფიქრობს,
რას ზეიმობს,
რა უხარია,
ყველას თავისი ცხოვრება აქვს
თავის კალო აქვს,
ჩემთვის კი ალბათ ალარავის
არა სცალია,
და ჩემთვის ვფიქრობ,
და ეს ფიქრი
თუმც გვიანია,
ვიდრემდე დგეხარ, ვიდრე დროა
და ფინალია,
თუ შენი ვალი მოიხადე
როგორც შესძელი,
რაც მოასწარი როგორც შესძელ
ისე შეჰქმენი,
შენი ძალა თუ არ დაზოგე
თუ ამონურე
და მტევანივით შენი ჯანი
სულ გამონურე,
ახლა მარტო ხარ
თუმც ყველა გყავს
თავის ბუდეს შეყუულები,

ეს გაძლებინებს და გაცოცხლებს
– კია ნუგეში,
მაგრამ თუ მაინც მარტო ითვლი
ლამეს და დღეებს,
სიმარტოვე კი გულს გინურავს
და გითვლის დღეებს,
სულს ელექტა ნალვლისფერი
მწარე ღრუბელი,
ნიფლის კვირტივით რჩება მხოლოდ
ერთი იმედი,
სიმარტოვისგან გასაქცევი
ნავსაყუდელი.

მარტოსული

მე მომისაჯა ბედისწერამ მარტოსულობა,
მარტოსულობის შხამი და ხიბლი,
ვარ განკარგული სიმარტოვის ყრუ ტალანეთში
სიმარტოვისკენ სურვილით თუმც
არასდროს ვიღტვი,
დაბადების და სიკვდილის დროს მარტოა ყველა,
ცხოვრებაში კი ვერ მარტოობს ზოგი ვერც წამით,
მხარს ვერ უქცევენ ხმაურიან ხალხის აურას
ვერ გამოგლიჯეს წუთისოფელს ვერც ერთი წამი
რომ გაესინჯათ მარტოობის ხიბლი და შხამი.
დიახ, არსებობს ჯოჯოხეთი მარტოობისა
და მარტოობის დღესასწაულიც,
და მე მარტო ვარ ჩემ ყოფაში და სამყაროში
ჩემი სული კი ნაჭუჭშია გამომწყვდეული,
ფრთებისთქარუნა ღალლებივით ფრთებ შეკვეცილი,
მარტოსულობის შხამით და ხიბლით გაჯერებული,
დიახ ხიბლითაც, სიმარტოვეს თავის ხიბლიც აქვს,
ლამაზი სევდა მელანქოლიის,
დღესასწაული მარტოობის სულ სხვაგვარია,
სიმშვიდისა და სიმარტოვის სასწაულია,
სიმარტოვეში ხშირად ხდება მოგზაურობა
სულის შორეთის ფერადოვან ლაპირინთებში,
გაფანტული ხარ სიმარტოვის რუს სამყაროში
ედემში ფეთქავ გაშენებულს ცრემლების ტბაში,

შენი გაქვს ხედვა, შენი რწმენა, შენი შეგრძნება,
შენი ვნებები და ხილვები, შენი ფერები,
ეს არის ხიბლი, ხიბლი თუ აქვს მარტოსულობას,
და აქვე არის სიმარტოვის ყრუ ჯოჯოხეთი,
შენი არ ესმით, ვერ ხედავენ არ სურთ გაიგონ
შენ რაც აღვაფრენს, გულგრილობის ზღვაში მიცურავს
არვის სურს შენი აზრის აზრი გაიზიაროს,
შენი ვნებები ისე დაგწვავს, ისე დაგბუგავს,
ალს რომ ვერავინ ვერ შენიშნავს, ვერვინ შეხედავს,
დიდი ტკივილი ისე დაგგრეხს ისე დაგწურავს,
სხვა ვერ შეიგრძნობს, ვერც მიხვდება, ვერც დაინახავს,
ვერც შენ საფიქრალს ვერ იფიქრებს, ვერ მიგიხვდება,
გვერდით ვერავინ გაჭირვებულს ვერ დაგიდგება,
ვერც შენ გულის ჭირს და სატკივარს გაინაწილებს
და ვერც ვერავინ გაითავისებს.

ისევ მარტოსულზე

თუ არვის ეძებ,
თუ არვინ გეძებს,
არვის ახსოვხარ
არვის ჭირდები,
ვერც შენ იჭირვებ
ხელს ვერ იშვერ
ყურადღებისთვის
სამათხოვროდ ხომ ვერ
გაირვები,
მთავარია რომ ვინმეს
დაჭირდე
შენ ცხოვრებას რომ
აზრი დაედოს?...
შენ რომ დაგჭირდეს
შეხსენება საკუთარ თავის,
შეახსენებ კი?.....
-ძალიან ვეჭვობ.
შენნაირებიც ხომ არიან
ამ ქვეყანაზე,
თუმც იშვიათად მაგრამ,
ხომ მაინც,
არსებობენ და სიმარტოვეს
ეწირებიან,
ჩუმად მოდიან და ჩუმადვე
იკარგებიან.

* * *

მეორედ მოსვლას ჰგავდა
თეთრად აფეთქება
ტყემლების, ნუშების, ვაშლების,
იმ ცივ ზამთარში
პირველ თოვლობისას
ზღაპრულ სამყაროს ჰგავდა
ფიფქებით გადაბარდნილი
ბალები.
ედემის ბალივით
თეთრადა ჰყვაოდა
ვით სემირამიდას ბალები.

* * *

აფეთქდებიან ტყემლები და ალუჩები
ამზევდებიან კორდები და მთაგორები,
მოვარდებიან გაზაფხულის ნიაღვრები
წალეკავენ ნაზამთრალ დარდებს,
გამოჩნდებიან იმედის ქარავნები
კვლავ ააგებენ ოცნების ტაძრებს.

ოთხმოცდაათიანი წლები

ახლა ვეღარ ვცნობ
ვერც ქალაქს, ვერც ხალხს,
გაუცხოებულს, ყველაფრით დაღლილს,
თითქოს სასწრაფოდ მოუკრეფიათ
და სასჯელი აქვთ მოსახდელი
ერთად ცხოვრების და ერთად ყოფნის,
ყველაფერი აქვთ შეფასებული
ყველაფრის ფასი სულ ყველამ იცის,
მაგრამ მთავარი ფასეულობის
ღირებულება აღარ ახსოვთ, აღარვინ იცის,
დაკარგულია თბილისის სახე
მაჯისცემასაც ვეღარ გრძნობენ არც არვინ იცის,
რაც ჩამოვწერეთ, ჩამოვაფასეთ
სხვისი სედვით და სხვისი მიბაძვით,
იქნებ ის უფრო მეტ ეშხს გვაძლევდა
გამოგვარჩევდა ჩვენეულ სახით.

გოგონას სიზმარი

მზის კალთაში გავიღვიძე
ცაში ამოვმზევდი,
მზის სხივებში ვიბანავე
ვარცლი მედგა მზესი,
ნისლის კაბა გადამაცვეს
ბროლის კოშკში დამასახლეს
ტახტიც დამხვდა ბროლის,
ბროლის ქოშები მომართვეს
კაბაც მომცეს მოვის,
დედოფლობა მომილოცეს
ყინულისფერ სივრცის,
მაგრამ ყინვას ვერ გავუძელ
სიცივისფერ ნისლის,
გავიხადე კაბა მოვის,
მივატოვე ტახტი, კოშკი,
დედოფლობას შეველიე
გავიხადე ბროლის ქოში,
ღრუბლის ფთილებს შემოვეკარ
ცისქვეშეთში ჩამოვმზევდი.

ნუ დაივიწყებ

რატომ იმეტებ
წუთებს და წამებს
სათუთ განცდებს,
ურუოლას და ღელვას
წაცარ მიყრილს
დასავიწყებლად.
წურც დაპირებებს
წინასწარ თქმულს
წურც მოლოდინებს
აუხდენელს,
ნუ გაიმეტებთ დასავიწყებლად,
მე ვერ ვპატიობ ხსოვნის საცავს
ყველაფრის წაშლას,
და მხოლოდ წარსულს
მივაბარე
რაღაცა დროით,
ვერ გავიმეტე დასავიწყებლად.

* * *

თუ ხარ მდიდარი
ფლობ ქონებას
ადგილ მამულებს,
სრა სასახლეებს,
ციხე კოშკებს,
ულევ სიმდიდრეს,
დროებითია ყველაფერი
და რაც შენია,
გიშოვია თუ გიპოვია
შეგიძენია,
რაც კი გეკუთვნის
ყველაფერი დროებითია,
ვიდრე არსებობ, ვიდრე სუნთქავ,
ვიდრე იქნები,
მხოლოდ სახელი გადაგყვება
საიქიოში
აქ კი დარჩება შენი ხსოვნა, სახსენებელი.

ძველით ახალ წელს

ძველით ახალ წელს
თუმც მაინც ახალს,
ვარ მუზეუმში
ვზივარ სულ მარტო,
თეთრ როიალთან
მდუმარესთან დადუმებული
გავცქერ ქაშუეთს,
მრავლის მომსწრეს
შევთხოვ სათხოვარს:
რომ კვლავ დამასწროს
მრავალ ახალს...
რადგან გავლიე
თითქმის უკვე
წუთისოფელი,
წუთი კი სოფლის
ხანმოკლეა ვით გაელვება,
თუნდაც ითვლიდეს ათ ათეულს
გვემოკლება, გვეცოტავება.

* * *

საოცარია ეს ცხოვრება
წუთისოფელი,
ადამთა მოდგმის
წასვლა მოსვლის
დანიშნულება,
ზოგი მიდის და ზოგი მოდის,
მოდის ხმაურით,
მიდის კი ჩუმად უხმაუროდ
დროის სივრცეში უკვალოდ ქრება,
დროის კანონი გადაშლის და
განაქარვებს დროებით მდგმურებს,
მივიწყებათა არეალში
გაახვევს ყველას.

გამოდარება

ქუხილი მუქარად მივიღე
ჭექა გაფრთხილებად მექცა,
ელვამ თვალები გადამიბრიალა
თქეშის მოლოდინი შიშად გადამექცა.

მაგრამ ყველაფერმა რომ გადაიარა
ცამ გადაიკარა და გამოიდარა,
ფრინველთა უივუივმა ფეხზე დამაყენა
სული გამითბო და შიშმა გამიარა.

ასეა ყოველთვის თუ ბედმა გაგწირა
განსაცდელს ვერასგზით თუ ვერ აგაცილა
გამოდარების იმედები უნდა ახარო
წამოსადგომად იბრძოლო და
კვლავ გაიხარო.

* * *

ზათქით მიუგდეთ
მზის ნიალვარი
უნუგეშო სულს,
ქარს გაატანეთ
ძველი დარდები,
ამოფერთხეთ და ამოაშრეთ
მელანქოლია,
სულს შეუსახლეთ
ციცინათლები,
ჩაუდგათუნეთ სიხარულის
დიდი ჩანჩქრები,
აყურყუმალეთ ლხენის მორევში
სული ეული და ნაწამები.

* * *

სხივმა გაადნო ცივი ყინული,
კაცის გულში კი ვერ შეალწია,
ქალმა იპოვა ის გასაღები
კაცს რომ მოარგო და შეუტია,
ააფარფატა, ააშრიალა,
რა მოუვიდა ვერ გაუგია.

* * *

სულის ჭრილობებს აულოკავს
ქარი კიდეებს
და მოგონებებს შემოდგომა
ფოთლებს მიაყრის,
ქუჩის ძალლივით შიშჩამდგარი
თვალებით ივლი
მოუშუშებელ იარების კვლავ
ტკენის შიშით,
რადგან თვალებში სევდა ისე
ჩაბუდებულა
რომ მას ვერ წაშლის ნილბისებრი
ჩუმი ღიმილი,
ახალ ცხოვრების დაწყებას თუ
კვლავ შეეცდები,
ან გაგიმართლებს და ან ჩვეულ
ბილიკით ივლი
თუ ვერ ამოშლი წარსულის სევდას,
და დავიწყების ყვითელ ფოთლებს
თუ ვერ მიაყრი.

ოთხმოცდაათიანი წლები.

მე მეთოთხმეტე სართულზე
ვცხოვრობ
თითქმის ცაში ვარ
გაკიდებული,
ცასთან ახლო ვარ
მზესთან ახლო ვარ
მიწას და ცას ვარ გამოდებული,
ხალხს კი ვეცოდები
– დენი არაო,
– ლიფტი არაო,
– რა მაღალიაო, რა ძნელიაო,
მე კი არ ვნაღვლობ უდენობას
არც ულიფტობას,
რადგან ჩიორა ყველაზე მაღლა
ხის კენწეროზე იკეთებს ბინას
ცისკენ მიფრინავს
მზისკენ ილტვის
ფრენის ილეთებს ცაში იხვენავს.
ჩიორა არ ვარ მაგრამ ეს ბინა
ნამდვილად არის ჩემი საუფლო,
ასე მგონია ხელის გულზე ვარ
და ამ ქალაქის შემადგენელი
სულ პანაწინა მზის ნაწილი ვარ.

* * *

შემოდგომა აბდლვრიალდა
ნაირ ნაირ ფერებში,
ვერნისაჟი ხომ არაა
ჭალებსა და ტყეებში,
ფოთლოვანი მოდელებიც
აფერადნენ კაბებში,
წიწოვნები შემოსილან
მუქი ფერის ფრაკებში,
კარნავალი გამართულა
ტყეებსა და ჭალებში.

აპრილი

შემომეპარა აპრილი
იმედს კვირტები დაასკდა,
მომავლის რწმენით აღვსილი
ძარღვებში სისხლი აჩქაფდა.

სურვილებს თავს ვედარ ვუყრი
ჟრუანტელსა მგვრის წადილი,
მინდორში ყვავილებივით
ჩემში ბიბინებს აპრილი.

* * *

ცხოვრების კალოზე
გალენილი ვარ,
ცხოვრების კალოზე
გაფშვნეტილი ვარ,
კევრის ქვეშ ნალენი
ხმელი ნათიბი ვარ,
ხორბალგამოცლილი
ხმელი ქათიბი ვარ,
უბედო ბედი ვარ,
უბელო ცხენი ვარ,
უჩინო სხივი ვარ,
უენო ყბედი ვარ,
ვდუღვარ ვიყინები
და მაინც თბილი ვარ,
ისე აღვიგვები
ცხოვრების კალოდან
ქარგადატანილი
ბზის ერთი ზვინი ვარ.

მარტი

აი უკვე მარტია
იმედების მანტია,
გაზაფხულის მაცნეა
გიუმაჟი და ანცია.

როცა ტირის იუინულება
იცინის და იცისკრება,
ზოგჯერ თოვად იბარდნება,
ხოლო ზოგჯერ იბადრება.

მარტი მაინც მარტია
მაინც ცვალებადია,
გაზაფხულის მაცნეა
გიუმაჟი და ანცია.

გაზაფხული

გაზაფხული ყოჩივარდებით მოფარდაგებული
ველ მინდვრებია,
ია იების და ფურისულების სუნგამჯდარი
შხაპუნებია,
იასამნის ტევრში გამოჭიატებული
მზის სხივებია,
ჭექა ქუხილის ძალის სიხარულებია და
ოცნებების აფეთქებებია,
მოენძელებულ ბილიკებთან მორაკრაკე
ნაკადულებია,
ჩირგვებში გატრუნულ ია-იების და,
გზად ჩამორიგებულ გვირილების ეშხია,
ფრინველების უივუივი და ჩიტუნების კრინია,
გაზაფხული სადედოფლოდ შემოსილი
ბუნების და სილამაზის ლხინია.

**შენი ცხოვრების ოთხი დრო
(გულიკო ტალაშვილს)**

0-25

ორმოცდაათს მიაღწიე
დარჩა ერთი მაგდენი,
გაიარე გაზაფხული
ოცნებები რამდენი,
მირაჟები, მიმოზები,
გვირილების ფურცელები,
ოცდახუთჯერ გადათვალე
გაზაფხულის ფურცლები.

25-50

ოცდახუთიც ზაფხულს გაჰყვა
ჭრელა-ჭრულა ამბებით
პრანჭეა-გრეხვით, კეკლუცობით
დაუვიწყარ განცდებით.
სიბერისთვის დაგროვილი
ნაირ-ნაირ ამბებით,
ესეც შენი ნახევარი
საუკუნე ნარბენი.

50-75

ახლა გელის შემოდგომა
თავის ლამაზ ფერებით,
ოცდახუთიც შემოდგომის
მოდის ვნებათლელვები,
მინორული ჰანგებით და
პასტელური ფერებით,
წლებით, დაბრძნილ აზრებით და,
დადუღებულ ვნებებით.

75-100

ხოლო ზამთრის ოცდახუთი
ჯერ ძალიან შორია,
შვილიშვილთა შორის ყოფნა
კვლავ ბავშვობის ტოლია.

იასამანი

იასამანმა მოიტანა გაზაფხულის
ეშხი და სუნთქვა
და მთელი სახლი გააჯერა მისმა სურნელმა,
მე მისი სუნი უჩვეულო განწყობას მიქმნის
მაგონებს რაღაც შორეულს და რაღაცას ძვირფასა.
და მე ვიგონებ ყველა განვლილ იასამნობას,
თავს ვერ ვიოკებ გახსენების ურუანტელისგან
ჩემი ცხოვრების გაზაფხულებს რომ გადავფურცლავ
მზებს ამოვერეფ ყველა მათგანის გახსენებიდან.

* * *

არც ქარი მიყვარს ქარში,
არც წევიმა მიყვარს კარში,
ქარწვიმა მიყვარს სახლში,
ბუხართან ახლოს
საქანელიან სკამში,
წიგნს თუ ვკითხულობ რაშიც
მეხთატეხა და თქეში
აწევს რბილსა და ძვალში
ქარწვიმა მაშინ კარგო,
შინაც მიყვარს და კარშიც.

სექსი და სიყვარული

სითბოს, სინაზის, ნეტარების ურუანტელი და,
გამხელილ გაუმხელელ სიყვარულის თვალთა ალერსი,
მის გვერით დგომა და დამუხტვა მისი სურვილით,
რიდით და კრძალვით,
ძრწოლა და თრთოლა, კვლავ ურუანტელი,
ლაგამმოდებულ სიყვარულის ნაზი განცდები,
თუ,
უკიდეგანო, აღვირმიშვებულ ვნებათ თუხთუხი
სექსით თრობა და სექსით გათანგვა,
ლტოლვა უგანო და უნაპირო
განცხრომა მაძლრის, თავის დაკარგვა.

ალბათ ორივეს, მაგრამ ცალკე, რომელს ირჩევდით?
ერთად კარგია მაგრამ, თუ რჩევაა
პირველს ვირჩევდი,
ამ სიყვარულში გამხელილი არაა რაღაც
და არც ბოლომდე ამოწურული,
ყველაფერი შენ არ გეუუთვნის, ზოგჯერ კი თავიც,
რაღაც სხვა არის ამოუხსნელ ამაღლებული,
ამ ურუოლას მეტი სიამე ახლავს
და არ ხუნდება სექსის კარამდის,
მასშია თითქმის ზეციურიც და მიწიერიც.
უმისოდ სექსი სიგიშეა აზვირთებული,
განცხრომის ცეცხლი ხანმოკლეა, ხანდალეული,
სიამოვნების ფიალა ხომ იქ თავდება სადაც იცლება,
ვნებათა ცეცხლი ზღვარგადასული.

* * *

ჩემი ფანჯრის ნინ
დიდი ნაძვია,
მუქ სიმწვანიდან
რომ იჭყიტება,
ყვითელნისკარტა
ჩემი შაშვია.
თუ უხარია
სულ ჭახჭახებს
აკლებული ვარ,
თუ მოიწყინა აბუზულია,
ვესაუბრები, მეჭორავება,
ყოველ სიტყვაზე მეხმიანება
ვიდრე დალანდავს
გულისსწორს და,
თვალი თუ მოჰკრა.....
აა, მაშინ ნახეთ აჭახჭახება
ტოტიდან ტოტზე
სკუპ-სკუპი და აფართხალება,
ჩემ ჭორიკანას სულ ვავიწყდები
ვიღას ვჭირდები, ვიღას ვახსოვარ.

გარდავიქმნები

გავდევნი ღრუბლებს
გადავრეკავ სხვა სამყაროში,
ჭირხლს მოვაცილებ
მკაცრ ზამთარში
დაორთქლილ მინებს,
ნაცარს მივაყრი მოგონებებს
სევდით მორთულებს,
და ველური ბლის
მწარე გემოს გადავაყოლებ.
ახალ ფურცელს ვშლი,
ახლებურად ვაპირებ სუნთქვას,
და ახალი დღის შესახვედრად
ვცარიელდები,
ვცარიელდები რომ ავივსო
ახალ ცხოვრებით,
გარდავიქმნები, ახლებურად
გარდავიქმნები.

ქარი გადაგვის ქუჩებს

ქარი გადაგვის ქუჩებს,
წვიმა გადარეცხს ქალაქს,
მდინარე გაწმენდს ჰაერს,
მზე აუთოვებს ასფალტს.

ნიავი ფოთლებს არხევს,
მტკვარი გვიყვება ამბავს,
მზე ათრობს ყურძნის
მტევნებს
წვიმა გვიყვება არაკს.

ცისკარი იხსნის კარებს
მზე გადაკოცნის ქალაქს,
ნიავი ჭორიკანა
მიყვება ჭორს და მართალს.

გრიგალი სეებს არწევს
სუსხი როს იკრებს ძალას,
ყინვა დაგვიქნევს თითს და
თოვლი გვიმზადებს საბანს.

დღე დაილევა ძალზე,
ლამე მოიკრებს ძალას,
თოვლი ჩააცმევს ქურქებს
ფიჭვებს, ნაძვებს და ალვას.

ამოვარდება მთვარე
ბნელეთს წაართმევს ძალას,
გადაანათებს ღამეს
იმედს მოუტანს ქალაქს.

ჭექა ქუხილით მოვა
გაზაფხულების წვიმა,
მოიტანს სითბოს მზეს და
გადაამწვანებს მთაბარს,

კაბებს ჩააცმევს ხეებს
აარაკრაკებს ხევებს,
გადააყვავებს ველებს
არ დაიშურებს ფერებს.

საქორნინო კაბა

ქალის ცხოვრების
ულამაზესი პერიოდი
სიყმაწვილეა და მოლოდინი,
მოლოდინი კაბის,
— საქორნინოს,
თეთრის ქათქათის,
ულამაზესის,
თეთრი შლეიფის და
თეთრი ფატის,
ნეტარების ოქრომკედით
ამოქარგულის.
ეს ის დრო არის
სულს რომ ერთვება
უფაქიზესი, უნაზესი,
სიყვარულის აბლაბუდები,
და იქსოვება მაქმანები
ოცნებებით ნაფერადები
ოცნების ფერი.

ბავშვობაში ხეტიალი

ო, როგორ მინდა
ჩემ ბავშვობას მასტუმრებინა
და ბავშვობასთან
ნატვრის ხიდი გამადებინა,
ფეხებშიშველი
ტყე ღრეს მომადო
მდინარის პირას
კენჭაობა დამაწყებინა,
ჩემ ბავშვობასთან
ძველი ზღაპრის
საქანელა გამაბმევინა,
თეთრ პირყირმიზა
მთვარის კაბა ჩამაცმევინა
და გვირილების გვირგვინები
დამაწვნევინა,
გულუბრყვილო და,
პანანინა სიხარულებით
დალლილი სული ამავსებინა.

მიწა

მიწაც იკვებება,
მიწაც იკვებება
ადამის მოდგმით.
უხსოვარ დროდან
ადამის დლიდან,
ასე იყო და
ასეა დღემდის.
დრო და დრო იგი საფლავის სახით
გადასაყლაპად ფართოდ აღებს პირს,
სანამ ზღაპრული გველეშაპივით
არ მიართმევენ ახალ შესაწირს,
იგი არ არჩევს ავსა და კარგს,
ბოროტს და კეთილს,
უშნოს და ლამაზს
მდიდარს და ღარიბს,
ვერა სიდიდე, ვერც სიმრავლე
ვერ უვსებს სტომაქს, ვერ უკლავს შიმშილს,
იგი ჩვენვე გვგავს, რომ გამოვზრდით
ფრინველს, საქონელს ზრუნვით და შრომით
შემდეგ კი ჩვენივ სტომაქისათვის
რომ აღარ ვინდობთ
ჩვენივ გამოზრდილს,
და მაინც არის რაღაც სხვაობა
ჩვენ მიწა გვჯობნის,
თავის სამსხვერპლოდ თავის გაზრდილს
თვითვე არა კლავს,
ის მხოლოდ შთანთქავს.

სამშობლოს განცდა

სამშობლოს განცდაა,
უცხო ქვეყნის შუკაში ყურმოკული
მრავალუამიერი და შემდეგი
წარმოდგენები:
თონიდან მოვარდნილი დედას პურის
თბილი სურნელი,
სიმინდის ნაქუჩი დარჭობილი სველი ხელადით
ღვინის სურვილი,
ბუხარს მოთუხთუხე ქოთნის ლობიო
ლორით და მწნილით, ან სულაც ნიგვზით,
თხილის ფოთლიდან მოწანწკარე ანკარა წყარო
ყინულზე ცივი
კოინდრიან თუ მოსწორებულ
კარმიდამოზე მოტანტალე
ბავშვთა ტიტინი.

როცა ქარი ქრის

არ მერომანტიკება
როცა ქარი ქრის,
დაუკითხავად თმებში
რომ დაძრნის,
დაძრნის და ლმუის
სულშიც ძვრება
დათარეშობს მიფორიაქებს,
კაბას და ფიქრებს
მიფორიალებს.
– ჰოდა არ მიყვარს,
ვერ ვიტან და არცა ვნებდები,
იქნებ იმიტომ...
გიუმაუობის ხანა და წლები
კარგა ხანია მოვილიე,
ქარს გავატანე,
თუმცა სიბერეს ვერ ვეგუები.

სიმორცხვე

ნეტავ მანახვა
თუკიდევ ყვავის,
ასულთ ლოყებზე
ფერი ძახველის,
სიმორცხვისაგან
წაკიდებული
ვარვარა ღველფის
ცხელი ალმური.
დახრილ თვალებში
საგულდაგულოდ
გადამალული
ლტოლვა ფარული,
სასურველი და თანაც
ნატრული.

პესიმისტური

სულში რამდენი უგზოუკვლო ბილიკებია
იმ ბილიკებს ვქნი, დავბოდიალობ,
და... ვბოდიალობ უსასრულოდ
უმისამართოდ,
ეს ცხოვრება ხომ ძიებაა
– დავძრნი და ვეძებ,
ლაბირინთებში ვიხლართები
და ვიკარგები,
ობობას ქსელში გამოხვეულ კრაზანასავით
ვიფიტები
ამ ხეტიალით დალლილი და სასომიხდილი
სადღაც ვჩერდები, რასღაც ვჯერდები,
დანარჩენი კი თავისით ხდება
ჩემშიც და ირგვლივ,
ერთი ფერია, ხან ფერმკრთალი
ხანაც კაშკაშა
თუმცა მე ერთი დამეუფლა
უფერო და გაწყალებული,
ის ფერი მე ვარ დალლილი და
გახუნებული,
ჰოდა არ ვეძებ, აღარ ვეძებ,
აღარც ვპოულობ,
ძებნასაც თავის დრო ჰქონია
და ეს დრო აღბათ შემომელია,
ახლა დროს მივდევ

დრო არ მიხმობს, მე მაინც მივდევ
ალარსადა და არაფერს ვეძებ
რადგანაც ვხვდები მისი პოვნა
არ მიწერია,
ჰოდა ვჩერდები, დრო არ მომდევს
მე მივყვები თოკვამობმულ
ნიშა ხარივით
თუ სასწაულით არ მეღირსა
თოკისა და უღელის ახსნა.

* * *

თიხისგან ნაძერწში
სული შთაიბერა,
ამოძრავდა და
გული აიძგერა,
ბევრით ამოივსო,
ბევრიც დაიბევა,
ადამიანად როცა
მოგვევლინა,
სურვილ-წადილებით
ვეღარ მოიპირა.

სიამოვნება

რა მოგაყენებს სიამოვნებას
რისგან იქნება გამოწვეული,
ტკბილი განცდები სიზმარეული
თუ ცხადში ასახული,
სულში და სხეულში
შმაგად დარეული,
ზოგჯერ დაბნეული
ვნება აღრეული,
ან მშვიდი და წყნარი
უსურვაზივით მონანავე
გრძნობათ თახთახის
თბილი რიალი,
მშვიდი და წყნარი,
საამური, დაუვიწყარი.

* * *

მშვენიერების განცდა
და გრძნობა
სიხარულების თქეში,
სიყვარულების კორიანტელი
ვალენტინობის თვეში.

* * *

მივწენ-მოვწენე ფთილები
ნართად დავართე ფიქრები,
გავიბევრიფრე ხილვები
ვქსოვე ფერადი რითმები.

წლებსაც შევბედე ანცობა
გავიმზისშუქე მიზნები,
ფუნჯით მოვხატე განწყობა
ვიუონგლიორე რითმებით.

* * *

ცისფერთვალება მინდვრის
ყვავილები,
ფარდაგებივით მოფენილები,
ცის ჩამონახევ ცისფერ ფარჩით
შემოსილები.
დაყვავილებულ ყვავილებზე კი, ამოსული
პანაწკინტელა „ხაჭაპურები“.

* * *

ცხოვრებამ თუ შემოგიტია,
თუ წაბორძიკვდი
– არ დაეცე!
თავს შთააგონე რომ
ნებისყოფის გამოცდაა
– არ დანებდე!
თავს შემოუძახე რომ,
ეს არც ბედია არც უბედობა
– არ შეეგუო!
არ გაბედო უმოქმედობა
და რომც წაიქცე, წამოდექი
წამოიმართე,
თავს მოატყუე, – დაგიჯერებს,
ძალით აგავსებს
და ბევრ ფათერაკს კვლავაც
აგაცდენს.

ჩვენი ხასითების მეტეოროლოგია

თ. დოსტოევსკის ერთ-ერთ ნაწარმოებში ამოვიკითხე ასეთი რამ,
„მზის ამღერება ცაზე“.

მზე – „ამომღერდა“, ცაზე აცეკვდა,
წვიმა – ჟუჟუნებს, ხანაც თქეშია,
ქარი – აზრთა თარეშია, აზრთა წრიალი
ვით ვიოლინოს სიმთა წკრიალი,
ნისლი – სევდაა, თეთრად რიალი.
თოვლი – სუდარა, ხანაც შლეიფი,
თეთრ პეპლებივით ფანტელთ ზეიმი.
ქუხილი – მუქარაა მუშტმოლერებული,
ჭექა – კი ლამის, მუნკის „კივილი“.
ელვა – მოცეკვავე, კაშკაშ-კლაკილია,
ღრუბელი – შლეიფი, ხან თალხი მანდილია.
სეტყვა – ღვთის რისხვაა თავზე დატეხილი,
თუმცა ხანმოკლე, დასავიწყებლად
ხანგაწელილი.

ყველაფერი კი ხასიათებზეა გათვლილი.

წლები

წლებს მოაქვს და
წლებს მიაქვს.
მოაქვს სიყმანვილე,
მოაქვს სიჭარმაგე,
მოაქვს მომავალი:
სურვილებით,
წყურვილებით,
ფანტაზიებით...
მიაქვს მომავალი:
ოღონდ წარმავალი,
შესაძლებლობები,
იმედები,
მოლოდინები...
რაღაც იწყება,
რაღაც მთავრდება,
რაღაცა მოაქვს
რაღაცა მიაქვს,
ეს რაღაცა კი
არ არის რაღაც,
ეს ხომ წლებია, ცხოვრებაა,
მომავალიც და მიმავალიც,
აისიცა და დაისიც.

* * *

ყვავილებო, ყვავილებო,
მშვენიერნო, ნაირფერნო,
მიჯნურთათვის ხიბლის
მფენნო,
ეზო კარმიდამოს მშვენნო
დღესასწაულების ეშხნო,
ჭირის, ლხინის ზიარნო და,
ჩვენი ყოფის დამამშვენნო.

ეკლეპტი

ეკლეპიც ჰყვავიან,
ეკლეპიც ჰყვავიან,
ამ ყვავილების
დარაჯებად გვევლინებიან.
ყვავილებით ხომ თავს
იმშვენებენ
შეხებამდე კი არვის ერჩიან
თუმცა.....
ეკლეპი ეკლად რჩებიან.

მზერა

თვალები გვკითხულობენ,
თვალები გვაფასებენ,
ამოცანებივით გვხსნიან.
შიშს გვგვრიან თუ იმედით
გვავსებენ,
გვსუსხავენ თუ გვნუსხავენ,
გვეფერებიან თუ გვკიცხავენ,
ღრმა ხედვით გვშიფრავენ.
უცნობთ ამოცნობით
სიტყვებსაც ჯაპნიან.
აზრებს ასხივებენ
ისრებათ გზავნიან,
სიყვარულს გვთავაზობენ
ან ჩვენგან გარბიან.

* * *

ველური გვირილები
მიწას გართხმულები,
მიწის და მზის სუნით
გონდაბანგულები,
უცხო სურნელ მფრქვევნი,
სიამის მგვრელნი,
ველ-მინდორთ მშვენი,
მოკრძალებულნი, თავდახრილები.

ტყის პირებზე თუ ბალნარებში კი,
აშოლტილები, ტანკენარები,
მედიდურად რომ ყელს ილერებენ,
მზისკენ და ცისკენ იმზირებიან,
მიწაზე გართხმულთ ვერც ამჩნევენ
მოძმედ არ თვლიან,
არადა მოდგმით ერთნი არიან.

* * *

ჩემი ყვავილეთი,
ჩემი ზღვა-ხმელეთი,
ცაა თავის მზეთი,
დედამიწა და ლმერთი.

* * *

თბილისში მტკაველი მიწა არ დატოვეს, სადაც ბეტონის ცათამ-
ბჯენები არ ჩაჩინორეს. მზეს, ჰაერს, სინათლეს ებრძვიან თუ ჩვენ,
უბრალო მოკვდავთ ვერ ვიგებ.

ჩვენ ქალაქში ჩიტები აღარ არიან,
ჩვენ ქალაქში ჩიტები აღარ მღერიან,
დილას ჟღურტულით არ გვითენებენ
და არც გალობით აღარ ხვდებიან,
ნელი-ნელ სადღაც იხიზნებიან.
მარტო ყვავებილა ჩნდებიან,
მარტო ყვავებილა მრავლდებიან,
და თუ ისინიც მიგვატოვებენ,
სახეცვლილ თბილისს გაექცევიან,
ასეთ ქალაქში თბილისელები,
უთბილისობას გადაჰყვებიან.

* * *

რას გაუგებ მამაკაცებს
ზოგს ჭკვიანი უყვარს ქალი
ზოგს ამაყი. ზოგს ლამაზი,
ზოგს კი მოსულელოც ლამის.

* * *

ხილვების მარათონი,
აზვირთებული წადილების,
აუხდენელი სურვილების
გამოცხადებაა თითქოს.
თუ რამ გვაკლია, თუ რამ გვწადია,
– ვაცნობიერებთ,
ვიღებთ როგორც მოცემულობას.
უკმარისობა კი, მაინც ბობოქრობს
რაღაც გროვდება, რაღაც ივსება,
გადაივსება და,
ხილვებად ფეთქდება თითქოს,
ალბათ გაფრთხილებად,
თუ დასამშვიდებლად,
ან ასაფორიაქებლად გვიხმობს.
და თუ რამ გვაკლია,
და თუ რამ გვწადია,
თუ არც ვეძებთ და
არც რას ვსაკლისობთ,
ის ჩვენში რაღაც
ღრმად ჩაძირულ-შეუცნობელი
მაინც ჯანყდება,
სიზმრებად ცხადდება,
ხილვებად გვატყყდება
და ღამე ტკბილ ძილს
გვიფრთხობს.

ଟେଲିକମ

ჩემი მეოთხმოცე შემოდგომა

თუ დამიჯერებთ ოთხმოცი არც ისე ბევრია, როგორც ახალგაზ-
რდობაში გვეჩვენება, ამას მაშინ ვხვდებით, როცა ოთხმოცს ვუ-
ახლოვდებით, და კიდევ, თუ ხალისს და ინტერესების მრავალფე-
როვნებას ვინარჩუნებთ.

ნაცემ ძალლივით მოიძურნა ეს
შემოდგომა
წელთა სიმრავლით წელში
მოხრილი,
სევდამ ჩაუქრო სიხასხასე და
ელვარება,
ვეღარ ამშვენებს ფერთა
ლივლივი,
თუმცა ბოლომდე ვერ გააქრო,
ვერც გაახუნა,
ვერცა ხალისი და ინტერესი,
ოთხმოცი თურმე არ ყოფილა
ჩამდერებული,
ჩამდერებამდე, უფლის ნებით,
ბევრ წელს მივითვლი.

* * *

დრო გავატარე,
დრო გავიყვანე,
დრო მალე გავა,
დრო მალე მიდის,
დრო რატომ არის
ასე იაფი
ასე იოლად გასამეტი
ვით ძველი ნივთი,
დრო ხომ ისედაც
წუთებში მიჰქრის
წუთებში გავა
სიცოცხლის ხიბლი,
ახალგაზრდობა უცებ გაქრება
და იქვე სადღაც სიბერე გიცდის.

* * *

სან მგონია რომ ბებერი ვარ
და ალბათ მართლაც,
მიმოვიხდავ გვერდით ვერ ვგრძნობ
ნაცნობ აურას,
ჩემ გვერდით მყოფნი
ჩემ ცხოვრების „პერსონაჟები“,
კარგა ხანია გაილალნენ
გაუდგნენ სხვა გზას.
მეუცხოება ეს გარემო
რადგანაც უკვე,
ძველი ცხოვრების ნორმები
და „თამაშის წესი“
კარგა ხანია რომ შეიცვალა
ფასეულობის ფასეულობაშ
თითქმის მთლიანად ფერი იცვალა,
გადაფასდა თუ გაუფასურდა,
საკითხავია
ყოფიერების დიდ ბაზარში
თუ ბალაგანში
დავიკარგე თუ გავუცხოვდი
შეგუება კი ვერ შევიძელ,
არ შემიძლია.
იქნება სულაც დრომ და წლებმა
გამანაპირა,
სხვა ცხოვრებიდან სხვა ყოფაში
შემომარჩინა.

* * *

პესიმისტური
ეს შემოდგომაც მიიწურა
დგება ზამთარი,
უკვე ილევა ამ ცხოვრების
დიდი დავთარი,
ქვიშის საათიც ამობრუნდა
ჩამოსაცლელად,
ულმობელი და უთმობელი
ნეტავ რად არი.
უნუგეშო და გაცრეცილი
ოჲ, – ეს ზამთარი,
მოლოდინების ამონურვით
სასოწამხდარი,
დამაიმედეთ, მანუგეშეთ
მითხარით რამე,
ხიბლიც აქვს იქნებ,
რამენაირ ან რამეგვარი.

სიბერის პირს

ვერ შევეგუე სიბერის პირს
წასვლის ჟამის მოახლოვებას,
ვერ დავიფერთხე სურვილებით
აღსავსე კალთა,
ვერც გავახუნე, ვერც ამოვნურე
საამო განცდათ მოლოდინი
მშვენიერების ხედვა და აღქმა,
ინტერესებით სავსე თასიც
ჯერ ბოლომდე არ დამიცლია,
მერე რაა რომ ეს ცხოვრება
ტაშფანდურით არ გამივლია,
მწარეც და ტკბილიც შემხვედრია
და გაუვლია.
დიაგნოზს ვისვამ:
– უკმარისობას,
უკმარისობას სიცოცხლისას და,
ვიწერ წამალს:
სიკვდილის შემდგომ
კვლავ სიცოცხლეს თუნდაც იმ ქვეყნად,
თუნდაც იმავის მეორედ გავლას.

დღემდე

ბევრი ვიარე,
ბევრი ვიფიქრე,
ბევრი ვიცინე,
ბევრიც ვიტირე,
და თუ ვილხინე
ტკივილებიც შემხვდა მრავალი
და ბილიკებიც ძნელად სავალი,
პო, ბევრი ვიარე
აქამომდე გამოვიარე
მრავალი წელი და
დავაგროვე ეს ყველაფერი,
სიხარულები, ტკივილები,
თბილი განცდები,
და სხვაც მრავალი.
და დღეს როდესაც
ამოვწურე ყველა მარაგი
განსაცდელის თუ გასავლელის,
შემთხვევითობაც,
არც არას ველი
ან რაღა დროს მოლოდინია,
ახლა იწყება ახალი ერა
ჩემი ცხოვრების,
მოგონებების თბილი პლედი შემომახვიეთ,
ჩუმი სიბერე დამიპურეთ მოგონებებით.

წარსულით ცხოვრება

წარსულით ცხოვრებას
წარსულზე ფიქრს,
წარსულზე წერას,
ბევრი არ გვირჩევს
მიზეზთა და მიზეზთა გამო,
ალბათ სწორია, ვეთანხმები,
დღევანდელ დღით
უნდა იცხოვრო,
მომავლით ისუნთქო
წინ უნდა იყურო,
მაგრამ...
თუ გზა გავლილი ხარ,
წლებშემოხარჯული,
თვალსა და ხელს შუა ხანშემოკარგული,
როგორ ვურჩიო საკუთარ თავს
ზამთრის ზღურბლზე მდგარს,
მომავლით ცხოვრება, მასზე ფიქრი,
მისი ლოდინი,
ყველაფერი ხომ ზამთრის ზღაპრის
დასასრულია და,
მომავლით ცხოვრება
სადღაც შიშაც მგვრის.

სიბერე სკამლოგინზე

მინავლებულ ბუხრის პირად
სიბერე თვლემს სკამლოგინზე,
დიდი ზამთრის გრძელ ღამეებს
ვიღაც უთვლის მწუხრის პირზე,
ფერხთით უწევს ხატაურა
დახუთული, დაგრაგნილი,
ზღაპრებს უმღერს თავის პატრონს
მონოტონურ, გაბმული ხმით.
ცხვირს სათვალე დაუცურდა
მანდილოსანს ძილპურანში,
სასთუმალთან საოჯახო ალბომი აქვს სურათების,
როგორც კერის რელიკვია
ძველი ყოფის ხილვებს იტევს,
ძილ-ღვიძილში წარსულს ხედავს
ნელა წენავს ხსოვნის ფთილებს,
თითისტარზე მწყობრად ახვევს
მოგონებებს ტკბილს და მძიმეს
და ცხოვრების დიდ ქარგაზე
იქარგება შორეული, განცდებით და მღელვარებით
განვლილი და მოლეული,
სიხარულით სავსე დღენი
წუთნი სევდა მორეულიც,
საბოლოოდ იქსოვება ზმანებები შორეული.
სურათები სურათებს ცვლის ირევიან ერთმანეთში,
ბუხრის პირად სიბერე ზის

მოგზაურობს შორეულში,
შუქჩამქრალი თვალებიდან
ელვარებენ აჩრდილები,
თავის დროზე სხივნათელნი
თავის დროზე ლამაზები.
გახსენება მოხუცს ართობს
განვლილის და შორეულის,
მაგრამ ძალას ვეღარა გრძნობს
ვნებების და იმ შეგრძნების,
ურუოლამ თუმც ვერ აიტანა
გახსენება იყო თბილი,
იყო კიდევ გულის წყვეტა
გარდასულის, გაფრენილის,
თრთოლვის, განცდის, სიხარულის,
სხვა ფერების და სხვა ძალის,
სხვა გემოს და სხვა სურნელის,
სხვა რიდის და სულ სხვა კრძალვის.
დაიღალა ქალი წლებით,
ასეთ ყოფით ამდაგვარით
ალბომს ხელი გადაუსვა
და მიღულა ისევ თვალი,
ჩანაცრდა და ჩაინავლა
საბოლოოდ ნაკვერჩხალი,
ნაცარწაყრილ მოგონებებს
წაეყარა კვლავ ნაცარი.

საგზური საიქიოს

სამოგზაუროდ ვემზადები
სხვა სამყაროში,
მიწვეული ვარ დროს დაუთქმელად,
მაგრამ მაინც ვგრძნობ დროის დასასრულს
და გამგზავრების მოახლოებას.
გამგზავრება და მოგზაურობა
უსიამოვნო არ არსებობს
ის ჩემი ჰობი იყო ყოველთვის,
რადგანაც უკან ვპრუნდებოდი და,
დაპრუნებაც გამგზავრებას
ახლდა ყოველთვის,
მაგრამ იმ გზაზე სადაც მიწვევენ
დაპრუნებული არ მინახავს
ჯერაც არავინ,
მხოლოდ ერთ იმედს ვიტოვებ მხოლოდ
თუ ამ ცხოვრების დასასრული
არის საგზური იმ ქვეყანაში,
ყველა დასასრულს დასაწყისი
მოჰყვება ხოლმე,
და იქნებ იქაც რაღაცაა დასაწყისი
ალბათ რაღაცის,
აქ დასასრულის შემდგომია იქ
გაგრძელება,
ან თუნდაც სულაც დასაწყისი
ახლის რაღაცის.

* * *

სიბერემდე ხომ არც ისე შორია
თქვენ რომ ფიქრობთ და
თქვენ რომ გგონიათ,
ბავშვობაში თუ დრო
ნელა მიდის,
ოცდაათს იქით
დარახტული რაშივით
მიჰქრის,
უკან მოხედვას ვეღარ ასწრებ
ვეღარც წლებს ითვლი
ისე გიფერავს თმას თეთრი ფიფქი.

* * *

როგორ არავის მოსწონხარ,
როგორ არავის უნდიხარ,
სულ ყველა შენზე წუნუნებს
ჭკნობაში შესულს გიწუნებს,
დღეგრძელ, გზაგრძელო სიბერევ
მაინც ხომ ყველა შენ გნატრობს
შენამდე სავალ გზებს ლამობს.

* * *

სიბერევ ჩემო
არსასურველო
და მაინც ყველა
სურვილთ სურვილო,
ყველა შენ გნატრობს
ყველა შენ გდარდობს,
და ალარ ვიცი ვის
რა ვუსურვო,
ყველა ლოცვა და
ყველა სურვილი
შენ გგულისხმობს და
შენ თავს გვთავაზობს:
დღეგრძელობაო,
სადღეგრძელოო,
„ტკბილი სიბერე“,
თუ „ასი წელი“,
– ეს სიტყვები ხომ
სიბერეს ნიშნავს
მაშ რატომაა არ
სასურველი.

* * *

სამოცს ვცილდები
სამოცდაათს ვუახლოვდები
შიში არ მიპყრობს ალსასრულისა,
რადგან არ ჩაცხრა ყველა ვნება,
ყველა სურვილი,
და ინტერესთა ფართო სპექტრი
არ გაფერმკრთალდა,
ჯერ ისევ ვილტვი, ისევ ვცდილობ
და ისევ ველი,
ველი და ვიბრძვი ცხოვრება ხომ
ჩემთვის ფრონტია,
და ჩემი კალოც გასალენია.
სასწაულისაც ისევ მჯერა აუხდენლისაც,
მიზნებიც კვლავ მაქვს
მყარად ვდგავარ არ ვაპირებ წაბორძიკებას,
დღეის დღით ვცხოვრობ
და არა შიშით, ან ხვალის ფიქრით
მე ხომ არ ვიცი რა იქნება,
თუმცა იქნება ფიქრი რად უნდა
როს გამიყენებს უფალი გზას
მოუსავლისას,
მე არვინ მკითხავს ის მაინც მოვა,
და მანამ მოვა დამაცადეთ
ცხოვრება მინდა.

სიბერე ჯილდოა

ძალიან ძნელია,
ძალიან ცუდია,
როცა გრძნობ მუხლებში
ძალა დაიღია,
ვნებების თუხთუხიც
ნელა მიინავლა
და ემოციებიც
სადღაც გაიღია,
გულდასაწყვეტია
თუმც რაღაც ხიბლია
თუნდაც ღრმა სიბერე
რა დასაჩივლია,
მასზე წუნუნი და
მასზე საყვედური,
უმადურობა და
ღმერთის აუგია,
სიბერე ჯილდოა
ღვთისგან ბოძებული
უძღვნესი ძღვენი და,
რჩეულთა ხვედრია,
ღმერთო შენ მიეცი
მრავალი წელი და,
სიბერე აღირსე
ვინც მისი ღირსია.

ცხოვრება მაინც მშვენიერია

თუ ეს ცხოვრება
მდორედ მიდის
უსიხარულოდ,
გზად იმედებიც
შემოგაცვდა
მიზნები გაქრა,
მოლოდინებიც ამოწურე
სიბერის გარდა
და ინტერესთა ყველა სფერო
გაგიფერმკრთალდა.
თუ ასაკში ხარ
ხელზე წლებიც შემოგელია,
– ცხოვრება მაინც მშვენიერია!
ცხოვრება მაინც მშვენიერია
თუნდაც ერთ კაცს თუ ჰყვარებიხარ
ამ ქვეყანაზე
თუ ვინძეს მაინც ეტკინება
შენი ტკივილი,
სულ ამაოა ჩამოთვლილი
ყველა ჩივილი.

* * *

წლები მემატება
სიბერე მეწევა,
ბევრი რამ მაკლდება
ბევრი რამ ნელდება,
ბევრი რამ ხუნდება
ბევრი რამ წყალდება,
ტკიფილი ცხარდება,
ვნებები ქარდება,
და ის რომ ხუნდება,
და ის რომ ნელდება,
ისიც რომ წყალდება,
და ის რომ ქარდება,
– წლები ხომ მაკლდება.
ბევრს თუ შეველიე
ბევრს ვეღარ ველევი,
იმედი ხან ქრება
და ისევ ხან ჩნდება,
როცა პატარები
სველ ასფალტზე
ასკინკილობენ
მაშინ მე ჩემ თავს
ცალ ფეხზე შემდგარს
თვალნათლივ ვხედავ
და, მეფონება.

* * *

სიბერეს თუ უჯანყდები
ნაოჭებსაც მტრულად უმზერ,
გულს ნაღველი ჩაიბუდე
და სევდასაც ვეღარ უძლებ,
ასე რატომ იმრიზები
სიბერეს რად ემდურები,
მან გატარა დიდი გზები
დიდი თავგადასავლებით,
დიდ ცხოვრების მოგზაურად
დაგნიშნა და მოგავლინა
რამდენ რამეს გაზიარა
დასვენება აღარ გინდა?

* * *

ჩვენი ცხოვრების ზაფხულიდან შემოდგომამდე
წუთი ყოფილა ამ მანძილის გადარბენამდე,
შემოდგომიდან ზამთრის თეთრად მობრძანებამდე
თვალის ხამხამი, გაელვება, აზრზე მოსვლამდე.
შემდეგ კი შემდეგ სიბერეა სანატრებელ – უნატრებელი,
ქრელი ზღაპრების ნაცრისფერი შეფერილობა.

სამოცის შემდეგ

მშვიდად ვუყურებ
როგორ იშრიტება
ზღვა სურვილებისა,
ოკლება ვნებები,
ხუნდება ფერები,
არც აღმაფრენები.
სულ გადაიცრიცა
ფერადი ხილვები,
გათავდა მიზნები
გაქრა, ჩაინავლა
პირადი ცხოვრება,
ლოდინიც გათავდა
და ცრუ იმედებიც,
დაიწყო სხვა ერა
და სულ სხვა ხედვები
წარსულის ფერებით,
სევდით მოკაზმული
ფერისცვალებები

* * *

კარგა ხანია ოცნებებმა დაიყვავილა
სურვილებმა კი დაიწყო ფურჩქვნა,
თუმც სურვილებმაც იცვალა ფერი
დრომ გაახუნა ეს ყველაფერი.

უფალო ღმერთო!

– ეს ფერნაცვალი სურვილები მაინც
შემარგე და, შემინარჩუნე
სიბერემდე ხომ რაღაც დრო დარჩა,
ჰოდა ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით
გამომიზოგე,
სიკვდილამდე ჯერ კაი დრო დარჩა.
უსურვილებოდ, უხალისოდ,
უინტერესოდ,
სუნთქვა არ მინდა და არც ყოფნა,
არაფრის განცდა.

* * *

არ გეგონოთ რომ დამიზამთრდა
რახან გავთეთრდი,
ჯერ ხომ სიცოცხლით არ მოვპირულვარ,
და არც ხალისი გამცვეთია,
არც წლებს დავნებდი.
ვერც ხეტიალი მოვიშალე,
ჯერ არ დავბერდი.
ალბათ დამცინებთ,
მაგრამ მაინც, დავქრივარ და,
კვლავ დავნავარდობ,
განსაკუთრებით ფიქრებში და
სიზმრებში ვლალობ,
წლების სიმძიმე ხელს არ მიშლის,
არ მეშინია,
კარგა ხანია წლებს არ ვითვლი
ისე მიჰქრიან.
ჰოდა ბევრ რამეს აღარც ვწუხვარ
და აღარც ვიშლი,
ხალისითა და ინტერესით ვიმუხტები
და ასე ვხვდები ყოველ დილას
და ყოველ მზის სხივს.

უდროოდ დაღამება და უდროო დაბერება

უდროოდ დაღამება
ამინდმა იცის
მოწმენდილ ცაზე
თავსდატეხილმა
ჩამოპნელებულ
და, ჩამოქუფრულმა.
უდროო სიბერე კი
არც დრომ იცის,
არცა ასაკმა.
ცხოვრების ამინდი
თუ აგერია,
დრო, რომელიც
მკურნალიაო,
აქ არ მუშაობს,
ვერც ამინდივით
გამოიდარებს
რადგან ტკივილი
ტოვებს ნაკვალევს,
ნაკვალევი კი
ადრე აბერებს.

დრო როცა გისწრებს

ცხოვრების გაზაფხული
უცებ ჩამიგაზაფხულდა,
ზაფხულიც ჩიტივით გამიფრინდა,
შემოდგომას ჯერ თვალი ჩავუკარ,
მერე ფეხიც კი დავუდე
ვერც შევაცდინე, ვერც წავაბორძიკე,
გრიგალივით ჩამიქროლა და,
ისიც ჩამიშემოდგომდა.
ზამთარს ბევრი ვეკეკლუცე
ფეხი რომ აეთრია,
ცხოვრების კალენდარს
თვალი მოვარიდე
ფურცლები კი, მაინც მოელია.

* * *

იმ ქვეყნად წასვლისას
თან მიგვყვება?
ფიქრები და ოცნებები,
ტკივილები და სიხარულები
ან აუსრულებელი სურვილები?
მიგვყვება თუ, ჰქონდა სადღაც,
როგორც ჩვენ ვქრებით სახიერად?
– სულს ვგულისხმობ,
სულს თუ მიჰყვება
იმიერში გადავანებულს?
– თუ, სულიც კვდება
ან ეშლება მეხსიერება და,
თავიდან იწყებს ყველაფრის ათვლას.

ისევ მოუპირებელ ცხოვრებაზე

მე ჯერ სიცოცხლით არ მოვპირულვარ,
– არ გამაგონოთ წლებზე წუნუნი!
წანწალიც მიყვარს შინ და გარედ
– მოგზაურობა,
ვერ ამოვწურე სურვილთა და ინტერესთა
უხვი მაღანი,
თუმცა აქა იქ ტკივილებიც შემხვდა
მრავალი.
ოთხმოცი უკვე ჩავიაპრილე,
ოთხმოცდაათსაც გავეკიდები
წელთა სიმრავლეს დავეჭიდები
მაშინ კი ალბათ, ხელებს ავწევ,
ან სიბერეს დაუზავდები.
ერთ ძველ სიმღერას გავიხსენებ,
ჩავიღილინებ:
„სიმდიდრეაო ჩემი წლები, „გავიმეორებ,
და ძველებურად კვლავ გავლალდები.

ახდენილ-აუხდენელი სურვილები

თუ, არაფერს ველით,
თუ არაფერს ვეძებთ,
არც რამ გვაფიქრებს,
ხილვებიც გაჰქრა,
დროის და ყოფის
მდინარებას
ჩუმად მივყვებით,
ვით შემოდგომას
მოსაწყვეტად მომლოდინე
ჭრელი ფოთლები
მოწყვეტილ წლებს
თითებზე ვითვლით
ვით კრიალოსანს.
მაგრამ, თუ უცებ
ამბოხებულ ფიქრთა
თარეში
შემოგვიქროლებს,
შეგვაჯანჯლარებს,
– თუ რამ გვაკლია,
– თუ რამ გვწადია
უცებ გვახსენებს,
უცებ გვანდომებს,
სურვილთა ჯანყი
გვაფორიაქებს,

მისი ქონაც ხომ დიდი
განძია,
ცხოვრების ხალისს
გვიბრუნებს და
იმედით გვავსებს,
მერე რაა თუ ახდენით
ვერ აგვიხდა
გზა აერია,
მოლოდინი და სურვილები
ხომ მაინც დაგვრჩა,
ჰოდა როგორც ვთქვით:
— სურვილებიც. დიდი განძია.

ନୀତି ପାଲିକାରେ ଏହା କିମ୍ବା କିମ୍ବା

* * *

უშენოდ უდაბნო ვიქნებოდი ცარიელი,
უშენოდ ხმელი ხე ვიქნებოდი უნაყოფო,
უშენოდ მოკლე იქნებოდა თვალსაწიერი
და უფერული იქნებოდა მთელი სამყარო.

* * *

სანთლად ჩამოვექნი
იმედის სხივებს,
და შენი ბედის
საკურთხეველთან,
სანთლად დავანთებ
ქარვის ფერად
ციმციმა და ელვარე
იმედს
ღმერთს შევავედრებ
შენს ბედილბალს
და შენ მომავალს,
ფერხთ გავეგები
ბედის მწერალს
ბედის მეუფეს.

* * *

ჩემო სუნთქვავ და ჩემო ჭალარავ,
ჩემ სახეზე გაჩენილმა ნაოჭებმა დაგაქალა,
ჩემ დარგულმა სიკეთის ხემ შენ ყოფაში გაიხარა,
პოეზიის სურნელებამ შენ სულშიაც დაიარა.

* * *

ჩემი ცხოვრების აზრო და ეშხო
და ინტერესო ამ ქვეყნად მოსვლის,
შრომის, ყოფის და ცხოვრების
დიდო მიზანო,
ფიქრთა სათავევ, რწმენავ და წყაროვ
მშვენიერების,
ჩემი სიმარტოვის ნუგეშო და ჩემი მარტოობის
გადამრჩენო,
ჩემი სულის ნაწილო და ჩემი შემოდგომის
გაზაფხულო,
ჩემო მომავლის შუქურავ და ჩემო სიბერის
დასაყრდენო.

პატარა დედავ

პატარა დედავ დაგარიგებ
გეტყვი ერთ რამეს,
შიგ ჩავტევ სითბოს, სიყვარულს
და მაღალს ყველაფერს,
შენს პანაწინებს
მცენარეთა სუნთქვა
შეაგრძნებინე,
ხის მოტეხილი ტოტის ტკენა
გაუტყივილე,
ხეთა შრიალი და, ჩურჩული
ზღაპრად ასმინე,
ფრინველთა დარდიც ადარდებინე,
ზამთრის ყინვაში ფანჯრის რაფას
სტუმრად მოსული ბეღურებიც
ამასპინძლე და ასტუმრებინე,
ყველა ცხოველი, საფერებელ
უფერებელი,
შეაყვარე და შეაცოდე, აპურებინე,
მშიერ ძალლისთვის ბოლო ლუკმა
გაალებინე,
ყველა ცხოველის ტკივილები
აამებინე.
შემდეგ გაუშვი ცხოვრების გზაზე
სხვათა ცოდვები ატევებინე

სხვის გასაჭირზე ნუ დააზარებ
სხვისი დარღებიც ავედრებინე,
ჩვენი ცხოვრების ავი და კარგი
ყველა თავის წილ აგემებინე,
შემდეგ კი შემდეგ თვითონ მიუშვი
თავისი თავი თუ აპოვნინე
დასათმობს დათმობს
დასაგმობს დაგმობს
და კაცურ სახელს
არასდროს დათმობს.

დედილო

ჩემო ერთო და ჩემო ნუგეშო,
როდის მაჩუქებ მოჟღურტულე
შვილიშვილებს
ვით ნიბლიებს, სულ პაწაწინებს.
როდის მაბებიებ, აკვანს როდის
დამარწევინებ,
ზღაპრების გუდას თავს როდისთვის
მომახსნევინებ,
და, ბებიობის მადლსა და გემოს
გამაგებინებ.

ლალის

ენძელების ნიავქარო
ჩემო პაწაწინა ლალო,
კოპწიავ და სასაცილო
ბებოს მარგალიტის თვალო.
ზოგჯერ ანჩხლო, კაპარჩხანა,
ზოგჯერ ტკბილო თაფლაკვერა,
ლალო ბებოს ნატვრისთვალო
მეშინია არ გაგთვალო.
ლალო, ლალო, ციცქნა ქალო,
ენძელების ნიავქარო,
ორი წელი მიითვალე
უფროსობას რატომ ჩქარობ.
ლალი ლალი ლალუკელა
ღვთისმშობლობას მოგვევლინე
შენ დღეობას ველით ყველა,
ღვთისმშობლის მადლს უკვე
გატყობთ
შენ სიტურფეს ვხედავთ ყველა,
ამის იქით რა იქნება
შენ გამოკვეთ ნელი ნელა,
შენი სწავლით შენი ქცევით
გაახარო უნდა ყველა,
გაიზარდო სასახელო
ლალი, ლალი, ლალუკელა.

შენ, ვინც დაიბადები ამაღამ

შენ ვინც დაიბადები ამაღამ
კურთხეულ იყავ ღვთის.
დაგბედებოდეს მშვენიერება
ლაუვარდისფერი ზღვის,
ულამაზესი ტყის
უკიდეგანო ცის და,
ცაში აზიდულ მთის.
ლმერთმა გიბოძოს
გაზაფხულის ნიაღვრობისას
მოვარდნილი ღვარცოფის ძალა,
სიმაღლე მთის,
სიმაგრე კლდის,
სიკამკამე ცვრის,
და ნათელი მზის.
სული გაგფურჩქვნოდეს
უნატიფესი, უმდიდრესი და
უძლიერესი.
გამოგყოლოდეს შეუპოვარი
ქარიშხლის ძალა,
სისწრაფე ქარის, და სიამაყე
ლირსეულ და თავმდაბალ კაცის,
შეცოდების და პატიების დიდი უნარი,
სიქველისა და სიყვარულის დიდი მარაგი,

აპრილების და ოქტომბრების
ეშნი სიტურფე,
ბარაქიანი ველმინდვრების
მადლი სიუხვე,
ლმერთმა ინებოს, ლმერთმა გიბოძოს,
სახელად გვარად და მისამართად
ნაირნაირი ეპითეტები, ყველა კარგები,
არ საკარგები, საამაყო და პატგივსაგები.

* * *

შვილიშვილები ვით მძივები
სამკაულები,
ჩემი ცხოვრების აკინძული
მარგალიტები,
დიდი ცხოვრების უწყვეტ ციკლად
გადაბმული ოქროს სიმები.

ჩემ შვილიშვილს – გრიგოლ ფერაძეს

ჩემს უბეში აფართქალებულო მტრედო,
ჩემ ნიაღში აღმოცენებულო ნერგო,
სულ ერთო ბეწვავ,
ჩემი ცხოვრების ნათელო სხივო,
და ამ ცხოვრების უწყვეტო ციკლო,
დიდო იმედო, მომავლის რწმენავ
და ჩემი სულის პანაწა წილო.

* * *

ხმელ წიფელივით
ჩემ ბებერ ფესვზე
ამოხეთქილო
იმედის კვირტო,
ჩემი სიბერის
მქრქალო შუქურა
აზრო და სხივო,
აუხდენელი ოცნებების
იმედის სკივრო,
ჩემ სიხარულად მოვლენილო
ჩემი სიბერის ლამაზო ჯილდო.

რვა თვის ივას

ივა კიჭებს ვეღარ ითვლი,
ან დათვლა ვინ გასწავლა,
მარტო ფიას ყლაპვა იცი
და ჯლავილი პატარავ.

ივა, ივა, ივიკუნა
ბებოს ჩიტო პატარა,
სახლში ქურდად რომ დასკუპდი
ნეტავ ვინ დაგაბრძანა?

ივა ფეხს როდის აიდგამ
ბაკუნია პატარა,
ნეტავ ქვეყნის კიდით კიდე
შენთან შემომატარა.

იქნებ იმდენ ხანს მაცოცხლა
შენი შვილიც მანახა,
მაფერა და მაალერსა
მოფერებით დამღალა.

ଭୋଲତାର ଶକ୍ତି

* * *

ღმერთო უფალო,
დიდება შენდა,
დიდება შენდა
მონისა ღვთისა
თავს დაბლა მხრისა,
მადლიერისა
თქვენგან გაღებულ
მოწყალებისა,
თაყვანისცემით და
მოკრძალებით
იმედს გთხოვ მდაბლად
მე ცოდვილი შეწყალებისა,
თუ რამ ვერ შევძელ
ან ისე ვერ ვქმენ
შენდობა მინდა,
ღმერთო ძლიერო
დიდო და წმინდა
შენ კარზე მოველ
შენდობა მინდა,
მრავალმოწყალევ
და ძლიერო წყალობა მინდა,
ყველგან და ყოვლის
აღმვსებელო
მადლისა ღვთისა
შეგთხოვ შენდობას
შენდობა მინდა.

შემინდე, ლმერთო

შემინდე ლმერთო თუ ვერ გადიდე,
ვერ გემსახურე
ვით გეკადრება და, მევალება,
ის მოწინება და მოკრძალება
შენდამი რომ მაქვს, არ მექმარება,
რად ვერ ვახერხებ შენ მსახურებას
ვითარ გეგების და გული მერჩის
რა მემართება, შემინდე ცოდვილს,
რაც გზა განვლე და რაც დრო ვლიე,
რა წლებიც მაცვდა,
შენი სახელის თაყვანისცემა
იმ დროის შვილს არვინ მასწავლა,
შენ მადლის ფასში, შენ რწმენის ძალში
არ დამმოძღვრეს, არ მაზიარეს,
ჩემით რაც შევძელ შენი კრძალვა
შევინარჩუნე,
– თაყვანისცემაც,
თუმც მსახურება ვერ შევიძელ
ვით გეკადრება.

* * *

უფალო ღმერთო
მე ვინ ვარ, რა ვარ,
და რაც ვარ, რად ვარ
თუ ის არ ვარ
ვინც მე მინდა
ვიყო და არ ვარ,
თავს ვერ ვერევი
ძალა არ მაქვს
რომ ის ვიყო
ვინც დღეს მე არ ვარ.
თუ ჩემი ბედი დაწერილია
ჯვარსაც რომ ვეცვე
ისეთი ვარ
როგორიც ვარ
რაც არ ვარ, არ ვარ.
და რაც ვარ ეს ვარ
მინდა თუ არა,
რადგან რაც მინდა
როგორიც მინდა
ან არ მინდა
ისეთი არ ვარ
არ ვარ თუ ვერ ვარ
რაცა ვარ ეს ვარ
ღმერთო შემინდე
როგორიც დღეს ვარ.

ალსარება

უფალო ღმერთო გევედრები
მე ცოდვილი
ჩემ განვლილ გზაზე,
ეკლიანზე, ტკივილიანზე,
რამდენი რამე არ იყო ისე
მე რომ მსურდა
ან შენ რომ გსურდა,
ძალა იყო თუ ბედისწერა
რომ მაიძულა არ სასურველი
გზა მერჩია თუმც უკეთესი
არჩევანი არცა მქონია,
და არც არასდროს კმაყოფილი
ამ არჩევნით არა ვყოფილვარ
არც ცუდი რამე არავისთვის არა მდომია,
და შეგთხოვ ღმერთო
კაცთმოყვარევ, მიმტევებელო,
თუ მაინც მე ვარ დამნაშავე
გზის არჩევანში
დარჩენილ დღეებს გავატარებ
მუდმივ ლოცვაში.

აღდგომა

უფლის აღდგომა დაბადებაა,
წამებისა და სიკვდილის
შემდგომ,
ხელახლა მოსვლის,
სხვათა ცოდვების ტვირთვის
და ზიდვის,
და სიკვდილისა სიკვდილითვე
დამთრგუნველი
დღე, სასწაული.
სასწაული დღე
მკვდრეთით აღდგომის,
განახლების და ფერისცვალების,
სხვა სამყაროში გადასახლების.
შემდეგ კი, შემდეგ იქიდან მწყემსვა,
იქიდან ლოცვა
შეგონებები, მოძღვრებები
გზათა ჩვენებით
თავისუფლება არჩევნისა
მრავალმხრივის და მრავალსახის
მრუდის და სწორის,
შემდეგ კი, შემდეგ გზა მართალი
სხვა სოფელში გადასახლების,
უფლის სამსჯავრო ცოდვის და მადლის
და მისაგებელი მისაგებელის.

ჩემი გადასახელიზან

შემოგთავაზებთ ჩემ გამონათქვამებს

* * *

„მას შემდეგ, რაც ღმერთის რწმენა გაქრა, მატერიალისტური ფილოსოფია გამეფდა, რომლის მიხედვითაც, ჩვენ მარტოები ვართ. მას კაცობრიობა ბიოლოგიამდე დაჲყავს ადამიანები კი სრულიად წარმავალ არსებებად მიაჩნია“.

მიშელ უილბრეკი

ძველი კლასიკოსები ძირითადად უფრო სულიერ თვისებებზე, ფსიქოლოგიურ მომენტებზე და მორალურ ღირებულებებზე წერდნენ. თანამედროვენი კი, დროის მოტანილ, დროში გათვლილ და მომავლის სულიერ ტრანსფორმირებაზე წერენ.

ყოფიერებაში გრძნობებისგან დაცლილი ინდიფერენტული ადამიანის სულიერ, სახიერ და ყოფით სახეცვლილებებზე, მორალურ და სულიერი ღირებულებების დეფიციტზე, დროში განსხეულებული დამკვიდრებული მორალის მეტა-მორფოზაზე, სულიერის მექანიკურად გარდაქმნისა და უზნეობის ნორმად დამკვიდრების საშიშროებაზეც, შინაგანად გამოფიტულ, ადამიანებზე, რომლებსაც ყველაფერი აქვთ და არაფერი აქვთ.

* * *

„წუთისოფელიო“ ამ ქვეყნად ყოფნის ხანგრძლივობაზეა ნათქვამი. უფრო სწორად ხანმკლეობაზე, არადა ამ სიტყვის მნიშვნელობას მხოლოდ გარკვეულ ასაკში ვხვდებით და ვუკვირდებით. კიდევ უფრო ხანდაზმულთათვის კი „წამისოფელი“ უფრო სადაგია, ხოლო მომაკვდავთათვის, აღბათ, ეს ცხოვრება გაელვებას ჰგავს და „ელვისოფელი“ შეეფერება.

* * *

„დრო მკურნალიაო“ – ეს ფრაზა გაცვეთილია მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა. ოღონდ დრო ვისთვის რამდენია, – „საკითხავი აი ეს არის“: ერთი თვე, ერთი წელი, ათეული წლები, თუ მთელი სიცოცხლე.

* * *

სადღაც ამოვიკითხე, „არავისზე თქვათ, კარგად ვიცნობო, რადგან ბოლომდე ვერასდროს გაიცნობ ადამიანსო“. გარდა იმისა, რომ ვეთანხმები ამ სიტყვების ავტორს, დავამატებ:

ბოლომდე საკუთარ თავსაც ვერ ვცნობთ, რადგან ამა თუ იმ სიტუაციაში, ან თავზარდამცემი შიშისა თუ ფსიქოლოგიური დარტყმის შემთხვევაში მყისიერად რას მოვიმოქმედებთ, ნამდვილად არ ვიცით და, ალბათ, არც შეიძლება ვიცოდეთ ამ დროს რა ირთვება ჩვენში, რა გვამოქმედებს, განსჯა-გააზრებას არ ექვემდებარება.

როგორ უნდა მოვიქცეთ, ვიცით, მაგრამ როგორ მოვიქცევით, არა.

* * *

ყველაზე დიდ ადამიანად მიმაჩნია ის, ვისაც შეუძლია და-კარგული რწმენა დაუბრუნოს ადამიანს, ცხოვრებისკენ შემოაბრუნოს და არსებობის აზრი და ინტერესი ჩაუსახოს.

* * *

თავმოყვარეობა უნდა პქონდეს ადამიანს, მაგრამ არა თავზე მაღლა, თავზე მაღლა უკვე პატივმოყვარეობაა.

* * *

სიყვარული არსებობს, მაგრამ კერპივითაა, მუდმივ შესანირს მოითხოვს, და მაინც არაა მუდმივი.

* * *

ვინც ყველაფერს გეგმავს ცხოვრებაში, ყველაფერს აღნევს, მაგრამ რაღაცას კარგავს.

* * *

არსებობენ ადამიანები, რომლებიც იმისთვის გაჩინდნენ ამ ქვეყნად რომ მარტოებმა იარონ ცხოვრების გზაზე. ეს არც ცუდია, არც კარგი. ეს ცხოვრებაა

ე. მ. რემარკი

სიმარტოვე სიცივესთან ასოცირდება, მაგრამ არსებობენ მარტოდ დარჩენილები, რომლებიც სხვისი კეთილდღეობით ითბობენ სულს და ყოფას. ასეთი ადამიანებისთვის შური და ბოლმა უცხო ხილია,

ისინი სიმარტოვისთვის არ მოსულან ამ ქვეყანაზე, როგორც რემარკი ბრძანებს. რატომღაც ღმერთმა ინება ასე,

ან უბრალოდ ასე აეწყო მათი ცხოვრება, და ამიტომაც სი-
მარტოვის სისასტიკეს არ გაუუხეშებია მათი სული, არ გა-
ხუნებიათ სითბოს, სილამაზის და სიყვარულის შეგრძნების
უნარი; უბრალოდ, მელანქოლია და სენტიმენტები მოეძა-
ლათ ცოტა, ჰოდა, ეს შემოიხვიეს დიდედების დიდი უჯრია-
ნი შალებივით, შიგნით კი ყვავილები ბიბინებენ.

* * *

როცა ინფორმაცია ნაკლები იყო ჩაკეტილ სივრცეში (საპ-
ჭოური ყოფა იგულისხმება.) ე.ნ. „რკინის ფარდის“ გამო,
მოთხოვნილებებიც მოკრძალებული იყო, და როცა ინ-
ფორმაცია გაჩნდა სმენითი და ხედვითიც, განსაკუთრე-
ბით საზღვრების გახსნისას და კომპიუტერის ჩვენს ყოფაში
დამკვიდრებისას, მოთხოვნილებებიც გაფართოვდა, შესაძ-
ლებლობებს ბევრად გაუსწრო და დარჩა მხოლოდ სურვი-
ლები და უკმარობის გრძნობა.

როცა სურვილები და მოთხოვნილებები ბევრად უსწრებს
შესაძლებლობებს, ცხადია შესაძლებლობები ჩამორჩება
მოთხოვნილებებს და რჩება მუდმივი უკმარობის გრძნობა.

* * *

ყველაზე დიდი მისია მამაკაცთათვის მოდგმის თესვაა, ქა-ლისთვის კი – მოვლინება.

- პირველი სიამოვნებასთანაა დაკავშირებული,
- მეორე კი – განუზომელ ტკივილთან.

რომელი უფრო სასტიკია, ცხოველი თუ ადამიანი?

თემურ ლენგმა ბალდაძემ, ადამიანის თავის ქალებისა და ძვლებისგან 120 პირამიდა, ხოლო ისპაპანში მისი ტახტის ქვეშ 70 000 თავისაგან ე. წ. მცირე პირამიდა ააგო; მარტო ინკვიზიტორებმა 200 000 კაცი მოსპესა; ვინმე ტორკვემადამ 18 წელიწადში 11 272 კაცი დაწვა; პაპები და იმპერატორები არც უცერემონიო ხოცვა-ულეტას თაკილობდნენ. თუნ-დაც კომპრაჩიკოსების მოტაცებულ ბავშვთა დამახინჯებით აწყობილი „ბიზნესი;“ ან ჰიტლერის სისასტიკე; მე 20 საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები და სხვა მსგავსი მრავალი ფაქტი მხოლოდ ადამიანის სისასტიკეზე მეტყველებს. დოსტოევსკი წერს: „მხეცი ვერასოდეს იქნება ისე სასტიკი, როგორც ადამიანი, ასეთი არტისტული, ასეთი მხატვრული სახით სასტიკი“.

ადამიანი ცხოველთა შორის უსასტიკესი ცხოველია. თუ

გონებით და მეტყველებით უსწრებს, სამაგიეროდ, შური და ბოლმა აქვს ცხოველებისგან განსხვავებით.

ცხოველები ერთმანეთს ხოცავენ რადგან იძულებულნი არიან იბრძოლონ გადარჩენისთვის, არსებობისთვის. ადა-მიანი კი ადამიანს კლავს და იმეტებს ფულის, შურის, კე-თილდღეობის, სიმდიდრის, თანამდებობის, ბოლმის, და ვინ მოთვლის მიზეზებს.

წამება და წამების სასტიკი მეთოდებიც ხომ ადამიანის მო-გონილია და ცხოველს არ ახასიათებს.

რომელი უფრო სასტიკია, ცხოველი თუ ადამიანი.

* * *

ადამიანს თუ თავმოყვარეობა და ღირსება არ გააჩნია, ის ერთ ნაბიჯზეც არაა სანდო. ის, ვინც საკუთარ თავმოყ-ვარეობას და ღირსებას თელავს, არც სხვისი გათელვა და გაწირვა გაუჭირდება.

* * *

დანას შეუძლია როგორც სიცოცხლის წართმევა, ასევე სი-ცოცხლის ჩუქება.

* * *

ადამიანი ბოლომდე თავისუფალი ვერ იქნება, მას ხომ არც მოსვლას ეკითხებიან და არც წასვლას. (დაბადებას და სიკ-ვდილს ვგულისხმობ) მოსვლისას ასე თუ ისე ჩამოყალიბებულ, დამკვიდრებულ დადგენილ ნორმებს, შეხედულებებს და ცხოვრების წესს გვახვედრებენ, აუწყობ ფეხს თუ ვერა ან რამდენად აუწყობ, ეს განსაზღვრავს შენი თავისუფლების დონეს, ზომას და სიგრძე-სიგანეს.

ზოგიერთი ცხოვრებისეული ბარიერიც რაღაცა წილად ზღუდავს თავისუფლებას. თავისუფალი შეიძლება იყო, მაგრამ, რამდენადმე მოზომილად, თვალში საცემი რომ არ იყოს, ან იძულებითი შეზღუდვები რომ არ მოჰყვეს ამ თავისუფლებას.

იძულებით შეზღუდვამდე მისული თავისუფლება, თავაშვებულებად ითვლება, ზოგჯერ თავხედობამდე და უზნეობამდეც კი მიდის.

საზოგადოებრივი აზრის, ყოფისა და ცხოვრების ნორმების უგულებელყოფის იქით რამდენზე მიდის ეს თავისუფლება, ან რა სახით, აი ესაა მთავარი. თავისუფლება შინაგანია, სულიერია თუ მორალური, თანდაყოლილი თუ შეძენილი ან თვითნებურად მინიჭებული, ერთად თუ ცალ-ცალკე, ამასაც ხომ ააქვს მნიშვნელობა. ალბათ თავისუფლების დოზა და სახეა მთავარი.

თავისუფლება ადამიანს საინტერესოს, განსაკუთრებულს და გამორჩეულს ხდის, ზოგჯერ პირიქით, მიუღებელს და

ამაზრზენსაც კი. და თუ ადამიანი ბუნებით იბადება თავი-სუფალი, ის ყველა შემთხვევაში ავლენს მას დადებითად ან უარყოფითად.

* * *

მართალია, ძველ რომანებში ხშირად ბანალური, სასიყვარულო ისტორიები მომაბეზრებელი და მოძველებულია თითქოს, რადგან დრომ უინტერესო გახადა მოჭარბებული სენტიმენტები, დრამები და ლამის რომანტიკაც კი, მაგრამ უკეთესს გვთავაზობენ ვითომ რამეს?

ახალგაზრდობის დიდ ნაწილს უფრო მძაფრი ვნებები და შეგრძნებები იზიდავს, არა მარტო შიშველი სექსი არამედ, სისხლი, ფიზიკური ტკივილი, ძალადობა, საშინელებები, და ასე შემდეგ.

ახლებურად მოწოდებული, რაღაცის მთქმელი, საინტერესოდ შემოთავაზებული, თუნდაც სასიყვარულო ისტორიები ხომ არ სჯობს ამ საშინელებებს. სულ მეჩვენება ამ ყველა-ფერს როცა აწვდი მოზარდს ის იღებს როგორც სიახლეს, სიახლისადმი მოთხოვნილება კია ნორმალური მაგრამ ზე-მოთ ჩამოთვლილი საშინელებები მათ სულს ხომ არ აუხე-შებს, ძალადობისკენ ხომ არ უბიძგებს და ყველაფერ უარყოფითისადმი გულგრილს და შემგუებელს ხომ არ ხდის.

* * *

ადამიანობას, ინტელექტს, დიდსულოვნებას, შინაგან კულტურას, ტაქტს თუ ხასიათის ან ბუნების ამა თუ იმ თავისებურებას რა განსაზღვრავს, – წვრთნა თუ გენი, შეძენილი თუ თანდაყოლილი?

სრულყოფილებაა თანდაყოლილი, გენით ბოძებული და წვრთნით გამდიდრებული, მაგრამ ჩვენ ვმსჯელობთ, დადებით ან უარყოფით თვისებებზე და ამრიგად: თუ ადამიანს თანდაყოლილი, განსაკუთრებული და ღირებული არაფერი გააჩნია, წვრთნას ბევრი შეუძლია, მაგრამ არა ყველაფერი. და თუ თანდაყოლილი აქვს შინაგანი კულტურა და ტაქტი, საკმარისია გარემო შეექმნას და გასაქანი, მოხვდეს ინტელექტუალებში, ყველაფერს მყისიერად შეითვისებს, გაითავისებს. თუ გარემო არ შეექმნა, და არც წვრთნა მიეცა, მაინც ყველასათვის მისაღები იქნება თავის აზროვნებით, თანდაყოლილი ტაქტით, და საკუთარ აზროვნებაზე დამყარებული არგუმენტებით. მთავარია დადებითი პიროვნება იყოს.

* * *

თავის არსებობის მანძილზე, ადამიანმა გზადაგზა დაამკვიდრა ზნეობრივი ნორმები და საზოგადოებრივი ცხოვრების და ყოფის ტრადიციები, რომელთაც დრო და დრო,

შინაარსის შეცვლის გამო ცვლიდა და ასე მოვიდა დღემდე. ზოგჯერ მეჩვენება რომ ცივილიზაციამ მიაღწია პიკს, და დაიწყო უკუსვლა. ნაბიჯ-ნაბიჯ უკან მიუყვება და თავქვე ეშვება, თან ერთ მშვენიერ სიტყვას „თავისუფლებას“ იშვე-ლიებს, (რომელიც ზნეობრივ ნორმებს და ტრადიციებს არ ცნობს.)

თავისუფლება თავისთავად მშვენიერია მაგრამ ხომ შეიძლება ამ თავისუფლებასაც ამკობდეს ლამაზ-ლამაზი, ჰუ-მანური დიდსულოვნური ტრადიციები რომლებიც ადამიანის ცხოვრებას არ ბორკავს, მაგრამ მის ცხოვრებას სხვა ხიბლს აძლევს (ზოგჯერ აზრსაც და შინაარსსაც), სადღაც ხომ უნდა არსებობდეს ზღვარი, უხამსობასა და ზნეობრივ თავისუფლებას შორის, ასე ხომ ჩვენი ზნეობა პირუტყვულ ცხოვრებამდე დავა თავისუფლების დროშით.

* * *

ამბობენ, ბავშვები უცოდველნი იბადებიანო, და ეს მართალია, რადგან ჯერ არ ჩაუდენიათ ცოდვა, მაგრამ სხვადას-ხვა ბუნებისანი იბადებიან. პოტენციურად მათში თანდაყოლილია როგორც სიკეთისკენ, ისე ბოროტებისკენ გადახრა თუ მიდრეკილება. მთავარი აღზრდაა და გარემო, და ეს მთავარი რომელ თვისებას განავითარებს, როგორად ჩამოყალიბდება როგორც პიროვნება. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევაში კაცმა არ იცის თანდაყოლილი ბუნება, პოტენ-

ცია სად და როგორ იჩენს თავს, რამდენად იმძლავრებს და რისკენ უბიძგებს.

* * *

იოლია და სასურველი ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც ყოველთვის ყველგან და ყველაფერში (კრი-ტიკულ სიტუაციებს ვგულისხმობ) გამოსავალს ეძებენ და პოულობენ კიდეც. პრობლემურ, გამოუვალ ვითარებას ვგულისხმობ და არა საწოთიროს. ისინი ყოველთვის იმე-დიანები და საიმედონი არიან, და სხვებსაც იმედს უნერ-გავენ, დადებითად მუხტავენ. ასეთ ადამიანებს გვერდით დგომაც შეუძლიათ.

* * *

კომპიუტერმა, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს დააშორა ადა-მიანები, თითქოს კიდეც გააგულგრილა, ურთიერთობებიც გაამნირა და თითქმის სავალდებულომდე დაიყვანა ცოცხა-ლი ურთიერთობები. მხოლოდ სამსახური, ჭირი და ლხინი, ნაკლები გულისხმიერება და მეტი შემგუებლობა.

* * *

ჯერ ტელევიზიის და შემდეგ ინტერნეტის შემოსვლამ, მიუ-
ხედავად განუზომლად დიდი სიკეთისა, ცოცხალი ურთიერ-
თობები შეჭამა, ხალხი ერთმანეთისთვის ვეღარ იცლის.

* * *

ჩემი აზრით, ძველმოდურობა ყოველთვის უგემოვნობას არ
ნიშნავს. ზოგჯერ ის ძველი მოდის თუმც გამორჩეულად
ლამაზი სამოსი ისე ესადაგება ზოგიერთის ინდივიდუალო-
ბას რომ, მის განსხვავებულობას და გამორჩეულობას უს-
ვამს ხაზს, განსაკუთრებულ ხიბლს და შარმს სძენს, და ალ-
ბათ ეს ის შემთხვევაა, როცა ძველმოდურობა გემოვნებად
აღიქმება.

* * *

ქალის სილამაზე მაშინ არის მიმზიდველი, როცა ის სათ-
ნოებასთანაა წილნაყარი, ამიტომაც მას, ლამაზი კი არა,
მშვენიერი უფრო მიესადაგება, რადგან ეს სიტყვა უფრო
ბევრის მომცველია.

* * *

უნინ ქვეყნებში სადაც „უხუცესთა საპჭო“ იყო, ყველა საქ-
ვეყნო და ყოფით პრობლემებს ძირითადად უხუცესები გა-
ნიხილავდნენ და წყვეტდნენ, ახალგაზრდები კი ითვალის-
წინებდნენ და მოქმედებდნენ. დღემდე ასე მოიტანეს თავი
მიუხედავად მათი ტერიტორიულ-რაოდენობრივი სიმცირი-
სა. ესე იგი, უპირველესად გამოცდილებას, სიბრძნეს და
სიდინჯეს ითვალისწინებდნენ.

პარლამენტშიც რომ ითვალისწინებდნენ ამას მაშინ ალბათ
ნაკლებად დამსგავსებოდა ჩვენი საკანონმდებლო ორგანო
ბაზარს.

* * *

სიბერეში ცხოვრებით უნდა იღლებოდე, რომ სიკვდილის
აღარ გეშინოდეს. დასვენების სურვილი უნდა გეუფლებო-
დეს და არა სიცოცხლის დაუკეტელ წყურვილს ინარჩუ-
ნებდე.

* * *

ბავშვობა ყველაზე დიდი თავისუფლებაა და ყველაზე დიდი
შეზღუდვა.

* * *

მარტოხელა ქალის ალუზიები, ცხოვრებისა და ყოფის ერთ-ერთი გზაა, რომელიც პირადად მათ ეკუთვნით და არც ეკუთვნით. არ ეკუთვნით იმიტომ რომ, მათ ეს არ ეხება, და ეკუთვნით იმიტომ რომ სხვის სიყვარულს, სიხარულს, სიამოვნებას, მწუხარებას ისევე განიცდიან და ითავისებენ, როგორსაც ამ გრძნობების ობიექტი უნდა განიცდიდეს და შეიძლება უფრო მძაფრადაც.

მე ვფიქრობ, სწორედ ამ გრძნობების დეფიციტსაც ივსებენ ამით, ცხოვრებასაც იფერადებენ და სრულყოფილებამდე თუ უერ მიჰყავთ, ილუზიურ ცხოვრებით კავდებიან. ასე და ამგვარად ფილმებსა და წიგნებში ეძებენ და პოულობენ მეორე ცხოვრებას. ასეთი ადამიანებიც არსებობენ, საკმაოდ სასიამოვნო მოსაუბრენი და საინტერესო პიროვნებები არიან საურთიერთობოდ. ბევრად მირჩევნია ასეთი ქალები იმ არშემდგარ ქალებს, რომლებსაც არ გაუმართლათ სიყვარულ-ში და ან პირქუშები გახდნენ, ან ოდნავ ბოლმა შეეპარათ.

იგივენაირი

მთელი ცხოვრება სხვისი კაცები სხვის მაგივრად მიყვარდა, სხვის მაგივრად განვიცდიდი მათს ავსა თუ კარგს, ვწუხდი და ვხალისობდი, ველოდებოდი და ვემშვიდობებოდი... და ასე ვცხოვრობდი, ფილმებით და წიგნებით ვიფერადებდი და ვიიოლებდი ცხოვრებას.

* * *

უნაკლო, სრულყოფილი ადამიანი არ არსებობს. ყველას აქვს ნაკლი თუ სუსტი წერტილი, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. ვინც აცნობიერებს თავის ნაკლს, ის კიდეც ნიღბავს და ცდილობს საზოგადოებას კარგი კუთხითა და თვისებებით დაენახოს. უკეთეს შემთხვევაში ნაკლს ეჭიდავება და ხშირად ერევა კიდეც.

* * *

სიყვარული არსებობს, მაგრამ კერპივითაა, მუდმივ შესანირს მოითხოვს, და მაინც არაა მუდმივი.

* * *

მამაც ქალს, – მშიშარა ქალი მირჩევნია, სალივით მაგარსა და ძლიერს – სუსტი და მიამიტი, თუმცა არა უნებისყოფო და მერყევი. სასტიკს და შეუვალს – სათნო და მიმტევებელი. ხშირად ასეთი ქალები უფრო ქალურნი არიან. მათ საყრდენი, მფარველი და ძლიერი მხარი ჭირდებათ მამაკაცის სახით.

მათ გვერდით მამაკაცებიც უფრო მამაკაცურნი ხდებიან, თავის სიმაღლეზე მდგომნი, საკუ თარი თავისადმი მომ-თხოვნნი და ქალების პატივისმცემელნი. ასეთი ქალები კი, უფრო ერთგული, მამაკაცურ ღირსებათა დამფასებელი, მოყვარული და რაც მთავარია, უღალატონი არიან.

* * *

ცხოვრების ნორმის დადგენა რთულია. ისე უნდა იცხოვრო, რომ თუ ღმერთი გადაგიდგა, ის მაინც უნდა მოახერხო, სი-ბერეში და სიბერემდეც მარტო არ დარჩე, რადგან ყველაზე დიდი ტრაგედია ადამიანის ცხოვრებაში სიმარტოვეა.

რა უნდა მოიხვეჭო ცხოვრების მანძილზე, რას უნდა მიაღ-ნიო რომ, სიბერეში ამაოებად არ იქცეს ყველა სიკეთე, რაც მოიხვეჭე და რასაც მიაღწიე

* * *

სიყვარული თუ ავადმყოფურში გადადის, უკვე საშიშიც ხდება, რადგან ყოველგვარ მოულოდნელობას შეიძლება ველოდოთ.

* * *

სიყვარული მაშინ უფრო მძაფრდება, როცა დაკარგვის სა-
შიშროება ჩნდება ან უკვე იკარგება.

* * *

ბედნიერებას ვერ აცნობიერებ, სანამ გაქვს, დაკარგვის
შემთხვევაში კი მთელი სიცხადით შეიგრძნობ და განიცდი.

* * *

ამბობენ, დიდ ტკივილს ან დიდ პრობლემას ადამიანი გულ-
შემატკივრების გარემოცვაში უფრო იოლად იჭანს და აგვა-
რებსო. არადა, ამ დროს თუ არავინ გიდგას გვერდით, მეტი
გამძლეობა, ამტანობა და გამბედაობა გეძლევა.

* * *

ნუგეში ზოგ ადამიანს ამშვიდებს, შვებას ჰევრის, ზოგს კი,
პირიქით, სანუგეშებელს უმძაფრებს და ალიზიანებს.

* * *

ძლიერ სიხარულს გონებაზე მეტად გული აღიქვამს და შეიგრძნობს, რადგან სისხლძარღვებში სისხლი ჩქროლდება და ურუანტელი გივლის.

* * *

ალბათ, ვინც შიგადაშიგ, პატარ-პატარა სიგიურებითაც კაზმავს ცხოვრებას, მას უფრო საინტერესო და ხალისიანი ცხოვრება აქვს და სიძნელეებსაც იოლად იტანს, თუ ეს ყველაფერი ხელოვნური არაა.

* * *

ბედნიერება სანამ შენთანაა, ბოლომდე უნდა შეიგრძნო და შეირგო. იმის შიშით, რომ არ დაკარგო, არ უნდა გააფერ-მკრთალო იგი. მუდმივი ხომ მართლაც არაფერია.

* * *

ბედნიერებას თავის ფასი აქვს, და თუ არ დააფასებ, „ჩიტი-ვით გაგიფრინდებაო“.

* * *

შემოდგომის ბოლო დღეა და უკვე გაზაფხულ-ზაფხულის მოლოდინი დამეწყო, თითქოს ზამთარი არ მედოს წინ. ესეც წლებმა მოიტანა ალბათ, ისევე, როგორც დროის უსწრაფე-სი სრბოლა: კვირები-დღეებად, თვეები-კვირებად და წლები თვეებად მიჰქრიან, ეს სიბერეში უფრო იგრძნობა.

* * *

მარტო მოვდივართ და მარტო მივდივართ, არც მოსვლას გვეკითხებიან და არც წასვლას. და რაც გვეკითხება, ზოგ-ჯერ იმასაც არ გვეკითხებიან.

* * *

ადამიანმა უნდა შესძლოს ზოგჯერ რაღაც დაივიწყოს, რაღაც დასთმოს, რაღაცას შეეგუოს და რაღაცას შეელიოს. ასე უფრო გაუადვილდება, ძალიან გაუადვილდება ცხოვ-რება.

* * *

ხშირად სიბერეს ნაირ-ნაირი „ეპითეტებით“ ამკობენ. ხშირად მწერლებიც საკმაოდ ამაზრზენად მოიხსენიებენ მათს ასაკობრივ ფერისცვალებას, ავიწყდებათ, რომ თუ ღმერთმა წყალობა გაიღო მათთვის, ისინიც მალე გახდებიან მათნაირივე ხისტ და არაგულმოწყალეთა დაცინვის ობიექტები.

* * *

სიბერე არავის მოსწონს, თუმც ყველა მას ნატრობს.

* * *

სუსტად მიმაჩნია ყველა მამაკაცი, რომელსაც ქალი მარ-
თავს, ცხადად თუ შეფარვით.

* * *

ბედნიერება დამსახურებით არ მოდის. თვითონ სიტყვა
გვეუბნება, რომ ბედნიერება ბედთანაა დაკავშირებული,
ესე იგი ბედმა უნდა ინებოს შენი ბედნიერება, ბედმა უნდა
მოგანიჭოს.

* * *

მშვიდ ცხოვრებას, ალბათ, ისინი ნატრობენ, ვისაც დამ-
ლლელი ან შფოთიანი ცხოვრება აქვს. ზოგი კი სიმშვიდის-
გან იღლება, მშვიდს და ერთფეროვანს, ბობოქარი თუ არა,
ცოტა სმაურიანი ცხოვრება ურჩევნია. მოკლედ: ზოგი სიმ-
შვიდეს ნატრობს, ზოგი კი სიმშვიდისგან იღლება.

* * *

სიყვარულს ნორმებს ვერ დაუდგენ და თუ დაუდგენ, ის სიყვარული აღარ იქნება, ის სულის კი არა, გონების პრო-დუქტი ხდება.

* * *

ძლიერი მამაკაცის გვერდით ყველაზე უხეში ქალიც კი ქა-ლური ჩანს.

* * *

რაიმეს გათვლა გონებაში შეიძლება, სულში კი არა.

* * *

მიყვარს ქალი რომანტიკოსი ოჯახსა და სიყვარულში და არა მათემატიკოსი გონებასა და სულში.

* * *

და მაინც მინდა ქალს რომ ამკობდეს, სულ ყველაფერი ქალში ქალური.

* * *

აზრი ცხოვრებაშია, უაზრო ცხოვრება სტიქიაა, რომელსაც ქარი ან აღმა ააფრენს ან მიწას დაანარცხებს. იქნებ ცხოვ-რების ინტერესს ესეც განსაზღვრავს; ამიტომაა აზრისა და უაზრობის შედეგი ყოველთვის არ ექვემდებარება ლოგიკას. აი, მაშინ ვამბობთ ხოლმე, „ყველაფერი ბედიაო“.

* * *

ნამდვილი სიბერე ხანდაზმულობასთან ერთად კი არ მოდის, არამედ მაშინ როცა მიზნები ქრება, და საზრუნავიც გელევა.

* * *

ვინ რას თვლის ბედნიერებად?
ზოგი, ალბათ, – სიყვარულს,
ზოგი – სიმდიდრეს,
ზოგი – კმაყოფილებას,
ზოგი – განცხრომას,
ზოგი – თბილ და ტკბილ ოჯახს,
ზოგი ამ ყველაფერს ერთად,
და ზოგს ეს ყველაფერიც არ ჰყოფნის და აქედან, – ვერც
აბედნიერებს.

* * *

მარტო ასაკი არ იძლევა სიბრძნეს, ჭკუაა აუცილებელი,
პლუს გამოცდილება.

* * *

რწმენა ზნეობის სადავეებია. მოშვებულ რწმენას ზოგჯერ
ზნეობის სადავეებიც მოშვებული აქვს.

* * *

სიძუნწესა და ყაირათიანობას შორის დიდი განსხვავებაა.

* * *

ჩემი აზრით, ფილოსოფია გვასწავლის აზროვნებას, ღრმა ხედვას მრავალ რაკურსსა და მრავალპლანში, ძიებებსა და აღმოჩენებს; აგრეთვე სტრიქონებს შუა აზრის ამოკითხვას.

* * *

სრულყოფილებას ვინც ელტვის, ის უფრო შორდება მას.

* * *

ყველაზე დიდი ბედნიერებაა, შეგეძლოს უბედური ადამიანი ბედნიერი გახადო.

* * *

ქალისა და მამაკაცის სიყვარულში ცოლ-ქმრობის რაღაც პერიოდიდან ვნება თანდათან ცხრება, თითქოს ნათესაურ სიყვარულში გადადის.

* * *

ბევრი, ძალიან ბევრი რამ დროს მოაქვს და დროს მიაქვს.

* * *

ზოგჯერ მგონია, რომ ქალის ცხოვრებას მარტო რომანტიკა არ ალამაზებს, ცოტა, სულ ცოტა, პესიმიზმიც უხდება, უფრო საინტერესოს ხდის.

* * *

რწმენა მართავს ჩვენს ზნეობას.

* * *

სიშიშვლე ფიზიკური თუ სულიერი ერთნაირად მიუღებელია, თუმცა ხელოვნებაში სიშიშვლე ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია.

* * *

სიბერე ის ალუვსებელი საწყაულია, რომელიც ყოველთვის ვერ ივსება, მიუხედავად წელთა სიმრავლისა.

* * *

ქალს წლები კი არა, ცხოვრება ღლის, ასევე დაუსრულებელი ღოდინი.

* * *

ქალს სათნოება უფრო შვენის, ვიდრე ვაჟკაცურობა.

* * *

„დრო მკურნალიაო“ რომ ამბობენ, მართლაც ასეა, მაგრამ განკურნებას დროის ხანგრძლივობა კი არა, სატკივრის სიმძიმე განსაზღვრავს.

* * *

თუმცა, დამდლელია იმედი და მოლოდინი, მაგრამ ძალას, სასიცოცხლო ხალისს და
სტიმულს გვაძლევს.

* * *

გვიყვარს, თუმცა არ ვიცით რისთვის.

* * *

სიბერე ხომ სიკედილ-სიცოცხლის ზღურბლია, იქნებ ამი-
ტომაც ეშინიათ მისი.

* * *

რომ ვუყვარდეთ, საყვარელიც უნდა ვიყოთ.

სამართლებრივი სახის ჩანაცემები

უხმო ხმა და უსუნო სუნი

ცოტა ხნის წინ ვეწვიე ქართლის ერთ სოფელს, სადაც ბევრი ისეთი რამ შევიგრძენი, სხვა დროს რომ არ ჩავღრმავებივარ. უპირველესად ადამიანისა და ბუნების ერთობას და მსგავსებას. ის, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და ყველა მოვლენა, ადამიანის ჩასახვიდან ბუნების ყოველგვარი მოვლენის ჩათვლით, ერთი და იგივეა თავისი ფუნქციით, დანიშნულებით, ვადით, ნაირსახეობით და განსხვავებულობითაც კი. იქ ვიგრძენი მიწის სუნი, ჩალის, ბზის, და თვით სამყაროსიც. ვიგრძენი ხმა გარინდებისა და ხმა მოლოდინისა, ახლად მოხნული მინდვრის სიჩუმის ხმა, თესლის მოლოდინისას.

საამო სურნელის მფრქვევ ახალ ხნულს ხომ თითქოს ოხშივარივით სურნელი აქვს, რათა მის წიაღში ახალი სიცოცხლე ჩაისახოს და იშვას. იშვას მობიბინე, მოლივლივე ყანის სახით. ეს იქნებოდა ხმა დრტვინვის, ოღონდ არა ტანჯვისმიერი, არამედ თესლის მომლოდინე დრტვინვა, უხმო და მაინც ხმიერი, ხნულის წიაღიდან წამოსული და ჩემ ყურამდე მოღწეული,

გარინდების ხმაში ხომ გარდასულ დღეთა წარმოსახვის ხმა ხმიანობს თითქოს. ის ადგილი, ის გარემო რაღაცით დაკავშირებული მივიწყებულ მოგონებებთან, ან იმ წუთს წარმოქმნილ შთაბეჭდილებებთან, ეს ხმა, ჩუმი, თუმცა ხმიერზე გაცილებით მჟღერი, გარინდების ხმა.

ხომ არის, რომ ყურს მიჩვეული ხმა ნაკადულის რაკრაკია თუ მდინარის ჩხრიალი, ან საათის წიკწიკი აღარ გეს-

მის, მოდის და მოშხუის, მაგრამ შენ აღარ გესმის თუ არ მიაყურადე, რაოდენ ხმიერიც არ უნდა იყოს, ჰოდა, თუ ხმიერი არ გესმის, ხომ შეიძლება ზოგჯერ უხმოც გესმოდეს?! უხმო კი უფრო შთამბეჭდავია, უხმო მაშინ გესმის, როცა თითქოს ყოფიერს ემიჯნები და ხილულიდან უხილავ, შეგრძნებად სივრცეში გადადიხარ. იმ სივრცეში თავს ლალად გრძნობ, რადგან იქ არ არის ყოფითი პრობლემები თუ საფიქრალ-საკეთებელი; იქ ბუნების განუყოფელი და ორგანული ნაწილი ხარ და ამიტომაც გესმის და შეიგრძნობ ყოველივე არა ყოფიერს, ფარულს, მაგრამ არსებულს. მაშინ თავისუფალი ხარ, მსუბუქი, ლალი, გამჭვირვალე, კამკამა და თითქოს ბუნებამ რომ იცის ყველაფრის უმშვენიერეს ფერებით დამშვენება, ყვავილებიდან ან შემოდგომის ტყის ფერებიდან დაწყებული ცის მღვრიე თეთრიდან მენამულამდე ათას სახელდაურქმეველ ფერებში, თითქოს მეცის ფერი ვარ მაშინ, უსახელო, იშვიათი და საოცარი.

იცით, კიდევ რის ხმა მესმის? ჰაერის, ჰო ჰაერის, თუ ვინმეს გძინებიათ „სოფლურ“ სოფელში, ტყიან, მთიან, ნაკადულიან თუ მდინარიან, ხის ოდა სახლის ღია აივანზე, როცა სიცხისგან გათანგულ მინდვრებს ღამის სიო დაუბერავს, და იქვე ახლომახლო სამკალ სათიბ მინდვრებიდან ჭრიჭინების ხმაც კარგა ხნის მიმწყდარია. ღამით ან გათენებისას მძინარეც კი გრძნობ, როგორი გამჭვირვალე და გრილია ჰაერი, მის ხმასაც კი შეიგრძნობ, როგორ მსუბუქად, მუსიკასავით, საამო ჰანგივით ჩასრიალდება ფილტვებში და მერე იკარგება თითქოს სადღაც,

ასევე სუნი, სუნი, რომელიც რეალურად არ აქვს რაი-

მეს, მაგრამ შენ შეიგრძნობ. და, ალბათ, ყველა სხვადას-ხვაგარად შეიგრძნობს სუნს. არ ვიცი როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახლად მოხნულ ხნულს, ააქვს თუ არა სურნელი, მე კი შევიგრძნობ თუ წარმოსახვითს არა, ისეთს როგორიც სხვას არაფერს არა აქვს; მხოლოდ ახალ ხნულს.

და, ეს, ალბათ, მიწის სუნია, გაფხვიერებული მიწის, იქ-ნებ თესლის მოსაზიდად აფრქვევს, რათა მის წიაღში აღ-მოცენდეს ახალი სიცოცხლე მცენარის სახით. იქნებ ესეც ბუნების ოინებია, მე არ ვგულისხმობ ბუნების ნიჭით და-ჯილდოებულ, განსაკუთრებული ყნოსვის ადამიანებს, ე.წ. „ცხვირებად“ რომ მუშაობენ პარფიუმერიაში და თითზე ჩა-მოსათვლელნი არიან. ჩვეულებრივი ყნოსვის ადამიანებს არ გქონიათ შემთხვევა რომელიმე სუნამოს სურნელს, რა-ლაც გაუხსენებია თქვენთვის, და იმ ხსოვნის ლაბირინთში დიდი ხნის წინანდელი წარმეტებული ისეთივე, გრძნობა და განწყობა დაგუფლებიათ გაუცნობიერებლად?! ეს შეგრძნებები და იმ განწყობის გაელვება ხომ მაშინდელ-მა ნაპკურმა ასეთივე სუნამომ მოგვარათ, ჰოდა სუნსაც ჰქონია მეხსიერება.

თუ სასიხარულო არაფერი ხდება შენს ყოველდღიუ-რობაში, და მაინც, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ისეთმა ხალისიანმა გაიღვიძო და საამო ხასიათზე დადგე, ან პი-რიქით, ნაღველი შემოგანვეს უმიზეზოდ, ასეც ხდება ზოგ-ჯერ, ჩვენ ხომ ვერ ვიქმნით განწყობას ხელოვნურად, ესე იგი ჩვენც ბუნების შვილები ვართ, ბოლომდე არ ძალგვიძს ვმართოდ ჩვენი გრძნობები, რადგან, ბუნება ვვმართავს და კიდევ რაღაცა არაცნობიერი. იქნებ ამიტომაცაა ადამიანი

ასე მრავალმხრივი, მრავალნაირი, ზოგჯერ ამოუცნობიც, ხშირად კი არა სამართავიც.

დაპროგრამებულ-დაგეგმილი ცხოვრება რომელსაც მოულოდნელობები არ ახლავს, ნაკლებ საინტერესოა და ასევე ადამიანიც. საზოგადოებაში მცხოვრები, გარკვეულ-წილად საზოგადოებრივ ცხოვრების წესს ანგარიშს უნდა უწევდეს, თუმცა სხვისი მბაძი და სხვისი ორეული საურ-თიერთობოდაც უინტერესოა. თითქოს ბუნებას სცილდება და ხელოვნური წარმონაქმნია. რაღაც ნორმებს არ უნდა ემონებოდეს, თვითონვე უნდა ჰყავდეს თავის თავში თავის ცენზორი და თავის მსაჯულიც, თორემ რჩევა შეიძლება ყველას ჰყითხო, მთავარია პოლოს გადაწყვეტილება თავად მიიღო.

ქალი და შემოდგომა

გვიანი შემოდგომა ქალის ცხოვრების შემოდგომას ჰქონის, ჰქონის და არცა ჰქონის. ჰქონის იმით რომ მრავალწლიანი ხეები მრავალჯერ იმოსებიან ფოთლებით და მრავალჯერ იწყებენ ახალ ცხოვრებას, ფოთლები კი ჩვენსავით, ადამიანებივით ერთი ცხოვრებით ცხოვრობენ. ერთცხოვრება გავლილი ფოთლები უფრო დაუნანებლად ეთხოვებიან თავიანთ ნავსაყუდელს და ფრენით ტოვებენ სიცოცხლეს.

სიბერეში სიკვდილის წინაც არ ჰქონის მათი ფერისცვალება ერთმანეთს: ქალები ჭკნებიან და ისე ეთხოვებიან წუთისოფელს, ფოთლები კი უფრო ლამაზდებიან, ნაირნაირი წითელ-ყვითელი ფერებით იმშვენებენ თავს და არც ჭკნებიან, ასე შუქჩამდგარი, ლამაზ ფერებით გასხივოსნებული, ლამაზადვე ეთხოვებიან წუთისოფელს, როკვით და ფრენით. სიკვდილისწინა როკვას ჰქონის მათი ფარფატი სიოს, ქარის თუ ქარიშხლის ჰანგზე, ზოგჯერ კი სრულიად მშვიდად მიფრინავენ მიწისკენ, თითქოს სიკვდილს არ ნებდებიან. მიწაზე დაშვება უჭირთ და ჰაერში ცეკვავენ კარგასანს, საბოლოოდ მოკრებილი ძალებით.

სიკვდილის წინ თუ მოვჭრით მათ ტოტიანად, მხოლოდ მაშინ ჭკნებიან და სასოწარკვეთილი ასე აკვდებიან ტოტებს. ლამაზად სიკვდილი, ალბათ, მათი სტიქია. ჭკნობა კი პროტესტია მათი სილამაზის ხელყოფისა.

ალბათ, ამიტომაა ქალები სიბერეში მოგონებებით რომ ცხოვრობენ. სილამაზედაკარგულ ქალებს მეტი რა დარჩენიათ. არადა, ქალი ქალია, ყოველთვის ლამაზად სურს გამოიყურებოდეს. მოგონებები ალბათ ამ დანაკარგის კომპენსაციაა, რომლითაც ყოფას იმშვენებენ მიმწუხრის უამს.

წელიწადის ოთხი დრო

ცნობილია, რომ ანტონიო ვივალდიმ მუსიკის ენაზე ააუღერა წელიწადის ოთხივე დრო და ისინი მუსიკის საამოჲანგებით განგვაცდევინა. და ამას ხომ წარმოდგენაც ახლდა თან.

ალბათ, სიტყვებს არ ძალუბთ ეს დროები ისე მოგანოდონ, რომ ბოლომდე შეიგრძნო თითოეულის განსაკუთრებულობა და მშვენიერება, უბრალოდ, უნდა შეგეძლოს თითოეულ დროში რაღაც საინტერესოსა და სასიამოვნოს დანახვაც, რა თვალითაც შეხედავ, ის განცდა და გრძნობა გეუფლება, ვინც ყველაფერში მშვენიერს ეძებს, ის ხედავს, და კიდეც ემშვენიერება.

შეიძლება ისე ვერ აგვენტო ცხოვრება რომ აღტაცებულმა წამოვიძახოთ „ცხოვრება მშვენიერიაო“, მაგრამ მე მგონია მაშინ უფრო უნდა ვცდილობდეთ, ყველაფერში სასიამოვნოს აღმოჩენას, რომ ჩვენი ცხოვრება როგორმე შევიფერადლამაზოთ. თუ სულ ცუდზე ვიფიქრეთ, ან უარყოფითზე გავამახვილეთ ყურადღება, შეიძლება ისეთი გაუსაძლისი გაგვიხდეს ცხოვრება რომ, კარგიც ველარ დავინახოთ, შევიგრძნოთ და ყველაფერი თალხ ფერებში მოგვეჩვენოს.

წელიწადის ოთხ დროს ვახსენებდი, ოთხივე დრო სხვადასხვაგვარად მესახება. გაზაფხული რაღაც საწყისთან, განახლებასთან, იმედთანაა დაკავშირებული, თითქოს როგორილაც აღმაფრენაც კი გეუფლება, პრობლემებიც უფე-

რულდება და უკანა პლანზე გადადის, ნინ კი იმედი ჩნდება, და რა თქმა უნდა კარგის მოლოდინი.

მეოცნებებს ლამის გაფრენის სურვილიც უჩნდებათ. არა მარტო ბუნებაში, თითქოს ჩვენშიც იღვიძებს რაღაც, და ეს რაღაც, თუნდაც დაუკონკრეტებელი, ძალიან სასიამოვნოა, დადებითი ემოციები ახლავს. სიყვარულის მოძლოდინეთ, სიყვარულის იმედი უჩნდებათ, ყველა ოცნების დასაბამი კი გაზაფხულია, განსახორციელებლის თუ განუხორციელებლის, და ყველა სურვილის ახდენის შესაძლებლობის, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად. ამიტომაა საამო გაზაფხულის ეს თვისება, საგაზაფხულო აღტყინება და მოლოდინი.

ზაფხული, – მრუჯი, შლეგი და ხვატიანი, თავგადასავლებიანი... მოძალებული ვნებით, თითქოს ყველაფერში დგას, – სულიერშიც თუ უსულოშიც და ყველაფერს თანგავს.

ეს ის დროა თავს რომ რაღაცის უფლებას აძლევ. ზოგჯერ კი ცდუნებებიც ახლავს. ზაფხული ხომ შთაბეჭდილებებითაა დახუნდლული, მოგზაურობებისა თუ გარემოს შეცვლისას, თითქოს რაღაც ახალი ჩნდება, – განუმეორებელი, განუმეორებელი კი ყოველთვის სასიამოვნოა, ბევრის მომცველ – განმცდელი. ეს ის დროა, მთელი წელი რომ გვყოფნის და მიგვყვება მომავალ ზაფხულამდე, მერე სულმოუთქმელად ველოდებით ახალ ზაფხულს, მოვლენებით დატვირთვულს და ხვავიანს.

წელიწადის ყველა დროს ხსენებისას ამ დროსათვის დამახასიათებელი განწყობა გეუფლება.

შემოდგომას რომ წარმოვიდგენ, თვალწინ ულამაზესი

ფერებით აფერადებული ტყეები წარმომიდგება, და ეს ფერები გამჭვირვალე, ნათელი და ხასხასაა, თითქოს ნაირფრად ანთებული მოკიაფე ნათურებია. შემოდგომის ეს ფერისცვალება მშვენიერია, მაგრამ ოდნავ მელანქოლიური, ალბათ ზამთრის სიახლოვის გამო.

ზამთარი უკიდეგანო სითეთრეა. სითეთრე მაშინაც კი, როცა ზამთარს თოვლი სულ არ სტუმრობს. და კიდევ: სითბოც და სიცივეც, ეს ორივე სიმყუდროვესთან ასოცირდება, სადღაც რომ გეგულება თბილი და მყუდრო სამყოფელი როგორც ნავსაყუდელი, სიმშვიდის კერა და საიმედო ბუდე, და თუ მოგუზიგუზე ბუხართან მიჩოჩებული სარწეველა სკამიც გეგულება, საინტერესო და სასიამოვნო წიგნით, იქ ხომ სითბოსთან ერთად სიმყუდროვეცაა. თოვლიანი ზამთარი სულ სხვაა. თუ ფანჯრიდან გაიხედავ, იქ უკვე სიცივე და მდუმარებაა; მოფარფატე ფანტელების კორიანტელი, ფანტელების აღლუმად წარმოგიდგება, სადაც ფთილისხელა საოცრებები ზღაპრულ პეპლებად გესახებათ. სივრცეს თუ გახედავთ, ეს ფანჯარა სიცივისა და სითბოს სამანია თითქოს. სიცივის შეგრძნება გავიწყდება როცა ხვავრიელად ბარდნის და თეთრნაბადნამოსხმული ხეები თუ და-თოვლილი ბაღები, ზღაპრული მშვენიერებით გამოიყურება უკიდეგანო სივრცესა და სითეთრეში.

მთავარია, ვინ როგორ ხედავს თითოეულ დროს, და ვინ როგორ აღიქვამს, იმის თქმა მინდოდა რომ რაღაც წილად ეს ჩვენზეცაა დამოკიდებული.

მიცვალებულზე დატირების რიტუალი

ის, რომ ჩვენში უნინ დატირება იცოდნენ, ეს ერთგვარ რიტუალად იქცა, რაც მიცვალებულის გაპატიოსნებად ითვლებოდა. თუმცა მე ვფიქრობ, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი აზრი ედო საფუძვლად ამ მოვლენის დამკვიდრებას. მართალია, როგორც პეტრარკა პრძანებდა: „ვისაც აქვს ძალა თქვას, როგორ იწვის, – ჩანს ცეცხლი სუსტად მოჰკიდებიაო“.

ანტიკური ეპოქის ბრძენნი კი ამბობდნენ: „მხოლოდ მცირე ნაღველია მეტყველი, დიდი დარღი მდუმარეაო“. მიუხედავად იმისა რომ ყველა ამ გამონათქვამს ვეთანხმები, მე ვფიქრობ რომ ისეთ პატარა ქვეყანას როგორიც საქართველოა რომელსაც სულ ომებში უწევდა ცხოვრება გადასარჩენად, – როგორც ამბობენ „ხმალი ქარქაშში არ ჩაუგიათო. ომში ხომ ძირითადად მამაკაცები იღუპებოდნენ, და ამ უდიდესი ტკივილის დროს, რასაც ოჯახის წევრის სიკვდილი იწვევს, მით უმეტეს აქ ხომ ქალებზეა საუბარი, დამტირებელ ჭირისუფალზე, რომელსაც ძალა და ნებისყოფა სჭირდებოდა არა მარტო ტკივილის გადასატანად, არამედ ცხოვრების გასაგრძელებლად, რადგან მის მხრებზე გადადიოდა შვილების და ოჯახის გაძლოლა, მეუღლის დაღუპვისას. ამიტომ, მიცვალებულთან მისასამძიმრებლად და გამოსათხოვებლად მისულ ხალხთან შეტირება, გარდა იმისა რომ მომსამძიმრებლის მოსვლისა და მწუხარების გაზიარებისთვის ერთგვარი მადლიერების გამოხატვა, ყურადღების მიგება იყო, მიუხედავად დიდი მწუხარებისა, რასაც დიდი

ძალა და ნებისყოფა სჭირდებოდა. იქნებ ეს ერთგვარი განტვირთვაც იყო, ნაწილობრივ დაცლა- შემსუბუქება და რაღაც წილად შეგუებაც მძიმე ჭაპანის საზიდად და ძალის შესანარჩუნებლად. დღევანდელ პანაშვიდებივით იყო ალბათ, ეს დატირების რიტუალი, ერთგვარი გაცილება-გაპატიოსნება, ხალხის თანადგომით. ეს არ იყო მარტო გულის მოსაოხებელი ჩვეულება. ვ.ჰიუგო კი ბრძანებდა: „ცრემლი მუდამ რაღაცას ჩამორეცხავს და გვანუგეშებს ხოლმეო“. ალბათ, უფრო ბრძნული და მრავლისმთქმელი მიზეზებიც არსებობდა ამ რიტუალის დამკვიდრებისას, რომელიც არც თუ ძალიან დიდი ხანია რაც აღარ ხდება.

მე მხოლოდ ჩემი აზრი მოგახსენეთ.

ლია ფანჯრებში...

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ინტერნეტი არ არსებობდა, ხალხი ხშირად გამოდიოდა საღამოობით სასეირნოდ. არა მარტო პარკებში, არამედ ქუჩებშიც. ორნი ან სამნი მიუყვებოდნენ ხოლმე ნელი მასლაათით ქალაქის რომელიმე ახლომდებარე ქუჩას, და რადგან კონდიციონერის ფუფუნებაც არ ჰქონდა ხალხს, ამიტომ მზის ჩასვლისას ყველა ფანჯარა იღებოდა და ორპირი ნიავი საამოდ აფრიალებდა თხელ ფარდებს.

მეც ხშირად გამოვსულვარ სასეირნოდ. მაშინ სატელევიზიო გადაცემები საკმაოდ მწირი იყო, მხოლოდ თბილისს უჩვენებდა, თან მხოლოდ ერთი არხი არსებობდა. უნდა ვალიარო, მყუდრო ქუჩებში სეირნობისას, ხშირად გამპარვია თვალი ნახევრად ჩაბნელებული ან ოდნავ განათებული ლია ფანჯრებისკენ, როცა ნიავი ოდნავ არხევდა თხელ, ისედაც გამჭვირვალე ფარდას, წამიერად დანახულ, გაელვებული ადამიანთა ფიგურები თუ სილუეტები, ან გარეთ გამოუღწევლი, ყურმოუკვრელი სიტყვები თუ ჩუმი, სასიამოვნო მუსიკის ხმა, ძალიან სასიამოვნო განწყობას მიქმნიდა, და თუ საიდანმე ცოცხლად შესრულებული ფორტეპიანოს ხმაც გამოდიოდა, ვთვლიდი რომ ჩემთვის უკრავდნენ.

ძირითადად სასტუმრო ოთახის ფანჯრები გამოდიოდა ქუჩის მხარეს, „უსტუმრო“ ოთახები თითქმის ცარიელი იყო, ისე რომ არავის სიტყვა-პასუხს არ ვუსაფრდებოდით, ძირითადად ჩვენი რომანტიული წარმოსახვები და ცოტა ფანტაზია გვეხმარებოდა ამ სასიამოვნო განწყობის შექმნა-

ში, რაღაც სპექტაკლივით, ბუნებრივი, მინი წარმოდგენა გაიელვებდა ხოლმე და ეს, დადგმულ -განსახიერებულზე მეტად მოქმედებდა, წარმოსახვას მეტ გასაქანს აძლევ-და და ჩემთვის სასიამოვნო მიმართულებით ვითარდებოდა, თან სიმშვიდის სასიამოვნო განწყობა მეუფლებოდა. ეს ალბათ, ცხოვრების ცოცხალი, დაუდგმელი სპექტაკლების ერთი ელვისმიერი სცენა იყო. ხშირად ამ გარემოებას იმავე ფანჯრიდან გამომავალი, ზუსტად მისადაგებული მუსიკაც მეტ მგრძნობელობას მატებდა და საამოსაც ხდიდა. ამ გაელვებულ, წარმოსახვით კადრებს, რაღაც მხატვრული იერიც დაჰკრავდა, თუ ჩემზე ახდენდა ასეთ ზემოქმედებას არ ვიცი. რა თქმა უნდა საკმაოდ უხერხეულია სხვის ფანჯრებში ცქერა, არც კარგ ტონად უნდა ითვლებოდეს, მაგრამ თვალი მეპარებოდა თორემ სხვის ცხოვრებაში ჭყეტა რა წესია, თუმც სამწუხაროდ თუ სასიამოვნოდ ეს მართობდა და „ცოდვა გამხელილი ჯობსო“, მსიამოვნებდა კიდეც.

აბა, როგორ გამეძლო ცდუნებისთვის, როცა ლია ფანჯრებიდან მქრქალი სინათლე ჩუმად იჭყიტებოდა ოდნავ გადაწეულ ფარდებიდან და იმ ოთახის ინტიმსა და სიმუდროვეს გვახვევდა თავს, სუსტი ნიავი კი ფარდების რხევით გვიწვევდა. სასიამოვნო მშვიდი მუსიკის საამო ზემოქმედება ხომ საერთოდ მავიწყებდა ზღვარს, კარგსა და ცუდტონს შორის.

თქვენთვის, მხოლოდ თქვენთვის, ხანდაზმულნო

უნინ მიცვალებულზე ასეთი დატირება იცოდნენ, „სი-ცოცხლით გაუმაძლარო“ ან „მზე დაბნელებულოო“. ალ-ბათ, უფრო სოფლებში, თუმცა ორმოცდაათიან წლებში და მას შემდეგაც, თბილისის დიდ ნაწილშიც იცოდნენ დატირება, გულის ამაჩუყებელი სიტყვებით მოთქვამდნენ. „სი-ცოცხლით გაუმაძლაროს“ კი, უფრო ახალგაზრდებს ატირებდნენ.

ამ სიტყვების აზრს არასოდეს დავკვირვებივარ და არც ჩავლრმავებივარ. ცხადია ასაკოვან ადამიანს არ დაატირებდნენ, სიცოცხლით გაუმაძლარო. არადა ასაკში უფრო ფასდება და მძაფრდება სიცოცხლის სურვილი, და უკმარისობის გრძნობაც ჩნდება. ხომ ამბობენ „გული არ ბერდებაო“ და როცა სიბერეშიც ინარჩუნებ ხალისს და ინტერესს, აი მაშინ ერთგვარი გულისწყვეტა გეუფლება, რომ შენ ბოლოსკენ მიდიხარ, სადაც ინტერესიც ქრება, ხალისიც ცვდება და იმედიც ილევა. სადაც შესაძლებლობა აღარ გეძლევა რაიმეს შეცვლის ან გამოსწორების, სადაც მომავალი აღარ არსებობს შენთვის და ვერც წარსულს იბრუნებ. არადა, ყველაფრის ფასი ახლა უფრო იცი. ყველაზე მეტად წლების დაპრუნება გინდა და როცა ამაზე ფიქრობ, რკინის კედელს ეჯახები შუბლით, ხვდები, რომ შეუძლებელია, არადა ამ ასაკში წლები ჩიტებივით მიჰქრიან, უსწრაფესად, როგორც არასდროს, მე ვიტყოდი ულმობლად.

ამის გამო მელანქოლიაც იჩენს თავს, მართალია ოცნებები სიყმაწვილეში რჩება და ნელ-ნელა, თანდათანობით

ქრება, მაგრამ გამონაკლისიც ხომ არსებობს. თუ ადამიანი დაბადებით მეოცნებე იბადება, ის მთელი ცხოვრება ოცნებებით საზრდოობს და იკვებება. ხომ იცის რომ ოცნებები ოცნებებია, მხატვრულ ზმანებებივითაა და არ ხდება, რაღაც უიშვიათეს შემთხვევათა გარდა, მაგრამ ზოგს, მთელი ცხოვრება გასდევს, ამით იიოლებს და ილამაზებს ცხოვრებას, მერე რაა, თუ ახდენას არც ელოდება, ის ხომ ასეთად დაიბადა, მეოცნებედ, ჰოდა ასეთ ადამიანებს განსაკუთრებით უჭირთ სიბერეში.

ისევ იმ დატირებას გავიხსენებ, „სიცოცხლით გაუმაძლაროო“ ვისზეც ამბობდნენ, და რა თქმა უნდა ახალგაზრდაზე, ისინი ხომ არც ფიქრობდნენ სიცოცხლით ძლომაზე, რადგან მათ წინ მთელი მარადისობა ეგულებოდათ. წუთისოფელიო, რომ ამბობენ, ეს ჩვენ ვიცით ამ სიტყვის აზრი და ფასი, ზუსტად რომ ესადაგება ამ სოფელში ცხოვრების ხანგრძლივობას, თორემ ახალგაზრდები ხომ ცხოვრების ხანგრძლივობაზე საერთოდ არ ფიქრობენ. ესე იგი ეს ჩვენ ვართ ხანდაზმულები სიცოცხლით გაუმაძლარნი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ უფალმა გვიბოძა ამ სოფლად ხანგრძლივად სტუმრობა, მაინც ვერ ველევით ამ ქვეყნიდან წასვლას, მიუხედავად იმისა, ბედნიერი და კმაყოფილნი ვიყავით თუ არა ჩვენი ცხოვრებით.

და კიდევ, ძალიან მწყდება გული, როცა მთელ რიგ არც თუ ისე ხელწამოსაკრავ ლიტერატურულ ნაწარმოებში ისე ამრეზით იხსენიებენ ხანდაზმულთ, თითქოს კეთროვნები იყვნენ, თან ნაირ – ნაირი „ეპითეტებით“ ამკობენ მათ სიბერეს, ნაოჭებს, უუნარობას და მათ ზედმეტობას უსვამეს

ხაზს. ის კი ავიწყდებათ, რომ ჩვენ რჩეულები ვართ, უფლის რჩეულები, და მან გვიბოძა ამ ქვეყნად ხანგრძლივად ყოფნა. განა ასე არ არის? სადღეგრძელოებსა თუ სხვა კეთილგანწყობის გამოხატვისას ადამიანს უპირველესად ვუსურვებთ ხოლმე „დიდხანს სიცოცხლეს“ და „ტკბილად დაბერებას“.

აბა ვინ და რომელი სულდგმულია დაზღვეული სიცოცხლის ხანგრძლივობით, და რა ხშირია ისეთი საშინელი შემთხვევები როგორიც ახალგაზრდების უდროოდ დალუპვაა. და ჩვენ თუ გვებოძა ეს წლები, დაბერება ხომ ამ წელთა სიმრავლეს მოსდევს, ამიტომ ვერც ერთ მწერალს ვერ მოვუწონებ ხანდაზმულთა არასაკადრის „ეპითეტებს“ ღმერთმა ყველა უხვად დააჯილდოვოს წლებით.

ხომ გაგიგიათ მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობსო, ჰოდა, ჩვენ მოკლე ხანში წარსული ვიქნებით, ჩვენ ფესვებზე კი მომავალი თაობა აღმოცენდება, და ეს თაობა საუკეთესო იქნება. არასასურველ წარსულზე კი სასურველი მომავალი ვერ აღმოცენდაბა.

რაღაც გაუცნობიერებელი

ზოგჯერ ჩემში რაღაც, – დაუფიქრებლად, გაუცნობიერებლად იღებს გადაწყვეტილებას და მამოქმედებს. ხშირად მქონია შემთხვევა, როცა სიტყვები, რომლებიც არც ჩემ სურვილს გამოხატავდნენ, არც ლოგიკური აზროვნებით იყო ნარმოთქმული, და უფრო მეტიც, ჩემ საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, მყისიერად მითქვამს ან მიმოქმედია. არ ვიცი, ამ დროს რა ირთვება ჩემში, რა მამოქმედებს;

რაღაც შეუცნობელია ღრმად ჩამალული ჩემ ბუნებაში, (იქნებ არა მარტო ჩემში), რა არის ეს, პროტესტი რაიმე კონკრეტულის ან ზოგადის მიმართ, თუ ღირსების, თავ-მოყვარეობის, არასრულფასოვნების კომპლექსის, ან სულაც პატივმოყვარეობის ამბობი, მოქმედებაში მოყვანილი?! ფაქტია, რომ არანაირ სურვილს, ლოგიკას და საჭიროებას არ ექვემდებარება და არც შედეგზეა გათვლილი.

რამდენი რამ დამაკარგვინა დღემდე აუხსნელმა, „ეშმაკის ნაკარნახევა“ თუ ნაბიძგმა, ჩემგან და უჩემოდ სისრულეში მოყვანილმა ნათქვამმა სიტყვამ ან ქმედებამ. მაგრამ ეს ყველაფერი ისე ორგანულად იყო ჩემში ჩაბუდებული რომ საკუთარ თავის განსჯას და აღკვეთას არ ექვემდებარებოდა და მასში სიჯიუტის ელემენტებიც იყო შეთავსებული რადგან, ყველაფერი მყისიერად და მექანიკურად ხდებოდა, ჩემი აზრისა და გონების დაუკითხავად.

ბავშვობაშიც მქონია ასეთი შემთხვევები. ბუნებით უნინარ ბავშვად ვითვლებოდი, მაგრამ თუ დავაშავებდი და

მსჯიდნენ, დასჯას და იძულებას ვერ ვეგუებოდი, თითქოს თავმოყვარეობა მელახებოდა. თუმცა ვგრძნობდი, რომ არ უნდა გავჯიუტებულიყავი გაჯიუტება უფრო ცუდ შედეგს მომიტანდა და ეს არც მე მინდოდა, მაგრამ რაღაც ჩემგან დამოუკიდებელი მამოქმედებდა და სხვაგვარად არ შემეძლო კი არა, ვერ შემეძლო.

ეპიტაფიები

მოგეხსენებათ, სასაფლაო უცებ იცვლის სახეს რადგან ელვის სისწრაფით იზრდება მოცულობით. უცხო სასაფლაოზე რომ მოვხვედრილვარ, საფლავის მიგნებამდე ხშირად მიდევნებია თვალი მარმარილოში ჩასმული ფოტოსურათებისთვის. ახლა ახატავენ მარმარილოს სვეტს, მაგრამ ძველ საფლავებზე უფრო ხშირად, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათებია, მომცრო მარმარილოებსა თუ გრანიტებში ჩასმული, კაბინეტური თუ ყოფითი, რაღაც მომენტში დაფიქსირებული...

ან უკვე გარდაცვლილი, ცოვხალი სახით წარმომიდგება, მისი მზერა თუ პოზა ან ფოტოსურათზე რაიმე მოქმედებისას დაჭერილი წამი, თითქოს მასზე და მის ცხოვრებაში მახედებს, და ცხოვრებისეული კადრები მიდგება თვალწინ. იმ გადაღების მომენტში ხომ ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ფიქრობდა, ოცნებობდა, განიცდიდა, უყვარდა, იცინოდა, მღეროდა, დარდობდა და ასე შემდეგ, ახლა კი...

არ ვიცი, ეს წამებში გაელვებულ-ჩატეული ცხოვრების სურათები, რატომ მოქმედებდა ჩემზე. ან სანახაობრივი და დამაფიქრებელი რატომ იყო, ან უკვე გარდაცვლილის, თან უცნობის ცხოვრება. ალბათ, რაღაცაზე მაფიქრებდა, ცხოვრების ამაოებაზე, წარმავლობაზე, ან ამოცნობილსა თუ ამოუცნობ მოვლენებზე.

საფლავის ქვებზე მინაწერ ტექსტებს და ლექსებს არა-სოდეს ვკითხულობ, არ მაინტერესებს, მხოლოდ ფოტოებს

ცუმზერ და გარდაცვლილის სიცოცხლით სავსე ცხოვრება მიღება თვალწინ, სურათის გადაღების მომენტში.

ჩემთვის ერთნაირად საინტერესოა გარდაცვლილი ახალგაზრდაა თუ ხანდაზმული. ზოგჯერ ხანდაზმულის ცხოვრება უფრო ხატოვნად მესახება, საინტერესოდ. გააჩნია სურათს და გამომეტყველებას. ერთად ერთი, ბავშვებთან არ ვჩერდები და არც არანაირი წარმოსახვები არ მიჩნდება, იმდენად შემაძრნუნებელია ბავშვების უდროოდ წასვლა ამ ქვეყნიდან.

ზემოთ ვთქვი, მიცვალებულის სიცოცხლისას, ფოტო-სურათიდან მომზირალი ცხოვრების რაღაც კადრი, წამებში როგორ ეტევა მეთქი, თუმც ეტევა რა, ... ეს ხომ გაელვებასავით ხდება.

გარდა იმისა, რომ განწყობით – განცდითია ეს ყველა-ფერი, ამავე დროს სანახაობრივიცაა, ჩვენ ხომ ტრაგედიებიც მოგვწონს და გვსიამოვნებს, წიგნის, ფილმის, ან სპექტაკლის სახით, მხატვრულად მოწოდებული.

სამოცდამეთოთხმეტე...

სამოცდამეთოთხმეტედ მიმასპინძლა შემოდგომამ, დამცხრალი მზით, შეყვითლებულ შეღვინისფრებულ ფოთოლთ შრიალით და სიმშვიდით. სამოცდათოთხმეტმა წელმა, შემოდგომის ფოთლებივით გაახუნა, მძაფრი შეგრძნება, ვნება, აღტყინება, აღმაფრენა, ოცნება და, სიმშვიდე მომგვარა.

სიმშვიდე, და კიდევ ლოდინი, მაგრამ ეს სულ სხვა ლოდინია, იმ მოლოდინს არ ჰგავს, ნაირფერად რომ გესახება მომავალი. სიმარტოვის საუფლოში დავანების მოლოდინია.

მაგრამ, მერე რა რომ გახუნდა რაღაც – რაღაცები, საბოლოოდ ხომ არ გამქრალა?! მინავლა. მაჟორი მინორმა შეცვალა, ოპტიმიზმს ჰესიმიზმი შეეპარა, ცოტა სენტიმენტებიც მოგვეძალა. თუმცა ამაშიც არის მშვენიერების იდუმალება, ამოუცნობი, და რომანტიული.

ეს განწყობა ღია ფერფლისფრად, ჰაეროვანი მაქმანივით ამშვენებს ქალის სულსა და ბუნებას, გამორჩეულ ხიბლს აძლევეს და უფრო საინტერესოს ხდის. მერე რა, რომ წლები გვამძიმებს, სული ხომ მსუბუქია და თანაც ჩვენ ვიცით ყველაფრის ფასი და ცოტა სხვაგვარადაც აღვიქვამთ ყოველივეს, იგივე ვნებებს, მშვენიერებას...

მერე რა რომ ცოტა წარსულს ვაიდეალებთ, თუნდაც უღიმდამოს. თუ აქამდე განვლილ გზისკენ არც გაგვიხედავს და მარტო წინ ვიყურებოდით, ახლა პირიქით წინ აღარ გვინდა ყურება, უკან უფრო ვიხედებით, მოგონებებით ვიკვებებით, განვლილი უფრო გვეძვირფასება. თუნდაც უფე-

რული ან მტკივნეული მაგრამ იმედებით დაპურებული და ოცნებებით გაცისკროვნებული.

წინ კი სიმშვიდეა, სიმშვიდე და გარინდება, და კიდევ, მონოტონური ერთფეროვანი ყოველდღიურობა.

სიზმარი თუ ზმანება

შურთხივით შეფრთხიალდა სიხარული სულში, შეფრთხიალდა და ნუშივით აყვავილდა, სიამოვნების ტალღამ გადამიარა, დავიბანგე; დავიბანგე და ძლივს შევნიშნე როგორ გამოფრთხიალდა უკან. დავედევნე, ცისკენ გავენთე და თითქოს უფერო ფერებში აღმოვჩნდი. უცებ სიხარულისა და სიამოვნების ურუანტელი შენ სახებად გარდაიქმნა. ღრუბლებში გეძებდი, შენ კი ნისლებში გარინდულიყავ, ნისლებს თუ შეენივთე, ვეღარ გარჩევდი და ასე გავშემდი დიდხანს, სანამ ციდან ხილვასავით გიხილე კვლავ.

უეცრად ბურუსიდან გამოჩნდი, ქვემოთ ეშვებოდი ნელ-ნელა მწვანე მინდორზე, ფიფქების დიადემით, ნისლების მანდილშემოხვეული. ფრინველივით მოფრინავდი ციდან მოვლენილ ზეციურ ქმნილებასავით და შიშველი ფეხებით, ნამიან ბალაზზე, ვით ფიანდაზზე, ნელა ეშვებოდი. ფიფქები ნელ-ნელა ქრებოდნენ. მინდორი რომ ჩამოიარე, ნუშის ხეების მწკრივთან ბილიკა მოდიოდა და შენ იმ ბილიკს დაუყევი.

ნიავი ჩამდგარიყო, ტანთ საბურველი მანდილი, აღარ ფრიალებდა, ნატიფ ტანზე ჩამოგშლოდა და ფეხებს გიკვართავდა; მხოლოდ ტერფებილა ჩანდა, თავზე კი, – თავზე, ფიფქების მსგავსად ნუშის ყვავილებს დაედოთ ბინა, ნელ-ნელა ჩაყოლოდნენ თმებს, შემდეგ სხეულზე შემოკვართულ გამჭვირვალე მანდილს და შენ ნაკვალევს შლიდნენ. თითქოს ნაკვალევი არც ყოფილა, შენ ხომ მიწას არც აკარებდი ფეხს.

ეს იყო საოცრად ლამაზი, ნუშის ყვავილების შლეიფი რომელიც ბილიკზე რჩებოდა და მოგვირილებულ მინდორთან აერთებდა ბილიკს.

ჩემი ერთი დღე მუზეუმში

დღეს 2017 წლის 6 ოქტომბერია, პარასკევი. საექსპოზურით დარბაზის სალონში, თეთრ როიალსა და ფანჯარის შუა მდგარ სავარძელში ვზივარ და დამთვალიერებელთა მოლოდინში, მზის ღონემიხდილ სხივებში ვლივლივებ, მზეც მელამუნება რამდენადაც შეუძლია მილეული ძალით შემცივნებული სხეულისა და განწყობის შეთბობა. განწყობის შეთბობამ კი, რაღაც პატარ-პატარა სურვილებიც გამომიღვიძა, პატარა თუ ჰქვია, ჩემ მოპირდაპირე შენობაში, ცისფერ გალერეას რომ უწოდებენ, ორი დღეა ბინა დაიდო სტუმრად წვეულმა ბოტიჩელმა და კორავაჯომ და მათი ნახვის სურვილი უფრო გამიმძაფრა თბილმა სხივებმა, მაგრამ ხომ ვერ მივატოვებ სამსახურს, ორ ნაბიჯზე კია აქედან თუმც, ერთ საათიანი შესვენება არ მეყოფა მათ დასალაშქრად და ვფიქრობ როდის შევძლებ ამ სიამოვნების ზიარებას.

მახსოვს 25 თუ 30 წლის წინ იმპრესიონისტების და პოსტ-იმპრესიონების შემდგომ, ჰამერის გამოფენაც იყო ჩამოსული, ხელოვნების მუზეუმში და მთელი დღე წვიმაში როგორ ვიდექი რიგში, ბილეთების მოსაპოვებლად. მაშინ ამ სისტემაში არ ვმუშაობდი და ეს ლოდინიც კი სასიამოვნო იყო, თუმც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყნებშიც მაქვს დიდებული შედევრების ნახვის სიამოვნება, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. რაც მაშინ საკმაოდ იშვიათი და რთული გახდლდათ.

ჰო, საფიქრალი და სასურველი სხვაც ბევრი მაქვს და მარტო მზის სხივები არ მიშლის და არ მიმძაფრებს ამ სურვილებს მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა, მე ხომ რამდენიმე დღეში სამოცდამეთოთხმეტე წელს მივითვლი, თუმც

ვერ ვიგებ და ვერც ვიღებ ამ სიტყვას „ხანდაზმული“, უფრო სწორად ვერ ვითავისებ. მართალია ბევრ რამეზე მწყდება გული, წელთა სიმრავლის გამო, მაგრამ მაინც მეჩოთირება თუ მეუცხოვება ეს სიტყვა, არადა აბა სხვა რა ჯანდაბა ვარ, ამდენი წლები რომ მამძიმებს, რად მეხამუშება, – იქნებ იმიტომ რომ, ჯერ კიდევ ვინარჩუნებ ხალისს და ინტერესთა ფართო სპექტრი მაქვს შემორჩენილი, მიუხედავად ჩემი არც თუ იოლი, და მე ვიტყოდი საკმაოდ მძიმედ განვლილი ცხოვრებისა, თუმც პატარ-პატარა გამონათებებიც იყო, რამაც ხალისი და ინტერესები ბოლომდე ვერ გამიხუნა.

ვცდილობ ვიაქტიურო, რაც ძალასა და ხალისს მაძლევს. უპირველესად კი ამაში ჩემი სამსახური მეხმარება, და კითხვა, საკმაოდ ბევრს ვკითხულობ. ახალგაზრდობაში გარდა ჩვენისა, საზღვარგარეთულ ლიტერატურას ვიყავი მიძალებული, დღეს ძალიან შეიცვალა მსოფლიო ლიტერატურა. გარდა ზოგად საკაცობრიო მოვლენებისა, მომავლის ადამიანის სულიერი და ყოფიერი მეტამორფოზებია. უფრო, სულიერის გამორიცხვით. ფლეგმატური, რობოტობამდე დასული ყოფა. და ამას ყველა მწერალი სხვადასხვა გვარად გამოხატავს ხედავს და გვაწვდის.

ვცდილობ ახალ-ახალი გამოცემები მოვიპოვო, შეძენით, თხოვებით, გაცვლით, არც მოდიდან გამოსულ ბიბლიოთეკებთან ვარ მწყრალად და მათი აქტიური მომხმარებელიც ვარ და ვცდილობ კომპიუტერს დავუპირისპირო რადგან, სადღაც ზემოთაც ვთქვი, მას „დროყლაპია“ დავარქვი, და ამიტომ ცოტა შევზღუდე მისი გამოყენება.

ასე დასრულდა ჩემი დღევანდელი სამუშაო დღე.
06.10.2017 წ

კვლავ მუზეუმში მორიგეობისას...

დილიდან ვმორიგეობ ლიტერატურის მუზეუმის საქ-სპოზიციო დარბაზში. კარგა ხანია შემცვლელს ველოდები, ჩვენ ხომ ორი სამი საათით ვმორიგეობთ გამოფენებზე, ზე-და და ქვედა საგამოფენო დარბაზებში.

ორი დღის წინ გაიხსნა გამოფენა, „ქალი პაოლოს უკან“, ალბათ, თვის ბოლომდე იქნება, საკმაოდ ბევრი დამთვალი-ერებელი მოდის, საინტერესო გამოფენაა.

ზემოთ ჩემ ოთახში მინდა ასვლა, რადგან საქმე მელო-დება და დროც მალე გავა. თუმც სახლშიც სიმარტოვე მელის, მოკლედ თავი ვერ დავალნიე სიმარტოვეს. მონაც-ვლეობით კი მყავს ხოლმე ჩემთან შვილიშვილები ამ ბოლო დროს. გოგონა ერთი წელი იყო ჩემთან და უფროსი ვაჟი ორი წელი, რაც მის სწავლაზეც აისახა.

ადრე უფრო იოლად ვუმკლავდებოდი სიმარტოვეს. ვკით-ხულობდი, ვქსოვდი ჯემპრებს თუ დიდ პლედებს, ჩემთვის რაღაცებს ვჯლაბნიდი, ვხატავდი კიდეც როგორც შემეძლო, ტელევიზორსაც ვუთმობდი რაღაც დროს და სიმარტოვეს ნაკლებად ვგრძნობდი. ახლა კი ეს „ეშმაკის მანქანა“ – კომ-პიუტერი მეც შემიჩნდა და ისე გამირბის დრო, როდის რა მოვასწრო არ ვიცი, და საერთოდ, ის ნაკლებად საინტერესო და ერთფეროვანი ცხოვრებაც კი წამართვა. მიჭირს მისგან თავის დაღწევა, ცოტა ხანს მიუუჯდები მეთქი და მერე ყვე-ლაფერი მავიწყდება, დრო კი გარბის, მე ფიქრსა და ოცნება-საც ველარ ვასწრებ, ნამდვილი „დროულაპიაა“, არადა რაღა დროს ჩემი ოცნებაა, მალე სამოცდაათს მიუუკაკუნებ.

ისე ზოგჯერ თავი თვრამეტი წლის მგონია, ლამის ას-კინკილა შემოვირბინო სახლი, ზუსტად ამ ასაკის განწყობა მაქვს ხოლმე სანამ შევცბები, – რამ აგამჩატა ამ ხნის დე-დაკაცი მეთქი, შემოვუწყები ხოლმე თავს, თან დარცხვე-ნილი აქეთ-იქით მიმოვიხედავ თითქოს ვინმე მიყურებდა. მერე მოგვიანებით, კიდეც მიხარია ხოლმე, მაინც სასია-მოვნოა ახალგაზრდად რომ გრძნობ თავს თუნდაც წუთიე-რად, აბა ისაა კარგი, ზოგჯერ ისეთი ნაღველი შემომაწვება, მგონია ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის, თუმც სახარბიე-ლო და სიამით გასახსენებელი არაფერი დამთავრებულა, რადგან ასეთი არც დაწყებულა, და რაც არ იწყება ის არც მთავრდება, ამ შემთხვევაში კარგად გასახსენებელს ვგუ-ლისხმობ. მაგრამ ის მაინც ჩემი ცხოვრებაა სიმარტოვით მორთულ მოკაზმული, რადგან დაბადებიდან მარტო ვარ, მაშინაც კი როცა გარს მეხვია ოჯახის წევრები, სკოლაში თანაკლასელები, უბანში უბნის ბავშვები...

არადა, სიმარტოვეს არასდროს ველტვოდი, პირიქით თა-ვი მინდოდა დამეღწია, თავისუფალი, ლალი მინდოდა ვყო-ფილიყავი, მაგრამ ამას ვერ ვახერხებდი, ბუნებით ძალიან მორცხვი ვიყავი, არ ვიცი ალბათ არასრულფასოვნების კომპლექსიც მქონდა რაღაც წილად. ყოველთვის ჩრდილ-ში ყოფნას ვამჯობინებდი, მათთანაც კი, ვისზედაც მეტი ვიცოდი ან შემეძლო რამე. ურთიერთობაში ინიციატივას მე არასოდეს ვიჩენდი, ასევე მე ვერ ვირჩევდი, სხვას უნდა ავერჩიე, სხვები კი უფრო თამამებს, ხმაურიანებს, ინიცია-ტივიანებს ირჩევდნენ, თუმცა არც ჩემთვის იყო სულერთი ვინ ამირჩევდა, ზოგიერთის არჩევანი არც მე მხიბლავდა,

უინტერესოები და ერთფეროვნები არ მიზიდავდნენ, ამიტომ წიგნს, კითხვას დავუმეგობრდი, კლასგარეშეს ვგულისხმობ. მთელი ცხოვრება კითხვასა და შრომაში ისე გამეპარა რომ ზოგჯერ მგონია, რომ არა ცხოვრებისეული ფაქტები, თითქოს არც მიცხოვრია, თუმც ცხოვრებაში საგულისხმოს, ვინ რას გულისხმობს...

უკმარისობის განცდა მაქს, თუმც რაიმე განსაკუთრებულზე არც მიოცნებია. ერთი ქალის პირობაზე ქალურად ბედნიერსა და ცოტა წარმატებულზე ფიქრი ბევრია? - მე კი ბევრ რამეში არ გამიმართლა, თუ ვერ გამიმართლა ან, სულაც მე ვერ გავუმართლე ჩემ ცხოვრებას, ვერ მოვახერხე ბედნიერი ვყოფილიყავი, რაღაც დავაკელი, რაღაც შემემალა, მაგრამ როცა ბედნიერებაზე ლაპარაკობენ ხშირად იქვე ბედსაც ახსენებენ ხოლმე, და იქნებ ჩემ ნაკლებ მცდელობასა და შეცდომების გარდა ბედმაც გამწირა, და თუ ბედნიერების წუთები ან დღეები არ მიბოძა, ეს ნაკლები უბედურებაა, უბედურება ისაა რომ, თუ მცირედს მაინც გიბოძებს რაიმე საამოს იმის შეგრძნების უნარიც უნდა მოგცეს. მე კი ზოგჯერ მგონია, მეტნაკლებად სასიამოვნო წუთებით, სიამოვნება ვერ შემიგრძნია. ალბათ, მე უფრო სხვაგვარი სიამოვნების მოლოდინები მქონდა, ის რაც უცხო თვალისოვის საამო უნდა ყოფილიყო მე ნაკლებად მაკაყოფილებდა, არადა როგორც ზემოთ ვამბობდი, დიდის და ბევრის მოლოდინი მგონია რომ არასოდეს მქონია.

აი, ახლა ვზივარ საგამოფენო სივრცის შესასვლელ დიდ, დარბაზულ ოთახში, სადაც იზა ორჯონიქიძის დირექტორობის დროს სალონი იყო, დიდი თეთრი როიალით და

ჭერამდე აღმართულ ძველებურ ბუხრით, რომელიც ფრანგულ კაფელითაა მოპირკეთებული, უზარმაზარი ჭალით. ქუჩიდან საპარადო შემოსასვლელს კი ფიგურული, ფერადი იტალიური მინის ვიტრაჟები ამშვენებდა მაშინ. ოთახის ჭერი ხუთი მეტრია. კედლებს დიდი მხატვრების ტილოები ამშვენებდა და ხის დიდი მოჩუქურთმებული სარკე. ოთახი გაწყობილი იყო სასალონე სამეულებით და ძველებური ბულის კარადებით. ეს ხომ ადრე ბარატინსკის სასახლე გახლდათ და კიდევ უფრო ლამაზი და მდიდრული იქნებოდა ალბათ. ამ სასახლეს ხომ საკმაოდ ლამაზი ლეგენდა თუ სინამდვილეც ამშვენებდა. და, აი, ამ ოთახში, საიდანაც გასასვლელები იყო საგამოფენო სივრცეებში, უწინ გამოფენის გახსნისას მინი ორკესტრით ან მევიოლინეთა „დასტებით“ სასიამოვნო მუსიკა ჟღერდა.

ახალმა დირექტორმა, ბ-ნ ლაშა ბაქრაძემ ამ ე.წ. სალონიდან ააღებინა დივნები და სავარძლები, ჩამოხსნა ფერწერული ტილოები და მხოლოდ თეთრი როიალი დატოვა. კედლის ბუხარს, რომელიც ჩაშენებული იყო არ შეხებია. ეს უზარმაზარი ოთახი თეთრად შეაღებინა. და ეს დიდი თეთრი სივრცე, დარბაზებში შესვლამდე, თითქოს მოლოდინით გავსებს და განგაწყობს სანახაობისთვის.

ვზივარ ფანჯარასთან გავყურებ ალექსანდრეს პარკს და ცისფერ გალერეას, ასეთ გარემოში ყოფნისას არ შეიძლება ხელოვნებასა თუ ლიტერატურაზე არ იფიქრო, ან პოეტური განწყობა მაინც არ შეგექმნას, პოდა ზოგჯერ მეცნამიცდება ხოლმე ხელი, ჭეშმარიტ პოეზიას და ლიტერატურას, რომელსაც ვიცნობ და რომლითაც ვსუნთქავ არ

ვედრები, მე უბრალოდ ჩემ განწყობას და რაღაც მოვლენებს კრითმავ როგორც შემიძლია, საამისოდ დრო მიწყობს ხელს, მოგეხსენებათ დღეს მუზეუმებში მნახველების რიგი არ დგას, სიხალვათეა და ამ დროსაც გამირბის კალმისკენ ხელი. ზოგჯერ, როცა ცნობილი შემოქმედნი გვსტუმრობენ მათთან გასაუბრების პატივიც მქონია, ისე რომ აქ მორიგეობისას მოსაწყენად ვერ ვიცლი.

„ოოგონეპანი გარდასულ დღეთა“

(ჩვენ, ომისშემდგომი თაობის ბავშვები
მოზარდები და მოზრდილები)

ჩვენი ეზოს ეშმაკუნები (ლახანკა)

ბებო და პაპა დიდ, საერთო ეზოიან სახლში ცხოვრობდნენ. ბავშვობაში ხშირად მიწევდა მათთან ყოფნა, რაც ძალიან მიხაროდა, რადგან მართლაც ძალიან დიდი ეზო იყო და ბევრი ბავშვი ცხოვრობდა. მოგეხსენებათ მაშინ თითქმის მთელი დღე ეზოში დავრბოდით და ვთამაშობდით, სკოლამდელი ასაკისანიც კი.

ჩვენს მეზობლად ჩემი ტოლი გოგონა ცხოვრობდა, რომელიც ეზოს ბავშვებში ყველაზე თამამი და ცელქი იყო, ამავე დროს რაღაც გავლენაც ჰქონდა დანარჩენ ბავშვებზე, ხშირად გვახსენებდა, მე თქვენზე უფროსი ვარო, არადა რაღაც ერთი წლით გვისწრებდა.

ერთხელ, ამ გოგონამ რაღაცა დააშავა, და მშობლებმა დასჯის მიზნით ოთახში ჩაკეტეს, თვითონ იქვე შორიახლოს მდებარე მაღაზიაში წავიდნენ. მან კი, რომ არ მოეწყინა, ფანჯრიდან ბავშვებს შემოგვიძახა და რადგან მისი ბინა ბელეტაზზე იყო, ხის პატარა ტაბურეტიც მიგვატანინა, ფანჯრამდე რომ ავმძვრალიყავით. სამივე ბავშვი რის ვაივაგლახით ავბობლდით ფანჯარაზე და ოთახში ჩავხტით. პატარები ვიყავით, სკოლამდელები.

დავიწყეთ სახლობანას თამაში, როგორც ყოველთვის, დედა თვითონ იყო. მზრუნველმა დედამ გადაწყვიტა ვებანავებინეთ. სათავსოდან უზარმაზარი „ლახანკა“ გამოათრია და დიდი სარეცხის შავი კალაპოტიც მოაყოლა. „ლახანკა“ ცივი წყლით გაავსო და ამ ცივ წყალში გვაბანავა, გვიანი შემოდგომის საკმაოდ გრილი დღე იყო. დავიყინეთ, დავ-

ლურჯდით, სულ კბილი კბილს გვაცემინებდა, მან კი კი-სელიც შემოგვთავაზა. ცივ წყალში სახამებელი და შაქარი ჩაყარა და ფინჯნით დალევა გვთხოვა, ჩვენ კი გავჯიუტ-დით, მაგრამ დაგვიყოლია და ცოტა მაინც მოგვახვრეპინა.

კიდევ კარგი მშობლები ცოტა ხნით ყოფილან გასულები და მალე მობრუნდნენ. მათი ხმა რომ გაიგო, ჯერ კიდევ სველები და ალაგ-ალაგ შესაპნულები, საწოლის ქვეშ შეგვაძვრინა, ვითომ დაგვმალა.

ძლივს გამოგვათრიეს იქიდან სიცივით აძაგძაგებულები, მეორე დღეს ყველას სიცხე გვქონდა, ჩვენი „ატამანი კი კვლავ დაისავა, ერთი-ორი ალიყურით და ორ დღიანი შიდა პატიმრობით.

ვაშლის კურკები

ბავშვობაში ჩვენ მეზობლად ფალავანდიშვილების ოჯახი ცხოვრობდა. რაღგან ოჯახის თავი, ბატონი რეზო ბოლო ხანს ავადმყოფობდა, ჩვეულებრივზე ხშირად სტუმრობდნენ ნათესავები, კვირა დღეს ბავშვებიანად მოდიოდნენ და თითქმის მთელ დღეს მათთან ატარებდნენ. ისინი მესამე სართულზე ცხოვრობდნენ, აბა ბავშვებს მთელი დღე ოთახებში რა გააჩერებდა და ქვემოთ ეზოში ჩამოდიოდნენ. ეს შენობა „მუსკომბინატს ეკუთვნოდა და საკმაოდ დიდი ეზო ჰქონდა, მაგრამ ჩვენ, ვინც კერძო სახლებში ვცხოვრობდით, არანაკლები ეზოები გვქონდა, ყვავილებით და მსხმოიარე ხეხილით. ჩვენ, ამ შენობისა და კერძო მოსახლეთა ბავშვები, სულ ერთად ვთამაშობით. მათი სტუმრებიც მოსვლისთანავე ჩვენთან გამორბოდნენ სათამაშოდ, ზოგჯერ განსხვავებულ თამაშებსაც გვასწავლიდნენ.

მოგეხსენებათ ჩვენი ბავშვობა ომის შემდგომ გაჭირვებულ პერიოდს ემთხვეოდა და არც ისე თავსაყრელად ჰქონდათ მაშინდელ ბავშვებს ხილი და სხვა ნუგბარი, კერძო მოსახლეებს კი ეზოებში საკმაოდ ბევრნაირი ხეხილი გვედგა და ზოგჯერ მათაც უუმასპინძლდებოდით. თამაშში დღე ისე ღამდებოდა მოსაწყენად ვერ ვიცლიდით, მაშინ ხომ ტელევიზორიც არ იყო ჯერ, მითუმეტეს ინტერნეტი და მობილურ-კომპიუტერები.

ჩვენი სტუმარ-მეზობლები საკმაოდ ცელქები და ეშმაკუნები იყვნენ, თავის მოგონილ თამაშებსაც გვთავაზობ-

დნენ, განსაკუთრებით ერთს ვიხსენებ, რისთვისაც საჭირო იყო ვაშლი, მსხალი ან კომში, რადგან მათი კურკები უნდა ჩაგვედო წიგნებში, ფურცლებს შუა, ღრმად, რომ მეორე დღეს თუმნიანებად გადაქცეულიყო. დიდი სიხარულით ავიტაცეთ ეს თამაში, რადგან წინასწარ ვითვლიდით ამ ფულით რამდენი ნაყინი მოგვივიდოდა და პირს როგორ ჩავიტებარუნებდით. სახლიდან გამოგვქონდა ხილი ვისაც რა, და რამდენი შეგვეძლო ისინი კი სანსლავდნენ და კურკებს გვიბრუნებდნენ წიგნებში ჩასადებად.

მეორე მოსვლაზე რომ ვსაყვედურობდით, – რატომ არ გადაიქცა კურკები თუმნიანებადო პასუხიც მზად ჰქონდათ, თქვენ არასწორად ჩადევითო, თავს იმართლებდნენ და სხვა თამაშს გვეთამაშებოდნენ.

კერძო ბინის მეორე მეზობლებს, – ხუჭუებსაც ხშირად მოსდიოდა სტუმრად ორი ეშმაკუნა ბიჭი, ისინი კი მართლა გადარეულები იყვნენ, ჩვენთან არ თამაშობდნენ მაგრამ გარედ გამოსულები უცებ იქცევდნენ ყურადღებას.

მაშინ, მენაყინები უბან-უბან დადიოდნენ ზურგზე მოკიდებული მოგრძო, ყინულებიან ყუთებით და სხვადასხვა სახის და ფასის ნაყინს დაატარებდნენ. ყოველთვის ვერ ვყიდულობით მაშინდელი სიდუხჭირის გამო, ეს ეშმაკუნები კი ხმას გაიგებდნენ თუ არა გამოენთებოდნენ, გააჩერებდნენ, ჯერ რომელიმე ფოკუსს აჩვენებდნენ, მერე კიდეც ასწავლიდნენ და ნაყინის გამორთმევისას, საფასურს რომ იხდიდნენ ცოტა, მაგრამ მაინც აკლდა ყოველთვის, გამყიდველი დამატებას რომ სთხოვდა, პასუხობდნენ: მაგის სალირალი ფოკუსი ხომ გასწავლეთო. სხვა დროს იმ ეზოს-

თან რომ ჩამოივლიდა მენაყინე, წინასწარ აფრთხილებდა მყიდველთ, ფოკუსებზე არ იყიდებაო.

მართალია არ იყო კარგი საქციელი, და არც მშობლები მოუნონებდნენ რომ გაეგოთ მაგრამ როგორც ზემოთაც ითქვა, მაშინდელ ბავშვებს ბევრი რამ აკლდათ და ზოგ რამეს თვითონვე ივსებდნენ როგორც შეეძლოთ. თუმც, არც ყველა ბავშვი იყო ერთნაირი,

უამრავ თამაშობებსა და გათვლებთან ერთად, თეატრობანასაც ვთამაშობდით, სცენებს ვაწყობით. იყო ასეთი თამაშიც „რას დვა ტრი, ფიგურუ პაკაუი“, ნაირ-ნაირი პოზები უნდა გვეჩვენებინა, საბალეტო თუ სათეატრო. ან რამე მინი სცენა წარმოგვედგინა, სხვადასხვა რამე მოგვეგონა, შეგვესრულებინა და გვეჩვენებინა.

სხვა თამაშებთან ერთად, ალბათ ომი რომ ახალი დამთავრებული იყო, ასეთ თამაშსაც ვთამაშობდით – „კაზაკი რაზბოინიკი“, მეგონა მარტო ჩვენ უბანში ვთამაშობდით ამ თამაშს, და ერთხელ, ჩვენი დიდებული მსახიობი, სოფიკო ჭიაურელი იხსენებდა, მთელი დღე უბანში და ეზოებში ვთამაშობდითო და ეს, „კაზაკი რაზბოინიკიც“ ახსენა უამრავ თამაშობათა ჩამონათვალში.

და საერთოდ, იმდენი და იმდენნაირი თამაშები და გათვლები არსებობდა მაშინ, რომ ძალიან შორს წაგვიყვანდა მათი ჩამოთვლა.

მზალო გიორგევნა

მესამე თუ მეოთხე კლასში ვიყავი, ჯერ კიდევ ქალთა და ვაჟთა სკოლების შეერთებამდე. რუსულს გვასწავლიდა მზალო გიორგევნა ავსაჯანიშვილი. მასზე ლამაზი ქალი თუ დადიოდა თბილისში არ გვეგონა. მართლაც, მომხიბლავი თუ არა, სასიამოვნო გარეგნობის ქალი გახლდათ. მკაც-რიც იყო და მხიარულიც, გასუსულები ვისხედით მის გაკ-ვეთილზე. ქალბატონი მზალო, შავგვრემანი ქალი იყო და საულვაშესთან შავად უბიბინებდა თმა, და ჩვენ ისიც კი მოგვწონდა. ვოცნებობდი მასავით მქონოდა მეც საულვა-შეზე თმა. მით უმეტეს, მერხზე შავგვრემანი გოგონა მიმ-შვენებდა გვერდს, და გული მწყდებოდა მე ასე გაცრეცილს და ქერას, ზოგჯერ „ყვიციანსაც“ რომ მეძახდნენ, რატომ არ მქონდა მასავით შავად წამოზრდილი თმა, მკლავებსა თუ წვივებზე. ის სულ მეუბნებოდა: ყველა ლამაზ ქალს, მზალო გიორგევნასავით შავი თმა ჰქონდა საულვაშეზეც და მკლავებსა თუ წვივებზე და რაც მთავარია, – ეს ბედ-ნიერების ნიშანია, ასეთივე ბედნიერი და ლამაზი ვიქნები მეც, როცა გავიზრდებიო.

ბავშვობაში წაკითხული პატარა მოთხრობა გამახსენდა ცნობილ მეცნიერზე, თუ არ ვცდები ედისონი იყო. ბავ-შვობაში უყურებდა ბატები თუ იხვები გარკვეული დროის განმავლობაში კვერცხებზე სხდომის შემდეგ წინიღებს თუ ჭუკებს რომ ჩეკდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, დაიკარგა ბავ-შვი და მშობლებმა დიდი ხნის ძებნის შემდეგ ფანჩატურში იპოვეს, დიდ კალათაში კვერცხებზე მჯდარი. ბავშვმა რო-

მელსაც ჭკუასუსტად თვლიდნენ სკოლაში, მოიფიქრა რომ, თუ კვერცხიდან მუდმივი ტემპერატურით ფრინველს შეეძლო წიწილების გამოჩეუკა, მაშინ ხომ შეიძლებოდა თვითონაც გამოეჩეუკა. ედისონთან უკაცრავად ვარ მაგრამ ჩემმა პატარა სადარდებელმა და ოცნებამ მეც დამაფიქრა, თუკი მამაჩემი ყოველთვის იპარსავდა წვერს და ულვაშებს და ახლად ამოსდიოდა, მეც ხომ არ მომესინჯა, იქნებ მეც ამომსვლოდა.

იმდენად მინდოდა მათსავით ლამაზი და ბედნიერი ვყოფილიყავი რომ, ოცნებებს თავი დავანებე და მოქმედებაზე გადავედი, გადავწყვიტე მამის უსაფრთხო სამართებლით, ჩუმად, ყველასგან მალულად მომებარსა საულვაშე და მკლავები. გადაწყვეტილება შერჩეულ დროს სისრულეში მოვიყვანე და თან პერიოდულად რამოდენიმეჯერ გავიმეორე კიდეც, მაგრამ არაფერი მეშველა.

დღეს, ამ ასაკის გოგონები ჩვენი დროის ბავშვებისგან განსხვავებით, ნაკლებად გულუბრყვილოები და ბევრად საზრიანები არიან.

მე კი, რადგან ჭკუასუსტობას არავინ მაბრალებდა, და გენიოსობაც უცხო ხილი იყო ჩემთვის, ალბათ ჩემი არას-რულფასოვნების კომპლექსები მანვალებდა.

ჩვენ, ორმოცდაათიანელი ბავშვები

ჩვენი ეზოს წინ, ქუჩის გადაღმა, უზარმაზარი ტერიტორია იყო შემოღობილი. იმ ადგილს „აგურხანას“ ეძახდნენ, რადგან ოდესლაც მართლა აგურის ქარხანა ყოფილა. მანამ მოშორებით, ალბათ ქალაქების გაიტანდნენ.

იმ ტერიტორიაზე, კოჭებამდე პიბინებდა ბალახი და ნაირფერი ყვავილები. ბავშვები ღობებიდან ვძვრებოდით და ისე გადავდიოდით სათამაშოდ.

ერთხელ, ერთმა ბავშვმა გვითხრა: ყაყაჩოს კოკრები იქმისა, და რადგან ვერ ვბედავდით მის დაგემოვნებას, დაამატა, ვინც გაუშლელ კოკრებს ჭამს, სიმაღლეში სწრაფად იზრდება, მაშინ კი ველარ გაუძლეს ბავშვებმა ცდუნებას და ნელ-ნელა შეესივნენ გაუშლელ კოკრებს. მე კი არ მაკლდა სიმაღლე, მაგრამ როგორც სხვები, მეც მივირთმევდი, და არც თუ ისე ცოტას.

ზამთარში, სათავსოების, ე, წ. „სარაიების“ სახურავიდან, გამდნარი თოვლის ჩამონაური წყლის გაყინულ ლოლუებს, რომლებსაც „ჩურჩელებს“ ვეძახდით და ვწუნნიდით, მიუხედავად იმისა რომ მშობლები გვიშლიდნენ, ჭუჭყიანი წყალია გაყინული და პირში არ გაიკაროთო, თან, გაცივდებით და ავად გახდებითო, ჩვენ მაინც ვერ ვიშლიდით.

ასევე ჩუმად, შავ გუდრონის ფისსაც ვლეჭდით, როგორც კევს, და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ღეჭვისას ვინ უფრო ხმიერად დაატკაცუნებდა,

ჩვენ ეზოში სხვა ხეხილთან ერთად, ბლისა და ალუბლის ხეც გვედგა, ზოგჯერ ამ ხეებს რაღაც მოწითალო-

მოყავისფრო ფერის, გამჭვირვალე, ფისივით გამონაუ-რი ეზრდებოდათ კოურებივით, მთელ ძირზე, ალაგ-ალაგ თითქმის ტოტებამდე. სოფლის ბაშვები, პირდაპირ ხიდან კბერინდნენ და ისე მიირთმევდნენ ამ მოტკბო, უელესმაგვარ, გამჭვირვალე კოურებს, ჩვენ მოკერიას ვერ ვახერხებდით მაგრამ, დანით ვათლიდით და სიამოვნებით ვაწკლაპუნებ-დით მარმელადივით.

თუთა ჩვენ სამეზობლოში ბევრს ედგა. მაშინ არავინ ყი-დიდა თუთას არც ბაზარში და არც უბაზროდ, მიუხედავად გაჭირვებისა და რთული პერიოდისა. თვითონ, დიდ, სუფთა ნაჭერზე დარხეულს მიირთმევდნენ. ჩვენ კი ბელურებივით რომ შევესევიდით, ყველაზე მიუწვდომელ ტოტებსაც კი, კენწეროებამდე ვითვისებდით. ხიდან ჩამოსვლისას, ტკბი-ლი ნაყოფისგან ხელპირი სულ გვეწებებოდა.

აკაცია რომ დაიყვავილებდა, შემდეგ მუქ ყავისფერ, გრ-ძელ პარკებს ისხამდა, რომლებსაც, განსაკუთრებით, პაპას და ბებოს ეზოს რუსი ბავშვები ეტანებოდნენ, პარკი შიგ-ნით ტკბილი და წებოვანი იყო, გასინჯვით კი გამისინჯავს, თუმც დიდად არ მეპიტნავებოდა.

არდადეგებზე სოფლად ყოფნისას მინახავს სოფლის ბავ-შვებიც უამრავ რამეს რომ მიირთმევდნენ. მაგალითად მიწა-ზე გართხმული გარეული ბალბა, ცისფრად ჰყებოდა და თან უკვე დაყვავილებულ ღეროზე, პაწაწინა ხაჭაპურის ფორმის ნაყოფები ესხა, რომელსაც ხაჭაპურს ეძახდნენ და გეახლე-ბოდნენ, მეც არანაკლები სიამოვნებით მიმირთმევია.

ქლიავის ხეს, ახლად გამონასკვულ მწვანე, მწკლარტე ნაყოფის გარდა, თეთრი, გადაგვარებული, სოკოებივით

გაბერილი ქლიავებიც ესხა, სოფლის ბავშვები „ბოყვებს“ ეძახდნენ. ადრე გაზაფხულზე, ჯერ არანაირი ხილი რომ არაა შემოსული, ეს თეთრი ბოყვები მწკლარტე და მუავე კი არა, ტკბილი და რბილი იყო და ხილის მაგივრობას სწევდა.

ადრე გაზაფხულზე ასკილის ფურცლებიც მიჭამია სოფლის ბავშვებთან ერთად, გვიან ზაფხულში კი როცა ასკილი მწიფს, გადამზიფებული ნაყოფი იმდენად ტკბილია რომ ბავშვები ცდუნებას ვერ უძლებენ და ასკილის ქერქის შიდა მხარეს, ისე რომ შიგნით შიგთავსს, – წვრილ კურკებს არ ეხებიან და მარტო წითელ, ტკბილ, ნაწილს მიირთმევენ, მაგრამ მეორე დღეს, უკანა ტანი ისე ექავებათ და ეწვით, სულ ვაი დედას აძახებინებდათ, თუმც მეორე ასკილობამდე ავიწყდებოდათ. ასევე სახრით ცელავდნენ დიდ ნარეკალას ძირებს, ეკლებს ფრთხილად აცილებდნენ, ფცქნიან და იმასაც მიირთმევდნენ.

საოცარია, ბავშვები, სკოლამდელებიც და უკვე მოსწავლებიც, მთელ დღეს ეზოებში და უპნებში თამაშობდნენ, სიცივესა და სიცხეში, ქარში და წვიმაშიც კი. ზოგჯერ, გაურეცხავ რამეს ჭამდნენ მშობლების ჩუმად და ხშირად დაუბანელი ხელითაც, რადგან თამაშისას წამდაუწუმ ვერ იბანდნენ ხელს გარეთ. მიკვირს ავად როგორ არ ვხდებოდით, ავადმყოფობასაც კი ვნატრობდით, რადგან ამ დროს ცოტას გვანებივრებდნენ და ყველა სურვილს გვისრულებდნენ.

თუთის „ნაძვის ხე“

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაბადებულ ბავშვებსაც ისევე გვიხაროდა ნაძვის ხის მორთვა, როგორც დღევანდელ ბავშვებს, მიუხედავად იმისა რომ, ამდენი სათამაშოები არ გვქონდა, რამდენიც დღეს ააქვთ ბავშვებს, ზოგს ჩვენ თვითონაც ვაკეთებდით და ეს, მორთვაზე არანაკლებ სახალისო იყო.

ბრჭყალიალა ქალალდს ვაკრავდით კაკლებს, საკიდსაც ვუკეთებდით და ნაძვზე ვკიდებდით. დაგოფრილ და შეჭმულნულ „უატის“ ფერადი ქალალდებითაც ვაკეთებდით სათამაშოებს. ასევე ვჭრიდით და ვაწებებდით, სხვადასხვა ფერის ქალალდის წვრილ რგოლებს რომლებსაც ერთმანეთში ვუყრიდით და ამ გრძივ ბმულებით, გირლიანდებივით ვრთავდით ნაძვსაც და ოთახსაც. ასევე პანაწინა ნაირფერ დროშების ბმულებითაც ვრთავდით ინტერიერს.

ნაძვზე ფოჩიან კამფეტ-შოკოლადებს, გადაჭრილ ჩურჩხელებს და პატარა მანდარინებსაც კი ვკიდებდით რომლებიც ერთ დღესაც ძლივს ჩერდებოდნენ ტოტზე და ცვივდებოდნენ. ტოტებზე აუცილებლად ქათქათა ბამბის ფთილებს ვაფენდით, ვითომ დათოვლილი იყო ხე.

მაშინ ხომ ნამდვილ ნაძვის ხეს ვდგამდით, ხელოვნური ჯერ არ არსებობდა, ქალაქიც ძალიან პატარა იყო, ზოგი ვერც იდგამდა, ამიტომ მასიურად არ იჩეხებოდა ტყე, თუმც მაინც ზარალდებოდა.

რადგან თბილისი უსაშველოდ იზრდებოდა, ამიტომ

სრულიად სამართლიანი და დროული იყო ცოცხალი ხეების ჭრის აკრძალვა და ხელოვნურის შემოთავაზება.

პირველ წელს, ვერ შევიძინეთ ხელოვნური ნაძვი. გარდა იმისა რომ დიდი არჩევანი არ იყო, არც საკმარისად იყო გასაყიდად გამოტანილი. მოკლედ, ახალი წელი რომ მოახლოვდა, მივხვდი რომ ნაძვის ხის გარეშე ვრჩებოდი, გამოვიტანე სათამაშობის ყუთი და გადალაგ-გადმოლაგებით ვერთობოდი, უცებ მოვიფიქრე რომ თუთის მოზრდილი ტოტი შეიძლებოდა ისე მომერთო და მომეკაზმა რომ სულაც არ შეტყობოდა რომ ნაძვი არ იყო.

ასეც მოვიქეცი, კენწეროზე საკმაოდ დატოტვილი და მეტ-ნაკლებად მიახლოვებული „აღნაგობის“ ტოტი შევარჩიე, და ძალა არ დავზოგე მის „შესამოსად“. მართლაც ლამაზი გამოვიდა ჩვენი საგულდაგულოდ შენიღბული და ნაძვად გასაღებული თუთა.

არ ვიცი მე მეჩვენებოდა ლამაზად თუ „ჩემი ჭია გავახარე“, ჩემთვის ნამდვილად „ინაძვა თუთამ“.

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთაო“, ქალბატონ ანას „ჩამლერებული“ გამახსენდა...

– ნეტავ ანას თუთაც ხომ არ ლამობდა ნაძვობას?

ოპერაცია „აპენდიციტი“

ბავშვობაში ჩემს უფროს დას, რევმატიზმი ისე გაურ-თულდა, რომ კარგა ხნით ლოგინში ჩააწვინა, მთელი ოჯა-ხი განიცდიდა და ზედ დაპლოფინებდა. ასევე მნახველე-ბი, მთელი სანათესაო თუ სამეგობრო თითქმის ყოველდღე გვსტუმრობდნენ, ათასგვარი სასუსნავით ხელდამშვენე-ბულნი და ისე ანებივრებდნენ, ვნატრობდი, ნეტავ მეც გავ-ხდე ავად, რომ მეც ასე გამანებივრონ მეთქი. განსაკუთრე-ბით კი სკოლის გაცდენა და თამაში მინდოდა.

მე აშკარად მომაკლდა ყურადღება, თუმცა მაინც და მაინც არც ადრე მანებივრებდნენ, დედა საკმაოდ თავშე-კავებული გახლდათ მოფერება-განებივრებაში, მხოლოდ ავადმყოფობისას ვგრძნობდი ყურადღებას და სითბოს.

ერთ ზახულს, ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში, დასასვე-ნებლად ყოფნისას დედამ ტახტზე წამოწოლილი დამინახა, ეგონა რომ მეძინა, ტახტიდან გადმოწეულ ხელზე მაკოცა და გავიდა ოთახიდან.

მას შემდეგ სულ ვცდილობდი ტახტზე იმ დროს, და იმ პოზაში წამოწოლას და თავის მომძინარებას, თან ხელებს ლამაზად ვკვანწავდი მოცეკვავესავით. რა თქმა უნდა ხე-ლოვნურად გამომდიოდა, მძინარესთვის შეუფერებლად, მაგრამ ამას ბავშვური ჭკუით ვერ ვხვდებოდი. ძალიან მინ-დოდა ყურადღება მიმექცია რომ დედა მომფერებოდა, ან ეკოცნა მაინც.

ყურადღების დეფიციტი თუ სითბოს უკმარისობა დე-დის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გამიმძაფრდა და

თითქმის თექვსმეტ წლამდე გამყვა ოცნება ავად გახდომაზე, ცხელ ზაფხულში ძეხვს რომ ერიდებოდნენ არ მოვინამლოთო, ან მაღაზიის ჯემს, თუნუქის კოლოფებში დაფასოების გამო, მე პირიქით, ვეძალებოდი, მაგრამ ჯინაზე არაფერი მემართებოდა.

ერთხელ, მეგობარმა გოგონამ მირჩია, შარშან მუცელი ამტკივდა, ბრმა ნაწლავი ეგონათ და საავადმყოფოში წამიყვანეს. ორი კვირა ვიწექი, რაღაც ანალიზებს მიღებდნენ, და ბრმა ნაწლავი რომ არ აღმოჩნდა, გამომწერესო. არადა მაშინ საავადმყოფოში საკმაოდ დიდხანს აჩერებდნენ, არა მარტო ოპერაციის შემდგომ, სამკურნალოდ თუ დიაგნოზის დასადგენად, უბრალო გრიპზეც კი. – მოდი დაინტერილი მუცელი მტკივაო, სასწრაფოს რომ გამოუძახებენ ტირილს მოუმატე და ეგრევე გაგაქანებენ საავადმყოფოში, სანამ ანალიზებს აგიღებენ კი გავა ორი კვირა და რა თქმა უნდა გამოგიშვებენ, მე მართლა მტკიოდა და უანალიზებოდ არ გამიკეთეს ოპერაცია და შენ, საღ-საღამათს ვინ გაგჭრისო. ჰოდა, ჩვენ ყოველდღე ვივლით, გართობას არ მოგაკლებთ, შენ კი მნახველების მორთმეულ ნუგბარით გაგვიმასპინძლდიო.

მართლაც, ავიტკივე მუცელი და ავტირდი, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს და ექიმი, ჩემი კლასელის მამა აღმოჩნდა, განსაკუთრებული გულისყურით მომეკიდა და საავადმყოფოში გამამწესა.

იმ ღამით საშინელი ავარია მომხდარა და ოთხი ახალგაზრდა ცოვხალმკვდარი მოუყვანიათ, მთელი მედპერსონალი ფეხზე იდგა, საოპერაციოში კი ყველა ქირურგი, მთა-

ვარი ექიმის ჩათვლით, მაშინ საბედისწერო ავარიები ასე ხშირი არ იყო, რადგან თბილისიც პატარა იყო და მანქანები, კანტი-კუნტად არა, მაგრამ საკმაოდ ცოტა მოძრაობდა, ჩვენც ვგულშემატკივრობდით ამ ბიჭებს და გვიან ღამემდე არ დაგვიძინია, ღამის ოთხ საათზე ძლივს მორჩნენილან ოპერაციებს.

იმავე ღამეს, ექთანი მაღვიძებს, ვიფიქრე ალბათ ნემსს მიკეთებს მეთქი და შიშით დავიჭყანე. მოკლედ, საოპერა-ციონში გამაქანეს, ბახილები ჩამაცვეს და საწოლზე დამაბეს, ნარკოზიც არ გაუკეთებიათ, ადგილობრივად, ნოვოკაინით გამიკეთეს. არ ვიცი, აღარ ჰქონდათ და იმიტომ, თუ მაშინ ამ ოპერაციაზე არ კეთდებოდა, ვერ გეტყვით.

რომ გამჭრეს და სისხლის თბილი ნაკადი ვიგრძენი მუ-ცელზე ავკივლდი და ავწივლდი, არ მტკიოდა მეთქი ვყვი-როდი, მაგრამ ვინ დაგიჯერა, „ასე იცის შიშმა ტკივილის გადავლაო“ მითხრეს და ძლივს მაკავებდნენ. დაღლილ-დაქანცულებს ჩემი კივილის და შეცოდების თავიც აღარ ჰქონდათ და ჩემ წივილ-კივილში ჩაიარა ოპერაციამ.

მას შემდეგ აღარ მიოცნებია ავად გახდომაზე.

ჩვენი ეზოს ზოოპარკი

დიდი და საოცრად ლამაზი ეზო გვქონდა, ცენტრალური ქუჩის უკან, იქვე ორ ნაბიჯზე ვცხოვრობით, შემოსასვლელიდან ეზომდე პატარა ხიდუკა იყო გადებული, მანქანის შემოსასვლელად.

ეზოს ჭიშკრიდან სახლამდე, სხვადასხვა ფერის „გლადიოლუსები“, ქართულად „ხმალა“, ორ მწერივად მიუყვებოდა გზას. გარდა ყვავილნარისა საკმაოდ ბევრი ხეხილი იდგა ეზოში. ეზოს ბოლოს, კუთხეში, სახლიდან მოშორებით, პატარა მავთულბადიანი საქათმე იდგა თავისივე პანაწუნა ეზოთი, და ორი-სამი ქათმით, რათა ბავშვებს ახალი კვერცხი გვქონდა.

ერთხელ საახალწლოდ, ინდაურის ყიდვამ ადრე მოგვინია, რათა სიმინდის ფქვილით ცოტა მოგვესუქებინა, დედა სულ ხელით აჭმევდა სიმინდის ფაფას, ახალი წელი რომ მოვიდა შეეცოდა, და ვერ გაიმეტა დასაკლავად, სასაცივედ კი დაკლული იყიდა.

ზაფხულში სააგარაკოდ რომ უნდა წავსულიყავით, როგორც ყოველთვის, იმ ორი ქათმის დაკვლა გვიწევდა, ამჟერადაც შეენირნენ ჩვენ დასვენებას და ინდაური მარტო დარჩა, – რა ვქნა, მარტო ხომ ვერ დავტოვებო დედამ, და მანქანის საბარგულში შეაბრძანა, მიუხედავად მამაჩემის ბუზღუნისა. რომ დავბრუნდით ასევე ჩამოაბრძანა ნააგარაკევი და პაერ გამოცვლილი ინდაური, რომელიც ჩვენი სახლში არ ყოფნისას მოგვპარეს.

ჩამოსვლისთანავე კვლავ იყიდა დედამ სამი მოზრდილი ვარია. ჩვენი, ბავშვების კვერცხით უზრუნველსაყოფად, მაგრამ ერთი მამალი გამოდგა, გარდა იმისა რომ დილით ძილს არ გვაცლიდა, გაბმულად, დავარდნამდე ყიოდა, აიკლო და გადავგვიდა მთელი უბანი. თან ისეთი ყაჩალანა გამოდგა, მავთულის ბადიდან ხტებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფრთები დაუმოკლეს. და რაც მთავარია, ძალლივით იკბინებოდა, გარეულზე კი არ იწევდა მარტო, მეც კი გამომკიდებია, მოკლედ არც შინაურს ინდობდა არც გარეულს, განსაკუთრებით გარეულებს უსაფრდებოდა და კარებამდე მიარბენინებდა. რამოდენიმეს ფეხები რომ დაულურჯა საქათმის ნაცვლად, ქვაბში გადაამისამართეს.

ერთხელ კი ბეკეკა აჩუქეს მამას, ის კიდევ რქენია გამოდგა, და ბავშვებზე ნადირობდა თუ ეთამაშებოდა ვერ გამიგია. უკან-უკან იხევდა, „რაზგონს“ იღებდა და ეზოში მოთამაშე ბავშვებს გვეჯახებოდა, მანამ პატარა იყო ვპატიობდით, ცოტა რომ წამოიზარდა, მეზობლის ბავშვს ისე დაეტაკა, წვივი გადაუტყდა, ის კი ჩაუსვეს თაბაშირში და რქენია ბეკეკას კი სასწრაფოდ დაატოვებინეს ეზო.

ამით არ დამთავრებულა ჩვენი ეზოს ბინადართ თავ-გადასავლები: საახალწლოდ გოჭის ყიდვაც ნაადრევად გადაწყვიტეს, ორ-სამ კვირას სიმინდის ფქვილს ვაჭმევთ, ცოტა მოსულიერდება და ხორცის გემოც გაუუმჯობესდებაო.

გოჭის გამყიდველს ორიღა დარჩენოდა, და იაფად იძლეოდა რადგან, სოფელში წასვლა უგვიანდებოდა, დედა-ჩემმა ცდუნებას ვერ გაუძლო და და პანია საქათმეს პანია ფიცრული სახლუკაც მიამატებინა. ყოველ დილა-საღამოს

ჩვენ გოჭუნიებს სიმინდის ფქვილის ფაფას უთბობდა და ისე აჭმევდა. – მეორე რაღად იყიდე, ან ორივე ასე ადრე რატომ იყიდე, მაგითგანაც კვერცხის დებას ხომ არ ელო-დებიო, სულ ბუზლუნებდა მამაჩემი. დედაჩემი კი არც მო-ფერებას აკლებდა გოჭუნიებს და არც მოვლას, სახელებიც კი დაარქვა, ვაუა და ალექსენდრე.

მამამ რომ გაიგო ეს სახელები გადაირია“, ქალო, ვაუა და ალექსანდრე მე ფშაველა და ყაზბეგი ვიცი, და შენ ხომ არ გაგიუდი, როგორც მონათლე ისე გადანათლე თორემ გავუშვი ქუჩაშიო“. დედამ შეიცხადა, ვაი, ეს როგორ მომი-ვიდა, თან ალეკოს მაგიერ, სახელიც ალექსანდრედ გადა-ვუპრანჭეო.

ჩვენი მეზობლის ბავშვებს ერქვათ ვაუა და ალეკო, ბუთ-სუზები და ზარმაცები იყვნენ, ფეხს ვერ უწყობდნენ ბავ-შვებს თამაშში, რადგან ვერც სხვებივით დარბოდნენ, ვერც ხეებზე ძვრებოდნენ და არც საამისო სურვილი აწუხებდა-თო, ყოველდღე ეზოში გამოდიოდნენ, კარაქ ან ლორის ქონ წასმულ, ზემოდან შაქარმოყრილ დიდი პურებით ხელში და იღმურძლებოდნენ ეს პატარა მოუქნელი „ტიკჭორები“. არადა მაშინ ყველას არ ჰქონდა, მსუყედ და მაძლრად კვე-ბის საშუალება, ჰოდა ალბათ იმიტომ დავარქვი იმ სუნსუ-ლების სახელიო, თავს იმართლებდა მართლაც შეცტუნებუ-ლი დედა.

მაინც ვერ დაოკდა მამა, მომაცილე ქალო ეს ზოოპარ-კი საკუთარ ეზოშიო, განსაკუთრებით მამალი რომ ასკინ-ტლებდა მანქანას და დილით გამოსულს სიურპრიზად ახ-ვედრებდა, იმას ვერ ინელებდა.

მე პიანისტი

ხშირად გვერდით მდებარე ქუჩელ ბავშვებთანაც ვთამა-შობდით. ერთხელ მოგვაკითხეს და ეზოს ჭიშკრიდან გვიხ-მობდნენ სათამაშოდ. ამ დროს, მეზობლის გოგონა იყო ჩემთან. სწორედ მაშინ რადიომიმღებში, კლასიკური მუსი-კის კონცერტს გადმოსცემდნენ, კერძოდ ფორტეპიანოს ხმა ისმოდა. მაშინ რადიომსმენელებს ხშირად გვთავაზობდნენ, კრემლის დიდ სცეტებიან დარბაზიდან ტრანსლირებულ კონცერტებს, პირდაპირს თუ ჩანაწერებს.

მე ხომ მთელი ბავშვობა პიანისტობაზე ვოცნებობდი, არადა მუსიკალური სმენა საერთოდ არ მქონია თურმე.

ჩემი მეზობლის გოგონა რომ მიუჯდებოდა როიალს, მგონი რიგიანად ვერც უკრავდა, მაგრამ მაშინ მეგონა მას-ზე უკეთესად ვერავინ უკრავდა, არ ვიცი მუსიკა უფრო მომწონდა, მუსიკოსობა, თუ იმის წამხედურობით ამეკვია-ტა ეს სურვილი, მე ხომ იმისი ყველაფერი მომწონდა. გრძე-ლი, წაბლისფერი თმა, ხვეულ კულულებად ეყარა ბეჭებზე და მოფერებით „ლოკნებიანს“ ეძახდნენ. მე კი, ლია ქერა, სლიკინა თმას ვერანაირად ვიმორჩილებდი.

უცებ წამოვხტი და რადიოს ბოლო ხმაზე ავუწიე, რომ ფორტეპიანოს ხმა კარგად გასულიყო გარედ, მეზობლის ბავშვს კი ვთხოვე, გადი და უთხარი რომ მუსიკაში მეცა-დინეობს, ხომ გესმით როიალზე უკრავს, და რომ მორჩე-ბა, თვითონ მოგაკითხავთო. არადა საერთოდ არ გვქონდა როიალი.

არ ვიცი, ეს რამ გამაკეთებინა, რატომ დამებადა ასეთი აზრი რომ ვირტუოზ შემსრულებლად მომეჩვენებინა თავი, მაშინ ბავშვობაში ისე არ მაწუხებდა რაღაც-რაღაცის კომპლექსები, როგორც მოზარდობაში, თუ თავი მინდოდა ჩემ თანატოლებთან გამომეჩინა, ან სულაც მუსიკის დიდმა და უიმედო სიყვარულმა ჩამადენინა...

კიდევ კარგი მალე გაბრუნდნენ, თორემ უცებ, და ჩემ-თვის მოულოდნელად, ისე დასცხო ორკესტრმა, რომ ლამის სკამიდან გადმოვარდი. მაშინ მეგონა რაღაც პატარა საფორტეპიანო ნაწარმოები იყო, რა ვიცოდი რომ სიმფონია იყო, და უცებ, მთელი ორკესტრი დაიქუხებდა და აგუგუნდებოდა.

იმის შიშმა და უხერხულობამ შემიპყრო, ერთი წუთით გვიან რომ წასულიყვნენ, ჯერ ხომ შეხტებოდნენ მოულოდნელობისგან და შეიძლება შიშის თავზარიც დასცემოდათ, უცებ რომ დასჭექდა ორკესტრი. ისე ხმამალლა იყო აწეული რადიო, – ბოლო ხმაზე, ალბათ თავპირისმტვრევით გაიქცეოდნენ, და თუ ჩემ ეშმაკობას მიხვდებოდნენ, მაშინ ხომ გამამასხრებდნენ და იმ უბანში თავი აღარ გამომეყოფოდა, მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩი, რადგან დიდად არ დაინტერესებულან ჩემი ვირტუოზული შესრულებით და შუა კონცერტი მიმიტოვეს.

ჩვენი დროის მოზარდები

ბოლომდე ვერ ველეოდით ეზოს მოზარდები, მაგრამ ნელ-ნელა, ეზოდან სახლებში გადავინაცვლეთ. ფანტიანობიდან – ფლირტობანაზე გადავედით. იყო ასეთი გასართობიც „ფლირტი“, რომელიც დღეს უკვე, სასაცილო თუ არა, ღიმილის მომგვრელია.

მოზარდობაში, ფანტიანობასაც ჩვენებურად ვთამაშობდით. ფანტის ამოლებისას ყოველთვის ვამბობდით: თუ ბიჭია, ეს უნდა შეასრულოს, გოგონაზე კი რაიმე შესაფერისს, იოლს ვამბობდით, მაგალითად: ბიჭზე, – კორპუსის გარე კედელზე ამავალ, საავარიო კიბეზე, ბოლომდე უნდა ასულიყო, სახურავამდე. ის კიბე კი ძალიან მოუხერხებელი, შორი-შორ საფეხურებიანი, რკინის ვიწრო კარკასი იყო; ასევე, მეორე სართულიდან უნდა გადმომხტარიყვნენ, ან ეზოს განაპირას ჩამწკრივებულ სათავსოების თავზე ასულიყვნენ და ასკინკილა შემოერბინათ, ბებერ ჭადარზე უნდა ამძვრალიყვნენ და იქიდან რაიმე ეყვირათ ბოლო ხმაზე. – უკაცრავად მაგრამ, ცოტა უხერხულ და უსიამოვნო რამე-საც აყვირებდნენ, მაგალითად: „ვირი ვარ და ვყვირივარ“-ს.

გოგონებს კი ემღერათ, ეცეკვათ, ლექსი ეთქვათ, ან რომელიმე მსახიობისთვის მიებაძათ.

ერთხელ, ჩვენ წინ მდგომ „მუსკომბინატის“ კორპუსელმა გურამმა, – ნახეთ რა ბიჭი ვარო, სადარბაზოს შესასვლელის თავზე, საკმაოდ მაღლა, ბანივით იყო, და იქიდან, პარაშუტივით, – გაშლილი ქოლგით გადმოხტა. მადლობა ღმერთს, არაფერი მოიტეხა.

ცოტა წამოზრდილებს ახალი გატაცებები გვიჩნდებოდა, ეზოში თამაშობის დროც ამონურულიყო და აღარც ეზო გვიხმობდა, ჩვენც პატარებს გადაულოცეთ ესტაფეტა.

ეს გატაცებები იყო, წიგნების კითხვა. ზოგს ვყიდულობდით, ზოგს ერთმანეთისგან ვთხოულობით, ბიბლიოთეკითაც ვსარგებლობდით, შემდეგ, ერთმამეთთან ვმსჯელობდით წაკითხულ წიგნებსა და მათ პერსონაჟებზე და რაღაც იდეალებიც გვიყალიბდებოდა, ლამაზ და წარმატებულ ცხოვრების სურვილები გვიჩნდებოდა, ზოგჯერ ვკამათობდით კიდეც, ამა თუ იმ საკითხებზე, სამართალსა და უსამართლობის სამანზე და ყველაფერზე რაც გვაღელვებდა და გვაინტერესებდა. კლასში რამოდენიმე ვიყავით ჩართული ამ კითხვის მარათონში და ზოგჯერ სასკოლო საგნების სწავლების დროც ეწირებოდა ამას.

ასევე ვქარგავდით კიდეც, რადგან მაშინ ძალიან მოდაში იყო ნაქარგობები, თუმც ქარგვას უფრო ზაფხულში ვახერხებდით, არდადეგებზე.

ვაგროვებდით კინოვარსკვლავთა ფოტოსურათებს, უფრო უცხოელ მსახიობებს ვწყალობდით და ყველას გვქონდა დიდ-პატარა კოლექციები. იმ დროს ევროპის ყველა ქვეყნიდან შემოდიოდა კარგი ფილმები, და არჩევანიც დიდი გვქონდა, უფრო კი ფრანგულ-იტალიურს ვარჩევდით.

მოზარდობის ასაკიდან სანამ გამოვიდოდით, კიდევ ახალი გატაცება მოგვემატა, ეს იყო მუსიკა. მაშინ ფირსაკრავი „რადიოლები“ იყო და ახალ გამოსულ ფირფიტებზე ვიყავით ჩასაფრებულები. უკვე ცალკეული სიმღერა ან ნაწარმოები კი არ იყო ჩაწერილი თითოეულ ფირფიტაზე, არამედ,

ამა თუ იმ მომღერლისა თუ შემსრულებლის რამოდენიმე ჩანაწერი, მინი კონცერტები, ოპერებიც კი. ამ ე.წ. „დოლ-გოიგრაიუში“ გრამფირფიტებს „დისკებს“ ვეძახდით. ფარ-თო მომხმარებელთათვის, იმუამად მოდური საესტრადო სიმღერების ნაკრებები გამოდიოდა: „ეკრანის მელოდიები“, „მელოდიდან მელოდიამდე“, და ბევრი სხვა დასახელები-საც. მოგვიანებით „ბიტელსებიც“ წამოგვეწია.

თანამედროვე მუსიკასთან ერთად, არანაკლებ გვიზი-დავდა კლასიკაც. მსოფლიო მნიშვნელობის მომღერლებს რომ ვზიარებოდით, ცოტა ძნელად და ძვირად საშოვარ „დისკებს“ ვიძენდით, ძველ და ახალ მომღრალთა კონცერ-ტებს, დაწყებული კარუზოდან, ტიტო გობიდან, ტიტო რუ-ფადან, – მარიო ლანცას, მარიო დელ მონაკოს, ბენიამი-ნო ჯილს, აურელიანო პერტილეს, ჯუზეპე დი სტეფანოს, მარია კალასსა და სხვებს. ამ დროისათვის ბევრად გაუმ-ჯობესდა ფირსაკრავთა ხარისხი თავის დინამიკებით, და დიდ კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც ვიძენდით, ცნობილ ხელოვანთა დირიჟორობით. და რასაც თვითონ ვერ ვიძენ-დით, მოსასმენად ვცვლიდით ერთმანეთში.

ამ პერიოდში, არც ერთი საოპერო და საბალეტო სპექ-ტაკლი არ გამოგვიტოვებია. მართალია პარტერი და ლოუა ჩვენთვის ფუფუნება იყო და ხელი თუ ვერ მიგვიწვდებო-და, არც ბოლო და გვერდით იარუსებს ვიწუნებდით, მით უმეტეს, ისეთი დიდებული შემსრულებლები იყვნენ: დავით გამრეკელიდან მოყოლებული, მამაშვილი ამირანაშვილები, მამაშვილი ანდლულაძეები და მთელი მაშინდელი კოპორტა, მარტო ბალერონი, ვახტანგ ჭაბუკიანი რად ლირდა. მე პი-

რადად არანაირი მუსიკალური განათლება არ მქონდა, მაგრამ ეს სულაც არ მიშლიდა ხელს, დიდებული მუსიკალური შედევრებით სიამოვნებაში.

დიდი სურვილი გვქონდა შეგვეძინა დიდ მხატვართა, ან მსოფლიოს მუზეუმთა ალბომები, მაგრამ ისინი გასაყიდად არასოდეს გამოჰქონდათ, მხოლოდ ხელზე შეიძლებოდა მათი შეძენა და სკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ მაშინ, და კარგა ხნამდე. მხოლოდ ნახვას ვჯერდებოდით, არც სანახავად იყო იოლი ამდენნაირი ალბომების შოვნა, თუმც, ვახერხებდით. უფრო იოლად შეგვეძლო შეგვეძინა, უცხოური უურნალები, მაგალითად „ფილმი“, „ეკრანი“, სადაც განიხილებოდა თანამედროვე კინოცხოვრება თუ კინშემოქმედება, თითქმის არც ერთ უცხოურ ფილმს არ ვტოვებით, რადგან ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს, ქალაქის ყველა კინოთეატრში იცვლებოდა ფილმები, კინოთეატრები კი საკმაოდ მრავლად იყო თბილისში. თუ რომელიმე გახმაურებული ფილმი იყო, სკოლიდან ე. წ. „შატალოზე“ გავრბოდით. არა ერთი შემთხვევა ყოფილა, შუა ფილმზე სკოლის ხელმძღვანელობა რომ დასხმია თავს ბავშვებს და დაუბრუნებით სკოლაში.

კინოში მასიურად დადიოდა ხალხი, არ ვიცი იმიტომ რომ, საკმაოდ იაფი და ხელმისაწვდომი იყო ბილეთის ღირებულება, თუ, სხვა საშუალება რახან არ იყო, რადგან არც საკაბელო ტელევიზია არსებობდა და არც ინტერნეტი. მოთხოვნილება კი დიდი იყო.

კინოში წასვლაც სახალისო იყო მაშინ, თეატრისა არ იყოს. წარმოდგენა ხომ თავისთავად სანახაობა იყო, წასას-

ვლელად მზადებიდან სპექტაკლის დაწყებამდე სასიამოვნო მოლოდინი და შესაბამისი განწყობაც გვეუფლებოდა. მაშინ რაც მოგვხვდებოდა იმას ვერ ვიცვამდით თეატრში, სათეატრო კაბას თუ ვერ „ვპოულობდით“ ჩვენ გარდერობში, ამაზე დიდად არ ვწუხდით, მაინც ვახერხებდით სამკაულ-აქსესუარებით, მოდური შარფებით თუ სხვა საშუალებებით უფრო საინტერესო და თეატრისათვის მისადაგებული გაგვეხადა სამოსი, სათეატროდაც გამოვიყურებოდით და უკეთესადაც ვგრძნობდით თავს, რაც განწყობაზეც აისახებოდა.

მაშინ ქალებისთვის შარვალი და, ჩექმა საერთოდ არ არსებობდა და რომც ეარსება, თეატრში მაინც არ ჩაიცვამდნენ ალბათ. ერთი მხრივ კარგია ჩაცმის თავისუფლება, თან შეძლებაზეც რომ არაა დამოკიდებული მაგრამ სათეატრო სამოსში გამოწყობასაც თავის „მუღამი“ ჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს, დროს მოაქვს და დროს მიაქვს ყველაფერი, ეს მოდა იქნება, შეხედულებები, ცხოვრების წესი, სურვილები თუ ბევრი რამ, რაც გუშინ მიუღებელი იყო, დღეს მისაღებია და პირიქით.

ოთხმოცის გადასახედიდან თურმე რაღაც-რაღაცები იცვლება და ცოტა სხვაგვარადაც ჩანს. ეს ბუნებრივია. ალბათ ესეც წლების ბრალია. დრო და წლები, ჩვენ კი არა სამყაროს ცვლის, ასაკში კი ცოტა ნოსტალგიაც გვეუფლება.

პარაშუტები და „ფრანცუსკები“

ახალი დამთავრებული მქონდა სკოლა, თექვსმეტი წლის ვიყავი, თბილისში მოდაში რომ შემოვიდა ბოლო კაბის ქვეშ ჩასაცმელი, თხელი დოლბანდით შეკერილი და ყავარივით გახამებული ქვედა კაბები, ბალერინების პაჩკებივით ეცვათ. ზემოდან კაბის კალთები ისე ეფინებოდა ამ ე. წ. „პოდიუბკას“ რომ, გაშლილ ქოლგასავით გამოიყურებოდა.

მამაჩემს მაინც და მაინც თვალში ვერ მოსდიოდა ასე გაფხორილი კაბით სიარული, და, ხშირად ამბობდა ხოლმე, ნეტავ თუ ვინმეს მოსწონს ბავშვები ასე „გაფხორილი ინდაურებივით“ რომ დადიანო. ფაქტი კი ჯიუტი იყო რადგან მთელი თბილისის ახალგაზრდა გოგონები ასე „გაფხორილი“ დადიოდა.

ერთხელ, სპორტის სასახლეში წასასვლელად რომ ვიკაზმებოდით, (მაშინ ხშირად ჩამოდიოდა ფიგურული სრიალის, უცხოური საბალეტო ჯგუფები, „ბალეტი ყინულზე“) მამაჩემმა მითხრა, ეგ „პარაშუტი“ გაიხადე და ისე წადიო, მე კი საგანგებოდ გავახამე, და ერთი სული მქონდა როდის ჩავიცვამდი, თვითონ სადღაც ეჩქარებოდა და რომ ვერ დამიყოლია, კარი ჩამიკეტა და ისე წავიდა. მე კი არ დავაყოვნე და მისი წასვლისთანავე ფანჯრიდან გადავხტი ჩემი „პარაშუტით“, კიდევ კარგი, ერთსართულიანი იყო ჩვენი სახლი. მოკლეთ, ისე მქონდა ათრეული ფეხი მამაჩემის წასვლის მოლოდინში რომ უკვე მაგვიანდებოდა და სულ კისრისტებით გავქანდი.

ასე და ამგვარად მოვხვდი ამ წარმოდგენაზე, მეგობარ გოგონასთან ერთად.

წარმოდგენის დამთავრებისას, უკან რომ ვბრუნდებოდით, უცებ იელვა და ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ დასცხო, გალუმპვას რას დავეძებდით, ქუჩაში ნაკადულივით მოდიოდა წყალი, ჩემ მეგობარ ნინოს, პირველად ეცვა, ახლად შემოსული, საკმაოდ ძვირადლირებული, მოდური და ჯერ კიდევ იშვიათი, წვრილქუსლა და წვრილწვერა ფეხსაცმელი, ე, ნ. „ფრანცუსკები“. არც დაფიქრებულა, უცებ დაიხარა, წაიძრო ორივე ფეხსაცმელი, ორივე ხელში, აქეთიქით დაიკავა, და ასე ფეხშიშველი წამოვიდა შუა ქალაქში.

დღეს ხშირად არ მოგვწონს, მშობლებსა და ბებია-ბაბუებს, თანამედროვე ახალგაზრდების ჩაცმულობა და სითამამე. ჩვენ, ომის შემდგომ ბავშვობა გამოვლილ გოგო-ბიჭებს, თითქოს არ გვქონდა ასეთი სითამამე ჩაცმა-დახურვაში, თუმცა რაღაც სიახლეები ჩვენც მოგვწონდა და გვინდოდა, ფანტაზიებსაც არ უჩიოდით, მაშინდელი მოდა კი ამ სიახლეებს ნაკლებად გვთავაზობდა, და თუ გვთავაზობდა, ფინანსური შესაძლებლობა „გვჩაგრავდა“, მაგრამ, ჩვენ მაინც ვცდილობდით, უცხოური უურნალებისა და ფილმების ზეგავლენით, რაიმე სიახლეები შემოგვეტანა, და ზოგჯერ კურიოზებამდეც მივდიოდით ხოლმე.

ერთხელ, ჩვენი ულამაზესი მსახიობი, ქალბატონი მედეა ჯაფარიძე ჰყვებოდა: რაიმე საგანგებო ღონისძიებასა თუ წვეულებისთვის რომ ახალი კაბა შეგვეძინა ამის საშუალება არ გვქონდა მაშინო, და ერთხელ, თუ არ ვცდები, ბანკეტზე წასასვლელად, რომ ვერ შეიძინა შესაფერისი კაბა

და ვერც გარდერობში მოიძია რაიმე ისეთი, გამორჩეულად რომ შემოსილიყო, საგონებელში ჩავარდნილს მოუფიქრია, რომ გარდერობიდან ერთერთი კაბა, სალებავებით მოეხატა. მართლაც მოუხატავს და გარდა იმისა რომ საკმაოდ ლამაზი და ორიგინალური გამოსულა, ახალი კაბის ეფექტიც ექნებოდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ალბათ. დანიშნულების ადგილამდე მისვლისას კი უცემ ისეთი წვიმა წამოსულა, რომ სულ დაუდლლაპნია ეს საგანგებოდ მოხატული კაბა.

პირველი პაემანი

როგორც იქნა, პირველ პაემანზე მომიწია წასვლამ. ძალიან მინდოდა კარგად „გამოვცხადებულიყავი“ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე“ და დიდხანს ვარჩიე რა ჩამეცვა, თუმც დიდი არჩევანი არ მქონდა ჩემი გარდერობის სიხალვათის გამო, ამიტომ ვარცხნილობაზე გადავიტანე ყურადღება, თავზე კი დავიდგი დიდი ბულული (მაშინ „ნაჩოსი“ იყო მოდაში (აჩეჩილი თმა), მაგრამ გაცრეცილ სახეს ვერაფერი ვუსაშველე. მაკიაჟი მაშინ ამ დოზით არ იყო მაგრამ მე მაინც თავს ვიკავებდი ყოველგვარ მიხატვა-მოხატვაზე, პომადასა თუ „რუმიანაზე“ (ლოყების შესაფაკლებელზე).

გაპრანჭჭის პროცესში ვარ და უცებ ეზოში, ონკანთან მდგარ მაგიდაზე, საწებლის გასაკეთელად, დიდი თასით მდგარი გარეცხილი პამიდორი და წინაკა შევნიშნე. უცებ მოვიაზრე, იმ ყმაწვილს „მოსიარულე მიცვალებული“ რომ არ ვეგონო სიფერმკრთალის გამო, მოგეხსენებათ მაშინ, ლოყებლაჟღაჟა თუ არა, ცოტა ფერ-ხორციანი გოგონები უფრო ყელყელაობდნენ, მოდი ცოტა ამ მწვანე წინაკას წავისვამ ტუჩებზე, იქნებ ოდნავ შენითლდეს და უთუოდ მომიხდება მეთქი, როგორც ბავშვობაში, კაკლის წენგოს რომ ვისვამდი, ჯერ რახან არ მეტყობოდა გაშრობამდე, უფრო და უფრო მეტს ვისვამდი, შემდეგ კი ისე მეწვოდა რომ, ცხრა პირი კანი მძვრებოდა, თუმცა, მომავალ კაკლობამდე მავიწყდებოდა და კვლავ იგივე მემართებოდა.

მოკლედ, მწარე წინაკა დიდხანს და გულმოდგინეთ ვისვი, რომ შესამჩნევად დამწითლებოდა ტუჩები, წასმისას ვერ

ვგრძნობდი სიმწარეს, მერე კი ისეთი ცხარე გამოდგა, სულ კურცხლები მცვიოდა თვალებიდან. ამ სიმწრის ცრემლებს რომ ვაღვარღვარებდი, თვალები ამემღვრა და დამიწითლდა, მაგრამ ამ ახალი პრობლემის მოხსნის თავი და აზრი აღარ მქონდა, ტკივილით ლამის მეკივლა. უცებ დავწვდი პამიდორს, ღრმად ჩავკბიჩე და გავიჩერე გასაგრილებლად, და ასე ნახევარი თასი სასაწებლე პამიდორი შემომეუბიჩა, რადგან შეთბობისთანავე, ახალ-ახალს ვიღებდი როგორმე წვა რომ შემნელებიოდა.

ასე გამოვცხადდი პირველ პაემანზე, ტუჩებდანითლებული და თვალებდასიებული, ეს ყველაფერი კი პატარა გაციებას დაპრალდა.

კორსეტ-ქამარი

ხრუშჩოვის განკარგულებით, თბილისის რამოდენი-
მე სკოლის მეცხრე-მეათე კლასის მოსწავლეებს, საექსპე-
რიმენტოდ, ყოველ კვირის მონაცვლეობით უნდა გვევლო
პრაქტიკაზე, – გოგონებს სამკერვალო ფაბრიკაში და ვა-
ჟებს ქარხანაში.

თეორიული მეცადინეობისთვის, ცალკე განყოფილება გა-
მოგვიყვეს, საკლასო ოთახებით. პრაქტიკულისთვის კი ცალ-
კე გაყოფილებაში მთელი აგრეგატი, კონვეირით, უცხოური
ელექტრო საკერავი მანქანებითა და სპეც. მანქანებით.

ერთ მშვენიერ დღეს, პრაქტიკულ დავალებას რომ მოვ-
რჩი, იდეა დამებადა. ხმელ ტილოს, რაღაც დეტალების
დასამუშავებლად რომ ვიყენებდით, წმინდად ნაქსოვი და
საკმაოდ ხეშეში რომ იყო, ის გამომეყენებინა და ძალიან
ვიწრო და მყარი კორსეტი შემეცერა.

ავილე ორად მოკეცილი, ეს ხამი ტილო, კორსეტი წელს
ზემოთ უნდა ყოფილიყო და სწორედ წელს ზემოთ ავჭერი
ირიბად, ორი-სამი მილიმეტრის დაშორებით დავაგვირისტე
მთლიანად, სიგრძეზე. და ეს, საკმაოდ ვიწრო და ხმელი
კორსეტი, თავიდან ბოლომდე ერთმანეთის მიჯრით ჩავ-
დუგმე, ისე რომ, ჩაცმისას სუნთქვაც კი მიჭირდა.

არ ვიცი საიდან მომივიდა აზრად ასე ვიწრო კორსეტის
შეკერვა, ალბათ მაშინ რომ გამოდიოდა კინოს სიახლეებ-
სა და მოდაზე ახალ-ახალი უურნალები, იქ ხომ საქვეყნოდ
აღიარებულ მსოფლიო ვარსკვლავებს, უსაშველოდ წვრი-
ლი წელი და მომრგვალო თეძოები ჰქონდათ, ასევე მოდე-

ლებს, მაშინ მანეკენები რომ ერქვათ. მაშინ ხომ მრგვალი ფორმები იყო მოდაში. ჰოდა, წელსა და სიგამხდრეს არ ვუჩიოდი ისედაც, პირიქით, მეზეტმედებოდა და ვთვლიდი, რომ მრგვალი თეძოები სწორედ სიგამხდრის გამო არ მემ-ჩნეოდა, ამიტომ ვიფიქრე ვიწრო კორსეტი დამეხმარება ამ საქმეში მეთქი. კორსეტი აღარ ვიკმარე და გახამებულ “პო-დიუბკას” სალტე ქამარიც შევუცვალე ამ ტილოს ქამრით, რომელშიც როგორც შემდეგ მითხრეს, რაღაც შუშის მაგვა-რი ურევიაო. უნინ პალტოებსა და პიჯაკებს მკერდზე ძუას ულიანდაგებდნენ მდგრადობისთვის, და ეს ხმელი ტილო იმ ძუას სცვლიდა თურმე.

ეს ყველაფერი ხომ არ ვიცოდი და ერთხელაც გაპრან-ჭული გამოვცხადდი პაემანზე, მახსოვს მაშინდელ პლეხა-ნოვზე, კოოპერაციის სახლის საზაფხულო კინოთეატრში გადიოდა ფილმი „მარტინი ლრუბლებში“ რომლის სახელწო-დების გარდა არაფერი მახსოვს რადგან არც არაფერი გა-მიგია. ფილმის დაწყებიდან ცოტა ხანში, ცქმუტვა დავიწყე სკამზე, – ხომ არ გცივაო შემეკითხა რომ ვიშმუშნებოდი, არა მეთქი, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო გამიჭირდა, წელზე ძალიან მიჭერდა ქამარი და კიდეც მეწვოდა. მან პიჯაკი გაიხადა და მომახვია, ეგონა მციოდა და თქმა მე-რიდებოდა. ცოტა ხანს კიდევ გავუძელი თუ ამას გაძლება ჰქვია და უცებ, ანგარისმიუცემლად შუა კინოში წამოვხტი, კარებისკენ გავექანე და გარედ გავარდი და გავრბივარ, ის კი გაოცებულ-გაკვირვებული წამოხტა და გამომეკიდა, მომდევს და ვერ მეწევა, მეძახის და არ ვჩერდები, ან კი რა უნდა მეთქვა, უხერხულ, გამოუვალ მგომარეობაში მყოფს,

დაბნეულს და ტკივილებით სახე წაშლილს. კინოში დიდ ხანს ვიტანდი ტკივილებს, ვცდილობდი როგორმე გამეძლო ფილმის დასრულებამდე, ამასობაში ისე გამიმძაფრდა რომ, აზროვნების უნარი გადამეკეტა და გაუსაძლისი ტკივილი ინსტიქტივით, „დაუკითხავად“ მამოქმედებდა. ჩემ ბედზე რაღაც წამომეწია ტრამვაი თუ ტროლეიბუსი და თითქმის შევხტი, ჩემი კავალერი კი ასე სახტად დაუტოვე, გაოცებულ გაოგნებული და არანაკლებ დაბნეული.

მერე კარგა ხანს გამყვა ალაგ-ალაგ დასისხლიანებულ წელზე, შეხორცებული იარების ნაკვალევი. ის ქამარი კი სასწრაფოდ მოვარლვიე და გადავაგდე თუმც ამით არ შემინყვეტია ექსპერიმენტები საკუთარ თავზე, ერთხელ კი-დევ გავბედე, ამჯერად კორსეტის გამოცდა გადავწყვიტე, აბა ტყუილად ხომ არ ვიშრომე მის „შესაქმნელად“, თან მინდოდა კარგ ფორმაში ვყოფილიყავი, ხომ გაგიგიათ „სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო“, ჰოდა კიდევ ერთხელ გადავდე თავი. ახლაც ახალ ფილმზე ვიყავი დაბატიუბული, „როკო და მისი ძმები“ გადიოდა კინოთეატრ „ოქტომბერში“. კორსეტი მიჭერდა მაგრამ, ამჯერად გავუძელი ჩემ „ნაშემოქმედარს“, რომელიც ტოლს არ უდებდა, და ბევრად უსწრებდა კიდეც, იმ ჟამად შემოსულ გერმანულ, ლამაზ მაქმანებიან კორსეტებს „სიმკაცრით“. არადა, ფილმის შემდეგ გასეირნება შემომთავაზეს, მაგრამ ვეღარ გავრისკე, რაღაც მოვიმიზეზე და სახლში წავედი. და ის კორსეტიც ქამრის გზას გავუყენე, მარტო იარები და გახსენებალა და-ვიტოვე სამახსოვროდ, იარები კი, კარგა ხანს „მამკობდა“.

გაზაფხულის შემოსვლა თბილისში

გაზაფხულის მოსვლამ, რაღაც ისეთი, აღმაფრენის მაგვარი და სახელდაურქმეველი განწყობის შემოფრენა იცის ხოლმე რომ, მიხარია რაღაც, არ ვიცი რა, ალბათ ყველაფერი, ყოველდღიურობა, ყოველგვარი არამნიშვნელოვანი მოვლენებიც კი ახალ-ახალ იმდებს მისახავს და „საამურია ცხოვრებაო“ რომ ამბობენ, ეგ მემართება ხოლმე. ყოველ გაზაფხულის მოსვლისას ყოველგვარი პრობლემები უფერულდება და ზოგი მავიწყდება კიდეც, თუნდაც დროებით.

ეს ყველაფერი დაუკითხავად შემოდის ჩემში, შეუკვეთავად და დაუპატიჟებლად, ესეიგი გაზაფხული მეუფლება, რაღაც წილად ის განაგებს და მართავს ჩემ განწყობას, თუმც დროებით მაგრამ მე მთელი წელი მყოფნის.

სამოციან წლების დასაწყისში, სკოლის დამთავრებისთანავე თუ ვერ მოეწყობოდი სადმე სასწავლებლად, მაშინვე უნდა დაგენტო სამსახური, ორწლიანი სტაჟისთვის, ამიტომ მეც მივაშურე სამსახურს. იქ თითქმის ყველა ახალგაზრდები ვიყავით, გაზაფხულის მოსვლამ ისე საამოდ „აგვიჟრიალა“ სისხლი რომ ყველაფერი გვიხაროდა, სასიხარულოც და „უსიხარულოც“ და მოვიფიქრეთ, რომ თბილისში გაზაფხულის შემოსვლა აგველნიშნა. გადავწყვიტეთ ქალაქგარედ, ახლად გამწვანებულ შემოგარენში გვეზეიმა. გაგვახსენდა საყოველთაოდ ცნობილი მუსიკალური ფესტივალი „პრაღის გაზაფხული“ რომელიც პრაღაში იმართებოდა, ჰოდა ამ ჩვენს ფრიად „ლირსშესანიშნავ ლონისძიებას“ თუ თბილისური გაზაფხული ერქვა, ესე იგი თბილისში უნდა

აგველნიშნა, ამიტომ თბილისში მთაწმინდაზე გადმოვამი-სამართეთ, ოლონდ არა პარკში, არამედ იქვე, მთაწმინდის მიმდებარე ფერდობზე, პატარა ტყეში.

მოვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგ-ვჯდომოდა, ძველებური, პატეფონი გვეშვა, ძველებური-ვე, კარგა ხნის მივიწყებულ ფირფიტებით, „პლასტინკებს“ რომ ვეძახდით. იმიტომ კი არა, მუსიკის სხვა არჩევანი რომ არ გვქონდა, მაშინ ე. წ. „სპიდოლებიც“ არსებობდა, რო-მელსაც ტყეშიც აახმიანებდი და ღრეშიც. რაღაც ეშხს და ხიბლს ვხედავდით ამ კარგა ხნის ხმარებიდან გამოსულ, მივიწყებულ დასაქოქ ფირსაკრავში.

მიუხედავად იმისა რომ სამოციანი წლები იყო, მაინც ძა-ლიან გაგვიჭირდა შოვნა, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურ-ვილი, განსაკუთრებულად აღნიშვნისა რომ დიდი ძებნისა და ძალისხმევის შედეგად მაინც ვიშოვეთ.

როგორც იქნა ავბობლდით, პატეფონიან-ფირფიტებიან-სანოვაგიანად, მთაწმინდის ერთ-ერთ კალთაზე. ხეების ჩრდილში დავბინავდით, საიდანაც ჩვენი პატარა და კოხტა ქალაქი ხელისგულივით მოსჩანდა, სიმწვანეში ჩაყუდებული წითელი სახურავებით. ტყეში დაკარგულ და ტყეს მოდე-ბულ წითლქუდებს რომ ჰეგავდნენ.

დაიწყო ზემო, გაეშალეთ არც თუ ძალიან მოკრძალე-ბული სუფრა, კონიაკზე და სამარკო ღვინოებზე თუ არ მიგვიწვდებოდა ხელი, არანაკლებად გვიხალისებდა გან-წყობას სახლიდან წალებული ცოტაოდენი ღვინო, ჩვენ ხომ ბევრი არ გვჭირდებოდა, ისედაც გვათრობდა გაზაფხული თავის ჯადოსნური ზემოქმედებით, ხალისს კი ისედაც არ

ვუჩიოდით. ტრადიციულ-გაზეპირებული სადლეგრძელოები ავკრძალეთ და ერთმანეთის ქება დიდება-დითირამბებიც. თითოეულს უნდა ეთქვა, სხვიგან ჯერ არ თქმული და სხვისგან არ გაგონებული, ვისაც რა და როგორ შეეძლო, თუნდაც მხატვრულად გაფორმებული სადლეგრძელო, ვისაც შეეძლო კარგი ლექსიც მიეყოლებინა თბილისზე ან გაზაფხულზე, და დავიწყეთ ენამზეობა.

ცეკვა რომ მოგვინდა, საცეკვაო ფირფიტები ვერ აღმოვაჩინეთ, თუმც „მოხევის ქალო თინაოზე“ ისე მონდომებულად ვცეკვავდით ქართულს და ევროპულს, თითქოს სპეციალურად ჩვენ საცეკვაოდ დაეწერათ, არადა მოგეხსენებათ ეს სიმღერა რამდენად საცეკვაოა. მოკლედ, „სიმღერა ავაცეკვეთ“, და ის რომ ერთმანეთი, ჩვენი ქალაქი, გაზაფხული და თვით სიცოცხლეც გვიყვარდა, ამ ღონისძიების მიზეზიც იყო და დასტურიც.

დღეს სიამოვნებით ვიხსენებ იმ დღეს, არა მარტო იმიტომ რომ მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, იმიტომაც რომ, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობისა, როგორი ხალისიანები ვიყავით, კარგი ჩაცმა დახურვა ჩვენც გვინდოდა, და გამოსავალსაც ყოველთვის ვპოულობდით ჩვენი „შემოქმედებითა და ფანტაზიით“, რომელსაც ზოგჯერ კურიოზებამდეც მივყავდით.

თბილისური დილა ძველ თბილისში

მოგეხსენებათ მწვანეში ჩაძირული ძველი თბილისი, მასივებისა და ახლო მდებარე სოფლების შემოერთებამდე, ბევრად პატარა იყო. თბილისელთა საუბარში ხშირად ისმოდა, „გაღმა“ და „გამოღმა“, ამ სიტყვებში მტკვრით გაყოფილი ქალაქის ორი მხარე იგულისხმებოდა ყველა ქალაქისგან განსხვავებული, კოხტა, კოკროჭინა თბილისი, რომელიც დღევანდელთან შედარებით საკმაოდ ადრე იღვიძებდა, უზარმაზარი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც მაშინ საკმაოდ მრავლად იყო თბილისში, თითქმის ყველა ორ და სამ ცვლაში მუშაობდა, სადაც დილით, შვიდიდან რვა საათამდე იწყებოდა პირველი ცვლის მუშების სამუშაო დღე და ოთხ საათამდე გრძელდებოდა. მეორე ცვლა, ოთხიდან თორმეტამდე მუშაობდა, მესამე ცვლა კი, ღამის თორმეტიდან, დილის ექვს საათამდე. ამ დაწესებულებების ადმინისტრაციული განყოფილება კი, ისევე როგორც: სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები, კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, სამმართველოები, ტრესტები და სხვა მრავალი ორგანისაციები, ცხრისნახევრიდან ცხრამდე იწყებდნენ და ექვს საათზე ამთავრებდნენ. ეს ჩამოთვლილი ორგანიზაციები მხოლოდ პირველ ცვლაში მსახურობდნენ, ამიტომ ადრე იღვიძებდა და გვიან იძინებდა ქალაქი, ასევე ტრანსპორტი ღამეც კი მუშაობდა, ოღონდ შემცირებული გრაფიკით.

ქუჩების დასუფთავება კიდევ უფრო ბევრად ადრე იწყებოდა, ექვს საათზე. სისხამ დილით დაგვილ და მორწყულ

ქუჩებში, რაღაც სურნელი იგრძნობოდა, არ ვიცი რის, სისუფთავის, მორწყულის, თუ თბილისის სურნელი იყო. დღესაც კი მახსოვს ის სურნელი, ამ სახეშეცვლილსა და ყოფაშეცვლილ თბილისში.

ასევე შევიგრძნობდი ზამთრის დილის სურნელსაც, თეთრი ფერის ღია და ოდნავ მუქ ტონებად შეჭირხლულ ფანჯრის მინებს მიღმაც კი იგრძნობოდა ეს სუნი, თუ მე მეჩვენებოდა არ ვიცი.

მაშინ ხომ გაზი არ შემოდიოდა თბილისში, და კერძო მოსახლეობის დიდ ნაწილს, თუნუქის, თუჯის, კერამიკის, ან სამზარეულოში დიდი, ფურნაკიანი აგურის ღუმელი ედგათ, ეს უკანასკნელი კი დიდი კორპუსების სამზარეულოშიც იყო ჩაშენებული. ყველა მათგანს ძირითადად, შეშით მოიხმარდნენ, ასევე ქვანახშირითაც.

ამ ახალგაღვიძებულ ქალაქში დილის გამჭვირვალე ჰაერს, შეშის კვამლიც ერთვოდა და იქნებ ესეც ჰქმნიდა თბილისური ზამთრის დილის განსაკუთრებულ სურნელს.

ჩვენი ქურთი და იეზიდი მეეზოვეები, საგულდაგულო დაგვის შემდეგ, საკმაოდ დიდი ზომისა და ტევადობის სარწყავებით, ძლივს რომ ერეოდნენ, იქვე მაცხოვრებელთა ღია ეზოებიდან გამოტანოლი წყლით რწყავდნენ ქუჩებს. მაშინ ეზოებს კი არა, სახლებსაც არ კეტავდნენ, და თუ კეტავდა ვინმე, გასაღებს ფეხსაწმენდის ქვეშ ტოვებდა, ან კარებთან დამაგრებულ ლურსმანზე ჰკიდებდა.

ქუჩის პირას მაცხოვრებელთ დილაადრიან გვაღვიძებდა „მეეზოვეების რისხვა“, ტანმორჩილი და საკმაოდ „წიკვინა“ ხმის მქონე ქალბატონი, რომელიც ამონმებდა მათ დროუ-

ლად და ხარისხიანად მუშაობას, არც თავს ზოგავდა, არც მეეზოვებს და არც ჩვენ, მაცხოვრებლებს. ისეთი ცივი და ბასრი ხმა ჰქოდა, თან ისეთ ბოლო ხმაზე კიოდა რომ, ჩვენ მაინც რას გვერჩოდა ვერ ვხვდები.

მაშინ ყველა ქურთს ეროვნული სამოსი ეცვა, რომელიც იმდენად მრავალფეროვანი და ჭრელა-ჭრულა იყო, სადღე-სასწაულოდ გამოწყობილებს ჰგავდნენ. პრიალა ატლასის ქვედა ბოლო კაბები, რამოდენიმე, ალბათ ორი-სამი დამოუკიდებელი და სხვადასხვა ფერის ნაჭრით იყო აწყობილი და წვრილად ჩაპლისული, ბოლოში კი ყველას სხვადასხვა ფერის, წვრილი ლენტები ჰქონდა წვრილად შემოკერებული. ასეთივე ფერადოვანი ზედა მოსაცმელები ეცვათ, თავის აქ-სესუარებით. ყურებზე „კონწიალა“, ბურთულა, ოქროს ან ვერცხლის დიდ-პატარა საყურეები ეკეთათ. როგორც მახსოვს ფეხზე, გრძელი თეთრი წინდები და ოდნავ მაღალი, სქელქუსლა ფეხსაცმელი ეცვათ, თავზე კი, აბრეშუმივით პრიალა, წმინდა ძაფით ნაქსოვი, წვრილი და გრძელფორჩიანი მოსახვევები, რაღაც თავისებურათ ჰქონდათ შეკრულ-შემოხვეული.

ისინი არა მარტო ასუფთავებდნენ და უვლიდნენ, არა-მედ უხდებოდნენ კიდეც იმ დროინდელ მრავალსახოვანსა და მრავალფეროვან თბილისს, მაშინდელ თბილისში, ყველა სახის მაღაზიებს, მთელი ღამით, დილამდე სდარაჯობდა სანადირო თოფმომარჯვებული დარაჯი.

ასევე ყველა უბანს უსაფრთხოებისათვის, მთელი ღამე, დილამდე მიმაგრებული ჰყავდა მილიციელი, და გათენებამდე, ე.წ. „შვიშტოკების“ ხმაც ეხმიანებოდა ქალაქს.

დილით, პურის ქარხნებს, ალბათ კილომეტრის რადიუსით, საოცრად საამო და მადის აღმძვრელი სუნი მიგაგნებინებდათ, საოცარია სად დაიკარგა ეს სურნელი, თვით საცხობებშიც კი აღარ იგრძნობა.

ყველა დიდ ქარხანას თავის საყვირი ჰქონდა, რითიც მუშა მოსამსახურებს სამსახურის დაწყებასა და შუადლის შესვენებების დროს აუწყებდა. საყვირის ხმა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ისმოდა. მის ხმაზე ზოგი საათსაც კი ასწორებდა. ამ საყვირს ზოგი „გუდოკს“ ეძახდა, ბებიააჩემის მოხუცი მეზობელი კი „დუდუკს“ ეძახდა, ხშირად კითხულობდა, შვილო, „პირველის დუდუკი“ იყო უკვე?

თბილისის უბნებში სახამად ხშირი იყო სახაშეები, სადაც დილით არა მარტო „ნაბახუსევები“ გამოდიოდნენ ე.წ. „პახმელიაზე“, არამედ ბევრი სამსახურში მიმავალი, გამოსაფხიზლებლად ცხელ ლავაშთან და ჭიქა არაყთან (თუ საჭესთან არ იჯდა) ფხიზლდებოდა და ნაყრდებოდა.

არსებობდა ე.წ. „გამოსაფხიზლებლებიც“, სადაც ღამით, მთვრალი „მობოდიალები“ მიჰყავდათ სამთვლიან „კალიასკიან მოტოციკლით, მორიგე მილიციელებს. ხშირად ცივი შხაპით „უმასპინძლდებოდნენ“ და დილით უშვებდნენ, „შხაპით ნაპატივებსა“ და გამოფხიზლებულს.

ქუჩებში დილა ადრიან, სამსახურში თუ სკოლაში მიმავალთათვის, ხელის მოზრდილ ურიკებით დაჰქონდათ ცხელ-ცხელი ღვეზელები, მათი სათავსოდან ამოღებისას, თბილი და გემრიელი ოხშივარი ამოდიოდა ხოლმე.

დილაობით სკოლებსა თუ პურის მაღაზიებში ცხელ-ცხელი ფუნთუშები შეჰქონდათ, ქადისგულ მოყრილი ე.წ.

„სლოიკები“ თუ დაბრანული, ქიშმიშიანი „ბულკები“, ან ყა-ყაჩის გულ მოყრილი წვრილი თუ მსხვილი „ბუბლიკები“ თუ „კრენტელები.

სისხამ დილას, ქუჩის კუთხებსა თუ მაღაზიების წინ ლითონის კალათებით გამოჰქმდათ ლიტრიან და ნახევარ ლიტრიან შუშის დიდპირა ბოთლებითა და სამკუთხა, გა-სანთლულ მუყაოს კოლოფებით რძე, ასევე მაწონი, კეფი-რი, ხაჭო და არაუანი.

დილაადრიანად ახალგაღვიძებულ ქალაქს მანქანების გაბმული „პიპინი“ აყრუებდა, ეს ხმაური დიდ დისკომ-ფორტს ჰქმნიდა, ამიტომ ქალაქში სიგნალი აიკრძალა.

დილით ადრე, ვეებერთელა ჩანთით, ფოსტალიონიც გვსტუმრობდა, თითქმის ყველა ოჯახს აკითხავდა, უურ-ნალ-გაზეთებით თუ წერილებით, რომლებიც უხვად დაჰ-ქონდა, მაშინ ხომ იტერნეტი და კომუნიკაციის ასეთი სა-შუალებები არ იყო. ასევე ყველა პენსიონერთან ბინაზე დაჰქონდა პენსია. უბანში მეტ-ნაკლებად ყველას იცნობდა.

ყველა უბანში დილით ადრე, ნაგვის მანქანა დადიოდა და სხვადასხვა სიმჭახის საყვირ-სასტვენების ხმა გაისმოდა, რაც ბევრს აღვიძებდა კიდეც, მანქანას რომ არ გაესწრო. სახლებიდან გამორბოდნენ დილის ხალათებით, „ბიგუდე-ბით“, ფოსტლებით თუ ჩაჩით, ზოგი უკვე გამოპრანჭულიც იყო, ზოგი კი პირდაუბანელი.

დილით „უწყინარი“ტრამვაი და ტროლეიბუსები საკ-მაოდ ადრე იწყებდა მუშაობას და მწვანეში ჩაფლულ ქა-ლაქს არ წამლავდა, რადგან ეკოლოგიურად სუფთა და იაფი ტრანსპორტი იყო. პიკის საათებში, უფრო კი დილაო-

ბით ისე გადატვირთული იყო, ზოგი საფეხურებზე ცალი ფეხით და სახელურებზე ცალი ხელით იყო დაკიდებული და თუ ფეხბურთი იყო, ზოგნი სახურავზეც იკალათებდნენ, და ტროლეიბუსის უკანა, გარე კედელზეც მინახავს აკრულები, ადრე, ავტობუსში, ალპათ სამოციან წლებამდე, ბილეთებს კონდუქტორი ჰყიდიდა, გულზე ბილეთების დიდი ხვეულები ეკიდა, სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა ფასის. ბილეთების შეძენისას უნდა გეთქვა სადამდე მგზავრობდი და სხვადასხვა ფერისა და ფასის ხვეულებიდან გამოგიყვანდა იმ თანხას, რაც ამ მანძილის გავლის საფასური იყო,

კიდევ იცით რა გამახსენდა, მაღაზიაში ყოფნისას ასეთ რამეს შევესწარი, მაღაზის გვერდით სადარბაზოში მცხოვრებმა დიასახლისმა, სახელდახელოდ, ხალათით შემოირბინა, ხალათი კი იყო გობელენის, მოდურიც და ძვრადღირებულიც, მაგრამ ის მაინც ხალათი იყო, ამიტომ მილიციელი შემოჰყვა, შენიშვნა მისცა და გააფრთხილა, სახლის გარედ, ქუჩაში თუნდაც სახლის წინ, ხალათით აღარ გამოსულიყო. დიასახლისი არც შეპასუხებია, არც ახსნა-განმარტება დაუწყია და არც სხვა ვინმე გამოსარჩლებია დღევანდელი-ვით, ისე მიიღეს შენიშვნა.

საბოლოოდ კი თბილისს თბილისური შეძახილებიც აღვიძებდა: „მაღაკო მაწონი, რძე-მაწონით იწყებოდა და თანდათან მოჰყვებოდნენ: „ბატიბუტი ნა ბუტილკიი“, ამ თეთრ-წითლად მოღაულაუე ტკბილ ბურთულებს, ფულის გარდა, ბოთლებზეც ყიდიდნენ, მხოლოდ მკაცრად ამოწმებდნენ რომ, ნავთის სუნი არ ჰქონოდა და არც შამპანურის ბოთლებს იღებდნენ.

„ესკიმო მაროუნიი“, „მამალო, მამალოო“, და ჯოხზე წა-
მოსკუპულ წითელ მამლაყინნას სთავაზობდნენ ბავშვებს.

„ყვაილების მიწაა“, ჩოჩორზე გადაკიდებულ ტომრით
დადიოდნენ. „პანტა, პანტაა“, თიანელები შუშის ნახევარ
კილოგრამიანი ქილით ყიდიდნენ მწიფე პანტას, რაც პატა-
რა ხელის ურემზე შემოდგმული გოდრით დაჰქონდათ.

თანდათან მოჰყვებოდნენ და რუსულ-ქართულად გაპ-
ყვიროდნენ „ვლესავ დანებს და მაკრატლებს“. და ზურგზე
მოკიდებულ ხის სალეს დაზგას დაატარებდნენ კარდაკარ,
რომელსაც ცალ მხარეს დიდი ბორბალი ჰქონდა დამაგრე-
ბული. ასევე შუშების ჩასმას სთავაზობდნენ, „სტიოკლი
სტავლიატ“, და მათაც ხის ხარიხაში ჩალაგებული შუშები
დაჰქონდათ, მხარზე მოკიდებული.

ცოტა უფრო ადრე, ომის შემდგომ გაჭირვების პერიოდში,
მეძველმანეებიც დადიოდნენ ცხენშებმულ ურიკით, და გაპ-
ყვიროდნენ „პოკუპაემ სტარიე ადიოუდა“, „სტარიე ვეშჩი“.
ასევე ქვაბების, ტაფების, თუ ჩაიდნების მკალავებიც ხშირად
გვსტუმრობდნენ შეძახილით: „მოსაკალი ქვაბები“, და იქ-
ვე, ჭურჭლის ნაცვეთ ხვრელებს კალით ავსებდნენ. მხოლოდ
ალუმინის, თუჯის და მგონი სპილენძისასაც კალავდნენ, აი
თუთიისას (ცინკისას) არანაირ ნაკეთობას არ იღებდნენ, მა-
გალითად სათლებს, „ლახანკებს“ და ასე შემდეგ.

თბილისურ მრავალხმიანობას, დილის შემდგომაც ამ-
დიდრებდა ასეთი შეძახილები, „სურათების გადიდებაა“,
მათ კი, პატარა ფოტოსურათები მიჰქონდათ გასაღიდებ-
ლად, ჩარჩოებში ან პასპარტუებში ჩასასმელად, ზოგჯერ

ფაიფურის ან პლასტმასის თეფშებზეც გადაჰქონდათ და კიდეც აფერადებდნენ.

„ხალიჩების შესყიდვაა“, ასეთ შეთავაზებასაც გაიგებდით, ხელით ნაქსოვ, ძველებურ შალის ხალიჩებს კარგ ფასად იძენდნენ, ან ორ ცალ, იგივე ზომის, ახალ, ფაბრიკული წარმოების ხალიჩაში უცვლიდნენ, თუნდაც ძველსა და დაზიანებულში. საკერავი მანქანის შემკეთებლებიც დადიოდნენ. მკითხავი ბოშა ქალებიც არ იყვნენ იშვიათი სტუმრები, მათ იცოდნენ როგორ უნდა დაეინტერესებინათ ხალხი, რაღაც წილად კარგი ფსიქოლოგებიც იყვნენ, ჯერ კითხვა პასუხზე აგებდნენ სათქმელს, შემდეგ კი კლიენტის სახის გამომეტყველებასა და ნათქვამის რეაქციაზე, და თუ ასე კარგად დახელოვნებულები ვერ იყვნენ, მაინც როგორლაც ართმევდნენ თავს და ათასნაირ ტყუილ-მართლით შოულობდნენ კაპიკებს. ჩასაცმელზე და საკვებზეც არ ამბობდნენ უარს.

ასე მთელი დღის განმავლობაში გაისმოდა სხვადასხვა შეთავაზებები, და ამ სერვისებს ბინაზევე გვთავაზობდნენ.

ეს ძველი თბილისის სურათები, მხოლოდ ხანდაზმულებსლა გვახსოვს: ნანახი, განცდილი თუ გადატანილი. ახალი თაობისთვის კი საკუთარი ქალაქის, არც თუ ისე შორი, წინა წლების ყოფა-ცხოვრება, თან აგრერიგად განსხვავებული, არ უნდა იყოს ინტერესსმოკლებული.

თბილისური უბნები

აქ ვინმე ცნობილ პიროვნებებზე და მათთან დაკავშირებულ ამბებზე არ ვსაუბრობ, არც ვერა, მთაწმინდა-სოლოლაკის მაცხოვრებლებზე, რომლებიც საკმაოდ საინტერესოდ ჰყვებიან, ორმოცდაათიან და შემდგომ წლებზე და მათ უბნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, მითუმეტეს ბევრი ცნობილი, საინტერესო და ღვაწლმოსილი ადამიანი ცხოვრობდა ამ უბნებში და ჩვენც თქვენსავით გვეძვირფასება და გვიყვარს ეგ უბნები, ცნობილ თუ უცნობ უბნელებიანად, მაგრამ თბილისი, ამ უბნებს იქითაც არსებობდა, რომლებიც მათვე ჰგავდნენ თბილისელობით, და კიდეც განსხვავდებოდნენ,

მაშინ მართალია ჯერ მასივები არ არსებობდა და არც შემოერთებული სოფლები, როგორებიცაა გლდანი, ბაგები, დილომი, ლილო, ვეძისი, ვარკეთილი და სხვები, მაგრამ, თბილის თავის ეშეს მატებდა: ვარანცოველები, ავლაბრელები, პლეხანოველები, კირიჩნელები, ნაძალადეველები, ორთაჭალელები, სვანეთის უბნელები, კუკიელები, ოქროს უბნელები, დიდუბელები, და თუ გამომრჩა ვინმე თქვენ მიამატეთ.

ალბათ თბილისი ამიტომაც იყო ასე მრავალფეროვანი და საინტერესო რომ ყველა უბანს, სართო თბილისურის გარდა, რაღაც მარტო თავის უბნისთვის დამახასიათებელი თვისებები და ტრადიციებიც გააჩნდა. თვითონ უბნელების ურთიერთდამოკიდებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგალითად ქორწილები, ისევე როგორც დაკრძალვები, სხვა-

დასხვა უბნებში ცოტათი მაინც განსხვავდებოდა ერთმანე-
თისგან.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ თბილისი ერთფეროვანი
კი არა, ჭრელი იყო, და, რაც მთავარია თბილი, რადგან
ჩვენ ერთმანეთს ვათხობდით, ჭირსა და ლხინში თანადგო-
მით გამოვირჩეოდით, ურთიერთ დანდობით და პატივის-
ცემით.

ბავშვობაში, ნაძალადევში, ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა
ერთი ქალბატონი, კატუმა სუნდუკიანი, ძველი თბილისე-
ლი, ერთ დროს მდიდარი კომერსანტის ქალიშვილი გახ-
ლდათ. უკვე გაღარიბებული, ნაძალადევში დასახლდა, ერთ
პატარა და ლამაზ ბანიან-ეზონიან სახლში. ეს ქალბატონი
საკმაოდ სათნო და განათლებულ გახლდათ.

მასთან ხშირად იკრიბებოდა მისი შემორჩენილი სამე-
გობრო, უფრო უქმე დღეებში. ისხდნენ ლია ვერანდაზე და
საუბრობდნენ, მსჯელობდნენ ახლად წაკითხულ წიგნებზე
და მათ პერსონაუქმებზე, ფილმებსა თუ თეატრზე, მსახიობ-
თა ხელოვნებაზე და თბილისურ ამბებსაც მიმოიხილავ-
დნენ, ხალისობდნენ და რა თქმა უნდა ჩაისაც მიირთმევ-
დნენ თავის მურაბებ-პეროგებიანად, ხშირად, გრამაფონის
მუსიკაზე, ევროპულად ცეკვავდნენ.

ერთადერთი, რაც ბავშვობის უზრუნველ ცხოვრებიდან
დარჩა და ვერ შეელია, საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და
ფერწერული ტილოები იყო. უბნის ბავშვებს წიგნებით უხ-
ვად „გვიმასპინძლდებოდა“ და შერჩევაშიც გვეხმარებოდა.

მოხდა ისე რომ დედა რომელიც ეკონომისტი იყო, რა-
ლაც მცირე გადაცდომაზე დააპატიმრეს, ამან იმდენად

იმოქმედა მასზე, რომ მალევე გარდაიცვალა. მაშინ კი იმ ბინის გაყიდვამაც მოუწია და ქირით ერთ პატარა ბინაში გადავიდა. მისი ორი ძმა მოსკოვში ცხოვრობდა და საკმაოდ დიდი თანამდებობისანიც იყვნენ. უსახლკაროდ დარჩენილი იძულებული იყო მათთან გადასულიყო საცხოვრებლად, მიიწვიეს კიდეც, მაგრამ ვერ შესძლო, თბილისს და თბილისურ ყოფას ვერ შეელია. უსახლკარომაც კი ვერ დათმო თბილისი, პატარა ოთახში გადავიდა ქირით და მოგვიანებით აქ აღესრულა.

ერთხელ, საავადმყოფოში მოვხვდი, იქ გავიცანი ერთი შუახნის სიმპატიური ქალბატონი, რომელიც საინტერესო მოსაუბრეც გამოდგა. მის სანახავდ თითქმის ყოველდღე მოდიოდა მისი ხანდაზმული დედა, ზოგჯერ „პადრუგებიც“ ახლდა. იმდენად საინტერესოდ და სახალისოდ საუბრობდნენ, თან რუსულ-ქართულად კეკლუცობდნენ, კეთილშობილ ქალთა გიმნაზიოდან გამოქცეულებს ჰგავდნენ. ჩემმა თანაპალატელმა ქალმა მითხრა, გათხოვებამდე ავჭალაში ვცხოვრობდიო. მე გამიკვირდა რადგან, მაშინ ხომ ავჭალაში არანაირი ტრანსპორტი არ მოძრაობდა მატარებლის გარდა, და ინსტიტუტში ყოველდღე მატარებლით როგორ დადიოდა.

მან კი მომიყვა, სიდუხჭირე მაშინ ყველგან იყო, ქალაქშიც და მის გარეუბნებშიც, ჩვენც ისეთივე ქალაქური ცხოვრებით ვცხოვრობდით, როგორც სხვა უბნები და შეიძლება ზოგ უბანზე უკეთესადაცო. ჩვენთან კლუბში ყოველ შაბათ-კვირას ევროპული ცეკვები იყო და ახალგაზრდები არა მარტო საცეკვაოდ, მივდიოდით, ახალ წაკითხულ თუ

ახალ შემოსულ ფილმებს განვიხილავდით, გვაინტერესებდა ერთი და იგივე მოვლენასა თუ საქციელზე სხადასხვა აზრი და ამ აზრების დამამტკიცებელი არგუმენტები, ამ მსჯელობასა და გარჩევაში ჩვენც უფრო საინტერესოდ ვყალიბდებოდით, მარტო ლოგიკით არ ვხელმძღვანელობდით, დასაშვებსა და დაუშვებლის იქითაც ვიხედებოდით და ამდენ სჯა-ბაასში აზროვნებაც გვინვითარდებოდა.

მაშინ ხომ დღევანდელივით, ყველა ვერ აბარებდა უმაღლეს სასწავლებელში, შედარებით რთულიც იყო მოწყობა და მაშინდელი სწავლის დონე და ხარისხიც სხვა იყო. თანაც, არსებობდა ტექნიკურ და პროფტექნიკური სასწავლებლებიც, ამის გარდა უამრავ ფაბრიკა-ქარხნებში ისეთ სპეციალობებს ასწავლიდნენ მუშაობის პარალელურად რომ, მექ-ვსე თანრიგის მუშა, თითქმის ინუინერზე მაღალ ხელფასს იღებდა. ჩვენი კლასიდან კი უმეტესობამ მიიღო უმაღლესი განათლება, ზოგმა მოსკოვსა და ლენინგრადშიც, და რამოდენიმე საკმაოდ წარმატებული და ცნობილი პიროვნებაც გახდაო.

ერთხელ ბავშვობაში, ავლაბარში, მოვხვდი ქორწილში და რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია ეს იყო „ჩირალდანი“.

ჩირალდანი იყო დიდი, ხის კარკასი, ხესავით დატოტვილი, ნაჭდევებითა და ლამაზ კუნტუბებიან ხის ფირფიტებით დამშვენებული. ზემოთ, ორივე მხარეს დასკუპებული იყო, ხის, თხელი ფირფიტებითვე აწყობილი ორი მტრედი. ჩირალდანი ნაძვის ხესავით იყო მორთული. ძვირფას შოკოლადებით, ნაირ-ნაირი ნუგბარით და ნეფე-დედოფლის წინ იდგა მაგიდაზე.

ერთი ასეთი, ხის მტრედების ხელოსანი, ჩემი ბებია-ბაბუის ეზოში ცხოვრობდა, „მემტრედე შაქრო“ ერქვა, ულა-მაზეს მტრედებს აკეთებდა, ხის, ფიგურულად დაჭრილ „მაქმანებიან“ ფირფიტებით. ალბათ ზოგიერთ უბნელები უკვეთავდნენ ქორნილისთვის.

ბებიაჩემის და ოქროს უბანში, ფიროსმანზე ცხოვრობდა ე. წ. იტალიურ ეზოში, დიდი ეზო იყო და ყოველ სართულს, ირგვლივ წრიულად, რიკულებიანი აივანი ერტყა, რომელიც თითქმის ყველა მაცხოვრებელს აერთიანებდა, ამიტომ ერთმანეთის ჭირის და ლხინის მოზიარე იყო ყველა იქ მცხოვრები, ჭირში ჭირისუფლები და ლხინში თანამეინახენი.

სხვადასხვა უბნის მაცხოვრებელთ ბევრი რამ აერთიანებდა, ეს იყო ქალაქის სხვადასხვა უბანში მაცხოვრებელი ნათესავ-მეგობრები, დაწესებულება-ორგანიზაციები, ინსტიტუტები, ფაბრიკა-ქარხნები და რაც მთავარია, თბილისური სეირნობები, საღამოობით

გადაჭედილი იყო რუსთაველის და ყოფილი პლეხანოვის გამზირები, ცენტრალური უბნის ახალგაზრდებს, სხვადასხვა უბნებიდანაც უერთდებოდნენ, ტრანსპორტი მაშინ კანტი-კუნტად მოძრაობდა და მთელი გამზირი მოსეირნებს ეკავა. იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, იყო მიკითხვ-მოკითხვა, მოფერება-მოსიყვარულება და ალბათ ამასაც ცოცხალი ურთიერთობები ერქვა.

მტკვრის გაღმა-გამოღმა მხარეს, თითოეული უბნის საკუთარი სახე და საერთო თბილისური ყაიდა გვაერთიანებდა, ეს იყო პატივისცემა, სითბო სიყვარული და თანადგომა, თბილისური გაგება და თბილისურად სუნთქვა.

ყველა უბნელს, თავის უბნელების მიმართ, გარკვეული ვალდებულებებიც ჰქონდა, მათი დაცვის, გამოქამაგება-გამოსარჩლების და დახმარების სახით, მიუხედავად იმისა, პირადი ურთიერთობები ჰქონდა თუ არა.

ასეთივე თბილი და ახლობლური იყო ეს თვისებები, თუ სხვა ქვეყანაში ხვდებოდი შენ თანამოქალაქეს, თუნდაც ჩვენებურს.

სამოციანი წლების ბოლო იყო, მოსკოვის სასტუმრო „რასიაში“ უბინაოდ დავრჩით სამი თბილისელი გოგო, რა-ლაც კონფერენციის გამო. იმუამად საზღვარგარეთული გასტროლებიდან დაბრუნებული და თბილისში მიმავალი, სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლი იყო ამ სასტუმრო-ში გაჩერებული. ვესტიბიულში ვიყავით ყველა. ჩვენი გასა-ჭირი რომ გაიგეს, მაშინვე მოვიდნენ ჩვენთან, დატრიალ-დნენ, ვისაც როგორ შეეძლო, ნაცნობობით, ფულით თუ გულის აჩუყებით შეეცადნენ ჩვენ დაბინავებას, მაგრამ ვერ მოხერხდა, კონფერენციაზე ჩამოსული დიდძალი დელეგა-ციის გამო. შემდეგ ჰამლეტ გონაშვილი გამოჩნდა, ახლა ის დატრიალდა, მიდგა-მოდგა, ყველანაირად შეეცადა მაგრამ ნომრები ფიზიკურად არ იყო. მანამ ჩვენ დასაბინავებლად დარბოდა, ჩვენ თავისივე ნომერში აგვიყვანა, რომელიც დე-დასთან ერთად ჰქონდა დაკავებული, და საღამომდე ვიდრე სხვა სასტუმროში ვიშოვიდით ბინას, არ გაგვიშვა.

უნდა გითხრათ რომ პირადად არც ჰამლეტს ვიცნობდით და არც მოცეკვავებს, რომლებიც, ლამის მთელი ჯგუფი ცალკ-ცალკე დარბოდა ჩვენთვის „საქმის ჩასაწყობად“.

ფილუმენა

უბანში რომ უბნელი ხელშეუხებელი იყო მაშინდელ თბილისში, ალბათ არა ერთხელ გსმენიათ და დღეს უკვე ოთხმოც წელს მიღწეულს ერთი შემთხვევა გამახსენდა.

ასე, ალბათ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ვიქებოდი, თბილისში რომ ახალი იტალიური ფილმი გამოვიდა, ჯერ „ქორნინება იტალიურად“ და შემდეგ, „განქორნინება იტალიურად“, თბილისში ყველა კინოთეატრში ანშლაგით მიდიოდა ეს ფილმები, უზარმაზარი რიგები იდგა. რა თქმა უნდა მეც მქონდა ეს ფილმები ნანახი, როგორც მოგეხსენებათ ფილმში მთავარ როლებს, მარჩელო მასტროიანი და სოფი ლორენი ასრულებდა.

ეს ის დრო იყო, თბილისის ყველა უბანში ახალგაზრდები ე. წ. ბირჟებზე რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ცოტა ალმაცერად კი უყურებდნენ, უსაქმოდ დგანანო და „ბირჟავიკებს“ უწოდებდნენ, მაგრამ, სულ მასეც არ იყო საქმე, ერთმანეთში საუბრობდნენ სიახლეებზე, ფილმებზე, წიგნებზე, ურთიერთობებზე, ვინმეს წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე და სხვადასხვა ამბებზე და საკმაოდ ნაკითხებიც იყვნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ ასაქში, მაღალი, გამხდარი და საკმაოდ ფერმკრთალ-გაცრეცილი ვიყავი, მოგეხსენებათ იმ დროისთვის უფრო მრგვალი ფორმები და მოვარდისფრო ლოყები იყო მოდაში, ამიტომ სიმაღლე და სიგამსდრე ცოტას მაკომპლექსებდა, სკოლაში ზოგი წეროს

მექანდა, ზოგი ყანჩას, როგორ წარმოვიდგენდი რომ ჩემ-სავით მაღალი და გამხდარი გოგონები პოდიუმზე მოდე-ლობით მოიწონებდნენ თავს, მაშინ მოდელებს მანეკენები ერქვათ და არც ასეთი პატივითა და სახელით სარგებლობ-დნენ, როგორც დღევანდელი მოდელები.

ერთხელაც სახლში მოვდივარ, ჩემს ქუჩას რომ მივუახ-ლოვდი, იქვე შორიახლოს ახალგაზრდა ბიჭების ჯვუფი იდგა, იქიდან ერთ-ერთმა გამომძახა, „ფილუმენაო“, სოფი ლორენი ვის როლსაც თამაშობდა იმის სახელი. არა მგონია კომპლიმენტად „შევემკე“, ალბათ ისევ სიმაღლისა და სი-გამხდრის გამო. ამდროს ერთ-ერთის ხმა მომესმა: „მოიცა ბიჭო ეგ ფილუმენა ბოზი იყო, ასე ნუ ეძახით ჩვენი უბნე-ლიაო“.

ასეთი უბნელობა იცოდა მაშინდელმა თბილისელებმა, ის ყმაწვილი კი, ბადრი ძნელაძე გახლდათ, რომელიც ალბთ შვილიშვილების ბაბუაა უკვე.

ზედაზენზე

განყოფილებაში სადაც მე ვმუშაობდი სულ ახალგაზრდები ვიყავით, ახალი სკოლადამთავრებულები, მე სამსახურში მიღებისთანავე მეკუჭნავედ „გამამწესეს“. თავისუფალი დრო რომ გამომიჩნდებოდა, რომ არ მომენტინა, ჩამოვურბენდი ხოლმე ჩემი განყოფილების გასახდელს, სადაც ჩვენი გოგონების ტანსაცმელი ეკიდა, რადგან სამსახურში თეთრი ხალათები გვეცვა ყველას, და ვიწყებდი გამოსვლებს, განყოფილების შუა, შემაღლებულ ადგილზე. რა თქმა უნდა უფროსების იქ არ ყოფნისას. ყველას კაბას, ბლუზს თუ ბოლოკაბას მოვირგებდი, აქსესუარებად იქვე, გალვანურ საამქროში, ოქროსფრად თუ ვერცხლისფრად რომ იფარებოდა, რაღაც საიდუმლო აპარატურის ასაწყობად, წვრილი დეტალები, ამ დიდ-პატარა ფერად, მბზინავ, სხვადასხვა ფორმის დეტალებით ასხმულ მძივებს, სამაჯურებს თუ ქამრებს უსადაგებდი ჩაცმულობას და ვიწყებდი ჩვენებას: გამოსვლა პირველი, მეორე, მესამე და ასე შემდეგ, სანამ ბოლო კაბამდე არ მივიღოდა, არ ამოიწურებოდა ჩვენი განყოფილების გარდერობი. ჩემ ჭკუაში ვმოდელობდი ალბათ, არადა ჯერ არ ერქვათ მოდელები, ამიტომ „ურნალის ქალი“ შემარქვეს.

უფროსი სულ მიბრაზდებოდა, ნუ აცდენ ხალხს, აქ არც მოდელების სახლია და არც გასართობი ადგილიო. ერთხელაც ყელმოლერებულს შემომისწრო, ორივე ხელით კაბის კალთებს აქეთ-იქით განზე რომ ვწევდი, და დასჯის მიზ-

ნით ამ „თანამდებობიდან ჩამომაქვეითა“, – გატყობ ძალიან მოცლილი ხარო.

მე კი ის მიხაროდა, სკოლის შემდეგ, „ცოტა ხორცი მოვიბი“ და კარგა ხანია „შუქნიშანი“ აღარავის დაუძახია. მაშინ, ამ ნაირ-ნაირ „ეპითეტებით“ მეგობრულად რომ „მამკობდნენ“, მათთან არ ვიმჩნევდი რომ არ მსიამოვნებდა. „მანინჯი გედივით“ ცოტა რომ შევიბუმბლე და აქეთ-იქიდან უკვე ეპითეტები ბრჭყალების გარეშე მესმოდა, ცოტა კი-დეც შევთამამდი და გავლალდი, ამიტომაც იყო, ამ „დეფი-ლეზე“ ამ ჩასაცმელების „ზომა-წონას“ აღარ დავეძებდი, ყველაფერს ვიცვამდი, ჩემ და სხვათა გასაკვირად, ყველას ტანსაცმელს მშვენივრად ვირგებდი.

რადგან სულ გოგონები ვიყავით ამ განყოფილებაში, სხვა განყოფილების ვაჟებს, ხშირად ეჭირათ თვალი ჩვენ-სკენ, განსაკუთრებით ერთი ვაჟი შემოგვეჩვია, როგორც მოგვიანებით მივხვდი, ერთ-ერთ გოგონას ჰყვარებია, ოლონდ ცალმხრივად, და მისი მესაიდუმლე დაქალები სულ მასზე ჩურჩულებდნენ.

ერთხელაც, ამხანაგებთან ერთად წინადადებით მოვი-და გოგონებთან, ექსკურსიის მოწყობის შემოთავაზებით. გოგონებმა სიხარულით აიტაცეს და გადაწყდა, ზედაზენში მივდიოდით.

დილით რომ გამოვცხადდი, დანიშნულების ადგილზე, ავტობუსთან უცხოებიც შევნიშნე, განსაკუთრებით ერთმა ყმაწვილმა მიიქცია ჩემი ყურადღება, კინოსტუდიიდან ყო-ფილა და თან ჩემსავით, გამორჩეულად მაღალი იყო.

ასევე, ჩემი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა ვაჟმა, რო-

მელიც ხშირად გვსტუმრობდა განყოფილებაში და ექსკურ-სის ინიციატორიც ის ყოფილა. მაშინ როცა ყველა საექ-სკურსიოდ, სპორტიულად ვიყავით ჩაცმული, ის ყმაწვილი დენდივით გამოგვეცხადა თეთრ კოსტუმში გამოწყობილი, ვიფიქრე ალბათ რომელიმე გოგონას აწონებს თავს მეთქი, მაგრამ მაინც გავოცდი, ან ამ ტყე-ლრეში ასე როგორ შეიზ-ღუდა თავისუფლება, იმაზე რომ არაფერ ვთქვათ, ცოტა ღიმილის მომგვრელი და უხერხულიც რომ იყო.

ავტობუსში ფლირტის თამაში გააჩაღეს, მაშინ ძალიან მოდაში იყო ფლირტი. ფლირტი, ბანქოს დასტასავითაა და სათითაო ფურცელზე დაბეჭდილია სხვადასხვა დასახელე-ბის ყვავილები, ყვავილების გასწვრივ კი, ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ამოღებული, სასიყვარულო ნაწყვეტები, აფორიზმები, და სხვა სასაუბროდ ასაწყობი სამიჯნურო სიტყვა – პასუხები, რომლებიც ისე ესადაგებოდა მათ გან-წყობასა და მიზანს რომ, რასაც პირადად ვერ გაუბედავდი, საკმაოდ მხატვრულად და მიზანმიმართულად აგვარებდა ურთიერთობებს, გასართობი იყო მაგრამ, ზოგჯერ მიზან-საც აღწევდა. დღევანდელ ახალგაზრდობას სასაცილოდაც მოეჩვენება მსგავსი გასართობები, მაგრამ მაშინ ხშირად იყენებდნენ.

მე მგონა ის მაღალი სტუმარი შემნიშნავდა და ფლირ-ტით მაინც გამესაუბრებოდა, მაგრამ საერთოდ ვერ, თუ არ მამჩნევდა და სხვებთან თამაშობდა. ცოტა მიკვირდა და ცოტა გულიც მწყდებოდა, მაგრამ არც თავის შეხსენე-ბის სურვილი მქონია, თუნდაც ფლირტით. სურვილიც რომ მქონოდა, მაშინ, ვერ ვბედავდით კი არა, არ ვბედავდით.

სამაგიეროდ თეთრ კოსტუმიანი არ მეშვებოდა, არც ფლირტით და არც უფლირტოდ. ტაძრისკენ მიმავალ ბილიკს რომ აუყევით, სულ ცდილობდა ჩემ გვერდით ევლო, აღმართზე ასვლისას მომხმარებოდა და როგორმე ჩემი ყურადღება მიეცია, მე დიდად არ მეპიტნავებოდა მაგრამ რაკი ჩემ „რჩეულს“. ჩემგან თავი შორს ეჭირა, თანდათან გამიშინაურდა, მე ახალი თანამშრომელი ვიყავი და ჩემი განყოფილების გარდა სხვებს არ ვიცნობდი, და რადგან, მინდოდა თუ არა გვერდიდან არ მცილდებოდა, მეც შევყვი ნელ-ნელა საუპარსა თუ ხუმრობებში, ხუმრობით კი ჩვენს შორიახლო მომავალი, მისი ამხანაგები არ გვაწყენდნენ, ბოლოს და ბოლოს გარდა ტაძრის მონახულებისა, გასართობადაც ვიყავით წამოსულები.

ბოლომდე რომ ავედით და ტაძარშიც შევედით, მიუხედავად იმისა რომ მაშინ, ტაძრების უმეტესობა არ იყო მოქმედი, ამიტომ, არც ვინმე იყო სასულიერო მსახურთა-გან, საკურთხეველზე კი იდო, ორი ცალი თავსარქმელი, ჩა-მოშვებული მძივებით, რომლებიც ჯვრისწერის დროს, ნე-ფე-დედოფლის თავს ზემოთ უკავიათ ხოლმე მეჯვარეებს. რატომდაც ერთი ცალი ჩემთან მოარბენინეს და თავზე ჩამომაცვეს, მეორე კი ამ ვაჟბატონს დაადგეს თავზე, მე მეგონა რადგან კოსტუმში იყო გამოწყობილი და თანაც თეთრში იმიტომ დაადგეს მას, იყო სიცილ-ხარხარი, ყველა ხალისობდა, მაგრამ გოგონების ერთი ნაწილი განცალკევდა და და ვიღაცას ამშვიდებდნენ, ის ვიღაცა კი ის გოგონა აღმოჩნდა, ცალმხრივად რომ იყო შეყვარებული და უგზოუკლოდ, სულ მასზე რომ ჩურჩულებდნენ.

თანდათან უფრო გამწვავდა მდგომარეობა რადგან ისე ხმამალლა აუტყვდა ისტერიული ტირილი რომ ველარ ამ-შვიდებდნენ, მე მაინც ვერ ვხვდებოდი რომ მე და თეთრ კოსტუმიანის ბუტაფორული ჯვრისწერა იყო მიზეზი, მე ისიც არ ვიცოდი რომ ის იყო მისი ცალმხრივი სიყვარულის ობიექტი, თან არანაირი ინტერესი ამ ყმაწვილის მიმართ არ მქონდა, ჩემ გარდა ყველამ ყველაფერი იცოდა, და ის უცხო, სტუმრად წვეული ყმაწვილიც, ისევე როგორც სხვები, გაფრთხილებული ყოფილან მის ამხანაგებისგან, რომ ჩემსკენ არავის გამოეხედა, და თვით ეს ექსკურსიაც ჩემ გამო მოუწყვიათ.

როგორც იქნა გაიშალა პურმარილი და როგორმე რომ დაემშვიდებინათ უიმედოთ შეყვარებული გოგონა, ფანტიანობის თამაში მოიფიქრეს, და მთემელადაც ის დანიშნეს, მდგომარეობიდან რომ გამოეყვანათ. როცა ჩვენი, ახალ „ჯვარდანერილების“ ფანტი ამოდიოდა, ჩუმად კარნახობდნენ, ის კი ცდილობდა თუ ვინმე ბიჭი იყო ყველას ჩემთვის რომ ეკოცნა, ხოლო როცა „ნეფის“ ფანტი ამოდიოდა, მთელ საწვნე ტყემლის დალევას აიძულებდნენ, ახლა ის აბობოქრდა, როგორ, ყველას კოცნა ამოსდის და მე ტყემალს რომ მიმარჯვებთ, ვერ გამიგია რა ხდებაო. გულმოოხებული მთემელი იძულებული გახდა იმისთვისაც კოცნა ამოეყვანა, ოღონდ ლოყის მაგიერ ცხვირის წვერზე ან ყურის ბიბილოზე.

ატყვდა ისევ დავიდარაბა, ამჯერად მისი საძმაკაცოც ჩაერია და ბოლო ბოლო ჩაცხრა ყველაფერი.

ფათერაკიანი ნიშნობა და უპატარძლო ქორწილი

ექვსი ქალიშვილის შემდეგ ჩემ მამამთილს როგორც იქნა ვაჟი შესძენია. ჩვენ რომ შეუღლება გადავწყვიტეთ, სამულებს უთქვამთ, ექვსი მულის რომ არ შეეშინდეს, ნიშნობამდე არც ერთი არ ვნახავთო.

მე მაინც ვლელავდი, ძალიან მინდოდა მულები, თუ მაინც და მაინც არ აღფრთოვანდებოდნენ ჩემით, დაწუნებით მაინც არ დავეწუნებინე. დასანიშნად რომ უნდა მოსულიყვნენ, შევეცალე ნორმალურად დავხვედროდი, როგორც შემეძლო გავიპრანჭე, თუმც არც გადაპრანჭვა მინდოდა, „ფუფალას“ რომ არ დავმსგავსებოდი, მაგრამ სიფერმკრთალეს კვლავ ომი გამოვუცხადე, და მოვიფიქრე, მათ მოსვლისთანავე ერთი ჭიქა ღვინო რომ დამელია, ისიც საკმარისი იქნებოდა, ლოები იქნებ ოდნავ მაინც შემფაკვლოდა, მწველავივით აღაუღაუებაც არ მინდოდა, იმ ერთი ჭიქით კი ცოტა კიდეც შევთამამდები მეთქი. რუსებმა ხომ იციან „დღია ხრაბროსტიო“ და გადაკრავენ ხოლმე.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ღვინო გასაგრილებლად სარდაფში იყო, დოქებში წინასწარ ჩამოსხმულ-გამზადებული. სარდაფი კი სახლის წინ, ეზოს წინა მხარეს იყო, ამიტომ პატარა ბიჭი გავუშვი ქუჩაში სადარაჯოდ, მანქანების მოსვლისთანავე რომ შემოერბინა და გავეფრთხილებინე. მეორე ბიჭი კი სარდაფიდან ღვინის მომწოდებლად მყავდა გამწესებული, მათ მოსვლამდე რომ მოეწოდებინა ჭიქით ღვინო. წინასწარ არ მინდოდა დალევა რადგან, რომ შეეგ-

ვიანათ და სიწითლეს გადაევლო, მეორე ჭიქას ნამდვილად ვეღარ გავრისკავდი.

უცებ ვიღაცამ დაიძახა მოვიდნენო და ეზო დაიცალა, მოდარაჯე ბიჭს საერთოდ დავავიწყდი, ასევე მომწოდებლად გამწესებულს. ყველა ეზოს ნინ შეეგება მომხვდურებს. მე ეზოში გასვლა ვერ გავბედე, მითუმეტეს სარდაფამდე მისვლა, იმის შიშით, ეზოში რომ არ მოესწროთ.

ეს მიტოვებული საპატარძლო გავყვიროდი, ღვინო, ღვინო მომაწოდეთ მეთქი, ღვინის მომწოდებელი კი არავინ ჩანდა, და ასე დავხვდი ექვს სამულეს, გაცრეცილ-დარცხვენილი საპატარძლო.

ნიშნობამ მშვიდობიანად ჩაიარა და ქორწილის დღეც დაინიშნა. ფათერაკი და კურიოზები ხომ მთელ ჩემ ცხოვრებას გასდევდა და „ამშვენებდა“, მართალია საამისოდ, ნებით თუ უნებურად მე ვირჯებოდი, თუმც ცხოვრებაც არანაკლებ“ სიურპრიზებს“ მიწყობდა. ამჯერად საქმრომ ნიშნობის ბეჭედი დაკარგა, ნიშნობის ნინა დღეს, ცუდად მენიშნა და ესეც მაბნევდა.

მოკლედ, საქორწილო თადარიგი ცოტა ადრე დავიჭირე და საქორწილო კაბის შესაკერად საკმაოდ ნაქებ მკერავს მივმართე, რომ მკითხა ქორწილი როდის გაქვსო, შვიდ ნოემბერს მეთქი, მაშინ ეს დღე დიდ დღესასწაულად ითვლებოდა და ხშირად სამი-ოთხი დღე უწევდა ხალხს დასვენება, იმდენად ადრე მივაკითხე, დღე აღარ დამიკონკრეტებია, ექვს რიცხვში თბილისში რომ იმართებოდა ქორწილი და შვიდში ჭიათურაში, მანამდე ხომ ორი თვე იყო, ბოლო ე.წ. „პრიმერკა“ სამი დღით ადრე მქონდა, ვიფიქრე ქორ-

წილის დღეს, საპარიკმახეროში წასვლის წინ გავივლი და ჩავიცვამ, მერე ვარცხნილობა რომ არ დამეშალოს მეთქი. სამოციან წლებში, ტრადიციულად გრძელი საქორნილო კაბები და შლეიფები არ იყო მოდაში, პირიქით, საკმაოდ მოკლე, ტრაპეციის მაგვარი და განსხვავებულ, ორიგინალურ მოდელს ირჩევდნენ, ძირითადად უფატოდ, თმებში ჩაბნეულ ყვავილებით ან, ძალიან მოკლე ფატით.

ექვს ნოემბერს, დილას უნდა გამევლო მკერავთან, ჩამეცვა კაბა და შემდეგ ვარცხნილობისთვის სალონ „ჰიგიენაში“ გამევლო. მკერავს რომ მივაკითხე, კაბა მზად არ დამხვდა, ეტყობა ეს სადღესასწაულო ოთხივე დღე, შორიდან შვიდ ნოემბრად მოიაზრა, თუ სხვა კლიენტმა დააჩქარებინა თავის კაბა და მე გამწირა არ ვიცი, მე ცახცახმა ამიტანა და ენაც კი დამება, მეტყველების უნარიც კი დავკარგე, რადგან რამოდენიმე საათში მაყრიონი უნდა მწვეოდა.

მივესიეთ, მკერავი, მე და მისი რძალი ამ კაბას, თან ცრემლებს ვაღვარლვარებდი თან ვკერავდით, და რადგან გამორჩეულად რთული და ორიგინალური მოდელი იყო, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. როგორც იქნა მოვრჩით და სალონში გავქანდი, იქ მოცდის დრო აღარ მქონდა, ისედაც დაგვიანებული ვიყავი, და იძულებული გავხდი, ხელოსნის მოსაწავლეს დავჯერებოდი, კარგა ხანს იცოდვილა და ნახევრად სველი თმით გამოვარდი, ამ ვარცხნილობას „მალადიოუნაია“ ერქვა და ირგვლივ ბოლოებაპრეხილი თმა ნელნელა დაეშვა და სულ ჩამომეშალა,

ამ დროს უკვე კარგა ხნის მოსული იყო „ნეფიონი“, პატარძალი რომ არ დახვდათ ქორნილში, ატყდა ერთი პანიკა

და ქოთქოთი, გაქანდ გამოქანდნენ ჩემ საძებრად, სიძე თუ ჩემიანები, მეკი არ ვჩანდი.

ექვსი დით და მოწვეული სტუმრებით მოსული სიძე ბატონი რა დღეში ჩავარდებოდა, სუფრა კი იყო გაშლილი, მაგრამ უპატარძლო ქორწილის მექორწილეებს რა ექორწინებოდათ, რამდენ რამეს იფიქრებდნენ...

ჩემ ქუჩასთან ტაქსი რომ გაჩერდა, კარის მეზობლები დამხვდნენ და იქვე შემიყვანეს დასამშვიდებლად, მაგრამ რა დამამშვიდებდა, სულ ვცახცახებდი ნერვიულობისგან და სახლში ვეღარ შევდიოდი. ძლივს დამიყოლია სასიძომ და ასე სახეალენილ-საქციელწამხდარი როგორც იქნა შემიყვანეს, დარწმუნებული ვარ ჩემი საქორწილო ვარცხნილობა და წაშლილი სახე ბევრს მოხიბლავდა.

იმერული ესკიზები

ჩემი დედამთილი, ზემო იმერეთის ერთ-ერთ სოფელში სახლობდა. მისი მეუღლე ჭიათურაში მსახურობდა, საიდანაც ხშირად უწევდა, მაშინდელ საბჭოთა კავშირის სხვადას-ხვა ქალაქებში მივლინებით სიარული და ჩემ გათხოვებამდე ერთი წლის წინ, სწორედ მივლინებაში გარდაცვლილა.

დედამთილი საკმაოდ კოპწია და ავკარგიანი ქალბატონი გახლდათ, ჩემთან მიმართებაშიც მშვიდობიან ურთიერთობას არჩევდა, და ცდილობდა კიდეც, რამდენადაც შეეძლო.

ახალად აშენებულ-დამშვენებული სახლი, სოფლის დასაწყისში, გზის პირას იდგა. ეზოს მთელ სიგრძეზე, მაღალი ყორე ჩაუდიოდა. ამ ვეებერთელა სახლსა და კარმიდამოში, უკვე დაქვრივებულ ასაკოვან ქალს, მარტო უწევდა ცხოვრება, რადგან შვილები სიყმანვილიდანვე ქალაქს გააგზავნა სასწავლებლად, სადაც დაოჯახდნენ და დასახლდნენ კიდეც. მიუხედავად ჩემი მრავალგზის თხოვნისა, ჩვენთან, თბილისში გადმოსულიყო საცხოვრებლად, ვერ დავითან-ხმე. ვერ ეთმობოდა თავის ნაამაგარი, მოვლილ-დაკუნქუნებული კარმიდამო და ალბათ მთელი მისი იქ განვლილი ცხოვრებაც.

გათხოვებამდე, უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებდი, უცხო ენების ფაკულტეტზე, და სწორედ ამ უცხო ენაში ჩავიჭერი. რა თქმა უნდა სამომავლოდ დავიწყე ზრუნვა, მაგრამ მოხდა ისე რომ გავთხოვდი და ცოტა ხნით შევფერხდი.

პირველივე ზაფხულს სოფლად გავემგზავრე. ადრე გა-

ზაფხულზე მომინია ჩასვლამ, რადგან მარტოდ მარტო იყო ხანდაზმული მეთქი, ვერ ვიტყვი, „ასაკშეპარებული“ქალი უფრო უპრიანი იქნებოდა.

გზაზე, სოფლის შარაზე მიმავალი თუ მომავალი მეზობლები ცდილობდნენ, ახალი პატარძლისთვის თვალი შეევლოთ და ზოგჯერ ეზოში ტუ დაგვინახავდნენ, გამოსალაპარაკებლადაც ყოვნდებოდნენ.

ერთხელაც, რომელიღაც უბნის მეზობლები ჭიშკართან მოსულები რომ დავინახე, შემოვიპატიუე, სახლში არ შემოვიდნენ, იქვე ეზოში დასხდნენ, კაკლის ჩრდილში. – ვიცით რომ უცხო ენებზე სწავლობთ, რომელ კურსზე ხართო, ერთერთმა მკითხა. ცოტა სახტად დავრჩი, ასეთი რამ არასოდეს არავისთვის მითქვამს და სანამ ვუპასუხებდი, რომ ჯერ არც ერთ კურსზე არ ვიყავი, დადამთილმა მიუგო: „რომელ კურსზეა და მეორეზეა უკვე, ანი კი გაუჭირდება მაგრამ, არ გაუჭირვებ ბავშვს მე მიუხედავ და დავამთავრებინებო“. ცოტა შევიფაკლე, თან დავიბენი და უხერხულადაც ვიგრძენი თავი, მაგრამ რახან დედამთილმა ასე ინება და ჩემს მაგივრად ასე უპასუხა, დაბნეულ-გაოცებულმა ვეღარაფერი ვაწამე, თუმც ისევ დამასწრო და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

როგორც ზემოთ ვთქვი გზის მხარეს ვცხოვრობდით და ყორეს ზემოდან, ეზოს რაღაც ნაწილი ოდნავ მოსჩანდა, ისიც თუ გადმოხედვას მოიწადინებდა ვინმე და ფეხის წვერებზე შედგებოდა იმ შემთხვევაში, ამიტომ ეზოში თავისუფლად ვგრძნობდი თავს და თავისუფლადაც ვიმოსებოდი, თუმც დედამთილი მთხოვდა რომ, ცოტა უკეთესი,

„საგარეოს“ რომ ეძახდა ის ჩასაცმელი ჩამეცვა, -ამაზე მეტი ხალხი სად დაგინახავს, თანაც ახალი პატარძალი ხარო,

ერთხელ, ჩითის ჩალილული სარაფანი მეცვა, ეზოში. რომ დამინახა. რაღაც თვალში ვერ მოუვიდა, ჩალილული ალბათ ბამბაზის ხალათთან გააიგივა. ჩემ ოთახში შეიარა, ამ ეზოს საკადრისი ჩასაცმელი შეარჩია, ხელზე სათუთად გადაიკიდა და ჩემსკენ გამოემართა. მაშინ, სამოციან წლებში, ერთი პერიოდი, იმპორტული პლისე კაბები შემოვიდა და მაინცდამაინც ის მოსვლია თვალში, მე კი მთელი დღე, ეზო კარ-მიდამოში და თუნდაც სახლში, ამ წვრილად ჩაკუნკუნებული კაბით, თავისუფლად როგორ უნდა მეგრძნო თავი. რომ დაგინახე, – „ქალბატონო დედამთილო“, ამას ხომ არ აჯობებდა საქორწინო კაბით და შლეიფით სიარული, მეზობლები რომ გავამხიარულოთ ან სულაც გადავრიოთ მეთქი, და ორივე გადავბუირდით სიცილით, ალბათ ორივემ ერთად წარმოვიდგინეთ, ინდაურივით გაფხორილი, შლეიფითა და საქორწინო კაბით გამოწყობილი როგორ დავითხორებოდი ან ვსაქმიანობდი ეზოში. ხათრი აღარ გაუტეხე და ის პლისე არა, მაგრამ იმას რომ მოეწონებოდა ისეთი კაბა ჩავიცვი.

ერთ დილას, რაღაც ისეთი სასიამოვნო განწყობა დამეუფლა, შუშაბანდიდან გადმოხედვისას, დილის ნამზე აბი-ბინებულ ბალაზის ხილვისას რომ ძალიან მომინდა ეზოში ფეხშიშველს გამერბინა, და რადგან ის სიახლოვეს არ მეგულებოდა, უცებ მოვწყდი კარებს, კიბეებზე ჩავფრინდი და მწვანე მოლზე გავინავარდე, იმ წუთს აღარც დედამთილი მახსოვდა და აღარც სოფლის ხალხი.

უცებ, მსუბუქად შეკივლებამ გამომაფხიზლა, და ქუსლი-ანი ფეხსაცმელებით, ხელდამშვენებული და ჩემსკენ გამო-ქანებული, „ქალბატონი დედამთილი“ გამომეცხადა, – „არ მომჭრა დედა თავი, სოფელში აღარ გამომესვლება რძალი ფეხშიშველი დაუდისო“. მის თვალებში აღშფოთება და მუ-დარა, „ორმოცდაათი ორმოცდაათზე“ იკითხებოდა. მე კი, ამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების შეძენა გამახსენდა.

რადგან მაღალი ვიყავი, ამიტომ არასოდეს მცმია მა-ლალქუსლიანი ფეხსაცმელი, ე. წ. „მოწაფურ“ ქუსლიან ფეხსაცმელს ვარჩევდი. საყოველდღეოდ კი, მაშინ უცხოე-თიდან შემოჰქონდათ, ნაირ-ნაირი მოდელის ტილოს „ჩუს-ტიკები“, ასე ეძახდნენ, ახლა „ბალეტკებს“ რომ ეძახიან, იმას ვხმარობდი. იმდენად მოდაში იყო, თან მოხერხებუ-ლიც რომ, საკმაოდ ტანმორჩილი გოგონებიც ვერ უძლებ-დნენ ცდუნებას.

ჩემი დედამთილი ცოტა მორიდებულად, მაგრამ სულ აღნიშნავდა ჩემ გასაგონად, რომ ქუსლიანი ფეხსაცმელი ქალს იმდენად უზდება, გაცილებით უკეთესად გამოიყურე-ბა ასეთ ფეხსაცმელშიო, და რჩევიდან თხოვნაზე გადავი-და. – ძალიან მაღალი ნუ იქნება მაგრამ, ახლა რომ აცვიათ წვრილწვერა და წვრილქუსლა (ალბათ“, ფრანცუსკებს“ რომ ვეძახდით იმას გულისხმობდა), „საგარეოდ“ მეყიდა და ჭირში და ლხინში მაინც გამომეჩინა თავი.

რადგან ვერ გადავათქმევინე, და მივხვდი რომ ძალიან უნდოდა „უკეთესად გამოვეჩინე ხალხში“, – თან მეუღლე-მაც მთხოვა, ბოლოს და ბოლოს ნუ ჩაიცვამ, რომ შეიძენ ისიც გაეხარდება, გამოსაჩენ ადგილზე დააწყე, ეგეც რომ დაწყნარდეს და ჩვენცო.

გავტეხე ნავსი, გადავწყვიტე შემეძინა და იქ მაინც ჩა-
მეცვა, სადაც თვითონაც იქნებოდა.

მეორე დღესვე გამიყენეს ებრაელების არალეგალურ „სავაჭრო ცენტრის გზას ლესელიძეზე. ამ ქუჩაზე იყო მათი საცხოვრებელი უბანიც, და სამოქმედო არეალიც. უცხოური, კარგი და იშვიათი საქონლის შეძენა მხოლოდ მათთან შეიძლებოდა და კიდევ სურამში, რა თქმა უნდა იქაც ებრაელებთან. მართლაც მიყიდეს საკმაოდ კარგი ქუსლიანი ფეხსაცმელი, სწორედ ის, ეზოში ფეხშიშვლად მონავარდე პატარძალს რომ მომართვა დედამთილმა.

სხვათაშორის დამთმობიც იყო და ტაქტიანიც, კითხვის სახით მეკითხებოდა თუ რამ სწადდა, ან არ მოსწონდა, მიკვირდა მისი ასაკის ქალისგან რძლისადმი ასეთი მიდგომა. თავის შეხედულებები ჰქონდა, რომელთაც უხეშად არ გახვევდა თავს, მაგრამ ისე მოგიდგებოდა, რომ გულისხმაში გაგდებდა, დაგაფიქრებდა, ბოლომდე რომც არ გაგეზიარებინა, არც პროტესტის გრძნობა გიჩნდებოდა, ხშირად კი თანამოზიარესაც გხდიდა, და ეს კარგად გამოსდიოდა.

სოფელში სასმელი წყალი, ცოტა მოშორებით იყო, და მერიდებოდა ასაკოვანი ქალი კოკით რომ ეზიდებოდა. სულ ვეხვენებოდი მე მოვიტან, თან სოფელში გავიხედ-გამოვიხედავ მეთქი, მაგრამ სასტიკ უარზე იყო, მანამ ცოცხალი ვარ შენ არ მოგატანინებ და ხალხს არ ვალაპარაკებო.

ერთხელ, დარცხვენილმა ვუთხარი, – რა ბედნიერი ხართ, ასე ადრე ადგომა რომ შეგიძლიათ მეთქი, (ექვს საათზე ადრე დგებოდა) მან კი მიპასუხა, – ეგ მეორედ ალარ თქვა, ბედნიერი შენ ხარ რომ ასე ადრე არ შეგიძლია ადგომაო. ამ სიტყვების აზრს ბოლომდე ეხლა ვხვდები, ოთხმოცი წლის ასაკში.

მე და ჩემმა დედამთილმა ერთხელ როგორლაც მოვიზარმაცეთ და იმ დღეს სადილი არ მოგვიმზადებია, დილით კი ვისაუზმეთ, ჩაისთან ერთად კარაქიანი პურით და ყველით, და სადილ-ვახშმის მომზადებაზე თავი არ შეგვიწუნებია, ეზოში ვისხედით და ვფიქრობდით ის დღე როგორ გადაგვეგორებინა.

უცებ ისე შეჰკივლა, ლამის სკამიდან გადმოვარდი, აზრზე რომ მოვედი, ვხედავ ჭიშკრის კარები როგორ ქანაობს და გზაზე სირბილით როგორ მისდევს ვიღაც შუახნის მამაკაცს, გავიქეცი და შუა ყორესთან მორზე შემდგარმა დავინახე როგორ დაეწია ვიღაც მამაკაცს და საკმაოდ გულთბილად და მონატრებულად როგორ „ჩაეფსკვნენ“. – შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ახლა რომ არ შემოხვიდე ჩემ ოჯახში, არ დაგივინწყებო, ეუბნება, მომკალი და არ გაგიშვებ ჩემი მეულლის და მისი შვილის ახალი ოჯახი რომ არ დამილოცოო. ეტყობა არაერთხელ იყო ამ ოჯახში ნაპურმარილევი, მაგრამ მართლა არ ეცალა, რადგან ისიც გულამოსკვნილი ეხვენებოდა, შენი ჭირიმე, ოლონდ ახლა ვერა, ძალიან მაგვიანდება, არაფრით არ შეიძლება არ მისვლა კი არა, დაგვიანებაც კიო, პირობას გაძლევ რომ აუცილებლად გეწვევიო, ის იქით იწევს, ეს აქეთ ექაჩება, ლამის შარვალი ჩასძვრა, ხვეწნა მუდარის ჯაჯვურში, თან კარგა მანძილზეც სდია. როგორც იქნა თავი დააღწია, სასურველმა სტუმარმა, თავგადაკლულ მასპინძელს.

ღობის აქედან, ყორესთან აყუდებული ვნერვიულობდი, ამ ჭიდილში დედამთილს არ ემარჯვა და თავი არ მოგვჭროდა.

ეზოში შემოსულს ვეკითხები, ერთი სიკვდილი გავათავე, რომ შემოსულიყო, თავის მოსაწონებელი კი არა, უბრალო სადილიც არ გვქონდა, და როგორც შევატყვე ისე ეჩქარებოდა, დაკვლა-გაპუტვა მომზადებას კი არა, ხაჭაპურის გამოცხობასაც ვერ მოვასწრებდით მეთქი. მან გაოცებით შემომხედა და მომიგო, – რას ამბობ, ერთი ორი შემოპატიუებით როგორ შემოვიდოდათ. გაოგნებულმა ლამის შემოვილანუნე, მომესმა თუ მეჩვენება მეთქი და ვეღარაფერი ვთქვო.

ამ გადასახედიდან ვხვდები, რომც შემოსულიყო, რა-ლაცას მოახერხებდა. არც შედრკებოდა, არც თავს შეირცხვენდა ისე უმასპინძლებდა და კმაყოფილსაც გაისტუმრებდა ოღონდ არ ვიცი როგორ,

მოკლედ, წამოდგა, კაბა ჩამოიფერთხა და მითხრა, მოვიფიქრე, ხვალ შენ რომ ძალიან გიყვარს, იმ ფხალს გავაკეთებო. მართლაც ძალიან მიყვარდა, მხოლოდ იქ, და მხოლოდ მისი გაკეთებული. თხელი, ძალიან თხელი, ნიგვზიანი ფხალი, ჭადთან ერთად მისართმევი. მგონია რომ იქაური განსაკუთრებული მწვანილეულის დამსახურება იყო, იქ ხომ თითქმის ქვაზე მოჰყავდა ეს მწვანილები, არ ვიცი სხვა სოფლებშიც ასე ქვიანი მიწა იყო, თუ ამ ზემო, ნისლით დაბურულ სოფელში იყო მხოლოდ. თბილისშიც შევეცადე მისებურად მრავალნაირი მწვანილებით შემეცაზა. ერთხელ, ყვითელი ყვავილის ფოთოლი ბაზარში რომ ვერ ვიშოვე, ახლომდებარე გაზონში აღმოვაჩინე და დღისით, მზისით, ერთი კი მივიხედ-მოვიხედე, გაზონში ცალი ფეხი გადავდგი და რამოდენიმე ფოთოლი მოვწყვიტე, თუმცა მაინც ვერ გამომივიდა ისეთი და მივხვდი, ეს იმ ოხრას ფერი ქვიანი

მიწის და კლიმატის მადლი რომ იყო, მაგრამ მარტო ამის ბრალიც არ ყოფილა, ცამეტნაირი ბალახი უნდა და ერთიც რომ აკლდეს, ისეთი ველარ გამოვაო და ჩამომითვლიდა ხოლმე მათ სახელებს: ბალბაო, ია-იაო, მოლოქაო და რავიცი ცამეტივეს რა დაიმახსოვრებდა.

სოფლური იდილია ყოველთვის მხიბლავდა, მართალია მე არ მქონდა სოფელი, მაგრამ ქართლის ერთ-ერთ სოფელში, ხშირად მიწევდა, არდადეგებზე სტუმრობა, ასევე შინაური ცხოველებიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ძროხის რქენის ისე მეშინოდა რომ მოსაფერებლადაც ვერ ვბედავდი მიკარებას. აქ კი ისეთი მშვიდი მომეჩვენა ეს ძროხა რომ დედამთილს ვთხოვე, იქნებ როგორმე წინიდან დამიჭირო, ძროხის მოწველა მინდა ვისწავლო რომ შეგეშველოთ მეთქი. კი დამიჭირა, და ძალიანაც შევეცადე მაგრამ თითები ისე მეტკინა, მივხვდი ჩემგან რომ ვერაფერი მწველავი გამოვიდოდა და დავოკიდი. არც დედამთილი შეცდილა მაინცდამაინც, არ ხიბლავდა ჩემი მწველავობა.

მერე, თონეში პურის ცხობის სწავლა მოვინდომე, ბევრიც ვეცადე მაგრამ, პირველ რიგს ვერ ჩავცდი, ალბათ დრო უნდოდა მოწველის სწავლა-მიჩვევასაც და პურის ცხობასაც, მაშინ ვერ ვხვდებოდი, დადამთილი კი რატომდაც არ იყო მოწადინებული.

ერთადერთი რაც კარგად გამომივიდა, საბნების ქარგვა იყო, თვითონ ძალიან კარგად ქარგავდა, აბრეშუმის საბნებს ეძახდა, არადა აღარ მახსოვს იმ ატლასივით ნაჭერს დუბსატინი ერქევა მგონი. პრიალა და ხასხასა ფერის ნაჭ-

რებით იქარგებოდა. ისე ავითვისე რომ საკმაოდ კარგად გამომდიოდა და მასაც ვეხმარებოდი.

ერთხელ არაყს ხდიდა, უცებ რაიონში მოუწია წასვლამ, იმ ხანად იქ მყოფ ჩემ მეუღლეს დაავალა, არყის სახდელ ქვაბისთვის ყურადღება მიექცია. მან, უურნალი „მნათობი“ აიღო და იქვე ახლოს მიუჯდა, მეც გვერდით მომისვა და ასე ერთად ვკითხულობდით.

უცებ დავინახე საიდანაც არაყი მოწანწკარებდა, იქიდან მთხლესავით შიგთავსმა იპუთქა და მთელი ნაკადი გად-მოსკდა, წამოვტი, – ვაიმე ეს რა ხდება მეთქი ვკითხე, ის კი ხან აქეთ ეცა, ხან იქით, – არ ვიცი რახდება და რა ვუშველოო. არყის გამოხდას მე კი შეესწრებივარ ქართლის ერთ-ერთ სოფელში, მაგრამ მის ტექნოლოგიებში ვერ-კვეოდი. მსგავსი რამ არც მსმენია და არც მინახავს მაგ-რამ, როგორლაც ხომ უნდა გვემოქმედა, რაღაც გველონა. აბრიალებულ ცეცხლს ვეცი და ცეცხლმოკიდებული შეშის ნაჭრები გამოვყარე, მაშინვე შეწყდა მთხლის ნაკადი და ამოვისუნთქეთ. დედამისი რომ დაბრუნდა, შვილს შემოუწყრა, ეს ქალაქელი გოგო მიხვდა და შენ არ უნდა გცოდ-ნოდაო? ძროხის მოწველა და თონეში პურის გამოცხობაც კი მოინდომა და თქვენ, აქ დაბადებულებმა სოფლის საქმე საერთოდ არ იცითო. არყის გამოხდისას, ცეცხლი უნდა აკონტროლო, არც უნდა გამოქრეს და არც მეტი მოუვიდეს თორემ „წამოარწყევსო“.

ერთხელ, სამეზობლოში მოხუცი გარდაიცვალა, გასვე-ნების დღეს, ჭირის სუფრისთვის სადილების მოსამზადებ-ლად რომ მიდიოდა, კვლავ „საგარეო“ სამოსით შეიმოსა,

ისევე როგორც სამძიმარ – პანაშვიდებზე. ქვრივი ქალები, და არა მარტო ქვრივები, ახლო ჭირისუფლებიც, მაშინ დიდ შავ შარფებს ატარებდნენ და ისიც კი მოიხვია, სიგრძეში აღბათ ორი მეტრი ან ორზე მეტიც იქნებოდა და მთლიანი სიგანის იყო. მე ვურჩიე რომ ცოტა მოკლე მოეხვია რომ საქმეში ხელი არ შეშლოდა, მაგრამ შევატყე რომ ახალი, აბრეშუმის შარფის მოხვევა უნდოდა, ჩვენ რომ ჩამოვუტანეთ, რათა ხალხს ენახა როგორი ყურადღებიანები ვიყავით და როგორ ვაფასებდით. მისი მოხერხებულობის ამბავი რომ ვიცი, აღბათ რამეს მოახერხებდა რომ ხელი არ შეშლოდა მაგრამ რას, ვერ ვხვდები

გასვენებაში წამიყვანა ერთხელ, რვა თვის ფეხმძიმე ვიყავი. ის სოფელი, კარგა შორ მანძილზე იყო, თან აღმართზე. გარდაცვლილი, თოთხმეტი წლის ყმაწვილი, შემთხვევითი ტყვიის მსხვერპლი გამხდარა.

ოთახში რომ შევედით, მიცვალებული ტახტზე იყო დასვენებული, მაგრამ, გვერდზე იყო წამოწოლილი, წამოგორებულივით. გარედ რომ გამოვედით, გაოცებულმა დედამთილს ვკითხე, მიცვალებული გვერდით რატომ წევს მეთქი, მან კი მომიგო, ისეა ჭირისუფალი გამნარებული, სიკვდილს, და თან ასე უეცარს ვერ ეგუება და ვითომ ცოცხალია და წამოწოლილია, ის კი არა ზოგჯერ წამოწოლილ მიცვალებულს „პაპიროზს“ დააჭერინებენ ხოლმე ხელში და ცეცხლსაც კი უკიდებენ, ვითომ ეწევაო. გასვენებამდე არც კუბოში აწვენენ გამნარებული მშობლები, აღბათ რომ არ გაგიუდნენ მანამ სიკვდილს შეეგუებიანო. მაშინ ხომ ისედაც თითქმის ერთ კვირამდე არ კრძალავდნენ მიცვალებულს.

თავისუფალ დროს წიგნს ვკითხულობდი ხოლმე, ბოლომდე რომ ჩავიკითხე, და „ცისკრისა“ და „მნათობის“ ბოლო ნომრებიც შემომეკითხა, გული დამწყდა რადგან აღარაფერი მქონდა წასაკითხი. ეს რომ გაიგო დედამთილმა, თბილისელების ერთი ოჯახი ეგულებოდა, რომლებიც ზაფხულობით მამა-პაპეულ სახლში ჩამოდიოდნენ და მათ მიაკითხა, წიგნი მინდა რძლისთვის წასაკითხადო, – რა წიგნი უნდაო, უკითხავს. რომ ვერაფერი მოიფიქრა, – თქვენ თვითონ შეარჩიეთო, მას კი ჯეკ ლონდონის ერთერთი ტომი შეუთავაზებია ოღონდ უკითხავს, ეს წიგნი რუსულ ენაზეა და რუსულად თუ კითხულობსო. გადარეულა ქალი, როგორ გეკადრებათ რუსულად კი არა ინგლისურადაც კითხულობსო, და ამაყად გამოურთმევია წიგნი.

წიგნით ხელდამშვენებული, მაგრამ აქოთქოთებული შემოვიდა სახლში, – რა იყო, რატომ ხართ გაბრაზებული, ვინ გაგაბრაზათ მეთქი, – ვინ და, იმ ქალბატონმა, ვინ ჰელია თავის თავი, როგორ მკადრა, რუსულად თუ კითხულობს შენი რძალიო ასე მითხრა, – გადავირიე ქალი, რუსულად კი არა ინგლისურად კითხულობს, როგორ გეკადრებათ მეთქი. ისევ გადავბურდი სიცილით, – რამ გაგაბრაზათ, რუსულად კი არა ზოგი ქართულად არ კითხულობს, იმან საიდან იცის ასეთი გენიოსი, ყოვლისმცოდნე, რძალი რომ გყავს. არადა, ინგლისურად არც წამიკითხავს და ვერც წავიკითხავ, რადგან მაგდენი ინგლისური ნამდვილად არ ვიცი მეთქი. – არაა ეგ მაგის საქმე და არც უნდა ეკითხაო, და გამომიწოდა წიგნი, რომელიც წაკითხული მქონდა. ინგლისურის

რა მოგახსენოთ და რუსულ ენაზე თოთხმეტივე ტომეული მქონდა სახლში.

იმ ზაფხულს, ჩემი პატარა, ათი-თერთმეტი თვის რომ გახდა, სოფელში ვიყავით და, სწორედ მაშინ ისე უცნაურად დაიწყო ტიტინი, და ისე დიდხანს, გაუჩერებლად ტიტინებდა, ტ-ღ, ტ-ღს იმეორებდა განუწყვეტლივ, სხვადასხვა ხმაზე და სხვადასხვა ტემპით, „ნიბლია“, „ბელურა“ და „ჩიორა“, ვეღარ მიკლავდა მოფერების უინს, და ისე გადამრია ამ მელოდიურმა ტიტინმა რომ, რაც ენაზე მომადგებოდა, სულ კუნ-კუნას, ხან კონ-კონას ვიმეორებდი ისტერიულად. ალბათ, ეს მახვილივით ასოები, წივილა „წან“-ი და კივილა „კან-ი, ოდნავ მიცხრობდა მოფერების ისტერიას. ერთხელაც, ამ მოფერების ექსტაზში რომ ვიყავი, კუნ-კუნადან, კონ-კონამდე და მგონი კონიამდეც რომ გადავედი, დაფე-თებული გამომივარდა დედამთილი, – ნუ მომჭერი ქალო თავი, კონია გადარეული არ შემომივარდეს, ისედაც არაა დალაგებული, – ახალი პატარძალი მიხმობსო.

მართლა ჰყოლიათ ვიღაც მეზობელი კონია, და მეც და-ვირცხვინე, – რა კუნ- კუნა და კონ-კონა ამიტყდა, ან რა მოსაფერებელი სიტყვებია, ამ მკვეთრმა ასოებმა მოფერების უინი კი დამიცხრო, მაგრამ, ლამის მეზობელი გადამკიდა და და მოხუცი ქალი გადამირია.

ახალდაქორწინებულები ვიყავით, პირველად ჩავედით სოფლად და იმ დილას, ცოტა შეგვაგვიანდა ადგომა. უცებ ეზოდან ხმა შემოგვესმა, როგორც შემდეგ გავიგე, მეზობელი მოსულა ჩვენ სანახავად, თხილის ჩურჩელებით და ტკბილი კვერის გრავნილებით ხელდამშვენებული. მე კი

წამოვდექი სასწრაფოდ, მაგრამ სანამ ჩავიცმევდი და სტუ-
მარს მივიღებდი, დედამთილის ხმა შემომესმა, – რახანია
ადგნენ, ფოსტასა და მაღაზიაში წავიდნენო (ესენი კი უახ-
ლოეს სოფელში იყო, მაღაზია, ფოსტა და სხვა საჭიროე-
ბის ობიექტები), შეცებუნებული და დარცხვენილი კარებთან
გავშეშდი. მესმოდა როგორი მადლიერებით მიიღო ძლვე-
ნით მოსული მეზობელი, ცოტა კი შეიცხადა, რატომ შე-
წუხდი, ისედაც ხომ შეგვიძლია ერთმანეთის მოკითხვაო,
კი შესთავაზა დავსხდეთ ცოტა ხანს დავიღაპარაკოთ, ეხ-
ლავე პატარა რაღაცას გამოვიტან და დავილოცოთო, მაგ-
რამ სხვა დროს რომ „კალთებს დაახევდა“ და „პატარა მა-
გიდის“ გარეშე არ გაუშვებდა, ეხლა ადვილად დანებდა,
თუმც მოკითხვასა და დაფასებისთვის ისეთი მადლობების
კორიანტელი დააყენა რომ ლამის თავბრუ დაახვია და ალ-
ბათ მობოდიშებაც ჩააქსოვა რაღაც წილად ამ „გაბევრე-
ბულ“ მადლობებში.

ეზოში რომ გამოვედი, დარცხვენილი თავს ვიმართლებ-
დი, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდეთ მეთქი, რამდენიც
წამოვიწიე ასადგომად, მძინარემ არ დამანება, – იწექი, რა
გეჩქარებაო. მართლაც ასე იყო, მაგრამ რომც არ ყოფილი-
ყო, ისე მერიდებოდა, ალბათ დავაბრალებდი.

ძალიან კარგი უქნია თუ არ დაგანება ადგომა. დიახ,
არც შენ არ უნდა გაგეტეხა ხათრი მისთვის. – რა იყო, მამ-
ლის ყივილზე რომ არ გამოგვცხადებოდა ახალდაქორწინე-
ბულებთან და სტუმრად ჩამოსულებთან, არ ჩაეთვლებოდა
თუ ორი კაკალი ჩურჩხელა გაუდნებოდა, აღარ გაუთენდე-
ბოდა თუ რევიზიაზე იყო მოსულიო.

მამლაყინწა

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი მული ხელდამშვენებული მეწვია და კარგა მოზრდილი, ჯანიანი და საოცრად ლა-მაზი მამლაყინწა მომგვარა. ჯერ დავიბენი, რამდენ ხანს შეიძლებოდა მეხუთე სართულზე მისი გაჩერება, სანამ მეც ვინმეს მივგვრიდი. დასაკლავად შემეცოდა, თან ისეთი ლა-მაზი იყო, მედიდურად, ამაყად მომზირალი და თავალერი-ლი, პარკეტზე ისე თამამად დააბიჯებდა, თითქოს მხოლოდ ასეთი გაკრიალებული პარკეტი იყო მისი საკადრისი. ერთი კი შევჩივლე, რა ვუყო ეხლა ამას, მეხუთე სართულზე მეთ-ქი. რა უნდა უყო, დაკალი და მიირთვი, ან აივანზე რაიმე ყუთი დაუდგი, ბავშვის ჩამოსვლამდე მაინცო.

მული კი მშვიდობით გავისტუმრე, ასეთი ძლვენით პა-ტივნაცემმა, არც მადლობები დამიშურებია, მაგრამ საგო-ნებელში ჩავვარდი, პარკეტზე როდემდე უნდა ენავარდა, ხომ უნდა დამებინავებინა სადმე. ბოლოს რაღაც ყუთი გა-მოვნახე, აივნის ერთ კუთხეში დავუდგი და იქ შევასახლე.

ის კი შევასახლე, მაგრამ ლამის მე გამასახლეს კორპუ-სიდან. ოთხ საათზე იწყებდა ყივილს, ისეთი ჯანიანი იყო და თან, ისე ხმამალლა ყიოდა, ექვს სადარბაზოიან კორპუსს აზანზარებდა, და არც მეზობელ კორპუსის მაცხოვრებელთ წყვეტდა გულს. ოთხი საათის შემდეგაც შეიძლებოდა ძი-ლის შებრუნება, მაგრამ ოთხ საათზე მხოლოდ იწყებდა და ექვს-შვიდ საათამდე, წაქცევამდე აღარ ჩერდებოდა.

მოკლედ, მეზობლები გადამირია, გამოუძინებლები მი-

დიოდნენ სამსახურში, ჯერ მორიდებულად მეუბნებოდნენ, მერე თხოვნით, და ალბათ მალე ჩივილზეც გადავიდოდნენ. სულ რაღაც სამი დღე დამრჩა შაბათამდე რომ ეზოიან ნა-თესავისთვის გადამელოცა.

ერთ დილას ლიფტთან შემხვდა მეზობელი და მკითხა, ალბათ სიმწრის სიცილით, – ერთი გამაგებინე, მაღვიძარას უდგამ საქათმეში თუ ზუსტად ოთხ საათზე რა აგიუბებსო.

იმ დღეს მართლა დარცხვენილი და შეწუხებული მივედი სამსახურში, ჩემმა თანამშრომლებმა მისვლისთანავე მოიკითხეს, – ხომ კარგადაა ჯანზე, ხომ არაფერი უჭირს, უმა-დობას ხომ არ უჩივისო, და მერე რჩევებიც არ დაიშურეს, – შენ დაადგინე რა ხმა აქვს, რა თქმა უნდა სოპრანო არ ექნება ჯენტლმენია, არც ბასი და ბარიტონი უნდა ჰქონ-დეს, ისეთი მჯექარე ხმა აქვს, ალბათ ტენორი ექნება და ოპერაში ხომ არ წაგვეყვანაო.

რა მეხუმრება, მე არ მაძინებს, არ მაძინებს მაგრამ მე-ზობლები დამიგიჟა, ამ სამ დღეს როგორ გადავაგორებ არ ვიცი მეთქი.

შესვენება კარგა ხნის გადავლილი იყო. ოთახში თით-ქოს რაღაც ჩოჩქოლივით შეინიშნებოდა, ერთმანეთში ჩურ-ჩულსაც მოუხშირეს, ასე საყოველთაო ჩურჩული რაღაც არ მახსენდებოდა რადგან ისედაც ვაწვდენდით ხმას ერთმა-ნეთს. უცებ, ერთ-ერთმა გარედან შემოსულმა გამოგვიც-ხადა, დღეს ხუთ საათზე ყველამ ერთად უნდა დავცალოთ ოთახი რადგან რაღაც უნდა შეამოწმონ ხელოსნებმაო. იმ დღეს ცოტა შეყოვნებას ვაპირებდი, საქმის წინ წასაწევად, მაგრამ რა გაეწყობოდა. ხუთ საათზე გოგოებმა ელვის სის-

წრაფით დატოვეს ოთახი და მეც წამომახტუნეს სკამიდან, მივყენებოდი მაგრამ ისე გარბოდნენ ძლივს ვენეოდი, ქუ-ჩაში რომ გავედით, „ხალტურაზე“ მომუშავე სამარშრუტო „რაფის“ მარკის ტაქსი გააჩერეს, შიგ შეცვივდნენ და ჩვენც გვეპატიუებოდნენ ჩამორჩენილებს, მე არ მცალია, სახლში მეჩქარება მეთქი. – იქით მივდივართ ჩვენც, სახლამდე მი-გიყვანთო და მეც ხელკავით შემაბრძანეს მანქანაში. ჩემ ქუჩაზე შეუხვიეს, და ჩემ სახლთან რომ გააჩერეს, ჩემ ჩა-მოსვლამდე, თვითონაც რომ ჩამოდიოდნენ, მეგონა გზას მითმობენ მეთქი, მაგრამ ჩემი სახლისკენ რომ აიღეს გეზი და მეც მეპატიუებოდნენ, – შენც წამოდი, „კარგ საქმეზე მივდივართო“, დაბნეულ – გაოცებული ვუყურებდი საკუ-თარ სახლში რომ მეპატიუებოდნენ და მიმიდვებოდნენ. ჩემთან პურმარილს კი იყვნენ ნაჩვევნი მაგრამ ასე თავს არასოდეს დამსხმიან, თან დაუპატიუებლად.

მოკლედ, როგორც მოგახსენეთ, ჩემ სახლში არც ისე უცხოდ გრძნობდნენ თავს და დატრიალდნენ, იცოდნენ სახლში მარტო რომ ვიყავი და მოშინაურდნენ. ზოგი ქვ-აბს ეცა, ზოგი თასს, ღვინის მისამართიც მოეხსენებოდათ და მანამ აზრზე მოვიდოდი, მამალსაც გამოუყვანეს წირვა, ხაჭაპურებიც დააცხვეს, ზოგი რამის თადარიგი თვითონაც დაუჭერიათ და ისე დაინანილეს საქმე რომ უმოკლეს დროში მშვენიერი სუფრა გაშალეს, დიასახლისობაში და განსაკუთ-რებით კულინარიაში ხომ ისედაც ბადალი არ ჰყავდათ და ყველაფერ ამას მუსიკის აკომპანიმენტზე აკეთებდნენ. მუ-სიკოსებსაც თავის წვლილი შეჰქონდათ ამ ორომტრიალში.

დაღლილ-დაქანცულები სუფრას რომ მიუსხდნენ, უცებ

დაავიწყდათ დაღლა და ენათ გაიკრიფნენ. პირველი სად-ლეგრძელო მამლაყინნას მიუძღვნეს, მთელი ამ „ღონიძიების“ მიზეზს, ხაზგასმით აღნიშნეს რომ მსგავსი პრობლემების დროს, ასე უნდა დაუდგეთ ერთმანეთს გასაჭირში, როგორც დღეს ჩვენ დავუდექით ჩვენს მეგობარსო და არა მარტო ჩვენს მეგობარს, მთელ მის სამეზობლოს მოუხსენით უცებ თავსდატეხილი პრობლემაო. მოკლედ იმდენი ილაპარაკეს ჩემ გვერდით დგომაზე რომ მადლობებიც მახდევინეს. თან დააყოლეს, – ანი შენც დაისვენებ, შენი მეზობლებიც და ჩვენცო.

სოფელი

სოფელი, თავის სრულყოფილებით, საქმიანობით, გლე-
ხური გამჭრიახობით, სიბრძნით, ტრადიციებით, ენით, –
თუნდაც კუთხურით, და აუცილებლად კუთხურით, წეს-
ჩვეულებებით და შეხედულებებით, – მოკლედ, სოფლური
სოფელი თავის სოფლელებიანად, კი არ მომწონს, – მიყვარს.

მიყვარს, – მე, უსოფლოს, რომელსაც სოფლად სტუმ-
რობა მხოლოდ არდადეგებზე მიწევდა. მიმართია რომ სო-
ფელი საქართველოს „ჯიგარია“, და ეს სიტყვა უარგონით
კი არაა ნათქვამ-ნაგულისხმევი არამედ აზრი და შინაარსია
ჩადებულ-გამოხატული.

ქალაქში კი გაითავისეს ევროპული კულტურის სხვა-
დასხვა სახეები, მაგრამ, რაც ნალდი თბილისურია, გა-
მორჩეული, საკუთარი სახის მატარებელ – გამომხატველი,
ყველაფერი ქართული სოფლებიდანაა შემოსულ – დამ-
კვიდრებული.

სამწუხაროდ დღევანდელი სოფლების ფონზე, ალბათ
არ და ვერ დამეთანებიან თანამედროვენი, რადგან სო-
ფელი დღეს ვეღარ სოფლობს. ძალიან მტკიცა ის ლამაზი
სოფლები ცარიელი სახლებით, უსოფლელებოდ, თვალებ
გაციებულ-გაშტერებული რომ იყურებიან, სანამ ბოლომდე
ბინდი გადაეკვრებათ და ნასოფლარად გადაიქცევიან. რიგ
სოფლებში კი აქა-იქ მხოლოდ ხანდაზმულნიღა შემორჩენი-
ლან და ისინიც „ცას ხომ არ გამოეკერებიან“ და ეს სოფ-
ლებიც ნასოფლარად გადაიქცევიან.

ამას ჩემი ოთხმოცი წლის გამოცდილებით ვამბობ, მე რომ მახსოვს ის სოფელი, ერთი დიდი ოჯახივით იყო, თავის თავკაცებით, ტრადიციებით, სოფლური კოდექსით, საზრიანობით, სილალით, შრომის უნარ-კულტურით, ბუნებასთან სიახლოვით, ერთმანეთთან გვერდში დგომით, და რაც მთავარია სიმრავლით. რაღაც წილად, საერთო ჰქონდათ ჭირიც და ლხინიც, თითქოს ერთმანეთის მიმართ ან-გარიშვალდებულნი იყვნენ, კარგზეც რეაქცია ჰქონდათ და ცუდზეც. კარგს სამაგალითოდ იღებდნენ და ცუდი განსჯის საგანი ხდებოდა,

ღმერთი არ გაწირავდა ასე სოფელს, შიგ ადამიანის ხელი რომ არ იყოს ჩარეული, – ადამიანის კი არა სატანის ან სატანების.

ღმერთო შეაჩვენე ჩვენი დამაქცევარ-გადამგვარებლები, ჩვენი საკუთარი სახის წამშლელ-დამკნინებლები, რომლებიც ქალაქშიც დაგვერივნენ და სულსა და გონებას გვიბინძურებენ. მომავალ თაობას გონებას ურევენ, ფესვებს წყვეტენ, და უკულმიართი გზისკენ და თვისებებისკენ უბიძგებენ.
































































































































სარჩევი

წინასიტყვაობა	3
უკიდეგანო სივრცეში	
სივრცე	8
ბოპემა	9
*** რა მესაქმება პოეზიასთან	10
მე სიცოცხლე ვარ	11
მე არ მიყვარს კორიდა	13
სფინქსი და პირამიდა	15
ექსპოზიცია	16
გოგენი	17
ვან გოგი	18
შემოდგომა	19
*** სიზმრების ქსოვა	20
*** ადამიანო ყოვლისშემძლევ	21
*** სუმბულთა კრებული	22
*** მე ნამცეცი ვარ	23
*** ამ უკიდეგანო სივრცეში	24
*** სიყვარულს თუ ნატრობ	25
*** ქეთევან წმინდა წამებულო	26
*** სენტიმენტები	27
*** მე მირაჟი ვარ უდაბნოში	28
*** ყავა, შამპო, შოკოლადი	28
მოთარეშე ქარაშოტები	29
*** ცხოვრების ამინდზე	29

სოსნისფერი ღრუბლები	30
სურათი ძველებურ ინტერიერში	31
იმედი	32
*** ცხოვრების სალაროში	33
ჭადრაკი, თეატრი თუ ცირკი	34
ჩემი სახლი	35
ნიაგარი	36
მამაკაცი	37
სულის ნაწილები	39
*** გაზაფხულმა დამიარა	41
სულის ფრენა ან მუსიკა ქარში	42
*** მყუდრო ქუჩებში სალამო ხანს	44
*** ძველმოდური ვარ	44
გალაკტიონი	46
გალაკტიონო მშვენიერების მეფევ	47
ვენეცია	48
*** ბედს გავექეც თუ ბედი გამექცა	50
*** სოსნები კაბად მოვირგე	51
*** ფიქრის ბილიკები	52
მზესუმზირები	52
ლეგენდა მომღერალ ჩიტზე	53
*** ფარნავაზ დიდო	54
ჩამაპირქვავეთ	56
გზები	57
რომეო და ჯულიეტა	59
ძველი თბილისის სურათები	61
მზე და დრო	63
*** ჩემი ცხოვრების მატიანის	64
*** სუნამოს სურნელი	65
**** იებს დაემგზავრე ალბათ	65
ჩემი ცხოვრების შემოდგომა	66

*** ნებისყოფა იჭედება გრდემლზე	67
*** შენში ქალი ასაკშიაც ყვავილობს	68
*** ცას გაქცეულან ძველი გრანდები	68
*** ეს იმ გახსენებას გაუმარჯოს	69
*** ბოლო დროს ხომ მართლაც...	70
ბათუმი	71
მომეცით ფული	72
*** ყველას აქეს ოცნება	74
უკიდეგანო	75
ბავშვობა	77
ლამე ყინცურა ხევში	78
*** გრიმებისა და ანდერსენის...	79
*** ლაწვა და ბიბილოს	79
*** ცხოვრება ამძიმებს მხრებს თუ...	80
ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი	81
*** განაცრისფრებულ სევდიან...	82
*** სხეული ჭურჭელია...	82
მეორედ მოვალ	83
თბილისელობა	85
წელიწადის დროები	86
მერცხლები ხომ ბრუნდებიან	87
ძველი თბილისი	88
*** ქართულმა ზღაპრებმა...	89
*** ჩემი ქალაქის...	90
წუთისოფელი	91
*** მე ვინ ვარ ვიცი	93
*** შემოშხაპუნდა გაზაფხული	93
*** მე ნაფოტი ვარ	94
*** გატაცება მაჭარია	95
დასასრულის დასაწყისი	96
ჩაძირულ გემში	97

შემოდგომების სიყვარულები	98
*** არა გრიგალი, არც ქარიშხალი როგორ გამოგდის?	99
ნისლი	100
კედელი	101
გარუსებული აპრილები	102
რაღაცა ძალა	103
სულის მიღმეთის აბდაუბდა...	104
*** ვარ გზადაბნეული	105
ოცნებების კორიანტელი	106
ანანური	107
ავყიას სიზმარი	109
ქალი	
ქალი ქალია	112
ჩვეულებრივი ქალი	114
ამგვარ-იმგვარი	115
მე ვარ ქალი	116
დროები ქალის ცხოვრებაში	117
*** ამ ბოლო დროს	119
აღმოვაჩინე	120
ოქტომბერი ქალის შემოდგ-მდე	121
და ოქტომბერი შემოდგომისას	122
*** მინდვრის გვირილები	92
*** სიმორცხვე დღეს ხომ...	122
სიმორცხვე	123
*** მე ქალი ვარ და...	124
*** ქარი თუ გიხარია...	124
*** ყოველ გაზაფხულზე	125
მხურვალე თონეს ჩამაკარით იასამნების მეორედ მოსვლა	125
	126

*** ქალი სიყვარულს სულ...	127
*** ღმერთო არ ჩაახშო	128
*** ძუძუებივით ეტიკნებათ...	129
ნუ შეუშინდები წლებს	130
*** აგერ უკვე	131
*** ქალო დარდიანო	132
*** ნისლის ტევრში დაკარგვას თუ ლამობ	133
შემოდგომა	134
ზამთრის ბელურა	135
*** ცოტა პოეტი ვარ	136
ნაირნაირები	
შენ თვალთა მზერას	138
სიყვარულის დღე (ვალენტინობა)	139
აისიდან დაისამდე	140
მზე და ზღვა	141
სიყვარული	142
შემოქმედება	143
ურთიერთობები	144
*** თოვლი მოდის	145
*** გაყინულა მთვარე ცაში	145
*** გარედ ცივა სახლში თბილა	146
*** გარედ ბარდნის და ძალიან ცივა	146
ნაირნაირები	147
მე შენ გისურვებ	148
*** ჩემს არსებაში	149
*** ძიებები, ძიებები	150
უშენიდ	151
გამოიდარა	152
შანსი	153
*** ცხელა, მზე მთენთავს	154

პეპელა	155
ობლის და კვერის არაკეტი	156
*** ფიქრებს, ვით ფუმფულა ფთილებს	157
*** ფოთოლთცვენა	157
მე სტუმარი ვარ	158
ეს გაზაფხულიც	159
*** თუ შენ ვერ უსმენ	160
*** ისევ ჩამოსცხათ კიბარისებს	161
*** მზეს მიაფიცხეთ	162
*** ხომ შეიძლება ცხოვრობდე მარტო	163
*** სულს თუ წაეკიდა	163
მტკივა, განვიცდე, შევიგრძნობ, ვხედავ	164
კვრინჩხისფერი ბინდი	166
ღამე	167
*** და იწვა ბინდი	169
სოფლურ სოფელში	170
ჩემი ბავშვობის სოფლის სურათები	171
ბავშვთა ბავშვობა და კომპიუტერი	174
*** გაფრენილი სივრცე	175
*** ფშატი აყვავდა	175
*** ფშატის ყვავილობამ	176
*** ფშატისყვავილობას	176
*** დღე დღე არი	177
*** მარტი ბუნების გაღვიძება და...	178
*** რევერანსი	181
თამარ ქალო დედოფალო	183
ბარად ჩამოსულ მთიელ ქალ-ვაჟს	185
*** გინახავთ გაზაფხულზე	186
თუ დამიძახებ, მე მოვალ შენთან	186
სიზმარი	187
შენი სულისკენ მომავალ გზებს	188

ვნებათა ბრუნვა	189
ოთხმოცდაათიანი წლები	190
და, წლების მერე	191
*** მზე ჩემი ცხოვრების გადაიხარა	193
*** პატიმრობა ხომ საშინელებაა	194
*** ყველას თავისი საზრუნავი აქვს	195
მარტოსული	197
ისევ მარტოსულზე	199
*** მეორედ მოსვლას ჰგავდა	200
ოთხმოცდაათიანი წლები	201
გოგონას სიზმარი	202
ნუ დაივიწყებ	203
*** თუ ხარ მდიდარი	204
ძველით ახალ წელს	205
*** საოცარია ეს ცხოვრება	206
გამოდარება	207
*** ზათქით მიუგდეთ	208
*** სულის ჭრილობებს	209
ისევ ოთხმოცდაათიანი წლები	210
*** შემოდგომა აბდლვრიალდა	211
აპრილი	211
*** ცხოვრების კალოზე	212
მარტი	213
გაზაფხული	214
შენი ცხოვრების ოთხი დრო	215
იასამანი	217
*** არც ქარი მიყვარს ქარში	217
სექსი და სიყვარული	218
*** ჩემი ფანჯრის წინ	219
გარდავიქმნები	220
ქარი გადაგვისქუჩებს	221

საქორნინო კაბა	223
ბავშვობაში ხეტიალი	224
მიწა	225
სამშობლოს განცდა	226
როცა ქარი ქრის	227
სიმორცხვე	228
პესიმისტური	229
*** თიხისგან ნაძერწმი	230
სიამოვნება	231
მშვენიერების განცდა	231
*** მივწეწ-მოვწეწე ფთილები	232
*** ცისფერთვალება მინდვრის ყვავილები	232
*** ცხოვრებამ თუ შემოგიტია	233
ჩვენი ხასიერების მეტეოროლოგია	234
წლები	235
*** ყვავილებო, ყვავილებო	236
*** ეკლები	236
მზერა	237
ველური გვირილები	238
*** ჩემი ყვავილეთი	238
*** ჩვენ ქალაქში ჩიტები ალარ არიან	239
*** რას გაუგებ მამაკაცებს	239
*** ხილვების მარათონი	240
სიბერე	
ჩემი მეოთხმოცე შემოდგომა	242
*** დრო გავატარე	243
*** ხან მგონია რომ ბებერი ვარ	244
*** პესიმისტური	245
სიბერის პირს	246
დღემდე	247

წარსულით ცხოვრება	248
სიბერე სკამლოგინზე	249
საგზური საიქიოს	251
სიბერემდე ხომ არც ისე შორია	252
*** როგორ არავის მოსწონხარ	252
*** სიბერევ ჩემო	253
*** სამოცს ვცილდები	254
სიბერე ჯილდოა	255
ცხოვრება მაინც მშვენიერია	256
*** წლები მემატება	257
*** სიბერეს თუ უჯანყდები	258
*** ჩემი ცხოვრების ზაფხულიდან შემოდგომამდე	258
სამოცსის შემდეგ	259
*** კარგა ხანია ოცნებებმა დაიყვავილა	260
*** არ გეგონოთ რომ დამიზამთრდა	261
უდროოდ დაღამება და უდროოდ დაბერება	262
დრო როცა გისწრებს	263
*** იმ ქვეყნად წასვლისას	264
ისევ მოუპირებელ ცხოვრებაზე	265
ახდენილ-აუხდენელი სურვილები	266
ჩემ ქალიშვილს და შვილიშვილებს	
უშენოდ უდაბნო ვიქნებოდი ცარიელი	270
სანთლად ჩამოვქნი იმედის სხივებს	270
*** ჩემო სუნთქვავ და ჩემო ჭალარავ	271
*** ჩემი ცხოვრების აზრო და ეშხო	271
პატარა დედავ	271
დედილო	272
ლალის	274
შენ,ვინც დაიბადები ამაღამ	275
*** შვილიშვილები ვით მძივები	276

ჩემ შვილიშვილს – გრიგოლ ფერაძეს	277
*** ხმელ წიფელივით	277
რვა თვის ივას	278
ლმერთო, უფალო	
*** ლმერთო, უფალო	280
შემინდე ლმერთო	281
*** უფალო ლმერთო	282
ალსარება	283
ალდგომა	284
ჩემი გადასახელიდან	285
სხვადასხვა სახის ჩანაწერები	315
„მოგონებანი გარდასულ დღეთა“ (ომის შემდგომი თაობის ბავშვები, მოზარდები და მოზრდილები)	345
ნახატები	426

ნახატები ცირა კაპანაძის

დიზაინი და დაკაბადონება: ფატი გაგულია

დაიბეჭდა სტამბაში გრიფონი

ISBN